https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალექსანდრე დიუმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალექსანდრე დიუმა

შავი ტიტა

ფრანგულიდან თარგმნა
თამარ აბრამიშვილმა

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

თბილისი/TBILISI

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

I
მადლიერი ერი

1672 წლის 20 აგვისტოს, ქალაქი ჰააგა, ისე ბრწყინვალე, მხიარული და მოკაზმული, თითქოს დღესასწაულს თავისი ტახტი აქ დაუდგამსო, – ჰააგა, გრილბაღებიანი, გოთურ სახლებზე მოშრიალე, თვალშეუდგამ ხეებიანი და კამკამა არხებიანი, შიგ რომ სარკესავით არეკლილიყო სამრეკლოთა ლამის აღმოსავლური სტილის გუმბათები, ჰააგა, დედაქალაქი შვიდი შეერთებული პროვინციისა[1], აღელვებულ მოქალაქეთა ზღვას წაელეკა.

ხელკეტიანი, ქამარში დანაგარჭობილი თუ მხარზე მუშკეტგადებული მოქალაქეთა ჭრელი უნასი ყოველი მხრიდან მოიკლაკნებოდა და ბუტენხოფის სატუსაღოსთან იხვეოდა, სადაც გამოეკეტათ კორნელ დე ვიტი, ჰოლანდიის ყოფილი დიდი პენსიონარის[2] იან დე ვიტის ძმა, რომელსაც დასტაქარი ტიკალარი მკვლელობის მცდელობას აბრალებდა.

ამ ეპოქის ისტორია, მითუმეტეს, 1672 წლის მეორე ნახევრისა, საიდანაც ამბავი იწყება, ასე განუყოფლად რომ არ ყოფილიყო გადაბმული, ზემოხსენებულ, ორ სახელთან, იქნებ ზედმეტადაც მოგჩვენებოდათ, ის ორიოდე სიტყვა, რომელიც განმარტებისთვის გვინდა გითხრათ. ვაფრთხილებთ ჩვენს ერთგულ მკითხველს, რომელსაც პირველივე გვერდიდანვე ვპირდებით ხოლმე სიამოვნებას და შეძლებისამებრ, ვუსრულებთ კიდეც, ვაფრთხილებთ მკითხველს, რომ ასეთი შესავალი, საჭიროა ჩვენი ამბისთვის და იმ დიდ პოლიტიკურ მოვლენათა გასააზრებლად, რაზედაც ეს ამბავი მოგვითხრობს.

კორნელ ანუ კორნელიუს დე ვიტი, ოლქის რაბების მთავარი მეთვალყურე, თავისი მშობლიური ქალაქ დორდრეხტის ყოფილი გუბერნატორი და ჰოლანდიის შტატების დეპუტატი, ორმოცდაცხრა წლისა იყო, როდესაც ჰოლანდიელ ხალხს საბოლოოდ გაუტყდა გული რესპუბლიკური ყაიდის მმართველობაზე – ყოველ შემთხვევაში, ისეთზე, როგორადაც დე ვიტს წარმოედგინა, – და უცაბედი სიყვარული შეეყარა შტატჰალტერიის[3] იდეისა, რომელიც ჰოლანდიაში იან დე ვიტის ედიქტით სამუდამოდ გაეუქმებინათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იშვიათად, რომ ჭირვეულმა საზოგადოებრივმა აზრმა ესა თუ ის პრინციპი რომელიმე პიროვნებას არ გაუიგივოს. ხალხს რესპუბლიკა გაეიგივებინა ორ მკაცრ ძმა დე ვიტთან, – ამ ჰოლანდიელ რომაელებთან[4] – ზომიერი თავისუფლების უდრეკ მომხრესა და ფუფუნების მტკიცე უარმყოფელთან, ხოლო შტატჰალტერიის იდეის უკან ესახებოდა ჭკვიანი და მკაცრი ჭაბუკი, ვილჰემ ორანელი, რომელსაც მისმა თანამედროვეებმა მდუმარე[5] შეარქვეს.

ორი ძმა დე ვიტი უდიდესი სიფრთხილით ეკიდებოდა ლუი XIV-ს[6], რომლის გავლენაც სულ უფრო იზრდებოდა მთელ ევროპაზე და რომლის ძალაც თავად იწვნიეს, როდესაც ჰოლანდიაზე ბრწყინვალედ განხორციელებული რაინის ლაშქრობის[7] დროს, გრაფმა დე გიშმა, „რომანთა გმირებში“ ბუალოსგან[8] ხოტბაშესხმულმა, შეერთებული პროვინციების ძლიერება სამ თვეში გატეხა.

ლუი XIV დიდი ხანია მტრად მოკიდებოდა ჰოლანდიელებს და ისინიც მუდამ მზად იყვნენ, კბილი გაეკრათ მისთვის, თუმცა ამას, თითქმის ყოველთვის, ჰოლანდიაში გადმოხვეწილი ფრანგების პირით აკეთებდნენ. ჰოლანდიელთა ეროვნულ თავმოყვარეობას ლუი XIV თანამედროვე მითრიდატად[9] ესახებოდა, რომელიც მათ რესპუბლიკას ემუქრებოდა.

ორი ძმა დე ვიტის ორფა სიძულვილი გამოწვეული იყო, ერთის მხრივ, იმით, რომ სახელმწიფო ძალაუფლების ეს საჭეთმპყრობელნი, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ერში ფესვგადგმულ ვნებათ, მეორეს მხრივ კი, დამარცხებული ხალხის ბუნებრივი რწმენით, რომ სხვა ბელადი სილატაკესა და სირცხვილს ააცილებდა.

ის სხვა ბელადი, რომელიც თანახმა იყო, ასპარეზზე გამოსულიყო და ლუი XIV-ს შებმოდა, გახლდათ ვილჰელმი, – ორანის პრინცი, ვილჰემ II-ის ძე, ინგლისის მეფე კარლოს I-ის შვილიშვილი ჰენრიეტა სტიუარტის მხრიდან, – სიტყვაძუნწი ყრმა, რომლის ლანდიც, როგორც უკვე გითხარით, შტატჰალტერიის იდეის უკან იკვეთებოდა.

ვილჰემ ორანელს, 1672 წელს, ოცდაორი წელი შესრულებოდა და იგი აღზრდილი იყო იან დე ვიტისა, რომელიც ცდილობდა, ყოფილი პრინცი კარგ მოქალაქედ გადაექცია. სწორედ იანმა გადაუწურა პრინცს ძალაუფლების მიღების ყველა იმედი თავისი ედიქტით, რომელიც ჰოლანდიაში, ამიერიდან და უკუნითი უკუნისამდის, შტატჰალტერიას აუქმებდა. მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ლუი XIV-ის შიშს ჰოლანდიელები იძულებული გაეხადა, უარეყოთ დიდი პენსიონარის პოლიტიკა, გაეუქმებინათ მისი ედიქტი და პრინცისთვის შტატჰალტერია აღედგინათ.[10]

დიდმა პენსიონარმა მოქალაქეთა ნებას ქედი მოუხარა, კორნელიუს დე ვიტი კი გაჯიუტდა და თუმცა, ორანელთა მომხრე ბრბო მის სახლს დორდრეხტში გარს შემოერტყა და სიკვდილით ემუქრებოდა, შტატჰალტერიის აღდგენის აქტს ხელს არ აწერდა.

მხოლოდ ცოლის ქვითინმა და მუდარამ აიძულა იგი, ხელი მოეწერა აქტზე, თუმცა კი, ხელრთვას ორი ასო დაურთო: V. C. ანუ vi coactus – *მაიძულეს*... და იმ დღეს, თავის მტრებს მართლა სასწაულით გადაურჩა.

ვერც იან დე ვიტმა მოიგო იმით, რომ თანამოქალაქეთა ნებას ძმაზე სწრაფად და იოლად დაჰყვა. ორიოდე დღის შემდეგ, მოსაკლავად დაესხნენ თავს და რამდენიმე ჭრილობაც მიაყენეს, თუმცა, სიკვდილს მაინც დაუსხლტა.

ორანელებს ასეთი ვითარება ხელს არ აძლევდათ. ორი ძმა ცოცხალ ჯებირად დადგომოდა წინ მათ ზრახვებს. პრინცის მომხრეებმა გადაწყვიტეს, სხვა ხერხი ეხმარათ და რასაც ხანჯლით ვერ მიწვდომოდნენ, ცილისწამებით მიეღწიათ. თუმცა, უარი არც ხანჯალზე უთქვამთ და ხელსაყრელ დროსღა ელოდნენ, რომ ისევ მოემარჯვებინათ.

იშვიათად, რომ დიდ ისტორიულ საქმეთა გასაკეთებლად, დიდი მოღვაწე მოიძებნოს, მაგრამ თუკი ამგვარი დამთხვევა მოხდა, ისტორია უეჭველად გამოარჩევს და მის სახელს უკვდავყოფს. სამაგიეროდ, როცა ეშმაკი მოინდომებს, დაღუპოს მავანი კაცი ან მთელი სახელმწიფო, უმალ გამოტყვრება სალახანა, ვისთვისაც ერთი წაჩურჩულებაც კმარა, რომ საქმეს შეუდგეს. სწორედ ასეთი, ეშმაკის კერძი სალახანა გამოჩნდა, იმ დროს, ექიმი ტიკელარის სახით.

ექიმმა განაცხადა, რომ კორნელიუს დე ვიტმა, შტატჰალტერიის ედიქტის გაუქმებით აღშფოთებულმა და ვილჰელმ ორანელის სიძულვილით გულანთებულმა, მკვლელს დაავალა რესპუბლიკა ახალი შტატჰალტერისგან ეხსნა და რომ ის მკვლელი თავად ექიმი ტიკელარი იყო, მაგრამ ამაზე ფიქრსაც კი, ისეთი თავზარი დაუცემს მისთვის და ისეთი სინდისის ქენჯნა მორევია, რომ გადაუწყვეტია, ამ შემზარავი დავალების შესრულებას, მიჯობს, ავკაცობა გავამჟღავნოო.

წარმოიდგინეთ, როგორ აღშფოთდებოდნენ ორანელები

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეთქმულების გაგონებაზე. 1672 წლის 16 აგვისტოს კორნელ დე ვიტი თავისივე სახლში დააპატიმრეს და ბუტენხოფის ციხეში აწამეს, რათა პირიდან შეთქმულების დასტური ამოეგლიჯათ. მაგრამ კორნელი, კაცი არა მარტო ჭკუით გაბრწყინებული, არამედ დიდი ვაჟკაცობითაც, იმ ჯილაგის ხალხს ეკუთვნოდა, ვინც მაშინაც კი, როცა აწამებენ, პირიდან ღიმილს არ იცილებს და თავის პოლიტიკურ მრწამსს ისე ერთგულებს, როგორც მისი მამა-პაპანი – სარწმუნოებას. ვიდრე ჯალათი მის სხეულს ჯიჯგნიდა, იგი მტკიცე ხმით, მეტრების დაცვით, კითხულობდა ჰორაციუსის ოდების[11] – "Yustum et tenacem"-ის პირველ სტროფს და არათუ ვერაფერი ათქმევინეს, იქით გაუწყვიტა ქანცი ჯალათებს და ფანატიკური რწმენაც კი შეურყია, რომ მართლები იყვნენ.

მიუხედავად ამისა, მოსამართლეებმა ცილისწამებისთვის ტიკელარს ბრალი არ წაუყენეს, კორნელიუს დე ვიტს კი ყველა წოდება და თანამდებობა ჩამოართვეს, მართლმსაჯულების ხარჯიც მას დააკისრეს და რესპუბლიკიდან სამუდამო განდევნის განჩინება გამოუტანეს.

ამას თითქოს უნდა დაეკმაყოფილებინა ხალხი, რომლის სურვილსაც კორნელიუს დე ვიტი არასდროს დაგიდევდათ, რომ დააპატიმრეს არათუ უდანაშაულო კაცი, არამედ დიდი მოქალაქე. თუმცა, როგორც თავადაც ნახავთ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ათენელები, რომლებმაც უმადურობის მშვენიერი მაგალითი დაგვიტოვეს, ტოლს ვერ დაუდებდნენ ჰოლანდიელებს. იმათ არისტიდს განდევნა აკმარეს.

იან დე ვიტი, დაირხა თუ არა ხმა, რომ მის ძმას ბრალს სდებდნენ, დიდი პენსიონარის თანამდებობიდან გადადგა. ისიც ღირსეულად დაჯილდოებული სამშობლოს თავდადებული სიყვარულისთვის. კერძო ცხოვრებაში თან გაიყოლა მრავალი სატკივარი და ნაიარევი, ერთადერთი ჯილდო, რომელიც წილად ხვდება ხოლმე პატიოსან კაცს, რომელთა დანაშაულიც ის არის, რომ სამშობლოსთვის იღწვიან და თავს ივიწყებენ.

ამ ხნის მანძილზე, ვილჰელმ ორანელი დუმდა და ელოდა, – თან კი რაც კი ღონე შესწევდა, ცდილობდა მოვლენები ცოტა დაეჩქარებინა, – როდის აუგებდა ხალხი, რომელსაც იგი კერპად დაესვა, ძმები ვიტების გვამებისგან ორ მკვიდრ საფეხურს, რომელიც შტატჰალტერიის ტახ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტზე ასასვლელად სჭირდებოდა.

მოკლედ, როგორც თავიდანვე გითხარით, 1672 წლის 20 აგვისტოს, მთელ ქალაქი ბუტენხოფისკენ გარბოდა, რათა კორნელიუს დე ვიტის ციხიდან გამოსვლა და მისი ქვეყნიდან ლტოლვა ეხილა, რათა თავისი თვალით დაენახა, რა კვალი დაემჩნია წამებას კეთილშობილ კაცზე, რომელმაც ჰორაციუსი ასე კარგად იცოდა.

ბუტენხოფისკენ ყველა როდი გაეტყუებინა თვალის სეირს. ბევრს უფრო აქტიური როლის შესრულება განეზრახა, უფრო სწორად, ხელობისა, რომელიც თავიდან, მარჯვედ ვერ შეესრულებინა. ჯალათის ხელობაზე მოგახსენებთ. თუმცა, ბრბოში, ნაკლებად მტრულად განწყობილი ხალხიც ერია. ისინი ციხის კედლებთან მხოლოდ ერთ წადილს მიეტყუებინა: ენახა, ბრბოს თავმოყვარეობისთვის ეგზომ ტკბილი სანახაობა, მტვრად ქცეული კაცი, რომელიც დიდხანს იდგა თავაწეული.

რატომაც არა! აკი, კორნელიუს დე ვიტი – კაცი უშიშარი და უდრეკი, ეწამებინათ და ვითომ, რატომ არ იქნებოდა გაფითრებული, სისხლში მოსვრილი და დამცირებული? ასეთი სანახაობა ხომ ნამდვილი გამარჯვებაა მოქალაქისთვის, რომელიც კიდევ უფრო შურიანია, ვიდრე მდაბიორი და განა ასეთ ზეიმში მონაწილეობა ჰააგის ყველა წესიერი მოქალაქის ვალი არ იყო?

– ვინ იცის, – ამბობდნენ ორანელი წამქეზებლები, რომლებიც ბრბოში ისე გაბნეულიყვნენ, რომ ერთი დაკვრით ექციათ იგი ბასრ და თანაც ჩლუნგ იარაღად, – ვინ იცის, სანამ ბუტენხოფიდან საგუშაგომდე მივიდოდეს, დრო ვიხელთოთ და ქვით ან ლაფით გავუმასპინძლდეთ რაბების ამპარტავან მთავარ მეთვალყურეს, რომელმაც პრინც ორანელს შტატჰალტერია არათუ vi coactus მისცა, მოკვლაც კი დაუპირა!

ვისაც საფრანგეთის ყველაზე შეურიგებელ მტრად მოჰქონდა თავი, იმასაც კი ამბობდა, ჩვენ რომ რამის შნო გვქონდეს და ჰააგაში ორიოდე ვაჟკაცი იშოვებოდეს, კორნელიუს დე ვიტს აქედან არ გავუშვებდით, რადგანო აბა, რა ლარი და ხაზი უნდა, რომ გასცდება თუ არა ჰოლანდიას, ჩვენს წინააღმდეგ ისევ ინტრიგების ხლართვას მოჰყვება საფრანგეთთან ერთად, სადაც ის და მისი გაიძვერა ძმა იანი იმ ოქროებით, მარკიზ დე ლუვუამ[12] რომ ჩაუჩხრიალათ, ფეხი-ფეხზე შემოდებული იცხოვრებენო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხადია, ასეთ გუნებაზე მდგარი, სეირს მოწყურებული ხალხი, კი არ მიდის, მირბის და ჰააგის მოქალაქენიც ბუტენხოფისკენ სწრაფად გარბოდნენ.

ღვარძლიანი ტიკელარი ყველაზე გულდაგულ მორბენლებში გარეულიყო და აღარ იცოდა, კიდევ რით მოეწონებინა თავი ორანელებისთვის, რომლებსაც იგი პატიოსნების, მამულიშვილობისა და ქრისტიანული გულმოწყალების ხატად დაესვათ.

სალახანა მჭევრმეტყველებას არ იშურებდა და გულის ამაჩუყებლად ყვებოდა, როგორ აცდუნებდა მას კორნელიუს დე ვიტი, – რა ფულის მთებს ჰპირდებოდა და რა ხრიკს აღარ იგონებდა, რათა პრინცის მოსაკლავად მისთვის გზა გაეკაფა.

ბრბო ხარბად ყლაპავდა ტიკელარის სიტყვებს და მისი პირიდან ვულკანივით ამოხეთქავდა ხოლმე სიყვარულის გამომხატველი, აღტკინებული შეძახილები ვილჰემ ორანელისადმი და ბრმა სიძულვილისა, ძმები ვიტებისადმი.

ბრბო უკვე მზად იყო, შეეჩვენებინა უსამართლო მსაჯულები, რომელთა განაჩენი ნებას რთავდა კორნელიუს დე ვიტისებრ არნახულ არამზადას, ქვეყნიდან საღსალამათი გასულიყო.

წამქეზებლები ხალხში დაძვრებოდნენ და ჩუმად სისინებდნენ: ხელიდან დაგვიძვრება, წავა!

ვილაც-ვილაცები კი იქვე დასძენდნენ: სვენინგენში ხომალდი ელოდება, ფრანგული ხომალდი. ტიკელარმა ნახა.

– ქველო ტიკელარ! კეთილშობილო ტიკელარ! – ღრიალებდა ბრბო.

– როგორ გგონიათ, – წამოიძახა ვილაცამ, – კორნელთან ერთად, იანიც არ გაიქცევა? ვითომ, რით არის ძმაზე ნაკლები მოღალატე?

– რა ენაღვლებათ, რა! დაჯდება ორი გარეწარი საფრანგეთში და ჩვენ ფულს გაფლანგავს. აი, იმ ფულს, რომელიც ლუი XIV-მ ჩვენი ხომალდების, არსენალებისა და ვერფების[13] სანაცვლოდ მისცა.

– არ გავუშვებთ, არა! – დაჰკივლა ერთმა, ყველაზე მგზნებარე მამულიშვილმა.

– სატუსაღოსკენ! სატუსაღოსკენ! – აყვირდა ბრბო.

ეს შეძახილები ხალხს აგულიანებდა, ნაბიჯი აეჩქარებინა, თვალებიდან ცეცხლი ეფრქვია, გზა და გზა დაეტენა მუშკეტი, დაეძრო სატევარი. თუმცა კი, ჯერ არავინ ძალადობ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და და ბუტენხოფის მისადგომებთან გამწკრივებული მხედართა რაზმიც – მკაცრი, შეუვალი და უძრავი, უფრო მრისხანე ჩანდა, ვიდრე ჰააგელ მოქალაქეთა აგზნებული ბრბო. ხალხის ყაყანისა და მუქარის მიუხედავად, რაზმი, რომელსაც ჰააგის კავალერიის კაპიტანი მეთაურობდა, გაქვავებული იდგა. ცხენზე ამხედრებულ კაპიტანს ხმალი გაეშიშვლებინა, მაგრამ წვერით უზანგისკენ მიემართა და თავის რაზმს ქორულ მზერას არ აცილებდა.

სწორედ ცხენოსანთა რაზმს, სატუსაღოს დამცველ ერთადერთ ჯებირს, ხვდა წილად, შეეკავებინა აბობოქრებული ბრბოც და სამოქალაქო მილიციაც, რომელიც აქ იმიტომ გამოეგზავნათ, რომ ცხენოსან რაზმთან ერთად წესრიგი დაემყარებინა, მაგრამ თავად აგულიანებდა შფოთისთავებს შეძახილებით: გაუმარჯოს პრინც ორანელს! ძირს მოღალატენი!

მართალია, კაპიტან ტილლისა და მისი მხედრების დანახვაზე, შეიარაღებულ მოქალაქეებს ცოტა ნირი ეცვალათ, მაგრამ საკუთარი ღრიალისგან გულმოცემულები, მალევე გაშმაგდნენ და რაკი ვერც ის წარმოედგინათ, რომ ყვირილის გარეშეც შეიძლება მამაცი იყო, მხედრებს სიმშვიდე სიმხდალეში ჩამოართვეს, სატუსაღოს მიეტივნენ და ბრბოც თან გაიყოლეს.

მაშინ გრაფმა ტილლიმ წარბი შეიკრა, ხმალი აღმართა და წინ მარტო გადაუდგა.

– ჰეი, თქვენ, ბატონებო, სამოქალაქო მილიციიდან, სად მოდიხართ და რა გნებავთ?

მოქალაქეებმა მუშკეტები დაიქნიეს და შესძახეს:

– გაუმარჯოს პრინც ორანელს! სიკვდილი მოღალატეებს!

– აგრე იყოს, – მიუგო კაპიტანმა, – გაუმარჯოს პრინც ორანელს! – თუმცა, ჩემთავად, მოღუშულ პირს მხიარული მირჩევნია. სიკვდილი მოღალატეებს! – კი ბატონო, ოღონდ ერთი პირობით, თუ მხოლოდ ყვირილს დაჯერდებით. იყვირეთ, რამდენიც გნებავთ, „სიკვდილი მოღალატეებს“, მაგრამ მაგ სურვილს ვერ აისრულებთ. მე აქ იმიტომ დამაყენეს, რომ მაგის ნება არ მოგცეთ და არც მოგცემთ.

კაპიტანმა სამოქალაქო მილიციას ზურგი აქცია და რაზმს უბრძანა:

– დაუმიზნეთ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტილლის ჯარისკაცებმა გულგრილად შეასრულეს ბრძანება. მილიცია და ბრბო შეცბუნდა და უკან მიაწყდა, რამაც ღიმილი მოჰგვარა რაზმის მეთაურს.

– აბა, აბა, – სამხედროებისთვის ჩვეული, დამცინავი კილოთი თქვა მან, – ნუ გეშინიათ, მოქალაქენო, ჩემი ჯარისკაცები ერთ ტყვიასაც არ გაისვრიან, მაგრამ არც თქვენ გადმოდგამთ ნაბიჯს სატუსაღოსკენ.

– თქვენ რა, არ იცით, ბატონო ოფიცერო, რომ ჩვენ მუშკეტები გვაქვს! – გაშმაგდა სამოქალაქო მილიციის მეთაური.

– როგორ არ ვიცი. მშვენივრად ვხედავ, რომ მუშკეტები გიჭირავთ, – მიუგო ტილლიმ, – წეღან არ იყო, რომ ცხვირწინ მიტრიალებდით? ოღონდ, თქვენც ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ პისტოლეტები გვაქვს. მისი ტყვია ორმოცდაათ ნაბიჯზე წვდება, თქვენ კი სულ ოცდახუთ ნაბიჯზე დგახართ.

– სიკვდილი მოღალატეებს! – ისევ აღრიალდა აღშფოთებული მილიცია.

– უჰ! – ჩაიბუზღუნა ოფიცერმა, – სულ ერთი და იგივეს ღეჭავთ. უკვე მომბეზრდა!

კაპიტანი ისევ ჩაუდგა სათავეში თავის რაზმს. ამასობაში, ბუტენხოფის ირგვლივ, არეულობა მატულობდა. აგზნებულ ბრბოს მხოლოდ ერთი მსხვერპლის სუნი სცემდა და არ იცოდა, რომ მეორეც, წერას ატანილივით, სწორედ ამ წუთს, მოედნიდან ასიოდე ნაბიჯზე, ცხენოსანი რაზმის უკან, ბუტენხოფისკენ მიდიოდა.

დიახ, იან დე ვიტი, რომელიც ეტლიდან, ის-ის იყო, გადმოსულიყო, მსახურის თანხლებით, მშვიდად მიაბიჯებდა ციხის კარისკენ.

იან დე ვიტს მედილეგე კარგად იცნობდა, მაგრამ მან მაინც უთხრა, ვინც იყო.

– გამარჯობა, გრიფუს! მე ჩემი ძმის, კორნელიუს დე ვიტის ქალაქიდან გასაყვანად მოვედი. შენც იცი, რომ მან ჰოლანდია უნდა დატოვოს.

მედილეგემ, რომელიც გაწვრთვნილ დათვს ჰგავდა, კარის გაღება და დაკეტვა რომ ესწავლებინათ, იან დე ვიტს თავი დაუკრა, შენობაში შეუშვა და კარი ჩარაზა.

ყოფილ დიდ პენსიონარს ათიოდე ნაბიჯზე, ფრისლანდიურ კაბაში[14] გამოწყობილი, ჩვიდმეტ-თვრამეტიოდე წლის ტურფა ქალიშვილი შემოხვდა, რომელმაც ნატიფი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რევერანსი უძღვნა.

– გამარჯობა, ჩემო მშვენიერო, საყვარელო როზ, – ალერსიანად მოუთათუნა ნიკაპზე ხელი იანუს დე ვიტმა, – როგორ არის ჩემი ძმა?

– ეჰ, ბატონო იან, რაც მოხდა, ის უკვე მოხდა და საშიში აღარ არის.

– თუ ასეა, საშიში რაღა არის, ჩემო ლამაზო?

– რასაც ახლა უპირებენ, ბატონო!

– აჰ, ჰო! ალბათ, სატუსაღოსთან თავმოყრილ ხალხს გულისხმობ, არა?

– გესმით?

– ჰო, ხალხი, მართლაც, ძალიან ღელავს. თუმცა, ჩვენმა დანახვამ იქნებ დაამშვიდოს კიდეც. კარგის მეტი, რა გაგვიკეთებია?

– ვაი, რომ ეგ არა კმარა, – წაიჩურჩულა ქალიშვილმა და როცა დაინახა, მამა თვალებს უბრიალებდა და ანიშნებდა, წადიო, იან დე ვიტს გამოეთხოვა და წავიდა.

– ჰო, არა კმარა. შენ მართალი ხარ, შვილო.

– ამ გოგონამ, – ბუტბუტებდა დერეფანში მიმავალი იან დე ვიტი, – რომელმაც ალბათ, კითხვა არც იცის და მაშასადამე, არაფერი წაუკითხავს, ერთი სიტყვით დაახასიათა კაცობრიობის ისტორია.

ყოფილმა დიდმა პენსიონარმა ამოიოხრა და კვლავიდებურად დინჯად, მაგრამ უფრო დამწუხრებულმა განაგრძო გზა ძმის საკნისკენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

II
ორი ძმა

ფურფა როზს გული ცუდს ტყუილად არ უთქვამდა. სანამ იან დე ვიტი ძმის საკნისკენ მიმავალ ქვის კიბეს აივლიდა, სამოქალაქო მილიცია ღონეს არ იშურებდა, თავიდან მოეშორებინა ტილლის რაზმი, რომელიც ციხისკენ გზას ულობავდა.

ბრბო თავის მილიციას მხარს უჭერდა და ღრიალითა და მოწონების შეძახილებით ყელს იხლეჩდა.

– გაუმარჯოს, სამოქალაქო მილიციას!

ტილლიმ, როგორც წინდახედულ, მტკიცე ნებისყოფის კაცს შეშვენოდა, თავის რაზმს უბრძანა, რევოლვერი ფეხზე შეეყენებინა და შეეცადა სამოქალაქო მილიციისთვის შეეგნებინებინა, რომ სატუსაღოს მისადგომის დაცვა მთავრობისგან ჰქონდა ნაბრძანები.

– ვის ჭირდება ეგ ბრძანება! რა საჭიროა სატუსაღოს დაცვა, – ყვირილით ედავებოდნენ ორანელები.

– ეგ მე არ მეკითხება. მე მიბრძანეს, დაიცავიო და მეც ვიცავ. ბატონებო, თქვენც ხომ თითქმის სამხედროები ხართ და უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი უპირველესი ვალია, ბრძანებას დავემორჩილოთ.

– ეგ იმიტომ გიბრძანეს, რომ მოღალატეებმა ქალაქიდან გასვლა მოახერხონ!

– სავსებით შესაძლებელია, რადგან მოღალატეებს სწორედ განდევნა მიუსაჯეს.

– მერედა, ბრძანება ვინ გასცა?

– ცხადია, მთავრობამ!

– ეგენიც გვღალატობენ!

– ეგ მე არ ვიცი.

– თქვენც მოღალატე ხართ!

– მე?

– დიახ, თქვენ!

– რანაირად, ბატონო მოქალაქენო? დაუფიქრდით მაინც, რას ამბობთ. ვის ვღალატობ? მთავრობას! კი მაგრამ, როგორ? მე ხომ მის სამსახურში ვარ და ზედმიწევნით ვასრულებ მის ბრძანებას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაკი გრაფი ცამდის მართალი იყო, ხალხმა ყვირილსა და მუქარას უმატა. გრაფი ამ საშინელ აურზაურს გასხეპილი თავაზიანობით უპასუხებდა:

— ბატონო მოქალაქენო, დაბეჯითებით გთხოვთ, მუშკეტები დაცალოთ. შეიძლება ტყვია შემთხვევით გაგივარდეთ. ჩემი მხედრებიდან ერთიც რომ დაიჭრას, თქვენი რიგებიდან ორასს მოვცელავთ. გარწმუნებთ, ჩვენთვის ეს ძალიან სამწუხარო იქნება, თქვენთვის — მითუმეტეს! არა მგონია, ჩვენ ან თქვენ, ამის მოსურნე ვიყოთ.

— მაგას თუ იზამთ, მაშინ ჩვენც გესვრით, — იმუქრებოდა სამოქალაქო მილიცია.

— დიახ, დიახ, მაგრამ სულაც რომ ამოგვწყვიტოთ, თქვენ მკვდრებს ამით ვერ გააცოცხლებთ.

— გაეცალეთ მოედანს და მაშინ დაგიჯერებთ, რომ პატიოსანი მოქალაქე ხართ.

— ჯერ ერთი, მე მოქალაქე კი არა, ოფიცერი ვარ, რაც ერთი და იგივე სულაც არ არის და მეორეც, მე ფრანგი ვარ და არა ჰოლანდიელი, რაც მითუმეტეს, არ გახლავთ ერთი და იგივე. მე მხოლოდ შტატებს ვემსახურები, რომელიც ამისთვის ჯამაგირს მიხდის. მომიტანეთ შტატების სახელით გაცემული ბრძანება და კი ბატონო, მაშინვე გაგეცლებით. მით უფრო, რომ აქ ყურყუტი საშინლად მომბეზრდა.

— მართალს ამბობს, მართალს! — ასიოდე კაცს ბანი კიდევ ხუთასმა მისცა და ყველამ ერთხმად დასძახა: — რატუშაში წავიდეთ! რატუშაში! დეპუტატებთან, ჩქარა, ჩქარა!

— ჰო, წადით, წადით, — ჩაიბუტბუტა ტილლიმ, როდესაც დაინახა, როგორ გაიჭრნენ რატუშასკენ ყველაზე თავაშვებული მოქალაქენი. — წადით და დეპუტატებს მოსთხოვეთ, უნამუსოდ მოიქეცით-თქო და ვნახავ, რა პასუხსაც გაგცემენ! წადით, წადით, ჩემო კარგებო!

კეთილშობილი ოფიცერი ისევე ენდობოდა მოხელეთა ღირსებას, როგორც ისინი, მის ჯარისკაცულ პატიოსნებას.

— იცით, რას გეტყვით, კაპიტანო, — წასჩურჩულა ყურში უფროსმა ლეიტენანტმა, — დეპუტატები ამ ცოფიანებს, ცხადია, უარით გამოისტუმრებენ, მაგრამ კარგს იზამდნენ, ჯარისკაცებს თუ მოგვაშველებდნენ.

ამასობაში, იან დე ვიტიც მიადგა იმ საკანს, სადაც მისი ძმა, რომელიც პროკურორის ბრძანებით ეწამებინათ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საწოლზე იწვა.

განდევნის განაჩენი უკვე გამოეტანათ და გამოძიება და წამება შეეწყვიტათ.

ფალანგებდამსხვრეული კორნელიუსი საწოლზე გაშოტილიყო. ჯალათებს ვერ ეთქმევინებინათ, რაც მას არასდროს ჩაედინა და ახლა, როცა მსაჯულებს, ვისი ხელიდანაც იგი მხოლოდ სიკვდილს გამოელოდა, ენამუსათ და მისთვის განდევნის განაჩენი ეკმარებინათ, სამი დღის ნაწამებს, სული შვებით მოეთქვა.

კორნელიუსის მტრებს ბუტენხოფის ბნელ საკანში რომ შემოეხედათ და დაენახათ, რა ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე ამ სულით უდრეკ და ხორცით ძლიერ კაცს, ძალიან იმედგაცრუებული დარჩებოდნენ. იგი, ახლა, იმ მარტვილსა ჰგავდა, შუქმოიეფე ცის კარი რომ გახსნია და ამქვეყნიური სიავენი დავიწყებისთვის მიუცია. კორნელიუსი, უფრო თავისი ნების წყალობით, ვიდრე ვისიმე შემწეობით, ღონეს იკრებდა და იმაზელა ფიქრობდა, კიდევ რამდენხანს შეაყოვნებდა ციხეში იურიდიული ფორმალობა.

ამასობაში, ბრბოს მხარდაჭერით გულმოცემული სამოქალაქო მილიცია დუჟმორეული ლანძღავდა დე ვიტებს და კაპიტან ტილლის ემუქრებოდა. განრისხებული ხალხის ხმა ზვირთივით მიაწყდა ციხეს და ტუსაღსაც მისწვდა. ამ ხმაში აშკარად ისმოდა მუქარა, მაგრამ კორნელიუს დე ვიტი იმდენადაც კი არ შეშფოთებულა, რომ საწოლზე წამოწეულიყო და ცხაურიან სარკმელში გაეხედა, საიდანაც საკანში დღის სინათლე და ქუჩის ხმაური შემოდიოდა.

გამუდმებული ხორციელი ტანჯვისგან გათანგულ ტუსაღს, რომელსაც ტკივილი ლამის უკვე ბუნებრივად მოჩვენებოდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მისი გული და გონება, რომელიც პირველად ამ ხნის მანძილზე სხეულზე აღარ იყო მიჯაჭვული, კერიას მოწყვეტილი ცეცხლის ალივით ცისკენ ილტვოდა.

კორნელიუს დე ვიტი ძმაზეც ფიქრობდა, რომლის სიახლოვეს იქნებ იდუმალი ალღოთი გრძნობდა.

ის იყო, ფიქრმა ძმა ისე ცხადად დაუყენა თვალწინ, რომ პირზე მისი სახელი მოადგა და იანმაც შემოაღო საკნის კარი. კორნელიუსმა თითებდაბინტული, დასახიჩრებული ხელები გაუწოდა სახელოვან ძმას, რომლისთვისაც რალაცით ეჯობნა კიდეც, რადგან თუ ქვეყანას იანზე მეტი ვერა არგო რა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამაგიეროდ, ჰოლანდიელებს იანზე უფრო სძულდათ იგი.

იანი ნაზად ეამბორა ძმას და დასახიჩრებული ხელები ქვეშაგებზე ფრთხილად დაუსვენა.

– კორნელიუს, გენაცვალე, ძალიან იტანჯები, არა?

– არა, რადგან დაგინახე, აღარაფერი მიჭირს!

– ჩემო საბრალო ძმაო, ძალიან ვიტანჯები, რომ ამ დღეში გხედავ!

– ვიცი და ამიტომაც ჩემ თავზე მეტად, შენზე ვფიქრობდი. წამებამ მხოლოდ ერთი ჩივილი დამაცდენინა – საბრალო იან! გეუბნები, რადგან აქა ხარ, გახსენებაც აღარ ღირს-მეთქი. ჩემს წასაყვანად მოხვედი, არა?

– დიახ.

– უკვე კარგად ვარ. შენ მხოლოდ წამოდგომა მიშველე და ნახავ, რა ყოჩაღად გავივლი.

– დიდი გზის გავლა არ დაგჭირდება, გენაცვალე, ეტლი ტილლის მსროლელთა რაზმს უკან გველოდება.

– ტილლის რაზმი? აქ, რას აკეთებს?

– რას და – თავისი ჩვეული სევდიანი ღიმილით გაულიმა დიდმა პენსიონარმა, – ივარაუდეს, რომ ჰააგელები შენი ქვეყნიდან განდევნის ნახვას მოისურვებდნენ და არეულობის შეეშინდათ.

– არეულობის? – ჩაეკითხა კორნელიუსი და ყურადღებით შეხედა ძმას, რომელიც შეცბუნებული მოეჩვენა, – არეულობის?

– ჰო, ასეა!

– აი, თურმე რა ხმაურია, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა კორნელიუსმა და ისევ ძმას შეხედა, – ხალხი ბუტენხოფს შემოადგა?

– ასეა, ძმაო.

– როგორ მოახერხე?

– რა?

– აქ შემოსვლა?

– ხომ იცი, კორნელიუს, ხალხს გულზე არ ვეხატებით, – სევდიანად მიუგო დიდმა პენსიონარმა, – შუკა-შუკა ვიარე.

– იმალებოდით?

– აქ მოსვლას ვერ დავაყოვნებდი. ისე მოვიქეცი, როგორც მეზღვაურები და პოლიტიკოსები პირქარისას – მივუხვ-მოვუხვიე.

ამ დროს კიდევ უფრო მრისხანე შეძახილები მისწვდათ მოედნიდან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტილლი სამოქალაქო მილიციას უთანხმდებოდა.

– შენ დიდებული მესაჭე ხარ, იან, მაგრამ ვეჭვ, აზვირთებულ ხალხის ზღვაში, ისევე მშვიდობიანად გაიყვანო შენი ძმა ბუტენხოფიდან, როგორც ტრომპის[15] ფლოტი შელდის მეჩეჩში ანტვერპენამდე.

– ღვთის შეწევნით, მაინც ვეცდებით, ოღონდ ჯერ რაღაცას გეტყვით.

– თქვით.

მოედნიდან ისევ მოისმა ღრიანცელი.

– ოჰო, რა გააფთრებულები არიან! – შენიშნა კორნელიუსმა, – შენზე თუ ჩემზე?

– მგონი, ორივეზე. იმის თქმა მინდოდა, ძმაო, რომ ორანისტები საზიზღარ ცილს გვწამებენ და საფრანგეთთან მოლაპარაკებას ბრალად გვითვლიან.

– სულელები.

– დიახ, მაგრამ გვსაყვედურობენ.

– ის მოლაპარაკებები წარმატებით რომ დამთავრებულიყო, მარცხს აღარ ვიწვნევდით ორსთან, ვეზელთან და რაინბერგთან, ფრანგები რაინზე[16] არ გადმოვიდოდნენ და ჰოლანდია კვლავაც შეძლებდა ეთქვა, რომ იგი დაუმარცხებელია, თავის არხებსა და ჭაობებს შორის.

ეგ, ყველაფერი, სიმართლეა. უფრო დიდი სიმართლე კი ის არის, თუ ბატონ დე ლუვუასთან ჩვენს მიმოწერას იპოვნიან, ჩემებრ გამოცდილი მესაჭეც კი, იმ პატარა ნავსაც ვერ გადაარჩენს, ჰოლანდიის ნაპირებს რომ უნდა გაარიდოს ძმები ვიტები, რომლებიც იძულებულნი არიან, უცხოეთში ეძიონ ბედი. ის მიმოწერა, რომელიც პატიოსან ხალხს დაუმტკიცებდა, რარიგ მიყვარს ჩემი ქვეყანა, რაოდენ დიდი, პირადი მსხვერპლი ძალმიძს გავიღო, მისი თავისუფლებისა და დიდებისთვის, ახლა ის მიმოწერა დაგვღუპავდა ორანისტების – ჩვენ მძლეველთა ხელში რომ მოხვედრილიყო. ამიტომ იმედია, ის წერილები დაწვით, ვიდრე დორდრეხტიდან ჩემთან – ჰააგაში, წამოხვიდოდით.

– ძმაო, – მიუგო კორნელიუსმა, – თქვენი მიმოწერა ბატონ დე ლუვუასთან ამტკიცებს, რომ ბოლო ხანს, თქვენ შვიდი პროვინციის რესპუბლიკის ყველაზე დიდი, ყველაზე ბრძენი და დიდსულოვანი მოქალაქე იყავით. მე ძვირად მიღირს ჩემი ქვეყნის სახელი, მითუმეტეს თქვენი სახელი, ძმაო, ამიტომ ის მიმოწერა არ დამიწვავს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თუ ასეა, სააქაოში ჩვენი ადგილი აღარ ყოფილა, – მშვიდად მიუგო ყოფილმა დიდმა პენსიონარმა და ფანჯარასთან მივიდა.

– არა, იან, პირიქით, სიცოცხლესაც შევინარჩუნებთ და სახელსაც დავიბრუნებთ.

– რა იქნა ის წერილები?

– ჩემს ნათლულს, კორნელიუს ვან ბერლეს მივაბარე, დორდრეხტში. თქვენ იცნობთ იმას...

– უჰ, საბრალო! ეგ საყვარელი და გულუბრყვილო ყმაწვილი ხომ იმდენად განსწავლულია, რომ ყველაფერი იცის, რაც ძალიან იშვიათია და თავისი ყვავილების მეტი, რომელიც ღმერთს ადიდებენ და ღმერთისა, რომელიც ყვავილებს გზავნის, არაფერი ახსოვს! როგორ მიეცით ის მომაკვდინებელი ამანათი? ეჰ, ძმაო, დაგიღუპავთ, ის საცოდავი!

– დამიღუპავს?

– დიახ. იგი ან სულგრძელობას გამოიჩენს ან სულ-მოკლეობას. თუ სულგრძელია, – მერე რა, რომ პოლიტიკაში არ ერევა, დორდრეხტიდან ფეხს არ იცვლის და საოცრად გულმავიწყია, – ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიტყობს, რა ბედიც გვეწვია, – ჰოდა, თუ სულგრძელია, ჩვენით იამაყებს და თუ სულმოკლეა, ჩვენი ახლობლობის შეეშინდება. გულადი, ჩვენს საიდუმლოზე ხმამაღლა ალაპარაკდება, მხდალი, ასე თუ ისე, მაინც გათქვამს. ერთიც და მეორეც, ჩვენც დაგვღუპავს და მასაც. ასე რომ, ძმაო, ჩქარა გავიქცეთ, თუკი, უკვე, გვიან არ არის.

კორნელიუსმა საწოლიდან წამოიწია და ხელი დაუჭირა ძმას, რომელიც მისი სახვევების მიკარებაზე შეკრთა.

– როგორ გგონია, მე არ ვიცი, რა კაცია ჩემი ნათლული? გგონია, არ ვიცი, როდის რას ფიქრობს, რა უდევს გულში? შენ მეკითხები, გულადია იგი თუ მხდალი? არც ერთი და არც მეორე. მნიშვნელობა არცა აქვს, როგორია. მთავარია, საიდუმლო არ გათქვას. მაგრამ რას გათქვამს, რაც არ იცის?

გაკვირვებული იანი ძმისკენ შემობრუნდა.

– ოჰ, – კრძალვით შეჰღიმა კორნელიუსმა, – რაბების მთავარი მეთვალყურეც ხომ იანის სკოლაში აღზრდილი პოლიტიკოსია. გიმეორებთ, რომ ვან ბერლემ იმ ამანათის არც შინაარსი იცის-მეთქი და არც ფასი.

– მაშინ ვიჩქაროთ! სანამ გვიან არ არის, შევუთვალოთ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ დაწვას, – შესძახა იანმა.

– ვისი პირით?

– ჩემი მსახური კრაკე, რომელიც ცხენით უნდა გვხლებოდა, სატუსაღოში შემოვიყვანე, რომ კიბეზე ხელი წაგაშველოთ.

– ძმაო, ვიდრე იმ დიდებულ საბუთს დაწვავდეთ, კიდევ ერთხელ დაფიქრდით.

– მე კი მგონია, კორნელიუს, რომ ძმებ ვიტებს ახლა, პირველ ყოვლისა, სიცოცხლეზე მართებთ ზრუნვა, რათა მერე, თავის სახელზე ზრუნვაც შეიძლონ. ვინღა დაგვიცავს, თუ დავიხოცებით? ვინღა შეძლებს ჩვენს საქმეთა თუნდაც გაგებას?

– გგონიათ, იმ საბუთების პოვნა და ჩვენი სიკვდილი ერთი იქნება?

იანმა უხმოდ მიუთითა ბუტენხოფის მოედნისკენ, საიდანაც გავეშებული ბრბოს ღრიანცელი მოისმოდა.

– ჰო, მშვენივრად მესმის, მაგრამ რას გაყვირიან?

იანმა სარკმელი გამოაღო.

– სიკვდილი მოღალატეებს! – ღრიალებდა ბრბო.

– ახლა ხომ გესმით, კორნელიუს!

– ჩვენზე ამბობენ? – ცას ახედა და მხრები აიჩეჩა ტუსაღმა.

– ჩვენზე ამბობენ, – გაიმეორა იანმა.

– კრაკე სად არის?

– კარს უკან, ალბათ.

– მაშინ შემოიყვანეთ!

იანმა კარი გააღო და ერთგულ მსახურს მოუხმო.

– შემოდით, კრაკე და კარგად დაიმახსოვრეთ, რასაც ჩემი ძმა გეტყვით.

– ოჰ, არა, დანაბარები საქმეს ვერ უშველის. უნდა მივწერო.

– რატომ?

– იმიტომ რომ, თუ ჩემი ხელით დაწერილი ზუსტი ბრძანება არ მიუვიდა, ვან ბერლე მიბარებულს არავის მიცემს და არც დაწვავს.

– მერედა, შეძლებ, გენაცვალე? – ჰკითხა იანმა და საბრალო ტუსაღის დამწვარ-დასახიჩრებულ ხელებს დახედა.

– ნეტა, მელანი და კალამი მომცა!

– კალამი არა, მაგრამ აგერ, ფანქარი!

– ქაღალდიც ხომ არ გექნებათ? მე არაფერი შე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მარჩინეს.

– აი ბიბლია! პირველი გვერდი ამოხიეთ.

– კეთილი.

– გარკვევით დაწერთ?

– ნუ ღელავთ, ეს თითები და ნებისყოფა, რომელმაც ჯალათის მარწუხს გაუძლო, ახლაც შეითქმება და უნაკლო ასოებს გამოიყვანს.

მართლაც, კორნელიუსმა ფანქარი აიღო და წერას შეუდგა.

ფანქარზე თითის დაჭერისგან სახვევზე სისხლმა გამოჟონა. დიდ პენსიონარს საფეთქლებზე ოფლმა დაასხა.

კორნელი წერდა:

„ჩემო საყვარელო ნათლულო! დაწვი ის ამანათი, რომელიც შესანახად მოგაბარე. ისე დაწვი, ნურცკი დახედავ, ნუ გახსნი, რომ შენთვის უცნობი დარჩეს, რაც შიგ წერია. საიდუმლო, რასაც ის ინახავს, კლავს თავის მფლობელთ. დაწვი და ამით იხსნი იანს და კორნელს.

მშვიდობით და სიყვარულით მომიგონებდე.

კორნელიუს დე ვიტი, 20 აგვისტო, 1672 წელი“.

თვალცრემლიანმა იანმა ქაღალდზე დაწვეთებული სისხლი მოწმინდა, კრაკეს წერილი გადასცა, ბოლო რჩევა-დარიგება მისცა და კორნელიუსთან დაბრუნდა, რომელსაც გადატანილი ტკივილისგან ლამის ცნობა მიხდოდა.

– ახლა კი, – თქვა მან, – როგორც კი ჩვენი მამაცი კრაკეს სტვენას გავიგონებთ, რაც იმის ნიშანი იქნება, რომ ხალხს გასცდა და ტბორის გაღმა გავიდა, ჩვენც დავიძვრებით.

ხუთი წუთიც არ გასულიყო, რომ მჭახე, გაბმულმა სტვენამ, შავი ვერხვების გვირგვინი გაჰკვეთა და ბრბოს ყვირილი ჩაახშო.

იანმა, მადლობის ნიშნად, ხელი ცისკენ აღაპყრო.

– დროა, გზას გავუდგეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

III
იან დე ვიტის აღზრდილი

იმ დროს, როდესაც ბუტენხოფთან შეყრილმა ბრბოს მრისხანე შეძახილებმა იან დე ვიტს ძმის გამგზავრება დააშურებინა, მოქალაქეთა დელეგაცია რატუშასკენ დაიძრა, რათა ტილლის მხედრების მოედნიდან გაყვანა მოეთხოვა.

ჰორსტრეტი ბუტენხოფიდან შორს არ არის. ერთი უცნობი ჭაბუკი, რომელიც თავიდანვე დიდი გულისყურით აკვირდებოდა გათამაშებული სცენის ყველა წვრილმანს, თან გაჰყვა დელეგაციას, უფრო სწორად, უკან მისდია, რათა თავისი თვალით ენახა, რა მოხდებოდა რატუშაში.

უცნობი ჭაბუკი ოცდაორ-ოცდასამ წელზე მეტის არ იქნებოდა და არც დიდი ღონის პატრონი ჩანდა. გრძელ, ფერმკრთალი სახეს ისე გულმოდგინედ აფარებდა ფრისლანდიურ თხელ ცხვირსახოცს, რომლითაც ოფლით დაცვარულ შუბლსა და გაფიცხებულ ტუჩებს იწმენდდა, რომ აშკარად არ უნდოდა, ვინმეს რომ ეცნო.

მტაცებელი ფრინველის გამგმირავი მზერა, მოკაუჭებული გრძელი ცხვირი, ნაიარევივით თხელი, მეტწილად მოკუმული, სწორი ტუჩები ჩინებული ობიექტი იქნებოდა ლაფატერისთვის[17] (იმ დროს ცოცხალი რომ ყოფილიყო), ოღონდ მისი ფიზიოგნოსტიკური კვლევა ობიექტს ვერაფრით აამებდა.

ჩვენს წინაპრებს კითხვაზე – რითი განსხვავდება დამპყრობელი მეკობრისგან? – ასეთი პასუხი ჰქონდათ, – იმით, რითიც არწივი – სვავისგან.

გულდაჯერებული იყო თუ აფორიაქებული?

მკვდარივით გაფითრებული სახე, ავადმყოფური, სუსტი აღნაგობა და მოუსვენარი ნაბიჯი, როგორითაც იგი ჰორსტრეტში მიმავალ აყაყანებულ ხალხს ადევნებოდა, თითქოს იმაზე მეტყველებდა, რომ იგი ან ეჭვიანი მეპატრონე იყო ანდა დამფრთხალი ქურდბაცაცა. თუმცა, სახეს ისე გულმოდგინედ მალავდა, პოლიციას აშკარად ქურდი ეგონებოდა.

ჭაბუკს ძალიან სადად ეცვა და არც იარაღი უნდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰქონოდა. არისტოკრატულად თეთრი, ხმელი და ძარღვმაგარი ხელი, მხარზე ჩამოედო ოფიცრისთვის, რომელიც მოედანზე დატრიალებულ სანახაობას თვალს გასაგები ცნობისწადილით ადევნებდა.

როდესაც ჰორსტრეტის მოედანს მიაღწიეს, გაფითრებულმა ჭაბუკმა თავის თანამგზავრს იმ სახლისკენ უბიძგა, რომლის ფანჯრის დარაბაც ღია დაეგდოთ და თვალი რატუშას აივანს მიაცივა.

ხალხის გნიასზე ჰორსტრეტის ფანჯარა გაიღო და ვიღაც კაცი ხალხთან სალაპარაკოდ აივანზე გამოვიდა.

— ის, ვინ არის, აივანზე რომ გამოვიდა? — ჰკითხა ოფიცერს ჭაბუკმა და თვალით ანიშნა აივანზე გადმომდგარ კაცზე, რომელიც ხალხს ელაპარაკებოდა და ეტყობოდა, ძალიან ღელავდა, რადგან მოაჯირს ისეთი ძალით ეყრდნობოდა, თითქოს ეშინოდა, მუხლი არ მომეკვეთესო.

— ეგ დეპუტატი ბუველტია, — მიუგო ოფიცერმა.

— რა კაცია? იცნობთ?

— წესიერი კაცი უნდა იყოს, — ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, მონსენიორ.

ბუველტის ასეთ დახასიათებაზე ჭაბუკი ისე იმედგაცრუებული შეირხა, ისე აშკარად უკმაყოფილო დარჩა, რომ ოფიცერმა იქვე დასძინა:

— ასე ამბობენ, მონსენიორ. პირადად მე ბუველტს არ ვიცნობ და ამის თაობაზე, ვერაფერს გეტყვით.

— წესიერი კაცი... — გაიმეორა იმან, ვისაც მონსენიორი უწოდეს, — კეთილი, მაგრამ რას გულისხმობთ მაგ სიტყვაში? — პატიოსანს, გულადს, თუ რას?

— მომიტევეთ, თქვენო უმაღლესობავ, მაგრამ ვერ გავბედავ, ზუსტად შევაფასო კაცი, რომელსაც როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ შორიდან ვიცნობ.

— კეთილი, დაველოდოთ და ვნახოთ.

ოფიცერმა, თანხმობის ნიშნად, თავი დაუკრა და გაჩუმდა.

— მაგ ბუველტს, თუ მართლა წესიერი კაცია, დიდად არ ეამება, რასაც ეს დამთხვეულები მისგან მოითხოვენ.

ახალგაზრდა კაცს ოფიცრის მხარზე ჩამოდებული ხელის ნერვულ კრთომაზე ეტყობოდა, რომ ძალიან ღელავდა, რის დამალვასაც ცივი და პირქუში გამომეტყველებით ყოველთვის ვერ ახერხებდა.

ამ დროს, მოქალაქეთა დელეგაციის თავკაცის ხმაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაისმა. იგი დეპუტატისგან მოითხოვდა, ეთქვა, სად იყვნენ მისი კოლეგები.

– ბატონებო, – მიუგო ბუველტმა, – აკი გითხარით, რომ ამჟამად, აქ, მხოლოდ მე და ბატონი ასპერენი ვართ. მხოლოდ მე, ერთი, ვერაფერს გადავწყვეტ.

– ბრძანება! ბრძანება! – ერთხმად იგრიალა ათასმა კაცმა.

ბუველტი რაღაცას ამბობდა, მაგრამ ხალხის ყაყანში არ ისმოდა და მხოლოდ მისი ხელების სასოწარკვეთილი ქნევაღა მოჩანდა. ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ყურის მგდებელი არავინ იყო, ფანჯრისკენ მიბრუნდა და ასპერენს უხმო.

აივანზე გამოსულ ასპერენს ბრბო უფრო შმაგი ღრიალით გაუმასპინძლდა, ვიდრე ათიოდე წუთის წინ, ბუველტს.

ბატონი ასპერენიც შეეცადა, მათთვის რამე შეესმინა, მაგრამ ბრბომ მთავრობის მცველთა რკალის გარღვევა არჩია. მცველებს თავი არ გამოუდიათ და სუვერენული ხალხისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

– წავიდეთ, – თქვა ფერმკრთალმა ჭაბუკმა, როცა დაინახა, როგორ შევარდა ხალხი ჰორსტრეტის ჭიშკარში. – ალბათ შიგნით მოილაპარაკებენ. წამოდი, ვნახოთ, რას იტყვიან.

– ოჰ, მონსენიორ, მონსენიორ, სიფრთხილე გმართებთ!

– ვითომდა, რატომ?

– ბევრ დეპუტატს ნანახი ჰყავხართ და ერთმაც რომ გიცნოთ...

– მაშინვე წაქეზებაში დამდებენ ბრალს. მართალი ხართ, – ჭაბუკს სახეზე წამოანათა. ეწყინა, რომ თავს ვერ მოერია და სურვილი გაამჟღავნა, – დიახ, მართალი ხართ, – სჯობს, აქვე დავრჩეთ. აქედანაც დავინახავთ, რა გუნებაზე გამოვლენ და მაშინ განვსჯით, რა სახის წესიერი კაცია ბატონი ბუველტი – პატიოსანია იგი თუ გულადი. ძალიან მინდა, შევიტყო.

– არა მგონია, თქვენი უმაღლესობა ფიქრობდეს, რომ დეპუტატები მართლა უბრძანებენ მხედრებს, მოედანი დატოვონ, – თქვა ოფიცერმა და გაკვირვებულმა შეხედა თავის თანამგზავრს.

– რატომ? – ცივად იკითხა ახალგაზრდამ.

– იმიტომ რომ, ასეთი ბრძანება კორნელიუს და იან დე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიტებისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნება.

– მაგას მალე შევიტყობთ, – მიუგო მისმა უმაღლესობამ, – ერთმა ღმერთმა უწყის კაცს გულში რა უდევს.

ოფიცერმა მალულად გახედა თანამგზავრის ქვადქცეულ სახეს და გაფითრდა. ოფიცერი პატიოსანიც იყო და გულადიც.

იქ, სადაც პრინცი და მისი თანამგზავრი იდგნენ, გარკვევით ისმოდა ქალაქის საკრებულოს კიბეზე ამავალი ბრბოს ყაყანი და ფეხის ტყაპუნი. მერე, ხმა იმ ღია ფანჯრიდან გამოვარდა, რომელიც აივანზე გამოდიოდა, საიდანაც ცოტა ხნის წინ, ბუველტი და ასპერონი ხალხს მიმართავდნენ. ორივე დეპუტატი სასწრაფოდ ოთახში შებრუნდა, იმის შიშით, მოძალებული ხალხი არ მოგვაწყდეს და აივნიდან არ გადაგვყაროსო.

ფანჯრებში აღელვებული ჩრდილები გამოჩნდა; დარბაზი, სადაც მოლაპარაკება მიდიოდა, ხალხს გაევსო.

უცბად, ხმაური შეწყდა, მერე კი ისეთი ძალით იფეთქა, რომ ძველი შენობა საძირკვლიანად შეაზანზარა.

ხალხის მდინარე ისევ გადმოიღვარა დერეფნებში, კიბეზე დაეშვა და გარეთ გამოხეთქა.

პირველი ნაკადის თავში, ვიღაც კაცი კი არ მორბოდა, მოფრინავდა და ქაღალდს მოაფრიალებდა.

ის კაცი დასტაქარი ტიკელარი იყო.

– ბრძანებაა! – ჩაიბუტბუტა გაოგნებულმა ოფიცერმა.

– მოგვაქვს! მოგვაქვს! – გაჰყვიროდა ტიკელარი.

– ჰო, ახლა ვიცი, – მშვიდად თქვა პრინცმა. – პოლკოვნიკო, თქვენ არ იცოდით, ბუველტი პატიოსანი იყო თუ გულადი. არც ერთია და არც მეორე.

პრინცმა თვალი გააყოლა ხალხის მდინარეს, რომელიც ტალღებს სატუსაღოსკენ მიაგორებდა და დასძინა:

– ახლა კი წინ, ბუტენხოფისკენ, პოლკოვნიკო! ვგონებ, იქ, უჩვეულო სანახაობა გველის.

ოფიცერმა თავი დაუკრა და უსიტყვოდ მიჰყვა თავის მბრძანებელს.

მთელი მოედანი და ახლო-მახლო ქუჩებიც, ზღვა ხალხს გაევსო, რომელსაც ტილლის მხედართა რაზმი კვლავინდებურად მარჯვედ აკავებდა და რაც მთავარია, მტკიცედ ულობავდა გზას სატუსაღოსკენ.

გრაფ ტილლის ხალხის მდინარის გუგუნი მისწვდა. მალე, მისი პირველი ზვირთებიც დაინახა, რომელიც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთიდან მოვარდნილი ღვარცოფივით მოგორავდა და უმალ, შემართული ხელებისა და მზეზე მოპრიალე იარაღების თავზე, აფრიალებულ ქაღალდსაც ჰკიდა თვალი.

— ოჰო! — კაპიტანმა უზანგებზე წამოიწია და თანაშემწეს ხმლის ვადა შეახო, — მგონი, ამ სალახანებმა თავისი გაიტანეს და ბრძანება მოაქვთ.

— ნაძირალები! — შესძახა ოფიცერმა.

სამოქალაქო მილიციამ გახარებული ღრიალით მოარბენინა ბრძანება და იარაღდაშვებული გაიჭრა ტილლის ესკადრონისკენ.

— სდექ! — შეუძახა კაპიტანმა, — სდექ! ცხენებს მოცილდით, თორემ ვუბრძანებ, გადაგთქერონ.

— ბრძანება, ბრძანება მოვიტანეთ! — ერთხმად აყაყანდა ათიოდე უტიფარი.

კაპიტანმა გაკვირვებული სახით გამოართვა ქაღალდი, სწრაფად ჩაიკითხა და ძალიან ხმამაღლა თქვა, — ვინც ამ ბრძანებას ხელი მოაწერა, კორნელიუს დე ვიტის ჯალათად იქცა. ჩემდა თავად, უმალ ორივე ხელს შეველეოდი, ვიდრე ამ ბილწი ბრძანების თუნდაც ერთი ასოს დაწერაზე დამითანხმებდნენ.

მერე ხმლის ვადით გულზე უბიძგა კაცს, რომელიც ბრძანების გამორთმევას ლამობდა და უთხრა.

— მოითმინეთ, ეს ქაღალდი სახუმარო არ გახლავთ და მე უნდა მქონდეს. — კაპიტანმა ქაღალდი დაკეცა და გულმოდგინედ შეინახა კამზოლის ჯიბეში, მერე რაზმს მიუბრუნდა და უბრძანა:

— ტილლის მხედრებო, მარჯვნისა-აკენ, ნაბიჯით იარ! — და არც ისე ხმამაღლა, მაგრამ გარკვევით თქვა, — ახლა თქვენი ჯერია, მკვლელებო!

მხეცური სიხარულით აღტკინებული მოედანი ღრიანცელით მიაცილებდა მხედრებს, რომლებსაც ცხენები ნელი ნაბიჯით მიჰყავდათ.

იან დე ვიტი არ აჭარბებდა, როდესაც ხიფათს ახსენებდა და ძმას აჩქარებდა, მალე დაეტოვებინა საპყრობილე.

კორნელიუსი ყოფილი დიდი პენსიონარის ხელს დაყრდნობოდა და ციხის ეზოში ჩამავალ კიბეზე ეშვებოდა, სადაც აღელვებისგან ერთიანად აცახცახებული მშვენიერი როზი ელოდათ.

— ოჰ, ბატონო იან, რა საშინელებაა!

— რა მოხდა, შვილო? — ჰკითხა იანმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამბობენ, რატუშაში წავიდნენ ბრძანების მოსატანად, რომ ბატონმა ტილლიმ მოედანი დატოვოსო.

– ოჰო-ჰო! მართალი ხარ, გენაცვალე, მხედრები თუ წავიდნენ, შავი დღე გველის.

– ნებას თუ მომცემთ, რომ გირჩიოთ...

– თქვი, შვილო, ვინ მეტყვის რომ თქვენი პირით უფალი არ მელაპარაკება?

– ბატონო იან, თქვენი რომ ვიყო, მთავარ ქუჩაზე არ გავიდოდი.

– რატომ, თუკი ტილლის რაზმი ისევ ადგილზეა?

– დიახ, ოღონდ მანამ, სანამ სხვა რამეს უბრძანებდნენ.

– ცხადია!

– თქვენ გაქვთ ბრძანება, რომ ტილლის რაზმმა ქალაქგარეთ გაგაცილოთ?

– არა.

– მეც მაგას ვამბობ. გასცდებით თუ არა მხედრებს, ბრბოს ხელთ აღმოჩნდებით.

– სამოქალაქო მილიციაც ხომ არის?

– ეჰ, ბატონო იან, ყველაზე გადარეული, სწორედ, სამოქალაქო მილიციაა!

– რა ვქნათ?

– მე თუ მკითხავთ, – დაიმორცხვა ქალიშვილმა, – უმჯობესია, საიდუმლო გასასვლელით გახვიდეთ. ხალხი მხოლოდ მთავარ ქუჩაზე და ალაყაფის ჭიშკართან არის თავშეყრილი, გასასვლელი კი პატარა, უკაცრიელ ქუჩაზე გადის. იქიდან უკვე საგუშაგომდე მიხვალთ და ქალაქს დატოვებთ.

– ეგ კი, მაგრამ ჩემი ძმა საგუშაგომდე ფეხით ვერ მივა.

– ვეცდები, მივიდე, – მტკიცედ თქვა კორნელიუსმა.

– თქვენი კარეტა ხომ აქ არის?

– აქ არის, მაგრამ მთავარ შესასვლელთან გველოდება.

– არა, – მიუგო როზმა, – ვიფიქრე, რომ მეეტლე თქვენი ერთგული კაცი იქნებოდა და საიდუმლო გასასვლელთან დავაცდევინე.

გულაჩუყებულმა ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და ქალიშვილს მადლიერებით სავსე თვალი მიაპყრეს.

– საკითხავია, გაგვილებს კი, იმ კარს, გრიფუსი?

– ოჰ, არა, არასდიდებით! – მიუგო როზმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორ მოვიქცეთ?

– ვიცოდი, რომ უარს იტყოდა და როდესაც ერთ მხედარს ფანჯრიდან ელაპარაკებოდა, გასაღები ასხმულიდან ჩამოვხსენი.

– აქა გაქვთ?

– აი, ბატონო იან.

– შვილო, – უთხრა ქალიშვილს კორნელიუსმა, – არაფერი მაქვს, რომ გაწეული სამსახურისთვის გიმაგიერო, მაგრამ ჩემს საკანში ბიბლიას ნახავ, აიღე და პატიოსანი კაცის უკანასკნელ სახსოვრად გქონდეს. უფალს ვთხოვ, ბედნიერება მოგიტანოს!

– გმადლობთ, ბატონო კორნელიუს, სულ თან მექნება.

მერე გაიღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– რა სამწუხაროა, რომ კითხვა არ ვიცი!

– შვილო, – უთხრა იანმა, – ღრიანცელი უფრო მატულობს. მგონი, წუთსაც ველარ დავკარგავთ.

– წავიდეთ, – თქვა ქალიშვილმა და ძმებს ციხის შიდა გადასასვლელებით, სატუსაღოს მეორე მხრისკენ გაუძღვა.

როზის წინამძღოლობით, ძმებმა თორმეტსაფეხურიანი კიბე ჩაიარეს, ქონგურებიანი გალავნით შემოზღუდული პატარა ეზოც გადაჭრეს და როცა ქვის თაღქვეშ შეყუჟული, პატარა კარი გააღეს, ციხის მეორე მხარეს, უკაცრიელ ქუჩაზე აღმოჩნდნენ, სადაც გასამგზავრებლად გამზადებული, საფეხურჩამოშვებული კარეტა ელოდათ.

– ჩქარა, ჩქარა, ბატონებო! – დაუყვირა შეშფოთებულმა მეეტლემ, – ხომ გესმით, როგორ ღრიალებენ.

იანმა კორნელიუსი კარეტაში ჩასვა და როზს მიუბრუნდა:

– მშვიდობით, შვილო! – ხელი გაუწოდა დიდმა პენსიონარმა, – რაც უნდა გითხრათ, ჩვენ მადლიერებას სიტყვით მაინც ვერ გამოვხატავთ. იმედი მაქვს, ღმერთი არ დაგივიწყებთ, რომ ორი ადამიანის სიცოცხლე იხსენით!

როზი მოწიწებით ეამბორა გამოწვდილ ხელზე.

– იჩქარეთ! იჩქარეთ, თორემ იქ, ალბათ, უკვე, კარს ამტვრევენ!

ორმა ღონიერმა ფრისლანდიურმა ცხენმა ადგილიდან მოწყვიტა კარეტა.

როზმა თვალი გააყოლა კარეტას, სანამ მოსახვევს მოეფარებოდა, მერე, ეზოში შებრუნდა, კარი ჩაკეტა და გასაღები ჭაში ჩააგდო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როზის ვარაუდი გამართლდა. ტილლის რაზმი გაიგულეს თუ არა, ხალხმა იხუვლა და ციხის კარს მიეტია. მართალია, გრიფუსი ცოცხალი თავით არ უღებდა, მაგრამ კარი ხალხის იერიშს, რაგინდ მაგარი ყოფილიყო, დიდხანს ვერ გაუძლებდა. შიშისგან გამტკნარებულმა გრიფუსმა, ის იყო, გაიფიქრა, ეგება, ჯობდეს კიდეც, სანამ შემოამტვრევდნენ, თვითონ გავუღოო, რომ ვიღაცამ სახელოზე მოსწია.

გრიფუსმა მიიხედა და როზი დაინახა.

– ხედავ, რა გაცოფებულები არიან? – უთხრა შვილს.

– ვხედავ, მამა და თქვენი რომ ვიყო...

– კარს გაუღებდი, არა?

– არა. დაე, შემოამტვრიონ.

– ხომ მომკლეს!

– უეჭველად, თუ დაგინახეს.

– დამინახავენ, აბა, რა იქნება!

– დაიმალეთ.

– სად?

– საიდუმლო დილეგში.

– შენ, ჩემო გოგო?

– მეც თქვენთან ერთად დავიმალები. ქვევით ჩავიდეთ, ჩავიკეტოთ და ვიდრე ციხიდან არ წავლენ, ნუ გამოვალთ.

– ეშმაკმა დალახვროს, მართალი ხარ! – გაიოცა გრიფუსმა, – საკვირველია, ეს პატარა გოგო, რა ჭკუის კოლოფი მყავხარ!

კარის ლაწანზე, ბრბომ სიხარულის ყიჟინა დასცა.

– ჩქარა, მამა, ჩქარა! – დააჩქარა როზმა გრიფუსი და საიდუმლო დილეგის სარქველი ასწია.

– ტუსაღებს რა ვუყოთ? – შენიშნა გრიფუსმა.

– იმათ ღმერთი მიხედავს, მე კი, ნება მომეცით, პირველ ყოვლისა, თქვენზე ვიზრუნო.

– გრიფუსი ქალიშვილს მიჰყვა. ის იყო, სარქველი დახურეს, რომ ბრბომ ციხის კარი შემოამტვრია და ეზოში იხუვლა.

საიდუმლო დილეგი საიმედო თავშესაფარი იყო მამა-შვილისთვის. მისი არსებობა მხოლოდ მთავრობამ იცოდა. ამ დილეგში მხოლოდ წარჩინებულ დამნაშავეებს ამწყვევდნენ ხოლმე, როცა ეშინოდათ, ვაითუ, მათ გამო, ამბოხი მოხდეს და ციხიდან გაიტაცონო.

ბრბო ყვირილით მიეტია საპყრობილეს.

– სიკვდილი მოღალატეებს! სახრჩობელაზე კორნელ დე ვიტი! ჩამოვახრჩოთ! ჩამოვახრჩოთ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

IV
მდევარი

ფერმკრთალი ჭაბუკი, რომელიც ისევ ოფიცრის მხარს დაყრდნობოდა და ისევ შუბლსა და ტუჩებს იმშრალებდა, ახლა ბუტენხოფის მოედნის ქუჩის კუთხეში, დაკეტილი ფარდულის ტალავერის ჩრდილს შეფარებოდა და იქიდან ადევნებდა თვალს აბობოქრებულ ბრბოსა და მოედანზე გათამაშებულ სანახაობას, რომელიც ეტყობოდა, დასასრულს უახლოვდებოდა.

– დიახ, ვან დეკენ, – მიმართა მან ოფიცერს, – მგონი, არ შემცდარხართ. ბრძანება, რომელსაც ბატონმა დეპუტატებმა ხელი მოაწერეს, კორნელიუს დე ვიტისთვის, მართლაც, სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია. გესმით, როგორ გაჰყვირიან? ეს ხალხი, ეტყობა, ძალიან ურისხდება ბატონ დე ვიტებს.

– დიახ, – მიუგო ოფიცერმა, – ასეთი ღრიანცელი არასდროს მსმენია.

– ეტყობა, ჩვენი ტუსაღის საკანს მიადგნენ. იმ სარკმელს შეხედეთ! მგონი, სწორედ, ის საკანია, სადაც კორნელიუს დე ვიტი ჩასვეს.

მართლაც, საკანში, რომელიც კორნელიუს დე ვიტს ათიოდე წუთის წინ დაეტოვებინა, ვიღაც კაცი გამწარებული ამტვრევდა სარკმლის გისოსებს.

– გაგვექცა! გაგვექცა! – გადმოსძახა კაცმა ქვემოთ შეკრებილთ, – აქ აღარ არის!

– როგორ თუ აღარ არის! – უყვიროდნენ ბოლოს შემოსწრებულები, რომელთა ადგილი ციხეში აღარ დარჩენილიყო.

– აღარ არის, აღარა! – გაცეცხლებული გაჰკიოდა კაცი, – აქ აღარ არის, ხელიდან დაგვიძვრა!

– რაო, რას ამბობს? – იკითხა ჭაბუკმა, რომელსაც ოფიცერი მონსენიორს უწოდებდა და ფერი ეცვალა.

– ოჰ, მონსენიორ, თუ მართალს ამბობს, ბედნიერება იქნებოდა.

– დიახ, იქნებოდა, თუ მართალს ამბობს, მაგრამ ვაი, რომ შეუძლებელია, მართალს ამბობდეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეხედეთ! – მიუგო ოფიცერმა.

სატუსაღოს ფანჯრიდან სხვებმაც გადმოყვეს თავი. ისინი კბილებს აკრაჭუნებდნენ და გაჰყვიროდნენ:

– თავს უშველა, გაიქცა! ჩქარა მდევარი! დავეწიოთ!

– მონსენიორ, – თქვა ოფიცერმა, – მგონი, კორნელიუს დე ვიტმა თავს მართლა უშველა.

– დიახ, სატუსაღოდან, იქნებ, მართლა უშველა, მაგრამ ქალაქიდან ვერ გაიქცეოდა. აგერ ნახავთ, თუ კარი, რომელიც უბედურს, ღია ეგულებოდა, დაკეტილი არ დაუხვდეს!

– ნუთუ, ვინმემ ბრძანა, ქალაქის გასასვლელები ჩაეკეტათ?

– არა, არა მგონია. ვინ ბრძანებდა?

– აბა, რატომ გგონიათ, რომ დაკეტილი დახვდება?

– ასეთ ბრძანებას, ზოგჯერ, ბედისწერა გასცემს ხოლმე და უდიდესი ადამიანებიც კი, ამგვარი შემთხვევითობის, მსხვერპლნი ხდებიან, – დაუდევრად მიუგო ახალგაზრდმა კაცმა.

ოფიცერმა იგრძნო, როგორ გაეყინა ძარღვებში სისხლი. მიხვდა, ასე იქნებოდა თუ ისე, ტუსაღი განწირული იყო.

ამასობაში, კარეტა ფართო ქუჩაზე გავიდა, რომელიც ტელ-ხეკისკენ მიდიოდა. გამვლელებს ეჭვი რომ არ აღძვროდთ, ძმებმა მეეტლეს უბრძანეს, ცხენები ცოტა ნელა ეტარებინა. მაგრამ, როდესაც ქუჩის შუა წელს მიატანეს და მეეტლემ შორიდანვე ჰკიდა თვალი ქალაქის საგუშაგოს, როცა იგრძნო, რომ სატუსაღო და სიკვდილი უკან მოეტოვებინათ, ხოლო წინ თავისუფლება და სიცოცხლე ელოდათ, სიფრთხილე უკუაგდო და ცხენები დააოთხა. უცბად, მეეტლემ სადავეს მოსწია და კარეტა გააჩერა.

– რა მოხდა? – ფანჯრიდან გადმოჰყო თავი იანმა.

– ოჰ, ბატონო, აქ ... – თქვა მეეტლემ და აღელვებულს, სიტყვა გაუწყდა.

– რა აქ? რა მოხდა?

– კარი დაკეტილია.

– დაკეტილია?! დღისით არასდროს კეტავენ ხოლმე?

– თავად შეხედეთ.

იან დე ვიტი კარეტიდან გადმოეყუდა და დაინახა, რომ კარი, მართლაც, დაკეტილი იყო.

– გასწი! – უთხრა მეეტლეს, – განდევნის ბრძანება თან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაქვს. ყარაული კარს გაგვიღებს.

კარეტა დაიძრა, მაგრამ მეეტლე ძველებურად გულ-დაჯერებული ვეღარ მიერეკებოდა ცხენებს.

როდესაც იან დე ვიტი კარეტიდან გადმოეყუდა, მავანმა მედუქნემ, რომელიც დუქნის კარს ფაცაფუცით კეტავდა, რომ ბუტენხოფისკენ მიმავალ ამხანაგებს წამოსწეოდა, დიდი პენსიონარი იცნო. გაოცებულმა მედუქნემ ერთი კი შეჰყვირა და წინ წასულ ამხანაგებს გამოუდგა.

მედუქნე ასიოდე ნაბიჯზე თავის ორ ამფსონს, წამოეწია და რაღაც უთხრა. სამივე შედგა, მობრუნდა და ეტლს თვალი გამოაყოლა. ეტყობა ვერ დაეჯერებინათ, რომ კარეტაში მართლა დე ვიტები ისხდნენ.

კარეტა ქალაქის კარიბჭეს მიადგა და გაჩერდა.

– გააღე! – დაუყვირა მეეტლემ ყარაულს.

– გავაღო? – სადარაჯო ჯიხურიდან გამოეპასუხა ყარაული, – მერედა, რითი გავაღო?

– გასაღებით, ცხადია, – მიუგო მეეტლემ.

– მართალი ხარ, მაგრამ მაგისთვის გასაღებია საჭირო.

– როგორ, კარიბჭის გასაღები შენ არა გაქვს?

– არა.

– რა უყავი?

– წაიღეს.

– ვინ წაიღო?

– იმან, ვისაც, ეტყობა, ხელს არ აძლევდა, რომ ქალაქიდან ვინმე გასულიყო.

– ჩემო კარგო, – ყოფილმა დიდმა პენსიონარმა ყველაფერი ალალბედზე შეაგდო და ეტლიდან გადმოვიდა, – შენ კარი უნდა გააღო ჩემთვის – იან დე ვიტისა და ჩემი ძმის, ქვეყნიდან დევნილი კორნელიუსისთვის, რომელსაც უცხოეთში მივაცილებ.

– ოჰ, ბატონო დე ვიტ, – შესძახა ყარაულმა და კარეტასთან მიირბინა, – არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე! პატიოსნებას გეფიცებით, გასაღები გამომართვეს და წაიღეს.

– როდის?

– ამ დილას.

– ვინ?

– ოცდაორიოდე წლის ახალგაზრდამ. გამხდარი ჭაბუკი იყო, ფერმკრთალი.

– რატომ მიეცი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იმიტომ რომ, ხელმოწერილი და ბეჭდიანი ბრძანება მომიტანა.

– ხელს ვინ აწერდა?

– რატუშელი ბატონები, რაღა თქმა უნდა.

– ასე, – მშვიდად თქვა კორნელიუსმა, – გაგვწირეს, ეტყობა.

– ხომ არ იცით, სხვაგანაც იგივე გააკეთეს?

– ეგ არ ვიცი.

– გასწი! – უთხრა მეეტლეს იანმა, – ღმერთს სიცოცხლე იმიტომ არ უბოძებია, რომ იოლად დავთმოთ. – გულისხმიერებისთვის გმადლობთ, ჩემო კარგო, – მიუბრუნდა იგი გუშაგს, – ზრახვა ქმედების ტოლფასია. შენ ჩვენი ხსნა გსურდა, ღვთის თვალში, ეს იგივეა, რომ დაგეხსენით.

– ოჰ, – შესძახა მეეტლემ, – ნახეთ, იქით რა ხდება!

– ცხენები გარეკე, – დაუყვირა იანმა, – ის ჯგუფი გაარღვიე და მაშინვე, მარცხნივ შეუხვიე, თორემ, ველარაფერი გვიხსნის!

ჯგუფს, რომლის გარღვევაც იანმა ბრძანა და თავში ის სამი გამვლელი ჩადგომოდა, საგუშაგოსკენ მიმავალ კარეტას თვალი რომ გამოაყოლა, ამასობაში, კიდევ, შვიდი-რვა კაცი შემატებოდა.

შემატებულებს გულში, აშკარად, კარგი არაფერი ედოთ. დაინახეს თუ არა, კარეტა ჩვენსკენ მოდისო, კეტების ქნევით გადაუდგნენ წინ და დაუყვირეს: გააჩერე! გააჩერე!

მეეტლე გადაიხარა და მათრახი უცხუნა.

კარეტა ხალხს მიადგა.

ძმები ვერაფერს ხედავდნენ, მაგრამ იგრძნეს, როგორ შედგნენ ცხენები ყალყზე და კარეტა ისე შეტორტმანდა, თითქოს რაღაცამ ძლიერად უბიძგაო, მერე კი, ეტყობა, ვიღაცას ან რაღაცას გადაუარა, ისევ გრიალით გაიჭრა წინ და უკან ხალხის წყევლა-კრულვა გამოიყოლა.

– ოჰ, – თქვა კორნელიუსმა, – მგონი, რაღაც უბედურება დავაწიეთ.

– გარეკე! გარეკე! – უყვიროდა მეეტლეს იანი.

უცბად, მეეტლემ ცხენები შეაყენა.

– რა მოხდა? – ჰკითხა იანმა.

– გამოიხედეთ! – უთხრა მეეტლემ.

იანმა კარეტიდან გამოიხედა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქუჩის ბოლოდან, საითკენაც ეტლი მიქროდა, ბუტენ-ხოფის მოედნიდან წამოსული ხალხის ზღვა ღრიალით მო-ექანებოდა.

– ცხენებს ხელი უშვი და თავს უშველე, – უთხრა მეეტ-ლეს იანმა, – გზის გაგრძელება ამაოა, ჩვენ დავიღუპეთ.

– აგერა, აგერ, სად ყოფილან! – ერთხმად დასცა კიჟინა ხუთასმა კაცმა.

– სად წაგვიხვალთ, სად? მოღალატეებო! მკვლელებო! ავაზაკებო! – მოჰკიოდნენ სხვები უკნიდან და ატატებული ცხედარი ხელით მოჰქონდათ. ეს ის კაცი იყო, რომელსაც ცხენებისთვის აღვირში ეტაცა ხელი და ჯერ ცხენებს გადაეთქერათ, მერე კი, კარეტას გადაევლო.

მეეტლემ ცხენები შეაყენა, მაგრამ ბატონის თხოვნას ყური არ ათხოვა და კოფოდან ფეხი არ მოიცვალა.

ორ მდევარშუა მოქცეული კარეტა, რომელიც მცურავი კუნძულივით მიტორტმანებდა აზვირთებული ხალხის თავ-ზე, უცბად, გაჩერდა. ვიღაც მჭედელმა ერთ-ერთ ცხენს თავში ურო ჩაარტყა და გააგორა.

ქუჩის განაპირას მდგარი სახლის დარაბა ოდნავ გა-მოაღეს. ღიობში გაფითრებული, პირქუში ჭაბუკის ლანდი აისვეტა. იგი შეღებული დარაბიდან უყურებდა, როგორ უსწორდებოდა ბრბო დე ვიტებს.

ჭაბუკის უკან ოფიცრის სახე მოჩანდა, რომელსაც თა-ვისი ბატონის ფერი დასდებოდა.

– ოჰ, ღმერთო, მონსენიორ, რას უპირებენ? – წა-იჩურჩულა ოფიცერმა.

– საშინელებას, რაღა თქმა უნდა!

– მონსენიორ, კარეტიდან დიდი პენსიონარი გად-მოათრიეს! სცემენ, ფეხქვეშ გაიგდეს!

– მართლაც, ძალიან არიან გაავებული, – ცივად მიუგო ჭაბუკმა და ამ კილოსთვის, ბოლომდე არ უღალატია.

– აგერ, კორნელიუსიც გადმოათრიეს – დასახიჩრებული, ნაწამები კორნელიუსი!

ოჰ, ნახეთ! ნახეთ!

– დიახ, მართლაც, კორნელიუსია.

ოფიცერმა ხმადაბლა შეჰყვირა და ფანჯარას ზურგი შეაქცია.

კორნელიუს დე ვიტს მიწაზე ფეხიც არ დაადგმევინეს, იგი ჯერაც კარეტის საფეხურზე იდგა, როდესაც ძალაყინი მოუქნიეს და თავი გაუპეს. მაინც წამოდგა ფეხზე, მაგრამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისევ დაეცა.

წინამდგომებმა, კორნელიუს დე ვიტს, ხელ-ფეხში ჩაავლეს ხელი და ბრბოს შუაგულში შეათრიეს. ჩანდა, როგორ ტოვებდა სისხლიან კვალს მისი სხეული. ბრბომ ყიჟინა დასცა და მიესია.

ჭაბუკმა წუთით დახუჭა თვალი და კაცი ძნელად წარმოიდგენდა, მაგრამ უფრო გაფითრდა.

ოფიცერმა პირველად შენიშნა სიბრალულის ნიშანი მის სახეზე და გადაწყვიტა, მაშინვე ესარგებლა.

— წამოდით, წამოდით, მონსენიორ, თორემ დიდ პენსიონარსაც მოკლავენ.

მაგრამ პრინცს თვალი უკვე გაეხილა.

— დიახ, — თქვა მან, — ხალხი ულმობელია და ვაი მას, ვინც ხალხს უღალატებს!

— მონსენიორ, — მიმართა ისევ ოფიცერმა, — იქნებ, ჯერ კიდევ შევძლოთ, იმ უბედურის, თქვენი ალმზრდელის გადარჩენა. თქვენ ოღონდ მიბრძანეთ და, სიცოცხლეს არ დავიშურებ...

ვილჰელმ ორანელმა თვალი ავად დააკვესა, მაგრამ რისხვა მალევე დაიოკა და მიუგო:

— პოლკოვნიკო ვან დეკენ, წადით და ჩემს ჯარს გადაეცით, ყოველი შემთხვევისთვის, საბრძოლველად გაემზადოს.

— მონსენიორ, ამ ავაზაკებთან მარტო როგორ დაგტოვოთ?

— ჩემზე მეტად ნუ ზრუნავთ ჩემზე, — მკვახედ მოუჭრა პრინცმა, — წადით!

ოფიცერი ისე სწრაფად გაეცალა იქაურობას, ეტყობოდა, მხოლოდ მორჩილებით არ მოსვლია და მოხარული იყო, რომ მეორე ძმის უმსგავს მკვლელობას მაინც აღარ შეესწრებოდა.

მართლაც, ოფიცერს, ლამის, კარიც არ გაეხურა, რომ იანს, რომელსაც არაადამიანური ძალისხმევით მიეღწია იმ სახლის მოპირდაპირე შენობის პარმაღთან, სადაც მისი აღზრდილი იმალებოდა, ყოველი მხრიდან დაჰკრეს და შეაბარბაცეს.

— ჩემი ძმა, სად არის ჩემი ძმა? — გმინავდა იგი.

გამძვინვარებული ბრბოდან ვილაცამ ქისტი წაჰკრა და შლაპა მოხადა, ვილაცამ სისხლით მოთხვრილი ხელები უჩვენა, რომლითაც ის იყო, რაბების მთავარი მეთვალყურე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოეშიგნა და ახლა აქეთ გამოქცეულიყო, რომ დიდი პენსიონერისთვისაც იგივე დღე დაეწია.

იანმა საცოდავად დაიკვნესა და თვალებზე ხელი აიფარა.

– მაშ, არ გინდა, რომ დაინახო, არა? თუ ასეა, ავდგები და თვალებს გამოგთხრი! – დასჭყივლა სამოქალაქო მილიციის ჯარისკაცმა და თვალში ხიშტი ატაკა. სახიდან სისხლმა გადმოხეთქა.

– ძმაო! – გმინავდა დე ვიტი და თუმცა, თვალებს სისხლი უვსებდა, მაინც ცდილობდა დაენახა, რა უყვეს კორნელიუსს, – ძმაო!

– შენც იმას მიგაყოლებთ! – შეუღრინა ერთ-ერთმა მკვლელმა, საფეთქელზე მუშკეტი მიაბჯინა და სასხლეტს გამოჰკრა.

მუშკეტი არ გავარდა.

მაშინ მკვლელმა იარაღი შემოაბრუნა და კონდახი დასცხო.

იან დე ვიტი დაბარბაცდა და მის ფერხთით ჩაიკეცა, მაგრამ მაინც იპოვა ძალა, რომ წამომდგარიყო.

– ძმაო! – ისეთი საწყალი ხმით დაიყვირა იან დე ვიტმა, რომ ჭაბუკმა დარაბა მიხურა. თუმცა, სანახავიც აღარაფერი იყო. მესამე მკვლელმა იან დე ვიტს ტყვია შუბლში დაახალა და კეფა ახადა.

იანი დაეცა და აღარც წამომდგარა.

მაშინ სალახანებმა გული მოიცეს და მუშკეტით დაცხრილეს მისი გვამი. ყველამ მოისურვა თითო კეტი მაინც ჩაეცხო, ყველას მისი სისხლი სწყუროდა, ყველა ცდილობდა, მისი სამოსის პაწია ნაკუწი მაინც რგებოდა.

ორივე ძმის გვამი, დაფლეთილი, დამახინჯებული და სისხლით მოთხვრილი, სახრჩობელაზე წაათრიეს და თავდაყირა დაკიდეს.

ამის მერე, ყველაზე დიდი ნაძირალების ჯერიც დადგა. ისინი, ვინც ცოცხლებს ხელის ხლება ვერ გაუბედა, მათი გვამის ნაგლეჯებს დაარბენინებდნენ ქალაქში და დე ვიტების სხეულის ნაფლეთებს ათ-ათ სუდ ჰყიდდნენ.

ვერ გეტყვით, დაინახა თუ არა ჭაბუკმა, რითი დამთავრდა ეს საზარელი სანახაობა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ორი წამებულის გვამს თოკზე ჰკიდებდნენ, იგი, მხიარულ ფიქრში გართული, ხალხში გზას მიიკვლევდა და ტელ-ხეკის საგუშაგოსკენ მიდიოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოჰ, ბატონო, გასაღები მომიტანეთ?

– დიახ, ჩემო კარგო, აი, გამომართვი.

– ეჰ, ნეტა კი ნახევარი საათის წინ მოგეტანათ! – ამოიოხრა მეკარემ.

– რატომ?

– დე ვიტებს კარს გავუღებდი. უკან გაბრუნებამ მოუწიათ და მდევრებს ჩაუვარდნენ ხელში.

– გააღეთ ჭიშკარი, გააღეთ! – შორიდანვე დაუყვირა გუშაგს ვილაც კაცმა, რომელსაც ცხენის ხეთქებაზე ეტყობოდა, რომ ძალიან ჩქარობდა.

პრინცმა მიიხედა და პოლკოვნიკი ვან დენეკი დაინახა.

– თქვენ კიდევ აქა ხართ, პოლკოვნიკო? ასე ასრულებთ დავალებას?

– მონსენიორ, ეს უკვე მესამე საგუშაგოა. ორი, სხვა, დაკეტილი დამიხვდა.

– აგერ, ეს ყოჩაღი ყმაწვილი გაგვიღებს კარს. გააღე, მეგობარო! – მიმართა პრინცმა პირდაღებულ ყარაულს, რომელმაც გაიგონა, რომ გაფითრებულ ჭაბუკს, რომელსაც წელან თანასწორივით ელაპარაკებოდა, პოლკოვნიკმა მონსენიორი უწოდა.

დანაშაული რომ გამოესყიდა, გუშაგი კარიბჭეს მივარდა და ღრჭიალით გააღო.

– თქვენო უდიდებულესობავ, ჩემს ცხენს ხომ არ ინებებთ? – ჰკითხა ოფიცერმა.

– გმადლობთ, პოლკოვნიკო, ჩემი ცხენი აქვე, ორ ნაბიჯზეა.

პრინცმა ჯიბიდან ოქროს სასტვენი ამოიღო, რომლითაც მსახურებს უხმობდნენ ხოლმე და გამაყრუებლად დაუსტვინა. სასტვენის ხმაზე, მეჯინიბემ ცხენი მოაგელვა, – მეორე ცხენი სადავით მოჰყავდა.

ვილჰელმი უნაგირს მოევლო და ცხენი ლეიდენის გზისკენ გააჭენა. გზის თავს რომ მიაღწია, უკან მოიხედა.

პოლკოვნიკი ათიოდე ნაბიჯზე მოსდევდა.

პრინცმა ანიშნა, გვერდით ამოდგომოდა და ჭენება არ შეუნელებია, ისე უთხრა:

– იცით, რომ იმ სალახანებმა, ძმასთან ერთად, იან დე ვიტიც მოკლეს?

– ეჰ, თქვენო უდიდებულესობავ, – ნაღვლიანად მიუგო პოლკოვნიკმა, – მერჩივნა, ჰოლანდიის შტატჰალტერიისკენ მიმავალ გზაზე, ეს ორი ჯებირი ისევ გქონოდათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, – კვერი დაუკრა პრინცმა, – ცხადია, ჯობდა, არ მომხდარიყო, მაგრამ უკვე მოხდა და ჩვენი ბრალი არ არის. ვიჩქაროთ პოლკოვნიკო. ალკენში უნდა ჩავასწროთ შიკრიკს, რომელსაც ალბათ მთავრობა გამომიგზავნის.

პოლკოვნიკმა თავი დაუკრა პრინცს, წინ გაუშვა და თვითონ იმავე მანძილზე მიჰყვა, რა მანძილზედაც მანამდე მისდევდა.

– ნეტა დამანახა, – ბურტყუნებდა ავად მოღრუბლული ორანის პრინცი და დაუნდობლად სცემდა დეზებს თავის ბედაურს, – რა სახე დაედება მზე-ლუის, როცა შეიტყობს, რა დღე აწიეს მის ერთგულ მეგობრებს – ბატონ დე ვიტებს. ოჰ, მზეო, მზეო, ტყუილად როდი მეძახიან მოღრუბლულს, გეშინოდეს ღრუბლის!

ასე მიაგელვებდა ცხენს ჭაბუკი პრინცი, მეფის შეუპოვარი მოწინააღმდეგე, შტატჰალტერი, რომელიც ჯერ კიდევ წუხელ, დარწმუნებული არ იყო, რომ ხელთ იგდებდა ძალაუფლებას, რომლის ტახტზე ასასვლელადაც, ჰააგელ ბურჟუებს, მისთვის, უკვე აეგოთ ორი მკვიდრი საფეხური იან და კორნელიუს დე ვიტების ცხედრებისგან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

V

ტიტების ტრფიალი და მისი მეზობელი

სწორედ, იმ დროს, როდესაც ჰააგის მოქალაქენი ვიტების გვამების ფლეთით ერთობოდნენ, როდესაც ვილჰემ ორანელი, გულარხეინი, რომ მეტოქეთა დალუპვა თავისი თვალით ნახა, ლეიდენის გზაზე მიაგელვებდა ცხენს, პოლკოვნიკ ვან დეკენის თანხლებით, რომელიც მეტისმეტად გულჩვილი აღმოჩენილიყო, რათა პრინცს თავის მესაიდუმლედ გაეხადა, სწორედ, იმ დროს, ერთგული მსახური კრაკე – დარწმუნებული, რომ ჰააგაში, მისი წამოსვლის შემდეგ, საშინელება დატრიალდებოდა, – ფეხმალ ბედაურს არ ზოგავდა და მანამ მიაჭენებდა ხეივნებით დაჩრდილულ, მშვენიერ გზაზე, სანამ ქალაქსა და მისი შემოგარენ სოფლებსაც უკან მოიტოვებდა.

ქალაქს რომ გასცდა, კრაკემ თავი უსაფრთხოდ დაიგულა. ეჭვი რომ არავის აღძვროდა, ცხენი მიატოვა, ნავში ჩაჯდა და ასე ნავიდან-ნავზე გადაჯდომით, მშვიდად განაგრძო გზა დორდრეხტამდე. ნავები მარჯვედ მისრიალებდა მდინარის ვიწრო, დაკლაკნილ ტოტებზე, სველი ხელებით რომ ჩაეკრა გულში, ყვავილებით მოჩითული, ტურფა კუნძულები, სადაც ნებივრად მობალახე, ნასუქ საქონელს, ნაპატიები ფერდები მზეზე უბზინავდა. კრაკემ შორიდანვე ჰკიდა თვალი მხიარულ ქალაქ დორდრეხტს, რომელიც ქარის წისქვილებით მოფენილი გორაკის ძირში გაწოლილიყო.

თეთრზოლიან წითელ სახლებს წითელი აგურის ფეხები წყალში ჩაედგა და მდინარეზე გადმოკიდულ ღია აივნებზე, ინდოთა და ჩინთა სასწაულს – ოქრომკედით ნაქარგ აბრეშუმის ხალიჩებს აფრიალებდა; ხალიჩების გვერდით, მდინარეში ჩაკიდებული გრძელი მკედები მახეს უგებდა ღორმუცელა გველთევზებს, რომლებიც ფანჯრებიდან გადმოყრილ საჭმლის ნარჩენებს მიეტყუებინა.

ქარის წისქვილების ფრთების ტრიალში, კრაკემ, გორაკის ფერდზე, ნავიდანვე დაინახა თავისი მგზავრობის მიზანი – ბაცი ვარდისფერი სახლი, რომელიც ჭადრების მოყვითალო ფოთლებში ჩაფლული სახურავის ქედითა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და გოლიათი მუქი ვერხვების ფონზე იკვეთებოდა. სახლი ისეთნაირად დაედგათ, რომ მზე ყველა მხრიდან მისდგომოდა და დილა-საღამოს მდინარიდან ქარის წამოღებული ნისლი უმალ აეორთქლებინა.

კრაკე აფუსფუსებული ქალაქის შუაგულში გადმოვიდა ნავიდან და შეუფერხებლად გაემართა თავისი მიზნისკენ.

ბინადარი, ამ ბაცი ვარდისფერი გაკრიალებული სახლისა, რომელიც შიგნით კიდევაც უფრო კრიალებდა, გახლდათ ბედნიერი მოკვდავი, როგორც იუვენალუსი[18] იტყოდა – „rara avis[19]“, კორნელიუს დე ვიტის ნათლული, ექიმი ვან ბერლე, რომელიც აქ ბავშვობიდან ცხოვრობდა, რადგან სახლი მის წინაპრებს, სახელოვანი დორდრეხტის სახელოვან სოვდაგრებს ეკუთვნოდა.

ბატონმა ვან ბერლე-უფროსმა, რომელიც ინდოეთთან ვაჭრობდა, სამასი თუ ოთხასი ათასი ფლორინი[20] დააგროვა. ეს ფლორინები ვან ბერლე-უმცროსს, თავისი სათაყვანებელი დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ, სულ ცინცხალი ერგო, თუმცა ზოგი 1640 წელს იყო მოჭრილი, რაც იმის დასტური გახლდათ, რომ იქ მარტო მამამისის კი არა, პაპამისის ნაგროვები ფლორინებიც ერია.

ბარემ ახლავე გეტყვით, რომ ოთხასი ათასი ფლორინი, კორნელიუს ვან ბერლესთვის, ჯიბის ფულივით იყო, რადგან მის მამულებს, პროვინციიდან, ასიათასი წლიური შემოსავალი შემოჰქონდა.

როდესაც ღირსეული მოქალაქე, კორნელიუსის მამა კვდებოდა, – სულ რაღაც სამი თვის თავზე, ცოლის გარდაცვალებიდან, რომელიც თითქოს, ქმარზე უწინ იმიტომ მომკვდარიყო, რომ მისთვის საიქიო ცხოვრებაც ისევე გაეიოლებინა, როგორც სააქაოს უიოლებდა, – მან თავისი ვაჟიშვილი უკანასკნელად ჩაიკრა გულში და ასე დამოძღვრა:

– თუ გინდა, რომ ცხოვრებას გემო ჩაატანო, სვი, ჭამე და ფული ქეიფსა და დროსტარებაში დახარჯე, თორემ, როდესაც კაცი, დილიდან-საღამომდე, ხის სკამზე ან ტყავის სავარძელში ზის და შრომობს, – სულ ერთია, ლაბორატორიაში იქნება თუ დუქანში – ამას ცხოვრება არა ჰქვია. იცოდე, თუ ბედმა გიმუხთლა და ძე არ გეყოლა, როდესაც შენი აღსასრულის დღე მოაწევს, ჩვენი გვარი გადაშენდება და ჩემს ფლორინებს, ჩემს ცინცხალ, კრიალა ფლორინებს, რომელიც მამაჩემისა და ზარაფის მეტს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არავის აუწონია, ძალიან გაუკვირდება, თუ სხვისი ხელი ააჩხრიალებს. რაც მთავარია, ნუ მიბაძავ ნათლიაშენ კორნელიუს დე ვიტს. იმას, თავისი პოლიტიკის მეტი, არაფერი ახსოვს და დარწმუნებული ვარ, კარგი დღე არ დაადგება.

ამის შემდეგ, ბატონი ვან ბერლე-უფროსი მიიცვალა და დიდ ურვასა და მწუხარებაში ჩააგდო ძე და მემკვიდრე, რომელსაც ძალიან ძვირად უღირდა მამა და დიდად არაფრად, ფლორინები.

ასე დარჩა კორნელიუს ვან ბერლე უზარმაზარ სახლში ეულად.

ტყუილად სთავაზობდა კორნელიუს დე ვიტი, თავის ნათლულს, ნაირ-ნაირ თანამდებობას, ამაოდ აცდუნებდა სახელითა და დიდებით, რადგან ერთხელ, როდესაც ნათლიას ხათრი არ გაუტეხა და ასოცდაცხრამეტი სამხედრო ხომალდისგან შემდგარი ფლოტის წინამძღოლ ხომალდ „შვიდ პროვინციაზე“ ავიდა, რომლსაც სახელოვანი ადმირალი ვან რეიტერი[21] მეთაურობდა და ინგლისისა და საფრანგეთის გაერთიანებულ ძალებს ერკინებოდა, როდესაც მათი ხომალდი მუშკეტის სასროლზე მიუახლოვდა ინგლისის სამხედრო ხომალდ „პრინცს“ და ვან ბერლეს პატრონის – ვან რეიტერის, ოსტატური იერიშისა და მძლავრი შეტევის შემდეგ, იორკის ჰერცოგმა, ინგლისის მეფე გეორგ იორკელის ძმამ, ძლივს მოასწრო „სენმიშელზე“ გადასვლა, როცა აფეთქდა „გრაფი დე სანვიკი“ და ცეცხლმა და წყალმა შთანთქა ოთხასი მეზღვაური, როცა დაიმსხვრა ოცი ხომალდი, დაილუპა სამიათასი მეზღვაური, დაიჭრა ხუთიათასი, მაგრამ ომის ბედი მაინც არ იყო გადაწყვეტილი, რადგან გამარჯვებას ორივე მხარე იჩემებდა, როდესაც ყველაფერი თავიდან გახდა დასაწყები და ზღვაზე გადახდილ ბრძოლებს, მხოლოდ, კიდევ ერთი, ახალი სახელი – სუთვორდის ბრძოლა შეემატა, ვან ბერლე მიხვდა, რომ კაცი, რომელიც ყურებზე ხელაფარებული და თვალდახუჭული, ცდილობს მაშინაც იაზროვნოს, როცა მისი მსგავსნი ერთმანეთს ჭურვებს უშენენ, დროს აქ ფუჭად ფლანგავდა, დიდებაზე ხელი აიღო და ვან რეიტერს და რაბების მთავარ ინსპექტორს გამოეთხოვა. იგი მუხლზე ეამბორა დიდ პენსიონარს, რომელსაც უდიდეს პატივსა სცემდა და 28 წლისა, გულდაჯერებული, რომ დასვენება დაიმსახურა, დორდრეხტში დაბრუნდა, – დაბრუნდა, გაკაჟებული, გამდიდრებული გამოცდილებითა და მტკიცე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რწმენით, – რაც ოთხასიათას ნაღდ ფლორინზე და ასიათას წლიურ შემოსავალზე ძვირად უღიდა, – რომ განგებას იმდენი რამ მიეცა კაცისთვის, იგი თავს ბედნიერად ვერასდროს იგრძნობდა.

კორნელიუს ვან ბერლემ გადაწყვიტა, ამიერიდან, თავის გუნებაზე ეცხოვრა და თავისი მხარის მცენარეები და მწერები შეესწავლა. მან შეაგროვა კუნძულების ფლორა, შეაგროვა მთელი ოლქის მწერების კოლექცია, დაახარისხა და დაწერა ტრაქტატი, რომელსაც თავისი ხელით დახატული სურათებიც დაურთო და რადგან აღარ იცოდა, კიდევ როგორ მოეკლა დრო, – მით უფრო, სად წაეღო ფლორინები, რომლის რაოდენობა თავზარდამცემად მატულობდა, – გადაწყვიტა, თავისი ქვეყნისა და ეპოქის შესაბამისი და ძალზე ძვირადღირებული, ნატიფი თავშესაქცევი მოეგონებინა.

კორნელიუსი ტიტამ[22] მოხიბლა.

ცნობილია, რომ იმდროინდელი ფლამანდელი და პორტუგალიელი მეყვავილეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთესი ჯიშის ტიტას გამოიყვანდა. ისინი აღმოსავლეთიდან შემოტანილ ყვავილს ღვთაებასავით ეთაყვანებოდნენ და მასზე ისეთ ცდებს აყენებდნენ, რასაც ვერც ერთი ნატურალისტი, ეჭვიანი ღმერთის შიშით, ადამის ჯიშზე ვერ გაბედავდა.

მალე, მთელ ოლქში, დორდრეხტიდან, ვიდრე მონსამდე, ყველა მხოლოდ ვან ბერლეს ტიტებზე ლაპარაკობდა და მისი კვლების, არხების, საშრობებისა და ბოლქვების ნახვას ისე ეშურებოდა, როგორც ერთ დროს, სახელოვანი რომაელი მოგზაურები ალექსანდრიის ბიბლიოთეკებისა და გალერეების მონახულებას.

თავდაპირველად, ვან ბერლემ მთელი წლიური შემოსავალი კოლექციის შედგენას მოახმარა; მერე, მის გასაუმჯობესებლად, თავის კრიალა ფლორინებსაც მიჰყო ხელი და მართალი გითხრათ, შრომა ბრწყინვალედ დაუფასდა. მან ტიტების ხუთი ახალი ჯიში გამოიყვანა და ერთს უწოდა დედამისის სახელი ჟანა, მეორეს – მამამისის გვარი – ბერლე, მესამეს კი, თავისი ნათლიის სახელი – კორნელიუსი; დანარჩენი ორის სახელი ვეღარ გაგვიხსენებია, მაგრამ მოყვარულები იმ დროის კატალოგებში უეჭველად მოიძიებენ.

1672 წლის დამდეგს, კორნელიუს დე ვიტი დორდრეხტს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეწვია, რათა სამი თვე მამაპაპეულ სახლში გაეტარებინა. ვინ არ იცის, რომ მხოლოდ კორნელიუსი კი არა, დე ვიტების მთელი საგვარეულო დორდრეხტიდან იყო. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც კორნელიუსმა, პრინცის სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელი იმით გაითქვა, რომ სახელი საბოლოოდ გაიტეხა. მიუხედავად ამისა, თავისი მშობლიური დორდრეხტის მოქალაქეთა თვალში, იგი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოხრჩობის ღირსი ავკაცი და თუმცა, არც მათ მოსწონდათ კორნელიუს დე ვიტის, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული რესპუბლიკელობა, მრავალი ღირსებით შემკული თანამემამულე მაინც ეამაყებოდათ და სურდათ, ქალაქში რომ შემოვიდოდა, იქაური ღვინით ხელში მიგებებოდნენ.

კორნელიუს დე ვიტმა, მას შემდეგ, რაც თანამოქალაქეებს მადლობა გადაუხადა დახვედრისთვის, თავის მამაპაპეულ სახლს მიაშურა და განკარგულება გასცა, ვიდრე ცოლ-შვილი ჩამოუვიდოდა, ზოგი რამ შეეკეთებინათ. ამის მერე იგი თავისი ნათლულის სანახავად გაეშურა, რომელიც ალბათ ერთადერთი იყო, ვისაც მისი მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლა არ გაუგია.

რამდენადაც ხალხს კორნელიუს დე ვიტი სძულდა, რომელიც ყველგან პოლიტიკურ ვნებათაღელვად წოდებულ, ღვარძლიან მარცვლებსა სთესდა, სწორედ იმდენად მოსწონდა კორნელიუს ვან ბერლე, რომელსაც სამუდამოდ აეღო ხელი პოლიტიკაზე და მხოლოდ თავის ტიტებს გადაგებოდა.

გარდა ამისა, ვან ბერლე უყვარდათ მის მსახურებს, მუშებს და ამიტომაც არასდროს მოსვლია აზრად, რომ მისი ავი ვინმეს გაახარებდა.

მიუხედავად ამისა, — სირცხვილი ადამის მოდგმას, — ვან ბერლეს, თუმც თვითონ არაფერი იცოდა, მტერი ჰყავდა — მტერი უფრო ავი, გულქვა და დაუნდობელი, ვიდრე ცოფიანი ორანელები, რომლებიც ძმებ დე ვიტების ულრუბლო ძმობას ულრენდნენ.

იმ დროს, როდესაც კორნელიუსი ტიტამ მოხიბლა და მთელ თავის წლიურ შემოსავალსაც და მამაპაპეულ ფლორინებსაც ამ ყვავილზე ხარჯავდა, დორდეხტში, მის კარის მეზობლად, მისი ეზოს გალავნის გადაღმა, ცხოვრობდა მავანი მოქალაქე, ისააკ ბოქსტელი, რომელსაც ტიტების სენი სიყრმიდანვე შეყროდა და მისი სახელის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხსენებაზე, ტანში ნეტარების ჟრუანტელი უვლიდა.

ბედს ბოქსტელისთვის სიმდიდრე არ გამოემეტებინა, ამიტომ მისი სახლის წინ მდებარე მიწის დამუშავება ძალიან დიდი წვალების, მომჭირნეობისა და შრომის ფასად დაუჯდა. ისააკმა ზედმიწევნით დაიცვა ტიტების მოშენების ყველა წესი და კვლები ისე მოაწყო, რომ ყვავილებს არც მზე მოკლებოდა, არც ჩრდილი; მან ერთი მეოცედის სიზუსტით გამოთვალა სათბურის ტემპერატურა, შეისწავლა ქარის ძალა და ისე მოახერხა, რომ მის ტიტებს იგი მხოლოდ ოდნავ არხევდა.

ბოქსტელის ბაღში გახარებული ტიტები ხალხს სულ უფრო და უფრო მოსწონდა და მისი, როგორც ამბობდნენ, დახვეწილი ტიტების სანახავად, სულ უფრო მეტი მოყვარული მოდიოდა. ბოლოს, ბოქსტელმა ერთი ახლი ჯიშიც გამოიყვანა, რომელსაც თავისი სახელი უწოდა. ეს ჯიში დიდი წარმატებით გავრცელდა ქვეყანაში, მოედო საფრანგეთს, ესპანეთს და პორტუგალიაშიც კი შეაღწია. თვით ალფონსო IV[23], ლისაბონიდან დევნილ მეფეს, რომელიც ტერსორის კუნძულებზე დამკვიდრებულიყო და თავს კონდესავით მიხაკების მორწყვით კი არ იქცევდა, ტიტებსა რგავდა, "ბოქსტელის" ხილვისას, ურიგო არ არისო, ებრძანებინა.

მრავალმხრივ განსწავლული კორნელიუს ვან ბერლე ტიტების მოშენების ვნებამ ისე გაიტაცა, რომ თავის სახლს, რომელიც ბოქსტელის სახლის მეზობლად იდგა, ზემოდან ერთი სართული დააშენა და ისააკის ბაღს ამით ნახევარი გრადუსი სითბო მოაკლო, ანუ იქ ნახევარი გრადუსით აცივდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ დაშენებულმა სართულმა ქარს გზა გადაუღობა და მეზობელს მთელი გამოთვლები წყალში ჩაუყარა.

თავიდან, ბოქსტელი ამით, თითქოს, დიდად არ შეწუხებულა. მისი აზრით, კორნელიუსი ერთი შერეკილი მხატვარი იყო, ვისაც ბუნების სასწაული ტილოზე დამახინჯებულად გადაჰქონდა და კიდევ ერთი სართული თავისი სახლისთვის იმიტომ დაეშენებინა, რომ ნათელი სახელოსნო ჰქონოდა. რა გაეწყობოდა, მას ამის სრული უფლება ჰქონდა. ბატონი ვან ბერლე მხატვარი იყო, ბატონი ბოქსტელი კი მებაღე. მხატვარს თავისი ნახატებისთვის მზე დასჭირვებოდა და მებაღისთვის ნახევარი გრადუსი სითბო წაერთმია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კანონი ვან ბერლეს მხარეზე იყო. – Bene sit.[24] – ეგეც არ იყოს, ბოქსტელმა დაადგინა, რომ მცხუნვარე მზე ტიტებს ვნებდა და ყვავილი უკეთ გაიზრდებოდა და უკეთაც დაიფერებოდა, თუ მზე მხოლოდ დილა-საღამოს მიადგებოდა. მოკლედ, მისთვის რომ გეკითხათ, მადლობელიც კი იყო, რომ ვან ბერლემ უფასო საჩრდილობელი აუშენა.

თუმცა, იქნებ, მთლად ასეც არ იყო? იქნებ ბოქსტელი სხვას ფიქრობდა და სხვას ამბობდა? დიდბუნებოვანი კაცი აკი, მძიმე წუთებში, შვებას ფილოსოფიაში ჰპოვებს ხოლმე.

ვაგლახ! რომ იცოდეთ, რა მოუვიდა საცოდავ ბოქსტელს, როცა დაინახა, როგორ აივსო ახალი სართული ტიტას ბოლქვებით, ბოლქვების ამონაყარით, ყუთებით, ქოთნებში ჩარგული ტიტებითა და ყველაფერ იმით, რასაც ტიტების კვიატშეყრილი კაცი იმარაგებს.

სულო და გულო, რა გინდა, რომ იქ არ ყოფილიყო! – რა იარლიყების დასტა, რა თაროები, რა გატიხრული ყუთები და ყუთებზე დასაფარებელი რკინის წვრილი ბადეები, რომ ჰაერი შიგ თავისუფლად ჩასულიყო, მაგრამ თაგვი, ზაზუნა, ვირთხა თუ ხოჭო, მოკლედ ყველაფერი, რაც ორიათას ფრანკად ღირებულ ბოლქვებიდან ამოწვერილ ტიტას ემუქრება, ვერ ჩამძვრალიყო.

ბოქსტელს პირკატა კი ეცა, მაგრამ კარგად მაინც ვერ მიხვდა, რას მოასწავებდა ეს სამზადისი. ვინ არ იცოდა, როგორ უყვარდა ვან ბერლეს ყველაფერი, რაც თვალს ახარებდა. მან ხომ, რათა მის ტილოებზე, თავისი მასწავლებლის – ჰერარდ დოუსა[25] და მისი მეგობრის – მორისის[26] დარად, ყველაფერს დასრულებული სახე ჰქონოდა, ძირფესვიანად შეისწავლა ბუნებისმეტყველება! იქნებ, ვან ბერლეს ტიტებით გატაცებული მებაღის დახატვა განეზრახა?

მართალია, ბოქსტელმა თავი ინუგეშა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ საშველი არ მისცა და როგორც კი მოსაღამოვდა, საზიარო გალავანს კიბე მიადგა და მეზობლის ეზოში გადაიხედა.

უშველებელი ფართობი, რომელზეც ამას წინათ, ნაირნაირი მცენარე ხარობდა, ერთიანად გადაეთხარათ და კვლებად დაეყოთ; ნიადაგში მდინარის ლამი აერიათ, რაც ტიტებისთვის ყველაზე კარგ ნარევად არის მიჩნეული; შუადღის ხვატს რომ ყვავილი არ შეეწუხებინა, კვლები

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისე დაეყოთ, მზე მხოლოდ დილა-საღამოს მისდგომოდა. ნაკვეთი ბალის სამხრეთ დასავლეთით გამოეყოთ და წყალიც საკმაოდ მოემარაგებინათ.

მოკლედ, ბოქსტელს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ვან ბერლეს ტიტების მოშენება გადაეწყვიტა. ისააკმა წარმოიდგინა, რა მარჯვედ მოიხმარდა თავის ნიჭსა და ცოდნას, რა წარმატებას მიაღწევდა მეცნიერი ჭაბუკი, რომელსაც ოთხიათასი ნაღდი ფლორინი და ათი ათასი ფლორინის წლიური შემოსავალი ჰქონდა და გული ისე მოეწურა, რომ ხელ-ფეხი წაერთვა და კიბიდან ჩამოვარდა.

მაშასადამე, ვან ბერლეს ბოქსტელის ბაღისთვის ის ნახევარი გრადუსი სითბო, დახატული კი არა, ნამდვილი ტიტების გულისთვის წაერთმია. მაშასადამე, ვან ბერლეს ტიტებს საუკეთესო ნიადაგი, მის ბოლქვებსა და ამონაყარს კი საკუთარი, მზიანი და სუფთა ოთახი ექნებოდა, რომელიც კარგად ნიავდებოდა, – ფუფუნება, რომელზედაც ისააკს ხელი არ მიუწვდებოდა. იგი ხომ, მისი ბოლქვები რომ ადამიანის ტანის ოხშივარს არ შეეწუხებინა, იძულებული გახდა, თავის სანთიობოს შელეოდა და სხვენში დაეძინა.

მოკლედ, ბოქსტელს კარის მეზობლად ეყოლებოდა მეტოქე, მოცილე, იქნებ, დამჯაბნავიც კი, – ვილაც პატარა, უცნობი მებაღე კი არა, არამედ კორნელიუს დე ვიტის ნათლული და მაშასადამე, ცნობილი კაცი!

როგორც ხედავთ, ბოქსტელი გონიერებით ვერ შეედრებოდა, ალექსანდრე მაკედონელისგან ძლეულ ინდოთა მეფე პორს[27], რომელიც თავს სწორედ იმით ინუგეშებდა, რომ მისი მძლეველი დიდი და სახელოვანი კაცი იყო.

არადა, ვან ბერლეს, ტიტას ახალი ჯიშები რომ გამოეყვანა და ერთისთვის კორნელიუსი, მეორისთვის კი, იან დე ვიტის სახელი დაერქმია? ასე რომ მომხდარიყო, ხომ შეიძლებოდა, ისააკი ბოლმას დაეხრჩო?

შურმორეულმა ბოქსტელმა მისანივით განჭვრიტა მომავალი და ნანახით თავზარდაცემულმა, მთელი ღამე თეთრად გაათენა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

VI
ტიტების გულღრძო მოყვარული

ამ წუთიდან, ბოქსტელს, საზრუნავის ნაცვლად, შიში მოერია. ოცნების ასახდენად მუშაკს ღონე ემატება, ბოქსტელს კი სწორედ ეს თვისება დაკარგვოდა და სულ იმის ფიქრში იყო, რა შეიძლება მავნოს ჩემი მეზობლის საქმიანობამო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვან ბერლემ მთელი თავისი ცოდნა და ბუნებისგან მომადლებული საოცარი ნიჭი საქმეს მთლიანად ჩააქსოვა და ულამაზესი ტიტები გაახარა.

კორნელიუს ვან ბერლეს, მთელ ჰაარლემსა და ლეიდენში, სადაც ტიტების გასახარებლად საუკეთესო ნიადაგია, ყველაზე ნაირფერისა და ფორმის ტიტები ჰქონდა და მისი ახალი სახეობაც გამოიყვანა.

იგი იმ ნიჭიერ და მიამიტ მეცნიერთა სკოლას ეკუთვნოდა, რომელსაც VII საუკუნიდან დევიზად ჰქონდა აფორიზმი, რომელიც 1653 წელს მისმა ერთმა ადეპტმა გაავრცელა: „ვინც ყვავილს არაფრად აგდებს, ის ღმერთს შეურაცხყოფს“. 1653 წელს, ტიტების მოყვარულებმა ამ დევიზზე ასეთი სილოგიზმი[28] ააგეს: „ვინც ყვავილს არაფრად აგდებს, ის ღმერთს შეურაცხყოფს.“ „რაც უფრო ლამაზია ყვავილი, მისი არად ჩამგდები, ღმერთს მით უფრო შეურაცხყოფს.“ „ტიტა ყველაზე ლამაზი ყვავილია. მაშასადამე, ვინც ტიტას არაფრად აგდებს, ის ღმერთს უსაზღვროდ შეურაცხყოფს.“

ნება რომ მიეცათ, ამ დასკვნის სახელით, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და პორტუგალიის ოთხი თუ ხუთიათასი მეყვავილე — აღარაფერს ვამბობთ ცეილონის, ინდოეთისა და ჩინეთის მებალეებზე, — მთელ მსოფლიოს კანონგარეშედ გამოაცხადებდა და ტიტებისადმი გულგრილ, ასეული მილიონობით კაცს სიკვდილის ღირს განდგომილად და ერეტიკოსად შერაცხავდა. აი მაშინ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავად ბოქსტელიც — ვან ბერლეს მოსისხლე მტერი, მის გვერდით, ერთი დროშის ქვეშ დადგებოდა და ამ საქმეს მასთან ერთად გააკეთებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოკლედ, ვან ბერლემ ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ ჰოლანდიის მებაღეებმა ბოქსტელი სულ მიივიწყეს; პირზე ყველას ვან ბერლეს სახელი ეკერა და დორდრეხტის ტიტების ტრფიალმა მებაღეებმა თავიანთ წინამძღოლად მოკრძალებული, სათნო ექიმი კორნელიუსი აღიარეს.

ასე გამოაქვს ხოლმე პაწია მორჩს მშვენიერი რტო, ასე იშვა სურნელოვანი დიდი ვარდი კოპწია უფერო ასკილისგან, ასე დაუდევს ზოგჯერ მეფეთა გვარს სათავე უბრალო შეშისმჭრელის ქოხში ან მეთევზის მიწურში.

ტიტების გახარებით გართულ ვან ბერლეს, რომელსაც ამ ყვავილის მაღმერთებელი საფრანგეთის ყველა მებაღე ქება-დიდებას ასხამდა, აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ის უბედური, ვის ტახტსაც იგი დაუფლებოდა, მის მეზობლად ცხოვრობდა. ყმაწვილი კაცი წარმატებით აყენებდა ცდებს და ორი წლის თავზე, ბაღი ისეთი ტურფა ქმნილებებით აავსო, რომელთა მსგავსი, შექსპირს[29] და რუბენსს[30] სათვალავში თუ არ ჩავაგდებთ, ღვთის შემდეგ, არავის შეექმნა.

ვისაც სურდა ეხილა ტანჯული, რომელიც დანტეს[31] თავის ჯოჯოხეთში გამორჩენოდა, ბოქსტელისთვის უნდა შეეხედა. მიწას აფხვიერებდა ვან ბერლე, სასუქი შეჰქონდა, რწყავდა თუ კვლებთან ჩაცუცქული, გაფურჩქნული ტიტას თითოეულ ძარღვს ჩაკირკიტებდა, — აბა, კიდევ, რა შევცვალო ან რა ფერები შევაჯვაროო, — მორჩილ ნაძვს ამოფარებული, პირზე დუჟმომდგარი ბოქსტელი, ჩასისხლიანებულ თვალებს არ აცილებდა და თუ შეამჩნევდა, აი, ახლა, ვან ბერლეს რაღაც გაუხარდა, პირზე ღიმილმა გადაურბინა ან თვალში სიხარულის ნაპერწკალმა გაუელვაო, მეზობელს იმდენ წყევლაკრულვას შეუთვლიდა ხოლმე, სწორედ საკვირველი იყო, ამდენი შხამიანი, შურიანი ამონასუნთქი ყვავილებს როგორ არ აჭკნობდა.

ბოროტება კაცის გულს სახმილივით სწრაფად ედება. ბოქსტელს კორნელიუსის თვალთვალი გულს აღარ უძღობდა და მისი ყვავილების ნახვის სახმილი სწვავდა. გულში ისიც მხატვარი იყო და ერთი სული ჰქონდა, ენახა, რას მიაღწია მეზობელმა.

ისააკმა ჭოგრიტი შეიძინა და ახლა, ვან ბერლეზე ნაკლებ როდი იცოდა, როგორ იზრდებოდა მისი ტიტები: როგორ ამოიწვერებოდა პირველ წელს სუსტი ყლორტი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორ დაბურთდებოდა ნაზი ბუტონი, რომელიც ფერს ბუნდოვნად დაიკრავდა, რომ მერე, როცა გაიფურჩქნებოდა, უცბად გაეცხადებინა საიდუმლო.

ეჰ, კიბეზე ამძვრალ საბრალო მოშურნეს, ვინ იცის, რამდენჯერ დაუნახავს მეზობლის კვლებში თვალისმომჭრელად ტურფა ტიტები!

უნებლიე აღტაცების ტალღა რომ გადაუვლიდა, ბოქსტელს მწველი შური უღრღნიდა გულს და საშინლად იტანჯებოდა.

ვინ იცის, რამდენჯერ დარია ხელი ცდუნებამ, გადამხტარიყო ღამე ბაღში, დაებრდღვნა ყვავილნარი, კბილებით დაეღრღნა ტიტას ბოლქვები და თუკი პატრონი წაასწრებდა და თავისი ყვავილების გამოსარჩლებას გაბედავდა, ისიც ზედ მიეყოლებინა.

ჭეშმარიტი მებაღის თვალში ტიტას ხელყოფა მიუტევებელი ცოდვაა, — კაცისა, ასე თუ ისე, დასაშვებია.

ვან ბერლეს გამუდმებულმა წარმატებამ, რასაც იგი, თითქოს, რაღაც ალღოთი აღწევდა, ბოქსტელი ისე გააბოროტა, რომ უკვე სერიოზულად ფიქრობდა, ეგება, მეზობლის კვლები ქვითა და ჯოხით ჩამექოლაო. თუმცა, ჯერ ჭკუა კიდევ შერჩენოდა და ხვდებოდა, რომ მეორე დილას, როდესაც ვან ბერლე თავისი კვლების მაოხარს მოიძიებდა, კვალი ბოქსტელისკენ წაიყვანდა, რადგან ჯერ ერთი, მათი სახლები ქუჩიდან საკმაოდ მოშორებით იდგა და მეორეც, ამ მეჩვიდმეტე საუკუნეში, აღარც ამალიტიკები[32] იყვნენ სადმე და აღარც ქვა და ჯოხი ცვიოდა ციდან. ავის მქნელს, თუნდაც ღამე ჩაედინა დანაშაული, მაინც მიაგნებდნენ და გასამართლებას ვინ ჩივის, ყველა ევროპელი მებაღის თვალში თავი სამუდამოდ მოეჭრებოდა. ამიტომ მოშურნემ გადაწყვიტა, ისეთი ფანდი ეხმარა, რომელიც არც სახელს გაუტეხდა და გულსაც მოუოხებდა.

ისააკმა ბევრი იფიქრა და მოიფიქრა.

ერთ მშვენიერ ღამეს, ბოქსტელმა ორი კატა დაიჭირა, ათი ფუტის წვრილი საბელით უკანა ფეხებით გადააბა ერთმანეთს და გალავნიდან შიგ მთავარ კვალში — კვლების მეფეთა გულში, ისროლა. ამ კვალში ხარობდა არა მარტო „კორნელ დე ვიტი“, არამედ ქათქათა თეთრი და სისხლივით წითელი „ბრაბანტელი“, ბოლისფერი და ალისფერი „მარმარისებრი“, ჰაარლემში გამოყვანილი „საოცრება“ და კიდევ, „მუქი კოლომბინი“ და „ბაცი კოლომბინი“.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაღალი გალავნიდან ბაღში ნასროლმა გაგიჟებულმა ცხოველებმა ჯერ სხვადასხვა მხარეს გაკურცხლეს, მაგრამ საბელი რომ დაიჭიმა და აღარ გაუშვა, საშინელი ჩხავილით ეცნენ ერთმანეთს და გაკოტრიალდნენ. დაჭიმულმა საბელმა ყვავილები დასხიპა, კატებმა კი მანამ იბრძოლეს და იკოტრიალეს, სანამ საბელს გაწყვტდნენ და გათავისუფლდებოდნენ.

ნაძვს ამოფარებული ბოქსტელი იმ წკვარამში ვერაფერს ხედავდა, მაგრამ კატების ჩხავილმა მიახვედრა, რა დღეში ჩაყრიდნენ გადარეული ცხოველები ვან ბერლეს ტიტებს და გამხიარულდა. მიუხედავად ამისა, ისე სულიმწარედ უნდოდა გაქელილი ტიტების ხილვა, რომ კიბიდან ფეხი არ მოუცვლია და გარიჟრაჟის ცივი ნისლისგან გათოშილს, შურისძიების იმედიღა ათბობდა, რომ გამწარებული მეზობლის დანახვა გადატანილ ტანჯვას გაუქარწყლებდა.

მზის ამოსვლისთანავე, თეთრი სახლის კარი გაიღო და თავის ლოგინში გემრიელად გამოძინებულმა ვან ბერლემ კარგი სიზმრებით ნაამები კაცის ღიმილით გასწია თავისი კვლებისკენ. უცბად, იგი მიტკალივით გათეთრდა: ჯარისკაცივით მწყობრად ჩარაზმული ტიტები ისე ალუფხულიყო, კაცს ეგონებოდა, ბატალიონის შუაგულში ჭურვი აფეთქებულაო.

ბოქსტელს სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა. ოციოდე დაფლეთილი ტიტა მიწას გართხმოდა: ზოგს გადატეხილი ღერო ზედვე ეკიდა, ზოგი ძირს ეგდო და უკვე დამჭკნარიყო. ტიტებს წვენი სდიოდა — უძვირფასესი ტიტების სისხლი, რომლის დანთხევასაც მათ პატრონს საკუთარის დაღვრა ერჩივნა.

უცბად, ვან ბერლე უდიდესმა სიხარულმა, ბოქსტელი კი ენით უთქმელმა მწუხარებამ შეიპყრო. სახელგანთქმული ოთხი ტიტადან, რომელსაც მოშურნე უმიზნებდა, ერთიც არ დაშავებულიყო და დაღუპულ მოძმეთა შორის, ტურფად თავაწეული ყელყელაობდა. ვან ბერლეს გულიდან დარდი გადაეყარა, გაწბილებილი მკვლელი კი სიმწრით თმას იგლეჯდა, რომ საზარელი დანაშაული სულ ტყუილუბრალოდ ჩაიდინა.

დაღუპულ ტიტებზე მგლოვიარე ვან ბერლეს ვერაფრით მოესაზრებინა, რა მომხდარიყო, მაგრამ შინაურებში რომ გაიკითხა, უთხრეს, ბაღიდან, წუხელ, კატების ჩხავილი ისმოდაო. მართლაც, კატის ბრჭყალების ნაკვალევი და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბრძოლის ველზე დარჩენილი ბეწვის ფთილები, რომლებზეც გულგრილად მოციალე ნამის წვეთები შერჩენილიყო, ცხადყოფდა, რომ ბალში კატები შეპარულიყვნენ. ვან ბერლემ, მსგავსი უბედურების სამერმისოდ ასაცილებლად, განკარგულება გასცა, დაუყოვნებლივ დაედგათ კვლებთან საყარაულო, სადაც მებალის დამხმარე ბიჭი ღამეს გაათევდა.

ბოქსტელმა გაიგონა, რა განკარგულება გასცა ვან ბერლემ, დაინახა, როგორ ააგეს ბალში, იმავე დღეს, საყარაულო და თუმცა, კმაყოფილი იყო, რომ მასზე ეჭვი არ აულიათ, ბოლმა უფრო მოერია და გადაწყვიტა, ილბლიან მეყვავილეზე შურის საძიებლად ხელსაყრელ დროს დალოდებოდა.

ეს ამბავი დაახლოებით მაშინ მოხდა, როდესაც ქალაქ ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოებამ განაცხადა, რომ იმ მებალეს, ვინც გამოიყვანდა დიდ შავ ტიტას, რომელსაც არცერთი ფორეჯი არ ექნებოდა, ჯილდოდ ასი ათას ფლორინს გადასცემდა, – სრულიად წარმოუდგენელი და გადაუჭრელი ამოცანა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს ბუნებაში ყავისფერი ტიტაც კი არ არსებობდა. შავი ტიტას გამოყვანა იმდენად წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ, რომ ამბობდნენ: ნეტა, რას ჰკარგავენ, თუნდაც მილიონი დაეწესებინათ, მაგ ამოცანას მაინც ვერავინ გადაჭრისო.

მიუხედავად ამისა, ტიტების ტრფიალთა მთელი სამყარო დიდ მღელვარებას აეტანა.

რას იზამთ, ასეთი გახლავთ ძალა მეყვავილეთა წარმოსახვისა. კი გაიძახოდნენ, მაგ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელიაო, მაგრამ ზოგი მაინც ოცნებობდა შავ ტიტაზე, რომელიც ისეთივე ქიმერად[33] მოჩანდა, როგორც ჰორაციუსის შავი გედი ან ფრანგული ლეგენდის თეთრი შაშვი.

ვან ბერლეც იმათ ამქარს ეკუთვნოდა, ვინც ამ იდეის განხორციელებამ გაიტაცა. როდესაც მისმა გამჭრიახმა და შემოქმედმა ჭკუამ ეს იდეა კარგად გაჩხრიკა და გაითავისა, კორნელიუსმა დინჯად მოკიდა საქმეს ხელი, რათა წითელი ტიტა ჯერ ყავისფრად, მერე კი მუქყავისფრად გადაექცია.

მკითხველისთვის, იქნებ, საინტერესოც ყოფილიყო ლამაზი თეორია, რომ ტიტა ბუნების ძალთა მეშვეობით იფერება და მებალისთვის, რომელიც ნიჭიერად გამო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყენებს მზის სითბოს, წყლის სილბოსა და ჰაერის ძვრას, შეუძლებელი არაფერია, მაგრამ ამჯერად, რადგან ტიტებზე ტრაქტატის დაწერას არ ვაპირებთ, მხოლოდ ერთი ტიტას თავგადასავალს მოგითხრობთ.

ლამის ჭკუიდან შეშლილმა ბოქსტელმა, რომ მეტოქეს ვერაფერი დააკლო, მებაღეობაზე გული აიყარა და ბერლეს თვალთვალის გარდა, აღარაფერს დაგიდევდათ. მისი ჭოგრიტი მისხალ-მისხალ აღნუსხავდა, რა ხდებოდა მეტოქის მზიან ეზოსა და ნათელ ოთახებში, რომელიც ყუთებს, კარადებს, კოლოფებსა და იარლიყებს გაევსო. ისააკს თავისი ბოლქვები მიწაში ულპებოდა, ყუთში ჩარგული ნარგავები უხმებოდა, მისი ტიტები მოუვლელობით კვლებში ჭკნებოდა, ის კი, ოღონდ მეზობლის ბაღსა და სათბურში არაფერი გამოპარვოდა, ჭოგრიტს არც დღისით და არც ღამით არ სცილდებოდა.

საქმე ის გახლდათ, რომ ყველაზე საინტერესო სამუშაო სხვა დროს და სხვაგან სრულდებოდა. როდესაც საათი ღამის პირველ საათს დაჰკრავდა, ვან ბერლე შემინულ ლაბორატორიაში ადიოდა, სადაც ბოქსტელის ჭოგრიტი თავისუფლად დათარეშობდა და როგორც კი, დღის სინათლის ნაცვლად, იქაურობას მეცნიერის სანთლები გაანათებდა, თავისი თვალით ხედავდა, როგორ ამოქმედდებოდა ხოლმე მეტოქის გენია. იგი ხედავდა, როგორ ცხრილავდა ვან ბერლე თესლს, როგორ ნამავდა რაღაც სითხით საჭირო ძვრის გამოსაწვევად, როგორ ათბობდა, ალბობდა და აჯვარებდა. ვან ბერლე სულ სხვანაირ, ოსტატურად შერჩეულ, ფაქიზ მყნობას იყენებდა. ბოქსტელის მეზობელი თესლს, რომელსაც ყვავილი შავად უნდა შეეფერა, სიბნელეში ათავსებდა, წითლად დასაფერად, მზის ან სანთლის შუქს უმარჯვებდა, ხოლო თეთრი ტიტას გამოსაყვანად, წყლიდან არეკლილ შუქზე დებდა.

მოშურნეს ჭოგრიტი წვრილად აღნუსხავდა მეტოქის უვნებელ მაგიას — ბავშვური ოცნებისა და მოწიფული კაცის ნიჭის ნაზავს, მუყაით შრომას, რისი უნარიც, ისააკის აზრით, თავად არ ჰქონდა, — აღნუსხავდა მთელ მის ცხოვრებას და მხედველობიდან არაფერი ეპარებოდა.

უცნაურია, მაგრამ ისააკ ბოქსტელს შურსა და მტრობაზე ვერც ხელოვნების დიდმა სიყვარულმა ააღებინა ხელი. ზოგჯერ, როცა მეზობელს ჭოგრიტს დაუმიზნებდა ხოლმე,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წარმოიდგენდა, რომ ხელში ულალატო მუშკეტი ეჭირა და მისი თითი უნებლიეთ ეძებდა ჩახმახს, რომ გამოეკრა და მეტოქე მოეკლა.

ახლა კი დროა, დღეები, როცა ერთი შრომობდა, მეორე კი უთვალთვალებდა, კორნელ დე ვიტის მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლას დავუკავშიროთ.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

VII
ბედნიერი კაცი უბედურდება

1672 წლის იანვარს, საღამოხანს, კორნელიუს დე ვიტი, მას შემდეგ, რაც ოჯახის საქმეს თავი დაადგა, თავის ნათლულ ვან ბერლეს ეწვია.

კორნელიუს დე ვიტს, მართალია, არც მებაღეობის დიდი მცოდნე ეთქმოდა და არც ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი, მაგრამ მასპინძელთან ერთად, მთელი სახლი დაიარა და სახელოსნო იყო, სათბური, სურათები, თუ ტიტები, უნახავი არაფერი გამორჩენია. რაბების მთავარმა მეთვალყურემ დიდი მადლობა გადაუხადა თავის ნათლულს, შვიდი პროვინციის საადმირალო ხომალდზე საუთვორდის ბრძოლაში მონაწილეობისთვის და იმისთვისაც, რომ ეგზომ დიდებულ ტიტასთვის მისი სახელი დაერქმია.

სანამ კორნელიუს დე ვიტი ნათლულის საგანძურს ათვალიერებდა და მასპინძელს მამა-შვილურად ესაუბრებოდა, ცნობისმოყვარეებს ბედნიერი კაცის სახლთან მოეყარათ თავი და რაბების მთავარი მეთვალყურის გამოჩენას ერთგვარი მოწიწებითაც კი ელოდნენ.

ქუჩიდან შემოსულმა ხმაურმა ბოქსტელის ყურადღებაც მიიპყრო, რომელიც ცეცხლის პირას ვახშამს შეექცეოდა. ისააკმა ხმაურის მიზეზი გაარკვია, თავის ლაბორატორიაში აიჭრა და სიცივის მიუხედავად, ჭოგრიტი თვალზე მიიდო.

ჭოგრიტისთვის, კარგა ხანია, ხელი აღარ მოეკიდა. ზამთარში, აღმოსავლეთის მკვიდრი, მცივანა ტიტა ღია ცის ქვეშ ვერ ძლებს და ამ დროს, მას ოთახები, ყუთებში ჩაფენილი რბილი ქვეშაგები და ღუმელი სჭირდება. ვან ბერლე, ზამთრობით, მთელ დღეს თავის ლაბორატორიაში, თავის ნახატებსა და წიგნებთან ატარებდა და სათბურში ათასში ერთხელ, მხოლოდ იმიტომ თუ შეიხედავდა, რომ ჭერში ამოჭრილი სარკმელი გაეღო და ოთახში ზამთრის იშვიათი მზე შემოეშვა.

კორნელიუს დე ვიტმა, მას შემდეგ, რაც მთელი სახლი დაიარა, ნათლულს წასჩურჩულა:

— შვილო, მსახურები დაითხოვეთ და ეცადეთ, მარტონი დავრჩეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კორნელიუსმა, თანხმობის ნიშნად, თავი დაუკრა და ხმამაღლა მიმართა:

– ბატონო კორნელიუს, საშრობის დათვალიერებას ხომ არ ინებებთ?

საშრობისო! საშრობი ეს მებაღეთა "pandaemonium" გახლავთ და იქ შესვლის უფლება, როგორც დელფოსში[34], მხოლოდ განდობილთ აქვთ.

როგორც იტყოდა დიდი რასინი[35], რომლის ნიჭიც სწორედ იმ ეპოქაში იფურჩქნებოდა, მსახურის ულირს ფეხს მისი ზღურბლისთვის არასდროს გადაებიჯებინა. იქ ტრიალის უფლება მხოლოდ კორნელიუსის ბებერ ძიძასა და მის ცოცხს ჰქონდა. მოხუცი ქალი ხომ, მას შემდეგ, რაც კორნელიუსმა ტიტების მოშენებას მიჰყო ხელი, რაგუს ხახვს აღარ უშვრებოდა, იმის შიშით, ვაითუ, ამერიოს და ხახვის ნაცვლად, ჩემი გაზრდილის ღვთაება დავჭრა და მოვშუშოო.

მოკლედ, საშრობის ხსენებაზე, ხელშანდლიანი მსახურები მოწიწებით გადგნენ განზე. კორნელიუსმა გვერდით მდგარ მსახურს შანდალი გამოართვა და ნათლიას საშრობისკენ გაუძღვა.

საშრობი სწორედ ის ოთახი იყო, რომელსაც ბოქსტელი თავისი ჭოგრიტს არ აშორებდა. მოშურნე, ცხადია, უკვე საგუშაგოზე იდგა. მან ჯერ დაინახა, როგორ განათდა ოთახის ფანჯრები და კედლები, მერე, როგორ გამოჩნდა ორი ლანდი. ერთმა მაგიდაზე შანდალი დადგა, მეორე კი, ტანადი, მკაცრი და დიდებული, მაგიდას მიუჯდა და ისააკმა კორნელიუს დე ვიტის ფერმკთალი სახე და შუაზე გაყოფილი, მხრებზე დაფენილი თმა იცნო.

რაბების მთავარმა მეთვალყურემ ვან ბერლეს რაღაც უთხრა, გულის ჯიბიდან დალუქული პაკეტი ამოიღო და ნათლულს გადასცა. ტუჩების მოძრაობის მიხედვით, ბოქსტელმა ვერ გაარჩია, რას ეუბნებოდა დე ვიტი თავის ნათლულს, მაგრამ ვან ბერლემ პაკეტი ისეთი სახით ჩამოართვა და კარადის უჯრაშიც ისე საგულდაგულოდ ჩაკეტა, ისააკი მიხვდა, რომ შიგ რაღაც მნიშვნელოვანი იდო.

ერთი პირობა, ისააკმა გაიფიქრა, პაკეტში, ალბათ, ბენგალიიდან ანდა ცეილონიდან ჩამოტანილი ბოლქვებიაო, მაგრამ გაახსენდა, რომ კორნელიუს დე ვიტს მხოლოდ ადამიანები აინტერესებდა – თუმცა ისინი ყვავილებს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სილამაზით ვერ დაედრეკოდნენ და მათი გახარებაც შეუდარებლად ძნელი იყო, – და დაასკვნა, რომ იმ პაკეტში უმნიშვნელოვანი პოლიტიკური საბუთები ინახებოდა.

რა ესაქმებოდა ვან ბერლეს პოლიტიკასთან? აკი საგრაბახოდაც კი ჰქონდა, რომ ამ მეცნიერებას ახლოსაც არ ეკარებოდა და ყოველთვის ამბობდა: პოლიტიკა, ქიმიასა და ალქიმიაზე[36] ბნელი საქმეაო.

კორნელიუს დე ვიტს, რომელიც თანამოქალაქეთა ნდობას კარგავდა, ძალიან ეშმაკურად მოეფიქრებინა, საბუთები თავისი ნათლულისთვის მიებარებინა. ყველამ ჩინებულად იცოდა, რომ ვან ბერლეს პოლიტიკისგან თავი შორს ეჭირა და მის სახლში ქაღალდების ძებნას არავინ დაიწყებდა.

პირველ ყოვლისა, პაკეტში რომ ტიტას ბოლქვები დებულიყო, ბოქსტელის მეზობელს გული არ მოუთმენდა და მაშინვე გახსნიდა. არადა, ვან ბერლემ პაკეტი, რომელიც მოწიწებით ჩამოართვა რაბების მთავარ მეთვალყურეს, ასეთივე მოწიწებით, მაგრამ მაშინვე უჯრაში ჩადო და ღრმად შეაცურა – ალბათ იმიტომ, რომ არავის დაენახა და კიდევ, თავისი უიშვიათესი ბოლქვებისთვის, რომელსაც ამავე უჯრაში ინახავდა, მეტი ადგილი რომ დაეტოვებინა.

კორნელ დე ვიტი, როგორც კი პაკეტი უჯრაში დაიგულა, წამოდგა და კარისკენ გაემართა. ვან ბერლემ შანდალს ხელი დაავლო, ნათლიას წინ გაუსწრო და გზა გაუნათა.

სანთლის შუქმა ნელ-ნელა დატოვა შემინული ოთახი, მერე მისი ალი კიბეზე გაკრთა, მერე კიბის მოსახვევში და ბოლოს ქუჩაში ალიცლიცდა, სადაც ხალხი შეყრილიყო, რათა ენახა, როგორ ჩაჯდებოდა ეტლში რაბების მთავარი მეთვალყურე.

მოშურნეს ვარაუდი არ შეშლია. პაკეტში, რომელიც კორნელიუსმა ნათლულს გადასცა, იან დე ვიტის მიმოწერა იდო მარკიზ დე ლუვუასთან. ვან ბერლეს ეჭვადაც არ ჰქონდა, რა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საბუთს ინახავდა, რადგან კორნელიუს დე ვიტმა მხოლოდ ის უთხრა, რომ პაკეტი მის გარდა, ან მისი პირადი წერილის გარეშე, არავისთვის მიეცა.

ჩვენს სწავლულს, მას შემდეგ, რაც რაბების მთავარი მეთვალყურე თვალს მიეფარა, ხალხი დაიშალა და ჩირაღდნებიც ჩაქრა, პაკეტი აღარც გახსენებია. სამაგიეროდ, გაიხსენა იგი ბოქსტელმა და გაიხსენა საკმაოდ გულმოდგინედაც. ისააკი პაკეტს ისე უყურებდა, როგორც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოცდილი ბოცმანი უყურებს ხოლმე ცისკიდურზე გაჩენილ პაწაწკინტელა ღრუბელს, რომელიც რაც უფრო ახლოვდება, მით უფრო იზრდება და ქარიშხლის მომასწავებელია.

ასე დაიწყო ამ ამბის ქორონიკონი, დორდრეხტის ნოყიერი მიწებიდან, ვიდრე ჰაადამდე. ახლა კი, როცა დაგიმტკიცეთ, რომ დე ვიტებსაც კი არ ჰყოლიათ ისეთი შეურიგებელი მტერი, როგორიც ვან ბერლეს მეზობელი მინხერ ისააკ ბოქსტელი იყო, მოდით მყოფადში გადავინაცვლოთ და ვნახოთ, რას მოგვითხრობს შემდეგი თავები.

ამასობაში, ჩვენი ჭაბუკი სწავლული, რომელიც პოლიტიკას არაფრად აგდებდა, ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოების დასახულ მიზანს ისე მიუახლოვდა, რომ ჯერ წაბლისფერი ტიტა, მერე კი მუქი ყავისფერი გამოიყვანა.

იმ დღეს, როდესაც ჰაადაში ჩვენთვის უკვე ცნობილი მნიშვნელოვანი ამბავი ხდებოდა, კვლებთან ჩამუხლული ვან ბერლე მიწიდან მოხალული ყავისფერი ტიტას ბოლქვებს იღებდა, რომელიც 1673 წლის გაზაფხულზე უნდა აყვავებულიყო და სწორედ ისეთი შავი ტიტა გამოება, როგორსაც ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოება მოითხოვდა.

1672 წლის 20 აგვისტოს, კორნელიუსი თავის საშრობში იჯდა, მაგიდაზე იდაყვი დაეყრდნო და ნეტარი სახით დაჰყურებდა სამ პაწაწკინტელა ნაბარტყს, რომელიც ახლახანს ამოთხრილ ბოლქვს გამოეტანა. თუ ცდა იღბლიანად დაბოლოვდებოდა, ეს უზადო, პაწაწინა ბოლქვები, ეს ბუნებისა და მეცნიერების ნაზავის საოცრება, სამუდამოდ განადიდებდა ვან ბერლეს სახელს.

— როდესაც დიდ შავ ტიტას გამოვიყვან და შეპირებულ ჯილდოს მივიღებ, — თავისთვის ბუტბუტებდა კორნელიუსი, — იმ ასი ათას ფლორინს დორდრეხტის ღარიბებს დავურიგებ და თავიდან ავიცილებ სიძულვილს, რასაც სამოქალაქო ომის დროს იწვევს ხოლმე მდიდარი კაცი. ასე თუ მოვიქცევი, არც რესპუბლიკელების შიში მექნება, არც ორანელებისა და ჩემ კვლებსაც ძველებურად, როგორც წესი და რიგია, ისე მოვუვლი. მაშინ აღარ შემეშინდება, რომ დორდრეხტის მედუქნეები და მეზღვაურები მომივარდებიან და ბოლქვებს თავიანთი ოჯახების გამოსაკვებად ამომითხრიან, — როგორც ჩუმად იმუქრებიან ხოლმე, როდესაც ყურს მოკრავენ, რომ ერთ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოლქვში ორასი ან სამასი ფლორინი გადავიხადე. ჰო, ასე ვიზამ, ავდგები და ჰაარლემის ჯილდოს, იმ ასი ათას ფლორინს, სულ ღარიბებს დავურიგებ! არადა...

აქ კორნელიუსი შედგა და ამოიოხრა...

– არადა, – განაგრძო მან, – რა კარგი იქნებოდა, რომ იმ ასი ათასი ფლორინით ჩემი ყვავილნარი გამემდიდრებინა ანდა აღმოსავლეთში, ტურფა ტიტების სამშობლოში მემოგზაურა! ეჰ, რა დროს ამაზე ოცნებაა! ახლა ბაირაღების, მუშკეტების, დაფდაფებისა და მოწოდებების დროა.

ვან ბერლემ ცას ახედა და ამოიოხრა. მერე ისევ თავის ბოლქვებს დახედა, რომლებზედაც მაინც გაცილებით მეტს ფიქრობდა, ვიდრე ბაირაღებზე, მუშკეტებსა და მოწოდებებზე.

– არა, მაინც რა ლამაზია! რა მშვენიერი ფორმა აქვს, რა სევდიანი გარეგნობა! ეს სევდიანობა ჩემს ტიტას ებანოზის ხის ფერს უქადის. ისეთი წვრილი ძარღვები გასდევს, შეუიარაღებელი თვალით ვერც შეამჩნევ. არა, ჩემი ნახელავი ყვავილის ძაძებს ერთი ნათელი წერტილიც კი არ შებღალავს.

რა დავარქვა ჩემი შრომის, ფიქრისა და გატეხილი ღამეების ნაყოფს? "Tulipa nigra Barlaensis"[37]... დიახ, Barlaensis. მშვენიერი სახელია. ტიტების მცოდნე ყველა ევროპელს, ანუ ლამის მთელ განათლებულ ევროპას, შეძრავს ცნობა: დიდი შავი ტიტა არსებობს!

– რა ჰქვია? – იკითხავენ მოყვარულები.

– Tulipa nigra Barlaensis.

– რატომ Barlaensis?

– მისი შემოქმედის, ვან ბერლეს პატივსაცემად!

– ვინ არის ვან ბერლე?

– ის, ვინც უკვე გამოიყვანა ხუთი ახალი ჯიში: „ჟანა", „იან დე ვიტი", „კორნელიუსი" და ა.შ.

აი, ეს არის ჩემი პატივმოყვარეობა და იგი ცრემლის ფასად არავის უჯდება. "Tulipa nigra Baerlensis", მასზე მაშინაც კი ილაპარაკებენ, როდესაც გამოჩენილი პოლიტიკოსის, ნათლიაჩემის სახელს, მხოლოდ ჩემი ტიტა შემოინახავს. არა, მაინც რა მშვენიერი ბოლქვებია!

როდესაც ჩემი ტიტა აყვავდება, იქნებ იმ დროისთვის ჰოლანდიაც დაწყნარდეს.

მაშინ ღარიბებს მხოლოდ ორმოცდაათი ათას ფლორინს დავურიგებდი. კაცმა რომ თქვას, ესეც ბევრია კაცისგან,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვისაც არავისი მართებს. დანარჩენ ორმოცდაათი ათასს კი მეცნიერული ცდისთვის დავხარჯავდი და ტიტას სურნელს მივანიჭებდი. მართლაც, რა კარგი იქნებოდა, ვარდის, მიხაკის, ან რაიმე ახალი სურნელი მიმენიჭებინა! ანდა, სულაც, ამ ყვავილთა მეფეთ-მეფესთვის თავისი, ბუნებისგან მომადლებული სურნელი დამებრუნებინა, რაც ეტყობა მაშინ დაკარგა, როდესაც აღმოსავლეთის ტახტი დატოვა და ევროპაში გადმოიხვეწა, – სურნელი, რომელიც ალბათ, ექნებოდა ინდოეთს, გოას, ბომბეიში, მადრასსა და მითუმეტეს, კუნძულზე, რომელსაც ამქვეყნიურ სამოთხედ სახავენ და ცეილონი[38] ჰქვია!.. უჰ, რა დიდებას მოვიხვეჭდი! ასე რომ მოხდებოდეს, გეფიცებით, რომ ალექსანდრე მაკედონელის[39], ცეზარისა[40] და მაქსიმილიანეს სახელს, ვან ბერლეს სახელს ვამჯობინებდი!

– გადასარევი ბოლქვებია!

ნეტარ ფიქრში წასული კორნელიუსი თავისი ბოლქვების ცქერით ტკბებოდა, როდესაც კარზე უჩვეულოდ მკვახედ დარეკეს. კორნელიუსი შეკრთა, პაწია ბოლქვებს ხელი დააფარა და კარისკენ გაიხედა.

– ვინ არის?

– ბატონო, ჰააგიდან შიკრიკი მოიჭრა, – მიუგო მსახურმა.

– ჰააგიდან? რა მინდაო?

– ბატონო, კრაკე ჩამოვიდა.

– კრაკე? იან დე ვიტის ერთგული მსახური? ჰო, კარგი, კარგი, დამელოდოს!

– ვერ დაგელოდებით, – მოისმა დერეფნიდან და კრაკე, რომელმაც წესსა და რიგს აღარ დასდია, მსახური განზე გასწია და კორნელიუსს პირდაპირ საშრობში შეუვარდა.

ეს ისეთი გაუგონარი ხელყოფა გახლდათ ვან ბერლეს სახლში გაბატონებული წესისა, რომ კორნელიუსი დამდუღრულივით შეხტა და ორი პაწაწკინტელა ბოლქვი ხელიდან გაუვარდა. ერთი ბოლქვი მაგიდის ქვეშ შეგორდა, მეორე კი ბუხარში ჩავარდა.

– დასწყევლოს! – თქვა კორნელიუსმა და თავის ბოლქვებს გამოუდგა, – რა მოხდა კრაკე?

– რა და, აი ეს ბარათი, ბატონო, – კრაკემ ბარათი ამოიღო და მაგიდაზე დარჩენილ პაწია ბოლქვს გვერდით მიუდო, – ახლავე უნდა წაიკითხეთ და წამიც არ დაკარგოთ.

ამ სიტყვების შემდეგ, კრაკე, რომელსაც დორდრეხტის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქუჩებში ჰააგის დარი არეულობის ნიშნები შეემჩნია, უკანმოუხედავად გავიდა და გაქრა.

– კეთილი, კეთილი, ჩემო კარგო კრაკე, – ოთხზე დამდგარ კორნელიუსს თავი მაგიდის ქვეშ შეეყო, – წავიკითხავთ, წავიკითხავთ, მაგ თქვენს ბარათს.

კორნელიუსმა ბოლქვი ხელისგულზე დაიდო და გაფაციცებული დააცქერდა.

– არა, არაფერი მოსვლია. ეშმაკმა წაიღოს კრაკე, ცოფიანივით არ შემომივარდა საშრობში! ახლა მეორეც მოვძებნოთ.

ვან ბერლე, მუჭში მომწყვდეული ბოლქვიანად, ბუხარს მივარდა, ჩაიმუხლა და ნაცარი გაჩხრიკა. საბედნიეროდ, ნაცარი ცივი იყო და მეორე ბოლქვიც მალე იპოვა.

– აი მეორეც!

კორნელიუსი მამაშვილური სიყვარულით დააცქერდა ბოლქვს.

– ესეც მთელია! – თქვა ბოლოს.

ბუხართან ჩამუხლული კორნელიუსი ჯერაც ბოლქვის თვალიერებით იყო გართული, როდესაც ვიღაცამ საშრობის კარი ისეთი ძალით შემოგლიჯა, რომ კორნელიუსმა იგრძნო, როგორ აუწვა სახე უვარგისმა მრჩეველმა, რისხვამ.

– რა მოხდა, დღეს ყველა ჭკუიდან შეიშალეთ?!

– ბატონო, ბატონო! – საშრობში შემოვარდნილ მსახურს კრაკეზე უფრო შეშინებული და დაბნეული სახე ჰქონდა.

– რა მოხდა? – ვან ბერლეს სახლში გაბატონებული წესის ზედიზედ ორჯერ დარღვევა ცუდად ენიშნა.

– ოჰ, ბატონო! – ყვიროდა მსახური, – გაიქეცით! ჩქარა, ჩქარა!

– გავიქცე? რატომ?

– ბატონო, სახლი გუშაგებით გაივსო!

– რა უნდათ?

– თქვენ გეძებენ!

– რატომ?

– გაპატიმრებენ!

– მე მაპატიმრებენ, მე?

– დიახ, ბატონო და მოსამართლეც თან ახლავთ.

– ნეტა რა მოხდა? – ვან ბერლეს ბოლქვები ჩაებღუჯა და კიბისკენ დაბნეული იხდებოდა.

– აქეთ მოდიან, აქეთ! – ყვიროდა მსახური.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვაიმე, ჩემო ბატონო, ჩემო ბიჭო, – მოთქმით შემოვიდა საშრობში კორნელიუსის ძიძა, – აიღეთ ოქრო, თვალმარგალიტი და გაიქეცით.

– როგორ გავიქცე? – იკითხა ვან ბერლემ.

– ფანჯრიდან გადახტით!

– მიწამდე ოცდახუთი ბიჯია!

– ფხვიერი მიწაა.

– ჰო, მაგრამ ჩემს ტიტებს გავქელავ!

– მაინც გადახტით!

ვან ბერლემ მესამე ბოლქვსაც დაავლო ხელი და ფანჯარა გამოაღო, მაგრამ როდესაც წარმოიდგინა, რა ძალით დაეცემოდა თავის კვლებს და რამდენ ტიტას გაქელავდა, კისრის მოტეხვაზე უფრო შეზარა.

– არა, ამას ვერ ვიზამ!

ვან ბერლემ უკან დაიხია და ამ დროს, კიბის თავიდან, ჯარისკაცთა არბალეტებიც ამოიწვერა. კორნელიუსის ძიძამ ხელი ცისკენ აღაპყრო.

ვან ბერლეს სანაქებოდ უნდა ვთქვათ, – ოღონდ კაცისა კი არა, მეყვავილისა, – რომ იგი მხოლოდ თავის ნანინანატრ ბოლქვებზე ზრუნავდა და რამე ქაღალდს ეძებდა, რომ შიგ გაეხვია. კორნელიუსმა ბიბლიის ფურცელი დაინახა, რომელიც კრაკეს საშრობზე დაედო. აფორიაქებულს, არც კი გახსენებია, ვის შეიძლებოდა იქ დაედო, ქაღალდი აიღო, სამივე ბოლქვი შიგ გაახვია და უბეში ჩაიდო.

– თქვენ ექიმი კორნელიუს ვან ბერლე ხართ? – ჰკითხა მოსამართლემ, თუმცა ჩინებულად იცნობდა ვან ბერლეს, მაგრამ იგი მართლმსაჯულების წესს იცავდა, რაიც მოგეხსენებათ, საქმეს სხვანაირ ელფერს სძენს ხოლმე.

– დიახ, ბატონო ვან სპენენ და ეს თქვენც მშვენივრად მოგეხსენებათ, – თავაზიანად დაუკრა თავი კორნელიუსმა.

– გადმოგვეცით შეთქმულების დამადასტურებელი საბუთები, რომელსაც მალავთ.

– შეთქმულების დამადასტურებელი საბუთები? – ვან ბერლე გაოგნებული იყო ამგვარი მოპყრობით.

– ოჰ, თავს გაოცებულად ნუ მოგვაჩვენებთ!

– ბატონო ვან სპენენ, გეფიცებით, არ ვიცი, რაზე მეუბნებით.

– თუ ასეა, მე გაგახსენებთ. გადმოგვეცით საბუთები, რომელიც მოღალატე კორნელიუს დე ვიტმა, იანვრის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვეში თქვენ გადმოგცათ.

კორნელიუს თვალში სხივი გაუკრთა.

– ოჰ, გაგახსენდათ?

– დიახ, მაგრამ თქვენ შეთქმულების დამადასტურებელ საბუთებს ითხოვთ, მე კი მსგავსი არაფერი მაქვს.

– უარს გვეუბნებით?

– ცხადია!

მოსამართლე შეტრიალდა და კაბინეტს თვალი მოავლო.

– რომელ ოთახს ჰქვია საშრობი?

– სწორედ საშრობში იმყოფებით.

მოსამართლემ პატარა ბარათს დახედა, რომელიც მაგიდაზე, ქაღალდების ზემოდან ეგდო.

– კეთილი, – თქვა გულდაჯერებულმა და ისევ მიმართა ვან ბერლეს, – აბა, მომცემთ თუ არა, იმ საბუთებს?

– რა უფლება მაქვს, ბატონო სპენენ? ის ქაღალდები მე შესანახად მომაბარეს, მობარებული კი წმიდათა-წმიდაა!

– ექიმო კორნელიუს, შტატების სახელით გიბრძანებთ, ეს უჯრა გამოაღოთ და ქაღალდები გადმომცეთ! – თქვა მოსამართლემ და ბუხართან რომ იდგა, იმ კომოდის მესამე უჯრაზე მიუთითა.

პაკეტი, რომელიც რაბების მთავარმა მეთვალყურემ კორნელიუსს გადასცა, მართლაც, ამ კომოდის უჯრაში იდო. აშკარა იყო, პოლიციამ ყველაფერი იცოდა.

– აჰა, გვეურჩებით? – მოსამართლემ დაინახა, რომ გაოცებული ვან ბერლე ფეხს არ იცვლიდა და თავად მივიდა კომოდთან, – თუ ასეა, მე თვითონ ავიღებ.

ვან სპენენმა უჯრა ბოლომდე გამოსწია. თვალში ჯერ ჩანალიკებული, ორი ათეული იარლიყიანი ბოლქვი მოხვდა, მერე, პაკეტიც დაინახა, რომელიც ხელუხლებლად იდო, მას შემდეგ, რაც ბედკრულმა კორნელიუს დე ვიტმა თავის ნათლულს მიაბარა.

მოსამართლემ ლუქი გატეხა, პაკეტი გახსნა და როდესაც პირველ ფურცელს თვალი ხარბად გადაავლო, მრისხანედ შესძახა:

– ოჰო, მართლმსაჯულებისთვის ტყუილად არ უცნობებიათ!

– რაო? – გაუკვირდა კორნელიუსს, – რა ბრძანეთ?

– ეჰ, ბატონო ვან ბერლე, თვალთმაქცობა იკმარეთ და გამოგვყევით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რას ჰქვია, გამოგყვეთ!

– რას და იმას, რომ დაპატიმრებული ხართ, შტატების სახელით.

ვილჰემ ორანელს, ის-ის იყო, შტატჰალტერად სვამდნენ და მისი სახელი კაცის დასაპატიმრებლად ჯერ არ კმაროდა.

– დაპატიმრებული? – შეჰყვირა ვან ბერლემ, – სამაგისო რა დავაშავე?

– ეგ ჩემი საქმე არ გახლავთ, მაგას თქვენს მსაჯულებს ჰკითხავთ.

– სად?

– ჰაგაში.

გაოგნებულმა კორნელიუსმა გულშემოყრილ ძიძას აკოცა, ატირებულ მსახურებს ხელი ჩამოართვა და მოსამართლეს გაჰყვა. მოსამართლემ ვან ბერლე, როგორც სახელმწიფო დამნაშავე, კარეტაში ჩაკეტა და ჰაგაში გააქანა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

VIII
მძარცველი

ცხადია, ხვდებით, რომ ყველაფერი იმ წყეულ მინ-ჰერ[41] ისააკ ბოქსტელის ნაქნარი გახლდათ. ისააკმა ვერ გაიგონა, რას ეუბნებოდა კორნელიუს დე ვიტი თავის ნათლულს, მაგრამ სამაგიეროდ, ჭოგრიტის წყალობით დაინახა, რა რუდუნებით ჩადო ვან ბერლემ პაკეტი იმ უჯრაში, სადაც ყველაზე ძვირფასს ბოლქვებს ინახავდა და მიხვდა, რომ რაბების მთავარმა მეთვალყურემ თავის ნათლულს ფრიად მნიშვნელოვანი ქაღალდები გადასცა.

ისააკ ბოქსტელმა, რომელიც პოლიტიკას თავის მეზობელზე გაცილებით დიდ ყურადღებას აქცევდა, შეიტყო თუ არა, ჰაგაში კორნელიუს დე ვიტი დააპატიმრეს და სახელმწიფო დამნაშავედ გამოაცხადესო, მაშინვე გაიფიქრა: ჩემი ერთი სიტყვა და ვან ბერლეს თავისი ნათლიის გზას გაუყენებენო.

მართალია, გულღმო მოშურნეს ვან ბერლეს ავი გაახარებდა, მაგრამ იმის გაფიქრებამ, რომ მის ბეზღებას შეიძლებოდა კორნელიუსი ეშფოტზე აეყვანა, თავზარი დასცა.

ბოროტი ფიქრი იმით არის საშიშარი, რომ უკეთური სულის კაცს ნება-ნება, შეუმჩნევლად ეპატრონება.

მინჰერ ბოქსტელი თავს ასეთი სოფიზმითაც იგულიანებდა:

„კორნელიუს დე ვიტი ცუდი მოქალაქეა, რადგან ბრალად სახელმწიფოს ღალატი დასდეს და დააპატიმრეს.“

„მე კარგი მოქალაქე ვარ, რადგან ჩემთვის ბრალი ქვეყნად არაფერში დაუდევთ და ქარივით თავისუფალი ვარ.“

„ხოლო, თუ კორნელიუს დე ვიტი ცუდი მოქალაქეა, – ამას კი წყალი არ გაუვა, რაკიღა ბრალად სახელმწიფოს ღალატი დასდეს და დააპატიმრეს, – მისი თანამზრახველი კორნელიუს ვან ბერლე იმაზე უკეთესი მოქალაქე ვერ იქნება.!“

„მაშასადამე, რადგან მე, ისააკ ბოქსტელი, კარგი მოქალაქე ვარ, ყველა კარგი მოქალაქე კი ვალდებულია, ცუდი მოქალაქე დააბეზღოს, ჩემი ვალია, კორნელიუს ვან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბერლე დავაბეზღო.“

იქნებ, ამგვარ მსჯელობას, რაგინდ ლამაზ საბურველში გახვეულიყო, ბოქსტელი ვერ დაემონებინა, იქნებ, შურისძიებას, რომელიც გულს უძიძგნიდა, არც აჰყოლოდა, რომ შურის დემონს სიხარბის დემონიც არ გაეამხანაგებინა.

ბოქსტელმა იცოდა, რომ ვან ბერლემ წარმატებას მიაღწია.

ხომ, როგორი მოკრძალებული გახლდათ ვან ბერლე, მაგრამ შინაურებთან მაინც ვერ დამალა სიხარული და თქვა, რომ თითქმის დარწმუნებული იყო, ქალაქ ჰაარლემისგან 1673 წელს დაწესებული ჯილდო – ასი ათასი ფლორინი, მას ერგებოდა.

სწორედ ამ სიტყვების გამო აიტანა ისააკ ბოქსტელი საშინელმა ციებ-ცხელებამ.

კორნელიუსის დაპატიმრება მთელ სახლს თავდაყირა დასცემდა და იმ ღამეს ბაღის ყარაულობისა და ტიტების დარდი არავის ექნებოდა.

იმ ღამეს ისააკი ბაღში გადაძვრებოდა და რაკი ჩინებულად იცოდა ადგილი, სადაც ვან ბერლეს შავი ტიტას ბოლქვი დაეფლა, ამოთხრიდა და შინ წამოიღებდა. მერე კი, შავი ტიტა, ვან ბერლეს ბაღის ნაცვლად, მის ბაღში აყვავდებოდა და იმ დიდი პატივის გარდა, რომ ახალ ყვავილს "Tulipa nigra Boxtellensis" უწოდებდნენ, ასი ათასი ფლორინიც მას ერგებოდა.

ასეთი ბოლო ისააკის შურსაც გაუძღებდა გულს და მის სიხარბესაც. მღვიძარს, სულ შავი ტიტა ელანდებოდა, მძინარეს, სიზმრად არ ასვენებდა. 19 აგვისტოს, ღამის ორ საათზე, მინჰერ ისააკ ბოქსტელმა ცდუნებას ველარ გაუძლო და დანებდა. ისააკმა უსახელო წერილი დაწერა და ფოსტით გაგზავნა, ხოლო, წერილის სიმართლეში რომ ეჭვი არავის შეპარვოდა, ზუსტად მიუთითა ის ადგილი, სადაც ვან ბერლემ პაკეტი შეინახა.

ვენეციური ბრინჯაოს ხახაში ჩაცურებულ უსახელო წერილს ასეთი საშინელი შედეგი არასდროს გამოუღია.

უფროსმა მოსამართლემ ისააკის წერილი იმავე საღამოს მიიღო და კოლეგებს დაუყოვნებლივ აცნობა, ხვალ დილას ვიკრიბებითო. მეორე დილას, კრებულმა გადაწყვიტა, ვან ბერლე დაეპატიმრებინა, ბრძანების აღსრულება კი მეტრ ვან სპენენს მიანდო. მოსამართლემ ვალი პირნათლად მოიხადა, როგორც ღირსეულ ჰოლანდიელს ეკადრებოდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და კორნელიუს ვან ბერლე სწორედ მაშინ დააპატიმრა, როცა ჰააგაში იან და კორნელიუს დე ვიტების გვამებს ჯიჯგნიდნენ.

ვერ გეტყვით, სირცხვილის ბრალი იყო თუ გამოცდილების ნაკლებობისა, მაგრამ ბოქსტელმა იმ დღეს ვერ გაბედა, თავისი ჭოგრიტი ვან ბერლეს სახლისთვის ან ბალისთვის დაემიზნებინა. მან უჭოგრიტოდაც მშვენივრად იცოდა, რაც დატრიალდებოდა საბრალო ვან ბერლეს სახლში და ბალიშიდან თავი მაშინაც არ აუღია, როდესაც მისი ერთადერთი მსახური, რომელსაც ვან ბერლეს მსახურების შური ნაკლებად როდი ღრღნიდა, ვიდრე ბოქსტელს მათი პატრონისა, ისააკის ოთახში შევიდა. ბოქსტელმა შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა და მსახურს უთხრა, ლოგინიდან ვერ ავდგებიო.

ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ქუჩიდან ხმაური შემოესმა. ისააკი შეკრთა, ყველა სნეულზე უარესი ფერი დაედო, მართლა ციებაშეყრილივით ააბაბანა და როდესაც ოთახში მსახური შემოვიდა, თავზე საბანი წაიფარა.

— ოჰ, ოჰ, ბატონო, — უთხრა მსახურმა, რომელიც მშვენივრად ხვდებოდა, რომ მეზობლის უბედურებაზე ვაივიშით, პატრონის გულს მოიგებდა, — თუ იცით, ახლა რა ხდება?

— მე საიდან უნდა ვიცოდე? — ხმა გაებზარა ბოქსტელს.

— აი, ამ წუთს, თქვენს მეზობელს, კორნელიუს ვან ბერლეს, სახელმწიფო ღალატის ბრალდებით აპატიმრებენ.

— რას ამბობ? — წამოიკნავლა ბოქსტელმა, — შეუძლებელია!

— რა ვიცი, ასე კი თქვეს და ... ჩემი თვალით დავინახე, როგორ შევიდნენ, მის სახლში, მოსამართლე და მსროლელები.

— ჰო, შენი თვალით თუ დაინახე, მაშინ, სხვა საქმეა, — მიუგო ბოქსტელმა.

— მაინც წავალ და კიდევ გავიკითხავ. ხათრიჯამი იყავით, მოვალ და ყველაფერს გიამბობთ.

ბოქსტელმა თავის კანტურით წააქეზა გულმოდგინე მსახური, რომელიც გავიდა და თხუთმეტიოდე წუთში, უკან მობრუნდა.

— ოჰ, ბატონო, სიმართლე მითქვამს.

— რა სიმართლე?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა და, ბატონი ვან ბერლე დააპატიმრეს, კარეტაში ჩასვეს და ჰააგაში გააქანეს.

– ჰააგაში?

– დიახ და თუ რასაც ამბობენ, მართალია, იქ ახლა ძალიან ცუდი ამბები ხდება.

– მაინც, რას ამბობენ?

– ამბობენ, – ოლონდ ჯერ მხოლოდ ჭორადა თქვეს, – იქ, ახლა, მოქალაქეები იან და კორნელიუს დე ვიტებს ჰკლავენო.

– ოჰ! – ამოიგმინა, უფრო სწორად, ამოიხრიალა ბოქსტელმა და თვალი დახუჭა, რომ საზარელი სურათი თავიდან მოეშორებინა.

– დალახვროს! – გაივლო გულში მსახურმა და ოთახიდან გავიდა, – ეტყობა, მინჰერ ბოქსტელი მართლა ძალიან ავადაა, რაკი ამისთანა ამბავზე ლოგინიდან არ წამოფრინდა.

დიახ, ბატონი ბოქსტელი ძალიან ავად იყო, ავად იყო, როგორც კაცი, რომელმაც ახლახანს მეორე კაცი მოკლა. მაგრამ ამ მკვლელობას ორი მიზანი ჰქონდა. ისააკს ერთი მიზნისთვის უკვე მიეღწია და ხორცშესასხმელი მეორე მიზანიღა რჩებოდა. დაღამდა. ბოქსტელი დაღამებას ელოდა.

დაღამდა თუ არა, ისააკი ადგა.

მერე თავის ნაძვზე აძვრა.

მართალი გამოდგა, ბაღის ყარაულობა აზრად არავის მოსდიოდა. სახლში ყველა და ყველაფერი თავდაყირა დამ-დგარიყო.

გაიგონა, როგორ დარეკა საათმა ათი, მერე თერთმეტი და თორმეტი.

შუაღამე რომ დადგა, გულაძგერებული და გადაფით-რებული ისააკი ხიდან ჩამოცოცდა, აკანკალებული ხელით მიადგა გალავანს კიბე, ზედ აძვრა და მიაყურადა.

სულიერი არსად ჭაჭანებდა. ღამის სიჩუმეს ჩქამიც არ არღვევდა.

მთელი სახლი ჩაბნელებული იდგა და მხოლოდ მოხუცი ძიძის ოთახში ლიცლიცებდა ობოლი სანთელი.

უკუნეთმა და სიჩუმემ ისააკს გული მოუცა, გალავანს გადააჯდა და როდესაც დარწმუნდა, საშიში არაფერიაო, თავისი ეზოდან კიბე ამოათრია, კორნელიუსის ბაღში ჩა-უშვა და საფეხურს ჩაჰყვა. ბოქსტელმა ზეპირად იცოდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის ადგილი, სადაც შავი ტიტას ბოლქვი იყო ჩარგული. ნაკვალევი რომ არ დაეტოვებინა, კვლებზე არ გადასულა, ნანატრ ადგილამდე, ბილიკ-ბილიკ მივიდა და მხეცური სიხარულით ატანილმა, ფხვიერ მიწაში ჩაჰკრა ხელი.

ვერაფერი რომ ვერ იპოვა, ალბათ ადგილი შემეშალაო, იფიქრა. ისააკს შუბლზე ოფლი ასკდებოდა, მიწა ახლა მარჯვნივ მოჩიჩქნა, მერე – მარცხნივ. ვერაფერი ნახა.

ბოლოს, შეამჩნია, რომ ეს ადგილი დილითვე აეთხარათ და კინაღამ ჭკუიდან შეცდა. მართლაც, აკი, იმ დილას, როცა ისააკი ჯერ კიდევ ლოგინში იწვა, კორნელიუსმა ბოლქვი ამოთხარა, საშრობში აიტანა და სამი პაწია ბოლქვი გააცალკევა.

მაინც ვერ მოცილდა სანატრელ ადგილს და ირგვლივ, ათ კვადრატულ მეტრზე, მიწა სულ გადათხარა.

ბოლოს, როდესაც დარწმუნდა, რომ ბედმა უმუხთლა, მწუხარებისგან გაგიჟებული მივარდა კიბეს, ისევ გადააჯდა გალავანს, კიბე ამოათრია, თავის ეზოში ისროლა და თვითონაც ჩახტა.

უცბად იმედის სხივმა იელვა.

ბოლქვები საშრობში იქნებოდა. საშრობში შესვლა კი, ბალში გადაძვრომაზე ძნელი არ იყო. სათბურივით, იმასაც, ასაწევ-დასაწევი ფანჯრები ჰქონდა, რომელიც ვან ბერლეს დილას გაეღო და მისი დახურვა აღარავის მოჰგონებოდა.

ახლა, მთავარი იყო, სადმე ოცი ფუტის სიმაღლის გრძელი კიბე ეშოვა.

გაახსენდა, რომ იმავე ქუჩაზე, სადაც თვითონ ცხოვრობდა, სახლს არემონტებდნენ და ამას წინათ, იმ სახლის კედელზე მიყუდებული, უზარმაზარი კიბე დაინახა. ის კიბე, მუშებს თუ უკვე არ წაეღოთ, ნამდვილად გამოადგებოდა.

კიბე ისევ იქ დახვდა.

ბოქსტელმა დიდი ჭაპანწყვეტით შეათრია კიბე თავის ეზოში. კორნელიუსის სახლის კედელზე მიყუდება კიდევ უფრო გაუჭირდა. კიბე სწორედ ფანჯრის ასაწევ ჩარჩომდე მისწვდა.

ისააკმა საიდუმლო ფანარი ჯიბეში ჩაიდო, კიბეზე ავიდა და საშრობში გადაძვრა.

როგორც იქნა, მოხვდა ამ სამლოცველოში. ისააკს მუხლები უკანკალებდა, გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. შედგა და მაგიდას დაეყრდნო.

აქ თავი უარესად იგრძნო, ვიდრე ბაღში. სივრცე თითქოს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აქარწყლებს ხოლმე კერძო საკუთრების ხელშეუვალობას. ხშირად ის, ვინც თამამად გადავლებია ღობეს ან გალავანს, გაუბედავად შემდგარა კართან და სარკმელთან.

ბოქსტელი ბაღში მხოლოდ ყაჩაღი იყო, ოთახში – ქურდი!

ცოტა ხნის შემდეგ, მაინც გაიმაგრა გული. აქ იმიტომ არ გადმომძვრალა, რომ შინ ხელცარიელი დაბრუნებულიყო!

დიდხანს ეძებდა ბოლქვებს – უჯრებს აღებდა და კეტავდა. ის სანუკვარი უჯრაც გამოსწია, სადაც ვან ბერლეს დამღუპველი პაკეტი იდო და სადაც „ჟანა", „დე ვიტი", ნაცრისფერი და მუქი ყავისფერი ტიტას ბოლქვები, ბოტანიკური ბაღის დარად, იარლიყმიმაგრებული ელაგა. შავი ტიტა, უფრო სწორად, პაწია ბოლქვები, რომლის წიაღშიც ტიტას ეძინა, არსად ჩანდა.

არადა, თესლებისა და ბოლქვების ნუსხაში, რომელიც ვან ბერლეს შეედგინა და ამსტერდამის ყველაზე წარჩინებული ფირმების საბუღალტრო დავთრებს ტოლს არ უდებდა, ბოქსტელმა ასეთი რამ ამოიკითხა:

„დღეს, 1672 წლის 20 აგვისტოს, ამოვთხარე დიდი შავი ტიტას ბოლქვი, რომლიდანაც სამი უზადო ლებანი გამოვყავი".

– ბოლქვები! ბოლქვები! – ღმუოდა ბოქსტელი, რომელსაც საშრობი თავდაყირა დაეყენებინა, – სად წაიღო ბოლქვები?!

უცბად, გამწარებულმა იტკიცა შუბლზე ხელი.

– ვაი მე, უბედურს! – შესძახა მან, – უჰ, შე უტვინო, შე წყეულო, ბოქსტელ! ვინ ტოვებს ბოლქვებს? სად გაგონილა, კაცი ჰააგაში მიდიოდეს და ბოლქვებს დორდრეხტში ტოვებდეს? ვინ მოიცილებს ბოლქვებს, – სწორუპოვარი შავი ტიტას ბოლქვებს! იმ არამზადას მოუსწრია და ბოლქვები თან წაუღია! ჰააგაში წაუღია!

განათებულმა გონებამ ამაოდ ჩადენილი ავკაცობის უფსკრულიც გაუნათა და შიგ ჩაახედა. დამეხილი ზუსტად იმ ადგილას და იმ სკამზე დაეცა, რომელზედაც რამდენიმე საათის წინ, უბედური ვან ბერლე იჯდა და შავი ტიტას ბოლქვების ცქერით ტკბებოდა.

– არა უშავს, – გამტკნარებული სახით თქვა გულღრძომ, – ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ იქამდე ექნება, სანამ ცოცხალია...

და უმსგავსი ფიქრი, საზარელო ღმეჭით დააგვირგვინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— რადგან ბოლქვები ჰააგაშია, დორდრეხტში მეც არაფერი მესაქმება.

ჰააგაში უნდა გავემგზავრო! ჰააგაში!

ბოქსტელი ისე ძლიერ ელტვოდა ფასდაუდებელი საუნჯის ხელში ჩაგდებას, რომ იქვე დაყრილი სიმდიდრისთვის ზედაც არ დაუხედავს. იგი ისევ გადაძვრა უკან, მოპარული კიბე თავის ადგილას მიიტანა და შინ მხეცივით აღრენილი დაბრუნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

IX
საგვარეულო საკანი

შუალამე იქნებოდა მოტანებული, როდესაც საბრალო ვან ბერლე ბუტენხოფის ციხის საკანში გამოკეტეს. მშვენიერი როზის ვარაუდი გამართლდა. გამძვინვარებულ ბრბოს, რომელსაც კორნელიუს დე ვიტის საკანი ცარიელი დაუხვდა, მოხუცი გრიფუსი ხელში რომ მოეგდო, ცარიელ საკანს სიცოცხლის ფასად დაუსვამდა, მაგრამ ქვეყნად ყველაზე წინდახედული კაცის – ვილჰელმის წყალობით, რომელმაც ქალაქის ყველა კარიბჭე ჩააკეტინა, ბრბოს რისხვა ისევ დე ვიტებს დაადევნა.

ბოლოს და ბოლოს, ციხე დაცარიელდა. გრგვინვისებური გრუხუნი, რომელიც კიბეებზე მიგორავდა, მიწყდა და სიჩუმემ დაისადგურა.

როზი სამალავიდან გამოვიდა და მამაც გამოიყვანა.

ციხეში კაცი არ ჭაჭანებდა. ხალხს თავისი სისხლიანი ხადილი ქუჩაში გაემართა და ციხეში აღარაფერი ესაქმებოდა.

აცახცახებული გრიფუსი თავის მამაც ქალიშვილს უკან მიჰყვა და მამა-შვილმა ციხის კარი ვითომ ჩაკეტა. ვითომო, იმიტომ ვამბობთ, რომ კარი თითქმის სულ დაელეწათ. აშკარად ჩანდა, რომ აქაურობისთვის, ხალხის რისხვის ქარიშხალს გადაევლო.

დღის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ისევ შემოესმათ ხალხის ყაყანი, მაგრამ იგი გრიფუსსა და როზს ხიფათს აღარ უქადდა. ბრბო დე ვიტების გვამებს მოათრევდა, რათა ნაჩვევ ადგილას ჩამოეკიდა – იქ, სადაც სიკვდილმისჯილებს სჯიდდნენ.

როზი ისევ დაიმალა, რომ საზარელი სანახაობა არ დაენახა.

შუალამისას ბუტენხოფის კარზე, უფრო სწორად, ბარიკადებზე, რომელიც კარის მაგივრობას სწევდა, დაარახუნეს.

ციხეში კორნელიუს ვან ბერლე მოეყვანათ.

გრიფუსმა ტუსაღი ჩაიბარა და როდესაც ბრძანებაში პატიმრის გვარი ამოიკითხა, მედილეგეს პირქუში ღიმილ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ით ჩაიბურტყუნა:

— კორნელიუს დე ვიტის ნათლული. თქვენთვის, ყმაწვილო, საგვარეულო საკანი გვაქვს შემონახული და იქ მოგათავსებთ.

საკუთარი ოხუნჯობით ნაამებმა ორანელთა ურჯუკმა მომხრემ, ფანარი აიღო, რომ ვან ბერლე იმ საკანში წაეყვანა, რომელიც კორნელიუს დე ვიტს ამ დილით დაეტოვებინა, რათა დევნილობაში წასულიყო, რაიც როგორც ამბობენ, რევოლუციების დროს, დიდი მორალისტების ხვედრი და დიდი პოლიტიკის აქსიომაა.

უკან მხოლოდ მიცვალებულები ვერ ბრუნდებიან. გრიფუსი მოემზადა, რომ ნათლულს ნათლიის საკანში გაძღოლოდა. საკნისკენ მიმავალმა ყვავილების საბრალო ტრფიალმა მხოლოდ ძაღლის ყეფა გაიგონა და ქალიშვილი დაინახა.

ძაღლი ღრმა ნიშადან გამოძვრა და გრძელი ჯაჭვი ხრაგუნით გამოათრია. ცხოველი ტუსაღთან მივიდა და კარგად დაყნოსა, რომ ეცნო და დაეგლიჯა, როცა უბრძანებდნენ.

როდესაც ტუსაღმა კიბეზე ფეხი შედგა და მისი ხელის დაჭერამ მოაჯირი ააჭრიალა, კიბის გვერდით, ფანჯარა გაიღო და ქალიშვილმა გამოიხედა. ქალიშვილს ხელში ანთებული ლამპა ეჭირა. ლამპის შუქი თავზე მჭიდროდ დაგრაგნილ, მშვენიერ ქერა ნაწნავებსა და ვარდისფრად ატკრეცილ სახეს უნათებდა. ქალიშვილს მარცხენა ხელით ღამის პერანგის გულისპირი მოეკრიბა. იგი, ეტყობა, კარზე ატეხილ ბრახუნს გაეღვიძებინა.

მხატვრის თვალწინ რემბრანტის ყალმის ღირსი სურათი იდგა. გრიფუსის ფანარი მოწითალო შუქს ფენდა შავად მოხვეულ კიბის თავზე გადმომდგარ, პირქუშ მედილეგესა და მოაჯირზე გადმოხრილ კორნელიუსს, ხოლო ქვემოთ, სარკმლის ჩარჩოში, ლამპის შუქი ანათებდა ტურფა გოგონას, რომელსაც მორცხვად ჩაებღუჯა პერანგის საკინძე, — ალბათ, იმიტომ, რომ ტუსაღის სევდიანი მზერა ქალიშვილის სავსე, ბროლივით თეთრ მხრებს მიჯაჭვოდა.

მოშორებით, იქ, სადაც უკუნეთი ყვალაფერს ნთქავდა, წითლად ვარვარებდა ვეებერთელა ქოფაკის თვალები და ახრაგუნებულ ჯაჭვის რგოლებზე როზის ლამპისა და გრიფუსის ფანრის ათინათი ენთო.

მაგრამ რემბრანტის ფუნჯიც კი უძლური იყო, გადმოეცა, როზის სახეზე გამოხატული მწუხარება, როდესაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაინახა ფერწასული, ლამაზი ჭაბუკი, რომელიც ნელა ადიოდა კიბეზე და რომელსაც მამამისი ავბედით სიტყვებს ეუბნებოდა: „თქვენთვის საგვარეულო საკანი გვაქვს შემონახული...“

ცოცხალი სურათი წამიერად გაკრთა. გრიფუსმა გზა განაგრძო და კორნელიუსიც იძულებული გახდა, უკან მიჰყოლოდა.

გრიფუსი ჩვენთვის კარგად ნაცნობ საკანში შეუძღვა ტუსაღს და იმ საწოლზე მიუთითა, რომელზედაც ამდენი ტანჯვა ეგემა დილით მოკლულ წამებულს.

მარტო დარჩენილი კორნელიუსი საწოლზე მიეგდო, მაგრამ ძილი არ მიეკარა. იგი თვალს არ აცილებდა გისოსიან სარკმელს, რომელიც ბუტენხოფის მოედანს გადაჰყურებდა. ხის კენწეროების თავზე ცას რიჟრაჟი შეეპარა და მისი სინათლე თეთრი ზეწარივით დაეფინა მიწას.

მთელი ღამე, ტუსაღს, ბუტენხოფის მოედნიდან, ხან ჭენებით მიმავალი ცხენის ფლოქვების თქარა-თქური ესმოდა, ხან წინ და უკან მოარული გუშაგების მძიმე ნაბიჯების ხმა. აბედიან არკებუზებს[42] ზენა ქარი ნაპერწკლებს სტაცებდა და ციხის სარკმელს აყრიდა.

როდესაც გარიჟრაჟმა ქალაქის წვეტიანი სახურავები ვერცხლისფრად დაფერა, კორნელიუსი სარკმელთან მივიდა და მიდამოს ნაღვლიანი თვალი მოავლო. ერთი სული ჰქონდა გაეგო, ამ არემარეზე, კიდევ ვინმე თუ ჭაჭანებდა.

მოედნის ბოლოს, განთიადის ბინდბუნდში, მუქ ლურჯად მოჩანდა სახლების ფონზე ასვეტილი, გადაღრეცილი ლანდი.

კორნელიუსმა სახრჩობელა იცნო.

სახრჩობელაზე ორი ფორმადაკარგული გვამი ეკიდა, — უფრო სწორად, ორი ჩონჩხი, რომელსაც ჯერაც სისხლი სდიოდა.

ჰააგელმა მოქალაქეებმა თავიანთი მსხვერპლი ცოცხლად დაფლითეს, მაგრამ გვამები პატიოსნად მიათრიეს სახრჩობელასთან და ზედ ჩამოჰკიდეს. მოკლულთა სახელები უზარმაზარ დაფაზე ეწერა.

კორნელიუსმა ძლივს გაარჩია წარწერა, რომელიც მავან უბადრუკ მხატვარს სქელი ფუნჯით დაედღაბნა: „აქ ჩამოჰკიდეს უდიდესი ავაზაკი იან დე ვიტი და პატარა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სალახანა, მისი ძმა, კორნელიუსი – ხალხის მტრები და ფრანგთა მეფის დიდი მეგობრები!“

კორნელიუსმა შეჰყვირა და საკნის კარს ისეთი გაშმაგებით დაუშინა მუშტი და წიხლი, რომ გრიფუსი, რომელსაც ხელში გასაღებების უზარმაზარი ასხმულა ეჭირა, სულ კბილების კრაჭუნით მოვარდა.

განრისხებული გრიფუსი, რომ პატიმარს უდროოდ შეეწუხებინა, კარს აღებდა და თან საშინლად ილანძღებოდა:

– რა ეშმაკმა გადარია ეს ახალი დე ვიტი? არა, ეტყობა, ყველა დე ვიტს მართლა ეშმაკი ჰყავს შემჯდარი!

– შეხედეთ, ამას შეხედეთ! – კორნელიუსმა გრიფუსს ხელი ჩაავლო და სარკმელთან მიათრია, – ნახეთ, რა წერია!

– სად? სად, რა წერია?

– აი, იმ დაფაზე!

კორნელიუსმა აცახცახებული ხელი გაიშვირა სახრჩობელისკენ, რომელსაც ის დამცინავი წარწერა ამშვენებდა.

გრიფუსმა გადაიხარხარა.

– ოჰ, მაგაზე ამბობთ?.. დიახ, ჩემო კარგო ბატონო, ვილჰემ ორანელის ყველა მტერს ეგ დღე მოელის!

– ვიტები მოკლეს! – წაიჩურჩულა კორნელიუსმა და საწოლზე დაემხო. პატიმარს შუბლზე ოფლმა დაასხა და ხელები ულონოდ ჩამოუვარდა.

– ბატონი დე ვიტები ხალხმა დასაჯა, – შეეპასუხა გრიფუსი, – თქვენ თქვით, მოკლესო, მე კი გეუბნებით, მსჯავრი გამოუტანეს-მეთქი.

გრიფუსმა პატიმარს დახედა და როცა დარწმუნდა, ამას განძრევის თავიც აღარა აქვსო, კარი გაიჯახუნა და ხრაგუნით გადარაზა.

როდესაც კორნელიუსი გონებას მოეგო, საკანი, რომელსაც გრიფუსმა საგვარეულო უწოდა, სიკვდილის ოთახად მოეჩვენა.

ვან ბერლე ქრისტიანი იყო და პირველ ყოვლისა, ღმერთს თავისი ნათლიისა და დიდი პენსიონარის სული შეავედრა, მერე კი, რადგან იგი ფილოსოფოსიც გახლდათ, გადაწყვიტა, ბედს დამორჩილებოდა და განსაცდელს მშვიდად შეგებებოდა.

როდესაც ციდან ისევ მიწაზე, თავის საკანში, დაეშვა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და დაინახა, რომ სულ მარტო იყო, უბიდან შავი ტიტას ბოლქვი ამოიღო და საკნის ყველაზე ბნელ კუთხეში ამოჭრილ ნიშაში დამალა, სადაც ციხეში, ჩვეულებრივ, დოქს დგამენ ხოლმე.

რამდენი წლის შრომა ჩაყროდა წყალში! რამდენი ნალოლიავები ოცნება დამსხვრეოდა! მისი აღმოჩენა, პატრონთან ერთად, გაქრებოდა. ამ სატუსაღოში ბალახსაც ვერ გაახარებდა, ერთ პეშვ მიწასაც ვერ იშოვიდა, აქ მზის სხივიც სანატრელად გაუხდებოდა!

კორნელიუსს შავი კაეშანი შემოაწვა, რომელსაც თავი ერთი უჩვეულო შემთხვევის წყალობით დააღწია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

X
მედილეგეს ქალიშვილი

ამავე საღამოს, როდესაც გრიფუსს ტუსაღისთვის სამხარი შემოჰქონდა, კარის გაღებისას სველ ფილაქანზე ფეხი დაუცდა, დაეცა და ხელი ისე ცუდად მოიყოლა, რომ მაჯის ზემოთ გადაუტყდა.

კორნელიუსმა საშველად გაიწია, მაგრამ გრიფუსმა, რომელიც თავიდან ვერც კი მიხვდა, რა დაემართა, ტუსაღი შეაჩერა.

— არაფერია, არ მომეკაროთ!

მედილეგე მოტეხილ ხელს დაეყრდნო და წამოიწია. ხელი გაიღუნა. გრიფუსმა ტკივილი ახლაღა იგრძნო, შეჰყვირა და ეს ულმობელი კაცი ზღურბლზე უგონოდ გაიშხლართა.

საკნის კარი ღია იყო და კორნელიუსს გაქცევას არაფერი უშლიდა, მაგრამ კეთილშობილ ყმაწვილს არც უფიქრია, სხვისი უბედურებით ესარგებლა. კორნელიუსი ექიმი იყო და ძვლის ტკაცუნისა და იმის მიხედვით, როგორ გაიღუნა ძვალი, მიხვდა, რომ გრიფუსმა ხელი მოიტეხა და გულიც ტკივილისგან წასვლოდა.

დაცემული სხეულის ბრაგუნისა და გრიფუსის გმინვის პასუხად, კიბიდან აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა და მალე ქალიშვილიც გამოჩნდა. მის დანახვაზე, კორნელიუსს გაოცების შეძახილი წამოსცდა, მშვენიერმა ფრისლანდიელმა ქალიშვილმა კი წამოიკივლა.

როზმა მამამისის უკმეხი გუნება კარგად იცოდა და როდესაც გრიფუსთან ჩამუხლული კორნელიუსი დაინახა, მაშინვე გაიფიქრა, ალბათ მამა პატიმარს უხეშად მოექცა და ისიც თავს დაესხაო. თუმცა, ახლოს რომ მივიდა, მიხვდა, რაც მომხდარიყო და თავისი ეჭვის ძალიან შერცხვა. თვალცრემლიანმა გოგონამ კორნელიუსს შეხედა და უთხრა:

— გმადლობთ, ბატონო და მაპატიეთ! მაპატიეთ უღირსი ეჭვი და გმადლობთ, დახმარებისთვის.

კორნელიუსი გაწითლდა.

— მოყვასის დახმარება ჩემი ვალია, — მიუგო ტუსაღმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, ოლონდ, როდესაც ზრუნვით დატრიალებთ კაცს, რომელმაც დილას შეურაცხგყოთ, ეს ბატონო ჩემო, კაცთმოყვარეობაზე მეტია და ქრისტიანულ გულმოწყალებასაც აღემატება.

კორნელიუსი, უბრალო ქალიშვილისგან, ასეთ ღირსეულ სიტყვებს არ ელოდა და გაოცებულმა ახედა გოგონას, თუმცა, პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან ამ დროს, გრიფუსი გონს მოეგო და ჩვეული უხეშობაც დაუბრუნდა.

– ახია ჩემზე! რა მომარბენინებდა! მე რომ პატიმრისთვის სამხრის მოტანა არ მეჩქარა, ახლა ხელმოტეხილი, ასე უპატრონოდ არ ვეგდებოდი!

– გაჩუმდით! – უთხრა როზმა, – თქვენ უსამართლოდ საყვედურობთ ამ ახალგაზრდა ბატონს. მე სწორედ მაშინ წავადექი თავს, როცა იგი თქვენზე ზრუნავდა.

– ესა? – უნდოდ იკითხა გრიფუსმა.

– დიახ. მართლაც, მზადა ვარ, გიმკურნალოთ.

– თქვენა! – გაიოცა გრიფუსმა, – თქვენ რა, ექიმი ხართ?

– დიახ, ჩემი მთავარი ხელობა ეგ გახლავთ.

– აბა, მომარჩენთ?

– უეჭველად.

– მერე, ამისთვის, რა გჭირდებათ?

– ორი პატარა ფიცარი და არტაშანი.

– გეყურება, როზ? მკურნალობის ხარჯს გადავრჩებით. პატიმარი მომარჩენს. აბა, ერთი, წამოდგომა მიშველე, თორემ ტანი ტყვიასავით მაქვს დამძიმებული.

როზი მხარში შეუდგა დაშავებულს. გრიფუსმა საღი ხელი მხარზე შემოხვია შვილს, თავს ძალა დაატანა და ფეხზე წამოდგა. კორნელიუსმა სავარძელი მიუმარჯვა, რომ ზედმეტად არ ემოძრავა.

გრიფუსი დაჯდა და თავის ქალიშვილს მიუბრუნდა:

– არ გეყურება? წადი და მოიტანე, რაც გითხრეს.

როზი ჩავიდა და ქვემოდან ორი პატარა ფიცარი და გრძელი არტაშანი ამოიტანა. ამასობაში კორნელიუსმა გრიფუსს ქურთუკი გახადა და სახელო აუკაპიწა.

– აი, ეს გამოდგება, ბატონო?

– დიახ, მადმუაზელ, – მოტანილ საგნებს დახედა კორნელიუსმა, – სწორედ ეს მჭირდებოდა. ახლა მე მამათქვენს ხელს ავუწევ, თქვენ კი მაგიდა მომიწიეთ.

როზმა მაგიდა მიუწია. კორნელიუსმა გრიფუსს მო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტეხილი ხელი მაგიდაზე დაუდო, მერე მოტეხილი ძვალი საოცრად მარჯვედ გაუსწორა, აქეთ-იქიდან ფიცარი შემოადო და არტაშანი შემოახვია.

კორნელიუსი შეხვევას ამთავრებდა, როდესაც მედილეგემ გონი ისევ დაკარგა.

– ჩქარა, ძმარი მომიტანეთ, მადმუაზელ, საფეთქლებს დავუზელთ და გრძნობაზე მოვა.

ნაცვლად იმისა, რომ მაშინვე გაქცეულიყო, როზი ჯერ დარწმუნდა, რომ მამამისი მართლა გულწასული იყო და მერე კორნელიუსს მიმართა:

– ბატონო, ვალს გადახდა უნდა.

– ვერ მიგიხვდით, რას მეუბნებით, ჩემო კარგო?

– რას, ჩემო ბატონო და, მოსამართლემ, რომელიც ხვალ დაგკითხავთ, დღეს ციხეში შემოიარა და როცა გაიგო, რომ თქვენც იმავე საკანში ზიხართ, სადაც კორნელიუს დე ვიტი იჯდა, ისე ბოროტად ჩაიცინა, ვშიშობ, მისი სიცილი დიდ უბედურებას გიქადით.

– ვითომ, რას მიზამენ?

– იმ სახრჩობელას ხომ ხედავთ?

– ვხედავ, მაგრამ მე არაფერი დამიშავებია.

– განა იმ ორმა კი დააშავა, რომ მათი დაფლეთილი გვამები სახრჩობელაზე ჩამოკიდეს?

– დიახ, მართალს ამბობთ, – მიუგო გულდამძიმებულმა კორნელიუსმა.

– ნუ გავიწყდებათ, რომ ხალხს სურს, თქვენც დამნაშავე იყოთ. ასე იქნება თუ ისე, ხვალ სასამართლო დაიწყება, ზეგ კი, უკვე, მსჯავრს გამოიტანენ. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენს დროში ამ საქმეს სწრაფად აგვარებენ.

– მერედა, რა ვქნა?

– რა და, მე ერთი სუსტი, ულონო ქალი ვარ, მამაჩემი გულწასულია, ძალლს ალიკაპი აქვს ამოდებული. გზას ვერავინ გადაგიღობავთ. გაიქეცით და თავს უშველეთ!

– რას ამბობთ?

– მე, სამწუხაროდ, ბატონ კორნელიუს და იან დე ვიტებს ვერაფერი ვუშველე და მინდა, თქვენ მაინც გიხსნათ. ნულარ აყოვნებთ. მგონი მამამ უკვე სუნთქვა დაიწყო და სადაც არის, თვალსაც გაახელს. ჩქარა, თორემ გვიან იქნება! რატომ ყოყმანობთ?

თვალებად ქცეული კორნელიუსი როზს მიშტერებოდა და თითქოს არაფერი ეყურებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ გესმით, რას გეუბნებით?
– დიახ, მესმის, მაგრამ...
– მაგრამ რა?
– მაგრამ, მაგას არ ვიზამ. მე რომ გავიქცე, ბრალს თქვენ დაგდებენ.
– მერე, რა? – გაწითლდა როზი.
– გმადლობთ, ჩემო გოგონა, მაგრამ მე აქ დავრჩები.
– დარჩებით! ღმერთო! ღმერთო! ნუთუ ვერ ხვდებით, რომ დაგსჯიან... სიკვდილით დაგსჯიან! ეშაფოტზე აგიყვანენ და ვინ იცის, ბატონი დე ვიტებივით ასო-ასო დაგგლიჯონ. იწამეთ ღმერთი და გაიქეცით! ჩემზე ნუ დარდობთ. გაიქეცით-მეთქი, ეს საკანი დე ვიტებისთვის ავბედითია.
– ჰა! – წამოიძახა გონზე მოსულმა გრიფუსმა, – ვინ ახსენა ის გაიძვერა, მოღალატე და ფლიდი დე ვიტები?
– ნუ ღელავთ, ჩემო კარგო, – თვინიერად გაუღიმა კორნელიუსმა, – მოტეხილობას აღელვება წყენს.
მერე როზს მიუბრუნდა და წასჩურჩულა:
– მე უბრალო ვარ და ჩემს მოსამართლეებს მშვიდი სინდისით დაველოდები.
– ჩუმად! – მიუგო როზმა.
– რატომ?
– მამამ არ გაიგოს, რომ ერთმანეთს გამოველაპარაკეთ.
– თუ გაიგებს, რა მოხდება?
– აქ შემოსვლას ამიკრძალავს.
კორნელიუსს გაეღიმა, რომ ქალიშვილმა ასე გულუბრყვილოდ გასცა თავი და გულში იმედის სხივი გაუკრთა.
– რას ეტუტუნებით მანდ ერთმანეთს? – დაუტატანა გრიფუსმა, რომელიც წამომდგარიყო და მარცხენა ხელით მარჯვენა მაჯა დაეჭირა.
– არაფერს, მამა. ბატონი მეუბნება, როგორი რეჟიმი უნდა დაიცვა.
– როგორი რეჟიმი უნდა დაიცვა! რეჟიმი დავიცვა, არა? ჰოდა, შენცა გაქვს, ჩემო კარგო, რეჟიმი, რომელიც უეჭველად უნდა დაიცვა.
– რა რეჟიმი, მამა?
– ის, რომ პატიმართან არ შემოხვიდე და თუ შემოხვედი, დიდხანს არ გაბრტყელდე. აბა, ახლავე მოუსვი აქედან!
როზმა და კორნელიუსმა ერთმანეთს გადახედეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხომ გეუბნებოდით? – თვალებით უთხრა როზმა.

– რაც მიწერია, დაე, აღსრულდეს, – თვალებითვე მიუგო ვან ბერლემ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XI
კორნელიუს ვან ბერლეს ანდერძი

როზი არ შემცდარა. მსაჯულები მეორე დღესვე გამოცხადდნენ ბუტენხოფში და ვან ბერლე დაკითხეს. დაკითხვა მალე დაამთავრეს; მან ცხადყო, რომ დე ვიტების საბედისწერო მიმოწერა საფრანგეთთან კორნელიუს ვან ბერლესთან ინახებოდა.

ეს არც ვან ბერლეს უარუყვია.

მსაჯულებს მხოლოდ ერთი აეჭვებდათ, — რომ ის მიმოწერა ვან ბერლეს მისმა ნათლიამ — კორნელიუს დე ვიტმა, გადასცა.

ტანჯული კაცის სიკვდილის შემდეგ, კორნელიუსს დასამალი აღარაფერი ჰქონდა და არათუ დაადასტურა, რომ კორნელიუს დე ვიტმა პაკეტი თავისი ხელით გადასცა, ისიც თქვა, სად და რა ვითარებაში მიაბარა.

ვან ბერლეს აღიარება მოწმობდა, რომ ისიც გარეული იყო დანაშაულში. მისი თანამზრახველობა ეჭვს არ იწვევდა.

კორნელიუსს ბატონი მოსამართლეებისთვის არ დაუმალავს გული რისკენაც მიუწევდა. უთხრა, რომ პოლიტიკისადმი გულგრილი იყო, რომ მხოლოდ ხელოვნება, მეცნიერება და ყვავილები უყვარდა და მას შემდეგ, რაც კორნელიუს დე ვიტმა პაკეტი მიაბარა, მისთვის არათუ ხელი არ უხლია, არც კი გახსენებია.

მოსამართლეთა აზრით, კორნელიუსი ტყუოდა, რადგან პაკეტი იმ კარადის უჯრაში იდო, რომელსაც იგი ყოველდღე აღებდა. მართალია, ბრალდებულმა მიუგო, კარადას მხოლოდ იმიტომ ვაღებდი, რომ მენახა, ბოლქვებს ნესტი ხომ არ შეპარვია, ან ყლორტი ხომ არ ამოუყრიაო, მაგრამ არ დაუჯერეს. მოსამართლეებს ეჭვი ეპარებოდათ, რომ ვან ბერლე პოლიტიკისადმი გულგრილი იყო და შეუძლებლად ეჩვენებოდათ, რომ ყმაწვილ კაცს პაკეტის მნიშვნელობა არ ცოდნოდა.

კორნელიუსის შენიშვნაზე, — ნათლიაჩემი, კორნელიუს დე ვიტი, ძალიან ფრთხილი კაცი იყო, თანაც მე, მისი ნათლული, ძალიან ვუყვარდი და ისეთს არაფერს გამანდობდა, რაც უსიამოვნებას შემამთხვევდაო, — მიუგეს, —

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ბატონი დე ვიტი პაკეტს იქვე დაურთავდა რაიმე საბუთს ანდა გასამართლების შემდეგ დატოვებდა რაიმე ბარათს, რომელიც დაადასტურებდა, რომ იმ მიმოწერასთან ხელი არ გქონდათ და ამით გაგამართლებდათო.

ვან ბერლეს სიტყვით, კორნელიუს დე ვიტი დარწმუნებული იყო, რომ მის პაკეტს საფრთხე არ დაემუქრებოდა, რადგან მისმა ნათლულმა იმ უჯრაში ჩადო, რომელიც მის სახლში, ბიბლიური კიდობანივით, წმიდათაწმინდათ იყო მიჩნეული და ამიტომ საბუთის დართვა, საჭიროდ არ მიუჩნევიაო. ხოლო, ბარათის თაობაზე, გაახსენდა, რომ სწორედ დაპატიმრების წინ, როდესაც იგი უიშვიათესი ბოლქვის თვალიერებით იყო გართული, საშრობში იან დე ვიტის მსახური შეუვარდა, მაგიდაზე რალაც ბარათი დაუგდო და მაშინვე გაქრა. ვან ბერლეს ეს ამბავი ძალიან ბუნდოვნად, სიზმარივით აგონდებოდა, მაგრამ ბარათს თუ გულმოდგინედ მოძებნიდნენ, შეიძლება ეპოვათ კიდეც.

კრაკეს ვერსად მიაგნეს. იგი ჰოლანდიიდან გახიზნულიყო. ბარათის პოვნის იმედი კი, იმდენად არ ჰქონდათ, მისი მოძებნით, თავი არავის შეუწუხებია. არც ვან ბერლეს დაუჩემებია მისი მოძებნა, რადგან ფიქრობდა, ჯერ კიდევ საკითხავია, იმ ბარათში რა ეწერაო.

მსაჯულები ისე იქცეოდნენ, ვითომ ცდილობდნენ, კორნელიუსს უკეთ დაეცვა თავი და მოთმინებითა და გულისხმიერადაც კი ეპყრობოდნენ, რაც მხოლოდ ერთ ნიშნავს ხოლმე: ან ბრალმდებელს ეჭვმიტანილის ბედი რატომღაც აინტერესებს ან არადა, ფიქრობს, რომ უკვე ხელთა ჰყავს და სიმკაცრე აღარ სჭირდება.

კორნელიუსი ამ თვალთმაქცურ მფარველობას არ წამოეგო და კითხვებზე, მარტვილივით მშვიდად უპასუხებდა:

– ბატონებო, მე ყველა თქვენს კითხვას პასუხს გავცემ და ვიტყვი მხოლოდ მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა. სიმართლე კი ასეთი გახლავთ: პაკეტი მართლა ისე მოხვდა ჩემთან, როგორც გითხარით. ვფიცავ ღმერთს, რომ მე არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი მისი შიგთავსი; ვფიცავ, მხოლოდ დაპატიმრების შემდეგ შევიტყვე, რომ იმ პაკეტში დიდი პენსიონარის მიმოწერა ინახებოდა მარკიზ დე ლუვუასთან; ვფიცავ, არ ვიცი, როგორ შეიტყვეთ, რომ პაკეტი ჩემთან ინახებოდა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მითუმეტეს, არ ვიცი, რატომ მიგაჩნიათ დანაშაულად, რომ ჩემი სახელოვანი და უბედური ნათლიისგან რაღაც მივიბარე.

ასეთი გახლდათ კორნელიუსის სიტყვა, რომელიც მან თავის დასაცავად წარმოთქვა.

მსაჯულები სათათბიროდ გავიდნენ და ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს: ყოველგვარი გამოვლინება სამოქალაქო შუღლისა, რამეთუ იგი სამოქალაქო ომის ქარცეცხლს აჩაღებს, დამღუპველია და ჩანასახშივე უნდა ამოიძირკვოს.

ერთმა მსაჯულმა, რომელსაც გამჭრიახი კაცის სახელი ჰქონდა, განაცხადა: ამ ჭაბუკის წრფელი სახის მიღმა, ფრიად სახიფათო კაცი იმალება, რომელსაც ერთი სული აქვს, თავისი ახლობლების – დე ვიტების, შური იძიოსო.

მეორემ თქვა: ტიტების სიყვარული ძალიანაც კარგად ეგუება პოლიტიკას და ისტორიაც ხომ მოწმობს, რომ მრავალი და მრავალი გაიძვერა, რომელსაც თავი მოჰქონდა, თითქოს მებაღეობის გარდა, სხვა არაფერი ანაღვლებდა, სულ სხვა საქმით იყო დაკავებული და ამის საბუთად, ტარკვინიუს ამაყიც[43] კმარა, რომელსაც ბაიაში ყაყაჩო მოჰყავდა და კიდევ, დიდი კონდეც,[44] რომელიც ვენსენის ციხეში მიხაკებს რწყავდა, თუმცა, პირველი, რომში დაბრუნებას გეგმავდა, მეორე კი, ციხიდან გაქცევასო.

მსაჯულთა განსჯიდან, მოსამართლემ ასეთი დილემა[45] გამოიყვანა: ბატონ კორნელიუს ვან ბერლეს ან ძალიან უყვარს ტიტები, ან ძალიან უყვარს პოლიტიკა. მან ორივეჯერ იცრუა; ჯერ ერთი, საბუთი, რომელიც მის სახლში იპოვეს, მოწმობს, რომ იგი პოლიტიკას მისდევდა და მეორეც, იგი ტიტების მოშენებასაც მისდევდა, რასაც იქ არსებული ბოლქვები მოწმობს. საბოლოოდ კი, ყველა ზემორე თქმული, მოწმობს, რომ ბატონი ვან ბერლე დიდი გაიძვერაა. თავად ფაქტი, რომ იგი მისდევდა ტიტების გახარებასაც და მისდევდა პოლიტიკასაც, მის ორპირ ბუნებაზე მეტყველებს, რაც თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ბატონი ვან ბერლე დიდ საფრთხეს უქმნის სახალხო მშვიდობას. ეჭვმიტანილი შეიძლება ნაწილობრივ, უფრო სწორად, მთლიანად, შევადაროთ ტარკვინიუს ამაყსაც და დიდ კონდესაც, რომლებიც მაგალითისთვის, ზემოთ მოვიხმეთ.

ბოლოს, დასკვნის სახით, ეწერა, რომ პრინცი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შტატჰალტერი ჰოლანდიისა, უდაოდ ძალიან მადლიერი დაურჩებოდა ქალაქ ჰააგის მაგისტრატურას, რამეთუ იგი ჩანასახშივე სპობდა შეთქმულების მცდელობას, რომელიც მიმართული იყო მისი უმაღლესობის ძალაუფლების წინააღმდეგ და ამით მას, პრინცს, შვიდი პროვინციის მართვის ტვირთს უმსუბუქებდა.

ბოლო საბუთმა ყველა წინა დაჯაბნა და რათა ერთხელ და სამუდამოდ აღმოეფხვრათ შეთქმულების ყველა მცდელობა, ბატონ ვან ბერლეს, რომელიც ეჭვმიტანილი და მხილებული იყო, რომ იგი, ტიტების ტრფიალის ნიღაბს ამოფარებული, მონაწილეობდა ბატონ დე ვიტების შეთქმულებაში ჰოლანდიის ხალხის წინააღმდეგ და მათ საიდუმლო ურთიერთობაში ჰოლანდიის მტერ ფრანგებთან, სასიკვდილო განაჩენი ერთსულოვნად გამოუტანეს.

განაჩენი იუწყებოდა, რომ ზემოხსენებულ, კორნელიუს ვან ბერლეს გამოიყვანდნენ ბუტენხოფის ციხიდან, მიიყვანდნენ იგივე სახელწოდების მოედანზე და მსაჯულთა განჩინების აღმასრულებელი ეშაფოტზე მას თავს მოჰკვეთდა.

რადგან ამ ფრიად მნიშვნელოვანმა თათბირმა ნახევარ საათს მაინც გასტანა და ტუსაღი უკვე თავის საკანში მიებრუნებინათ, სასამართლოს მდივანმა განაჩენის წასაკითხად იქ მიაკითხა.

მოტეხილი ხელის გამო, გრიფუსისთვის სიცხეს აეწია და ლოგინში იწვა. სასამართლოს მდივანს საკნისკენ სხვა მედილეგე გაუძღვა, რომლის ხელშიც გასაღებები დროებით გადასულიყო. ტურფა ფრისლანდიელი როზი მდივანსა და გრიფუსის თანაშემწეს უკან გაჰყვა და საკნის კართან გაჩერდა. ქალიშვილს ცხვირსახოცი ტუჩზე მიეჭირა და ქვითინს ძლივს იკავებდა.

განაჩენმა კორნელიუსი ისე განაცვიფრა, რომ მწუხარებაც კი დაუჩრდილა.

მდივანმა, რომელმაც განაჩენი წაუკითხა, ჰკითხა, პასუხად რამეს ხომ არ იტყოდა.

– არა, – მიუგო კორნელიუსმა, – მაგრამ გამოგიტყდებით, ყველა იმ მიზეზთა შორის, რასაც წინდახედული კაცი სიკვდილის თვიდან ასაცილებლად ითვალისწინებს, ამისთანას ვერასდროს წარმოვიდგენდი.

კორნელიუსის პასუხზე, მდივანმა ისეთი მოწიწებით დაუკრა თავი, როგორსაც ეს მოხელეები ყველა ჯურის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდ ბოროტმოქმედთ მიაგებენ ხოლმე.

სანამ მდივანი გავიდოდა, კორნელიუსმა შეაჩერა და ჰკითხა:

– ჰო, მართლა! ბატონო მდივანო, განაჩენის აღსრულება როდისთვისაა დანიშნული?

– დღეისთვის! – მიუგო მსჯავრდებულის გულგრილობით, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა მდივანმა.

კარს უკან ქვითინი გაისმა.

კორნელიუსი გადაიხარა, რომ დაენახა, ვინ ქვითინებდა, მაგრამ როზი მიუხვდა და გაიწია.

– რომელ საათზე? – იკითხა ვან ბერლემ.

– შუადღისას, ჩემო ბატონო.

– დალახვროს! – შესძახა კორნელიუსმა, – ამ ოციოდე წუთის წინ, საათმა, მგონი, ათი დარეკა. წუთსაც ველარ დავკარგავ.

– დიახ, მართლაც, უფალს უნდა შეურიგდეთ, – მდაბლად დაუკრა თავი მდივანმა, – თქვენ შეგიძლიათ, რომელი აღმსარებლობის მღვდელიც გნებავთ, ის მოითხოვოთ.

მდივანმა უკან-უკან დაიხია და გავიდა. გრიფუსის თანაშენწეც უკან მიჰყვა და ის იყო, კარის ჩაკეტვა დააპირა, რომ ათრთოლებული თეთრი ხელი მასსა და კარს შორის ჩადგა.

კორნელიუსი მხოლოდ ლამაზი ფრისლანდიელი ქალიშვილების თავსარქმელს, მაქმანის თეთრყურებიან ოქროს ქუდს ხედავდა. მერე ჩურჩული შემოესმა და მედილეგის ხელმა გასაღებების ასხმულა თეთრ ხელს მიაწოდა. გრიფუსის თანაშემწემ რამდენიმე საფეხურით ჩაინაცვლა და შუა კიბეზე დაჯდა. იგი აქედან ყარაულობდა ტუსაღს, ეზოში კი ძაღლი გუშაგობდა.

ოქროს ქუდი შემობრუნდა და კორნელიუსმა მშვენიერი გოგონას ნამტირალევი სახე და დიდი, ცრემლიანი თვალები იცნო. როზმა ხელები გულზე მიიკრა და კორნელიუსთან მივიდა.

– ოჰ, ბატონო!.. – ქალიშვილს ხმა ჩაუწყდა.

– ჩემო გოგონა, – აღელდა კორნელიუსი, – ჩემგან რას მოითხოვთ? იცოდეთ, რომ ჩემი თავი მე აღარ მეკუთვნის.

– მხოლოდ ერთ წყალობას, ბატონო, – მიუგო ცისკენ თუ კორნელიუსისკენ ხელაპყრობილმა როზმა.

– ნუ სტირით, როზ, – უთხრა კორნელიუსმა, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თქვენი ცრემლები სულს სიკვდილის მოლოდინზე მეტად მიფორიაქებს. ხომ იცით, რომ უბრალო კაცი სიკვდილს მშვიდად, მეტიც, მარტვილივით სიხარულითაც კი ეგებება. ნუ იტირებთ, მშვენიერო როზ და მითხარით, რა გსურთ.

გოგონამ მუხლი მოიყარა.

– მიუტევეთ მამაჩემს!

– მამათქვენს? – გაუკვირდა კორნელიუსს.

– დიახ. მართალია, სასტიკად გექცეოდათ, მაგრამ ასეთია მისი ბუნება და მხოლოდ თქვენ არ მოგქცევით სასტიკად.

– იგი უკვე დაისაჯა, როზ, იმით, რომ ხელი მოიტეხა და მეც მიპატიებია მისთვის.

– გმადლობთ! ახლა კი მითხარით, მე რა გავაკეთო?

– ცრემლი შეიშრეთ, ჩემო საყვარელო, – ალერსიანად უთხრა კორნელიუსმა.

– თქვენთვის რისი გაკეთება შემიძლია, თქვენთვის?..

– საყვარელო როზ, როდესაც კაცს მხოლოდ ერთი საათის სიცოცხლეღა დარჩენია, დიდი ფუფუნება იქნებოდა, რამე ესურვა.

– თქვენ მოძღვარი შემოგთავაზეს. არ მოგიყვანოთ?

– მე ღმერთს ყოველთვის ვცემდი თაყვანს და მისი ნების წინააღმდეგ არასდროს წავსულვარ. ღმერთთან შესარიგებელი არაფერი მჭირს და ამიტომაც არ გთხოვთ მოძღვრის მოყვანას, მაგრამ მთელი ჩემი სიცოცხლე ერთ სურვილს ველოლიავებოდი და თუ იმას ამისრულებთ...

– ოჰ, თქვით, თქვით, ბატონო კორნელიუს! – შესძახა ატირებულმა გოგონამ.

– მომეცით თქვენი ხელი, ჩემო პატარა როზ და პირობა მომეცით, რომ არ დამცინებთ...

– დაგცინებთ! ასეთ დროს! არა, თქვენ, ალბათ, არც კი მიყურებთ, თორემ მაგას არ იტყოდით.

– არა, სწორედაც რომ გიყურებთ, როზ და გიყურებთ ხორციელი თვალითაც და სულიერითაც. თქვენისთანა მშვენიერი, დიდსულოვანი ქალიშვილი არასდროს მინახავს და თუ აი, ამ წუთს, არ გიყურებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამქვეყნიდან წასასვლელად ვემზადები და არ მინდა, ისეთი რამ დავინახო, რის დატოვებაც გულს დამწყვეტდა.

როზი შეკრთა, რადგან სწორედ, ამ დროს, ციხის საათმა თერთმეტი დარეკა.

– დიახ, თქვენ მართალი ხართ, უნდა ვიჩქარო, – თქვა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კორნელიუსმა და უბიდან ქაღალდში გახვეული ბოლქვები ამოიღო.

– ჩემო მშვენიერო მეგობარო, – უთხრა მან როზს, – მე ძალიან მიყვარდა ყვავილები. ეს იმ დროს იყო, როცა ჯერ არ ვიცოდი, რომ სხვა რამის შეყვარებაც შეიძლებოდა. ოჰ, როზ, ნუ გაწითლდებით და პირს ნუ შემაქცევთ! თუნდაც სიყვარულში გიტყდებოდეთ, რა მნიშვნელობა აქვს? ბუტენხოფის მოედანზე უკვე დევს ფოლადის ბასრი იარაღი, რომელიც სამოც წუთში ამ თავხედობას მაზღვევინებს. მოკლედ, როზ, ძალიან მიყვარდა ყვავილები და მე ამოვხსენი, – ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, – დიდი შავი ტიტას გამოყვანის საიდუმლო, რაც ყველას შეუძლებლად ეჩვენებოდა და რისთვისაც ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოებამ, როგორც იცით, ან იქნებ, არც იცით, ასი ათასი ფლორინის ჯილდო დააწესა. ის ასი ათასი ფლორინი – ღმერთმა ხომ იცის, რომ გული არ მწყდება, – ამ ქაღალდშია გახვეული. როზ, იმ ჯილდოს ეს სამი ბოლქვი აიღებს და მინდა, რომ ის თქვენ გაჩუქოთ.

– ბატონო კორნელიუს!

– ოჰ, გამომართვით, როზ, გამომართვით! ნუ გეშინიათ, ამით არავის დააზარალებთ. ამქვეყნად ახლობელი არავინ მრჩება. დედ-მამა დიდი ხანია გარდამეცვალა, და-ძმა არა მყოლია, შეყვარებით არავინ შემყვარებია და თუ ვინმეს ვუყვარდი, არ გამიგია. თუმცა, თავადაც ხედავთ, რა ეული ვარ, რადგან ასეთ წუთებში, ჩემს გვერდით მხოლოდ თქვენ დგახართ, მხოლოდ თქვენ მანუგეშებთ და მხნეობას მმატებთ.

– დიახ, ბატონო, მაგრამ ასი ათასი ფლორინი...

– ყური კარგად დამიგდეთ, როზ და მოდით, ამ საქმეს, სერიოზული თვალით შევხედოთ. ასი ათასი ფლორინი ჩინებული მზითვი იქნება თქვენი სილამაზისთვის. ჩემი ბოლქვების მჯერა და მჯერა, რომ თქვენ ასი ათას ფლორინს მიიღებთ. სამაგიეროდ მხოლოდ ერთსა გთხოვთ, – მისთხოვდით კაცს, ახალგაზრდას, რომელსაც ისე ძლიერად ეყვარებით, როგორც მე ჩემი ყვავილები მიყვარდა. ნუ გამაწყვეტინებთ, როზ, სულ რამდენიმე წუთიღა დამრჩა...

საბრალო გოგონას ცრემლი ახრჩობდა.

კორნელიუსმა ხელი დაუჭირა.

– ყური მიგდეთ და გეტყვით, როგორც მოიქცეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დორდრეხტში წახვალთ და ჩემი ბაღიდან მიწას წამოიღებთ. ჩემს მებაღეს, ბუტრუსხემს სთხოვეთ, რომ მიწა მეექვსე კვალიდან მოგცეთ. მიწას ღრმა ყუთში ჩაყრით და შიგ ამ სამ ბოლქვს ჩარგავთ. ბოლქვები მაისში, ანუ შვიდი თვის შემდეგ ამოვა. როგორც კი კვირტს გამოიღებს, დღისით ცხარე მზისგან დაიცავთ, ღამე – ქარისგან. დარწმუნებული ვარ, ტიტა შავი იქნება. დაუყოვნებლივ აცნობეთ ეს ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოების თავჯდომარეს და როგორც კი კომისია ტიტას ფერს დაადგენს, ასი ათას ფლორინს მაშინვე მოგცემენ.

როზმა ოხვრას გულიც ამოატანა.

– ახლა კი, – განაგრძო და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა კორნელიუსმა, რომელსაც შავ ტიტაზე უფრო წყდებოდა გული, ვიდრე სიცოცხლეზე, – ალბათ, კიდევ ერთს ვინატრებდი. მინდა, რომ შავ ტიტას თქვენი და ჩემი სახელი უწოდონ: "Rosa Barleansis". ფანქარი და ქაღალდი მომეცით, რომ დაგიწეროთ, თორემ თქვენ ლათინური არ იცით და ვაითუ, ზეპირად ვერ დაიმახსოვროთ.

როზი ატირდა და კორნელიუსს შაგრენის ტყავით დაკაზმული წიგნი მიაწოდა, რომელზედაც ინიციალები კ.ვ. ამოეტვიფრათ.

– ეს რა წიგნია? – იკითხა კორნელიუსმა.

– ეჰ, ჩემო ბატონო, – მიუგო როზმა, – ეს ნათლიათქვენის – კორნელიუს დე ვიტის, ბიბლიაა. მისი სიკვდილის შემდეგ, ამ საკანში ვნახე და რელიქვიასავით ვინახავ. ჩაწერეთ ამ წიგნში თქვენი სურვილი, ბატონო ვან ბერლე და თუმცა საუბედუროდ, კითხვა არ ვიცი, რასაც ჩაწერთ, უეჭველად აგისრულებთ.

კორნელიუსმა ბიბლია აიღო და მოწიწებით ეამბორა.

– რითი დავწერო? – ჰკითხა როზს.

– ფანქარი ბიბლიაში დევს, – მიუგო ქალიშვილმა, – თავიდანვე შიგ იდო და ხელი არ ვახლე.

ეს სწორედ ის ფანქარი იყო, რომელიც იან დე ვიტმა მისცა ძმას და უკან აღარ გამოურთმევია. კორნელიუსმა ფანქარი აიღო და სიკვდილის პირას მდგარმა, ნათლიასავით მტკიცე ხელით დაწერა:

„მე, კორნელიუს ვან ბერლე, 1672 წლის 23 აგვისტოს, სანამ სრულიად უდანაშაულო, ეშაფოტზე ავიდოდე, ვუანდერძებ როზ გრიფუსს ტიტას სამ ბოლქვს, ჩემს ერთადერთ ქონებას, – რადგან სხვა ყველაფერი ჩამომართვეს, – საიდანაც –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ამაში ეჭვიც არ მეპარება, – ამოვა დიდი შავი ტიტა, რომლის გამოყვანისთვის ქალაქ ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოებამ ჯილდოდ ასი ათასი ფლორინი დააწესა. მსურს, როზ გრიფუსმა, როგორც ერთადერთმა ჩემმა მემკვიდრემ, ჩემს ნაცვლად მიიღოს ასი ათასი ფლორინი, ერთი პირობით, რომ იგი ცოლად გაჰყვება დაახლოებით ჩემი ხნის ახალგაზრდა კაცს, რომელსაც როზ გრიფუსი ეყვარება და თავადაც ეყვარება იგი, ხოლო უბადლო შავ ტიტას, რომელიც ტიტას ახალ ჯიშს სათავეს დაუდებს – "Rosa Barleansi"-ს, ანუ ჩვენს გაერთიანებულ სახელს უწოდებს.

უფალო, შეიწყალე ჩემი სული და დღეგრძელი ჰყავ როზ გრიფუსი

კორნელიუს ვან ბერლე.

კორნელიუსმა ბიბლია როზს გადასცა და სთხოვა:
– წაიკითხეთ!
– ვაი, რომ კითხვა არ ვიცი, – მიუგო მან.
მაშინ, კორნელიუსმა თვითონ წაუკითხა ანდერძი. საბრალო გოგონას გული უფრო ამოუჯდა.
თანახმა ხართ ამ პირობაზე? – სევდიანად ჰკითხა ტუსალმა და ტურფა ფრისლანდიერ ქალიშვილს აცახცახებული ხელები დაუკოცნა.
– ოჰ! არ შემიძლია, ჩემო ბატონო, – წაიჩურჩულა მან.
– არ შეგიძლიათ, გენაცვალე? მერედა, რატომ?
– იმიტომ რომ, ერთ პირობას ვერ შეგისრულებთ.
– რომელს? მე კი მეგონა, რომ ყველაფერზე შევთანხმდით?
– თქვენ იმ ასი ათას ფლორინს მზითვად მაძლევთ?
– დიახ.
– იმ პირობით, რომ საყვარელ კაცს მივთხოვდები?
– უეჭველად.
– ჰოდა, იმ ფულს ვერ ავიღებ. მე ვერავის შევიყვარებ და ვერც გავთხოვდები.
მწუხარებისგან ლამის გულწასული როზი შებარბაცდა და ამ სიტყვების სათქმელად ენა ძლივს მოატრიალა. გადაფითრებულ ქალიშვილს კორნელიუსმა ხელი შეაშველა. ამ დროს, კიბიდან, ნაბიჯებისა და კიდევ რაღაც უცნაური ხმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოისმა. ეზოში ძაღლი აყეფდა.

– თქვენ წასაყვანად მოდიან! – ხელების მტვრევით შესძახა როზმა, – ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! კიდევ ხომ არაფერი გინდათ, რომ მითხრათ?

ქალიშვილი მუხლებზე დაეცა და სახეზე ხელები აიფარა. როზი ცრემლად იღვრებოდა და გულამომჯდარს, სუნთქვა ეკვროდა.

– მინდა, კარგად დამალოთ ბოლქვები და როგორც გითხარით, ისე მოუაროთ. მშვიდობით, როზ!

– ოჰ, დიახ, დიახ, ყველაფერს შეგისრულებთ, ყველაფერს, – და ჩურჩულით დასძინა, – გათხოვების გარდა. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, გეფიცებით, ამას ვერ ვიზამ.

თქვა ქალიშვილმა და ათრთოლებული ხელით, უბეში ჩაიდო კორნელიუსის საუნჯე.

ხმაური, რომელიც კორნელიუსსა და როზს შემოესმათ, მდივნის მოსვლას გამოეწვია. მდივანს თან ახლდა აღმასრულებელი და ჯარისკაცები, რომლებსაც ეშაფოტის დაცვა ევალებოდათ და კიდევ, ციხე-სიმაგრეში მცხოვრები ცნობისმოყვარენი.

კორნელიუსს ფუჭი ყოყლოჩინობა არ დაუწყია. იგი ლამის მეგობრულადაც კი შეხვდა მოხელეებს და ხელი არ შეუშლია, თავიანთი მოვალეობა ისე აღესრულებინათ, როგორც საჭიროდ მიაჩნდათ.

საკნის სარკმლიდან, რომელიც მოედნის მხარეს გადიოდა, კორნელიუსმა ეშაფოტი დაინახა, ცოტა მოშორებით, სახრჩობელა მოჩანდა, საიდანაც შტატჰალტერის ბრძანებით, ძმები დე ვიტების შეგინებული გვამის ნაშთი უკვე ჩამოეხსნათ.

ვიდრე დარაჯებს გაჰყვებოდა, კორნელიუსი როზის უმანკო თვალებს ეძებდა, მაგრამ ალებარდებსა და ხიშტებს მიღმა, მხოლოდ ქალიშვილის გამტკნარებული სახე და ჩამოშლილი თმა დაინახა. გულწასული როზი იატაკზე ეგდო. ხელი კორსაჟზე მიედო და ცნობამიხდილიც კი, ინსტიქტურად იცავდა საუნჯეს, რომელიც კორნელიუსმა მიაბარა.

საკნიდან გასვლისას, ახალგაზრდა კაცმა, როზის მომუჭულ ხელში, ბიბლიის გაყვითლებული ფურცელი დაინახა, რომელზედაც მისმა ნათლიამ დიდი გაჭირვებით დაწერა ის ორიოდე სტრიქონი, რომელიც კორნელიუსს რომ წაეკითხა, მასაც გადაარჩენდა და მის ტიტასაც.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XII
სიკვდილით დასჯა

Სატუსაღოდან ეშაფოტამდე კორნელიუსს სულ სამასიოდე ნაბიჯი უნდა გაევლო. ეზოში ჩასული ტუსაღი ქოფაკმა მშვიდად გაატარა. კორნელიუსს მოეჩვენა, რომ ცხოველმა თანაგრძნობის თვალითაც კი გამოხედა. იქნებ ძაღლი ალღოთი ცნობდა სიკვდილმისჯილებს და მხოლოდ იმათ კბენდა, ვისაც ათავისუფლებდნენ.

მოედანზე ტევა არ იყო. რაც უფრო ახლოა სატუსაღოდან ეშაფოტი, მით მეტი ხალხი იყრის ხოლმე თავს. ბრბოს, რომლსაც სამი დღის წინ დაღვრილი სისხლი არ ეკმარა, ისევ სისხლი სწყუროდა და ახალ მსხვერპლს ელოდა.

კორნელიუსის გამოჩენაზე ქუჩა გააფთრებულმა ღრიალმა შეძრა. ღრიანცელმა მოედანს გადაუარა და ახლომახლო ქუჩებსაც მისწვდა. ეშაფოტი კუნძულსა ჰგავდა, რომელსაც ოთხი თუ ხუთი მდინარე მიდგომოდა და ტალღებს ახეთქებდა.

ყველა მხრიდან წამოსული ყვირილი, მუქარა და ღმუილი რომ არ გაეგონა, კორნელიუსმა ფიქრს მისცა თავი.

რაზე შეიძლებოდა ეფიქრა, ასეთ დროს, სასიკვდილოდ განწირულ მარტოსულს?

კორნელიუსს არც თავისი მტრები გახსენებია, არც მსაჯულები და არც ჯალათი. იგი მხოლოდ უტურფეს ტიტებზე ფიქრობდა, რომლებსაც იქ, უფლის ხელმარჯვნივ მჯდომი, დაინახავდა და საიდანაც სიბრალულით გადმოხედავდა დედამიწას, სადაც იან და კორნელიუს დე ვიტებისთვის ყელი იმიტომ გამოეღადრათ, რომ ისინი ძალიან ბევრსა ფიქრობდნენ პოლიტიკაზე, ხოლო კორნელიუს ვან ბერლეს იმიტომ უპირებდნენ ყელის გამოჭრას, რომ იგი ძალიან ბევრს ფიქრობდა ყვავილებზე.

„ხმლის ერთი დაკვრა და მშვენიერი ოცნება ახდება“, – ფიქრობდა ფილოსოფოსი.

ოღონდ, მოუღებდა კი ერთი დაკვრით ჯალათი ბოლოს?

კორნელიუს ვან ბერლე მტკიცე ნაბიჯით ავიდა ეშაფოტზე. ჭაბუკი მეცნიერი ამაყობდა, რომ სახელოვანი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იან დე ვიტის მეგობარი და კეთილშობილი კორნელიუს დე ვიტის ნათლული იყო, – ძმებისა, აგერ იმ ბრბოს რომ დაეგლიჯა, რომელიც სეირის საყურებლად ისევ მოწყდომოდა ბუტენხოფის მოედანს.

კორნელიუსმა მუხლი მოიყარა და ილოცა. გაუხარდა, როცა შეამჩნია, რომ თუ კუნძზე კისერგაწვდილი, თვალს არ დახუჭავდა, ბოლო სულის ამოსვლამდე დაინახავდა ბუტენხოფის გისოსიან სარკმელს.

ბოლოს, ეს შემზარავი წუთიც დადგა. კორნელიუსი ნიკაპით დაეყრდნო ცივსა და ნოტიო კუნძს, მაგრამ უნებლიეთ დახუჭა თვალი, რათა ვაჟკაცურად დახვედროდა საშინელ დარტყმას, რომელიც სიცოცხლეს მოუსპობდა.

აღმართული მახვილის ანარეკლმა ეშაფოტის ფიცარნაგზე გაიელვა.

კორნელიუს ვან ბერლე დიდ შავ ტიტას გამოეთხოვა. მას მტკიცედ სწამდა, რომ სააქაოდან, სულ სხვა ფერებითა და სინათლით გასხივოსნებულ საიქიოში მიდიოდა.

გაქვავებულ კისერზე სამჯერ დაქროლა სამგზის მოქნეული მახვილისგან ამდგარმა სიომ, მაგრამ ვერც დარტყმა იგრძნო, ვერც ტკივილი და არც ფერისცვალება უნახავს.

ბოლოს იგრძნო, რომ ვიღაც, – ვინ, არ იცოდა, – საკმაო რუდუნებით ცდილობდა, ზეზე წამოეყენებინა და ბარბაცით წამოდგა.

თვალი გაახილა. ვიღაც კაცს, რომელიც მის გვერდით იდგა, წითელი ლუქით დაბეჭდილი გრძელი ეტრატი გაეშალა და რაღაცას კითხულობდა.

ცას ისევ ის, უწინდელი, ჰოლანდიურად მკრთალი მზე ანათებდა, ბუტენხოფის ციხიდან ისევ ის, უწინდელი, გისოსიანი სარკმელი გადმოჰყურებდა და უწინდელი მოედანიც, უწინდებურად გაევსო სეირის მოყვარულ, მყვირალა ბრბოს, რომელიც ახლა, გაოცებისგან პირდაღებული, ჩუმად შემოსცქეროდა.

ვან ბერლემ, როგორც იქნა, თვალი გაახილა, მიიხედ-მოიხედა, ყური მიუგდო და რაღაცას მიხვდა.

მისმა უმაღლესობა ვილჰემლმა, ორანის პრინცმა, ეტყობა იფიქრა, იმ ჩვიდმეტმა ფუნტმა სისხლმა, რომელიც ვან ბერლეს ძარღვებში ჩქეფს, ვაითუ, ღვთის მოთმინების ფიალა აავსოსო და კორნელუსის ბუნებითა და სავარაუდო უბრალოებით გულმომბალმა, გადაწყვიტა, მისთვის სიცოცხლე ეჩუქებინა. ამიტომაც იყო, რომ მახვილი, რო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მელმაც მტაცებელი ფრინველივით კორნელიუსის თავზე სამჯერ შეჰკრა ირაო, არ დააცხრა და კისრის მალები არ გაუპო.

აი, რატომ ვერ იგრძნო ტკივილი და ვერც მახვილის დარტყმა; აი, რატომ ულიმოდა მზე, არც ძალიან ლაჟვარდოვანი, მაგრამ მაინც საამური ცის კამარიდან.

ჩვენს ყმაწვილ მეცნიერს, ცოტა გული კი დაწყდა, რომ მთელი დუნია ტიტების ნახვის იმედი გაუცრუვდა, მაგრამ ისიც ერთ რამედ ღირდა, რომ სხეულის ის ნაწილი, რომელსაც ბერძნები ტრაქეას უწოდებენ, ჩვენ კი მოკრძალებულად კისერს ვეძახით, მთელი შერჩა და საითაც მოისურვებდა, იქით მიატრილ-მოატრიალებდა. ეგეც არ იყოს, ეგონა, სულ მათავისუფლებენ და ისევ დორდრეხტში, ჩემს კვლებთან დავბრუნდებიო.

ტყუილად ეგონა. მადამ დე სავინისა[46] არ იყოს, წერილს დანართიც მოსდევს ხოლმე და შტალჰალტერის ბრძანებასაც მოსდევდა დანართი, რომელიც ყველაზე მთავარს იუწყებოდა: ვილჰემი, შტატჰალტერი ჰოლანდიისა, კორნელიუს ვან ბერლეს სამუდამო პატიმრობას უსჯიდა.

კორნელიუს ვან ბერლე არც ისეთი ბრალიანი იყო, რომ თავი მოეკვეთათ, მაგრამ არც ისე უბრალო, რომ თავისუფლად გაეშვათ.

კორნელიუსმა დანართი მოისმინა, მაგრამ იმედის გაცრუებისგან მოგვრილმა წყენამ მალევე გაუარა.

– რას იზამ! – გაიფიქრა მან, – სულ არარაობას მაინც ხომ სჯობს. სამუდამო პატიმრობასაც ახლავს თავისი სიკეთე. სამუდამო პატიმრობაში, ჩემს გვერდით იქნება როზი და კიდევ, ჩემი დიდი შავი ტიტას სამი პაწია ბოლქვი.

კორნელიუსს სულ დავიწყებოდა, რომ შვიდ პროვინციას შვიდი სატუსალო ექნებოდა, თითოში – თითო და ტუსალის შენახვა სხვაგან უფრო იაფი დაჯდებოდა, ვიდრე დედაქალაქში.

მის უდიდებულესობა ვილჰელმს, ეტყობა, იმდენი სახსარი არ გააჩნდა, რომ ვან ბერლე ჰააგაში შეენახა და იგი ლევენშტაინში გაემწესებინა. მართალია, ლევენშტაინი დორდრეხტის მეზობლად მდებარეობდა, მაგრამ მაინც გვარიანი მანძილით იყო დაშორებული. ლევენშტაინი, როგორც გეოგრაფები გვამცნობენ, გორკუმის წინ, იმ კუნძულის ბოლოს არის, რომელსაც მდინარე მაასი და ვაალი[47] ქმნის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვან ბერლე თავისი ქვეყნის ისტორიას საკმაოდ კარგად იცნობდა და ცხადია, ეცოდინებოდა, რომ სახელგანთქმულ გროციუსს[48] – ცნობილ პუბლიცისტს, იურისკონსულტს, ჟამთა აღმწერელს, პიიტიკოსსა და ღვთისმეტყველს, რომელიც ბარნეველტის[49] სიკვდილის შემდეგ, ამ ციხეში გამოამწყვდიეს, დღიურ ხარჯად, ოცდაოთხი ჰოლანდიური სუ[50] დაუწესეს.

„აბა, სად მე და სად გროციუსი, – ფიქრობდა ვან ბერლე, – ამიტომ ბევრი-ბევრი, თორმეტი სუ გამოიმეტონ. თავის გატანა ძალიან კი გამიჭირდება, მაგრამ რა გაეწყობა, ცოცხალი ხომ მაინც ვიქნები!“

უცბად რაღაც გაახსენდა და დაზაფრულმა წაილულლულა:

– უჰ, ის ადგილები ხომ ძალიან ნისლიანი და ტენიანია! არც ნიადაგი ვარგა ტიტებისთვის და რაც მთავარია, როზი, როზი არ იქნება იქ! – კორნელიუსმა თავი ჩაქინდრა, – ის თავი, რომელიც წელან, კინალამ ფიცარნაგზე ჩამოუგორდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XIII

რა ტრიალებდა, ამ დროს, ერთი მაყურებლის გულში

სანამ კორნელიუსი ფიქრში ჩაძირულიყო, ეშაფოტს ტუსაღისთვის განკუთვნილი კარეტა მიადგა. ვან ბერლეს ჩაჯდომა უბრძანეს და ისიც დაემორჩილა. კორნელიუსმა უკანასკნელად გახედა ბუტენხოფის ციხეს. იმედი ჰქონდა, რომ ციხის სარკმელში როზის მწყაზარ სახეს შეასწრებდა თვალს, მაგრამ ღონიერმა ცხენებმა უმალ გამოიტაცეს ბრბოდან, რომელიც მხიარული ყიჟინით ამკობდა შტატჰალტერის დიდსულოვნებას და ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდა დე ვიტებსა და მათ ცოცხლად დარჩენილ ნათლულს.

– კიდევ კარგი, – ამბობდნენ ხალხში, – მოვასწარით და იმ ავაზაკების უსტაბაშ იანსა და გაიძვერა კორნელიუსს გავუსწორდით, თორემ მისი უდიდებულესობის გულმოწყალება იმათაც ხელიდან გამოგვტაცებდაო.

ბუტენხოფის მოედანზე შეყრილ ხალხში, რომელიც ვან ბერლეს სიკვდილის დასჯის საყურებლად მოსულიყო და მოულოდნელ ბოლოს, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული ტოვებდა, ყველაზე გაწბილებული ერთი კარგად ჩაცმული მოქალაქე მოჩანდა. ეს კაცი დილიდანვე იქნევდა იდაყვებს, რომ რამენაირად წინ გამძვრალიყო და ეშაფოტისგან ჯარისკაცთა ალყაღა ჰყოფდა.

ბევრს დაწყვეტოდა გული, რომ მოღალატე კორნელიუსის ბილწი სისხლის ფერი ვერ ნახა, მაგრამ ამ სასტიკი სიტყვების მიუხედავად, ყველაზე გაავებული სახე მაინც იმ კარგად გამოწყობილ მოქალაქესა ჰქონდა.

ყველაზე ცოფიანები საუკეთესო ადგილის დასაკავებლად დილაუთენია მოჭრილიყვნენ ბუტენხოფის მოედანზე, მაგრამ ამ კაცს ყველასთვის ეჯობნა: მას ღამე ციხის პარმალთან გაეთია, მერე ტუსაღს აქეთ გამოჰყოლოდა და ხან მუჯლუგუნით, ხან ტლინკით და ხანაც ქლესა ღიმილით, პირველ რიგში გამძვრალიყო.

როდესაც სიკვდილმისჯილი ეშაფოტზე აიყვანეს, შადრევანზე ამძვრალმა მოქალაქემ ჯალათს ხელით ანიშნა:

– როგორც შევთანხმდით, არა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არხეინად იყავით, – ანიშნა იმანაც.

ვინ იყო ის მოქალაქე, ასე რომ გაშინაურებოდა ჯალათს და რას ანიშნებდნენ ერთმანეთს?

ის მოქალაქე მინჰენ ისააკ ბოქსტელი გახლდათ, რომელიც დაპატიმრებულ კორნელიუსს ჰააგაში გამოჰკიდებოდა, რათა შავი ტიტას ბოლქვი ხელში ჩაეგდო.

ისააკმა ბედი ჯერ გრიფუსთან სცადა, მაგრამ მედილეგემ, რომელიც ბულდოგივით ერთგული და ამ ცხოველივით ეჭვიანი და ავი გახლდათ, იფიქრა, ეს კაცი ვან ბერლეს მეგობარია და თავს გულგრილად იმიტომ მაჩვენებს, რომ თვალი ამიბას და პატიმარი ციხიდან გააპაროსო. ამიტომაც, როდესაც ბოქსტელმა სთხოვა, ტიტას ბოლქვები მაშოვნინე, რომელსაც ვან ბერლე ალბათ უბეში ან საკნის მიყრუებულ კუთხეში მალავსო, გრიფუსმა ძაღლი მიუქსია და ციხიდან გააგდო.

მართალია, ძაღლმა ბოქსტელს შარვალი გამოახია, მაგრამ ისააკმა ფარხმალი არ დაყარა და კიდევ ერთხელ მიიტანა იერიში მედილეგეზე. ხელმოტეხილი გრიფუსი სიცხიანი იწვა და ისააკი ახლოსაც არ გაიკარა. ბოქსტელი ახლა როზს მიადგა და ბოლქვების სანაცვლოდ, ბაჯაღლო ოქროს ქუდს შეპირდა. ზღაპრული საზღაურის მიუხედავად, თუმცა, როზმა მაშინ არც იმისი ფასი იცოდა, რის მოპარვასაც თხოვდნენ, კეთილშობილმა ქალიშვილმა თავისი მაცდუნებელი ჯალათთან გაგზავნა, რადგან სიკვდილმისჯილის უკანასკნელი მსაჯულიც და მისი მემკვიდრეც ჯალათი იყო. როზის რჩევა ბოქსტელს ჭკუაში დაუჯდა.

ამასობაში, როგორც ვნახეთ, სასამართლომ განაჩენი ფრიად ნაჩქარევად გამოიტანა და ბოქსტელს დროც აღარ დაუტოვა, რომ ვინმე სხვაც მოესყიდა. ამიტომ იგი როზის რჩევას მიჰყვა და ჯალათი მოინახულა.

ისააკს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ კორნელიუსს, სიკვდილის დროსაც, უბეში ედებოდა თავისი ბოლქვები. მან მხოლოდ ორი რამ ვერ გაითვალიწინა: სიყვარული ანუ როზი და ვილჰემი ანუ გულმოწყალება.

რომ არა როზი, კორნელიუსს თავისი ბოლქვები უბეში ედებოდა, რომ არა ვილჰემი, კორნელიუსი სიკვდილს ვერ ასცდებოდა.

მოკლედ, ბატონმა ბოქსტელმა ჯალათს მიაკითხა, თავი კორნელიუს ვან ბერლეს მეგობრად გაასაღა და სიკ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვდილმისჯილის სამოსი არნახულ ფასად, ას ფლორინად წინასწარ შეისყიდა. რაც შეეხება ოქრო-ვერცხლის ნივთებს, ეს ყველაფერი, ჯალათს რჩებოდა.

აბა ასი ფლორინი რა ბედენა იყო კაცისთვის, რომელიც თითქმის დარწმუნებული გახლდათ, რომ ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოების ჯილდო – ასი ათასი ფლორინი, განაღდებული ჰქონდა. ეს იგივე იყო, გაწეულ ხარჯზე, ათასი პროცენტი თავნი აეღო, რასაც დამეთანხმებით, ურიგო გარიგება არ ეთქმოდა.

თავის მხრივ, ჯალათიც გაურჯელად, ან თითქმის გაურჯელად, ას ფლორინს იშოვნიდა. კორნელიუსს თავს რომ მოჰკვეთდა, ეშაფოტზე ბოქსტელსა და მის მსახურებს აუშვებდა და მეგობრის უსულო ცხედარს ჩააბარებდა.

ასე იქცეოდნენ იმ სახელმწიფო მოღვაწეთა ერთგული ხალხი, რომელსაც ბუტენხოფის მოედანზე დასჯიდნენ ხოლმე და რა გასაკვირი იყო, რომ ვან ბერლესთანა ფანატიკოსსაც გამოჩენოდა თავისნაირი ფანატიკოსი მეგობარი, რომელიც მის ნეშტში ას ფლორინსაც არ იშურებდა.

მოკლედ, ჯალათი ყაბულს იყო, ოღონდ ერთი პირობით: ფულს თავიდანვე გადაუხდიდნენ. ერთიც ვნახოთ, ისააკს გუნება შეცვლოდა და ბალაგანში შესული კაცისა არ იყოს, გამოსვლისას, – აქაოდა, სანახაობა არ მომეწონაო, – ფულის გადახდაზე უარი ეთქვა.

ბოქსტელმა ფული გადაიხადა და ლოდინად იქცა.

წარმოიდგინეთ, ამის შემდეგ, რა ღელვა და შფოთი მოერეოდა ბოქსტელს, რა გაფაციცებული მიადევნებდა თვალს გუშაგებს, მდივანს თუ ჯალათს, რა შიშის ქარი დაუვლიდა, ვაითუ, ვან ბერლეს თავს რომ მოჰკვეთენ, ისე დაცურდეს, რომ უუძვირფასესი ბოლქვები ქვეშ მოიყოლოს და გასრისოსო; ნეტა, თუ მოისაზრა, რომ ბოლქვები ოქროს კოლოფში შეენახა, რაც უნდა იყოს, ოქრო ყველაზე მაგარი ლითონიაო...

უძლური ვართ აგიწეროთ, რას განიცდიდა ღირსეული მოკვდავი, როდესაც სასჯელის აღსრულებას აყოვნებდნენ. ვერაფრით გაეგო, ნაცვლად იმისა, რომ ჯალათს ტუსაღისთვის თავი ერთი დარტყმით გაეგდებინებინა, ტყუილუბრალოდ ხმალს რატომ იქნევდა? რომ იცოდეთ, რა მოუვიდა, როდესაც მდივანმა ვან ბერლე ფეხზე წამოაყენა და შტატჰალტერის შეწყალება წაუკითხა. ისააკ ბოქსტელს მგლის ფერი დაედო. თვალები ვეფხვისა და აფთრის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მძვინვარებითა და გველის გესლით აენთო. კორნელიუსს რომ მიწვდომოდა, მივარდებოდა და ყელს გამოჭამდა.

მოკლედ კორნელიუსი იცოცხლებდა, კორნელიუსი ლევენშტაინში წავიდოდა და ბოლქვებსაც თან წაიღებდა! ვინ იცის, საპატიმროს ბაღიც ჰქონოდა, სადაც შავ ტიტას გაახარებდა!

ზოგიერთი უბედურების გადმოსაცემად მწერლის კალამი უძლურია და იძულებულია, მკითხველის წარმოსახვას მიანდოს.

ბოქსტელმა ერთი კი შეჰყვირა, ლამის გულწასული ტუმბოდან ჩამოვარდა და ტყაპანი მოადინა შუაგულ ორანელებში, რომლებიც მისი არ იყოს, გუნებაზე ვერ ბრძანდებოდნენ. ორანელებს ბოქსტელს შეყვირება სიხარულის წამოძახილად მოეჩვენათ და ისააკს ისეთი მაგარ-მაგარი უთავაზეს, უკეთ სრუტეს იქითაც ვერ მოახერხებდნენ.

ეჰ, ორიოდე მუჯლუგუნი რა მოსატანი იყო ისააკის ტანჯვასთან!

ბოქსტელი უკან გამოენთო კორნელიუსის კარეტას, რომელიც სანატრელ ბოლქვებს მიაქროლებდა, მაგრამ სიჩქარეში ქვას ფეხი წამოჰკრა, ათიოდე მეტრზე გაფრინდა და სანამ მთელი ჰააგის ტურტლიანმა ბრბომ ზედ არ გადაუარა, ქვაფენილიდან თავიც ვერ ასწია.

მაგრამ თუ გგონიათ, რომ სამოსშემოფხრეწილი, ზურგგადაყვლეფილი და თითებდაჩეჩქვილი ისააკი, ამდენი ფათერაკის შემდეგ, ჭკუას მოეგო, ძალიან ცდებით. ფეხზე წამოდგა თუ არა, გამწარებულმა მთელი ბლუჯა თმა მოიგლიჯა და მსხვერპლად შესწირა შურის[51] გულქვა ქალღმერთს, რომელსაც უეჭველია, ისააკის მსხვერპლი დიდად ეამებოდა, რადგან მითებს თუ დავუჯერებთ, ამ ქალბატონს თმის ნაცვლად, თავზე გველები ასხია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XIV
დორდრეხტის მტრედები

ორნელიუს ვან ბერლესთვის, ცხადია, დიდი პატივი იყო, რომ იმ ციხეში გამოამწყვდიეს, სადაც დიდი მეცნიერი ჰუგო გროციუსი იჯდა. ლევენშტაინში მას კიდევ უფრო დიდი პატივი ელოდა. აღმოჩნდა, რომ საკანი, სადაც დიდი ბარნეველტის სახელოვანი მეგობარი იჯდა, ცარიელი იყო, როდესაც ორანის პრინცის გულმოწყალებამ იქ ტიტას ტრფიალი გაამწესა.

ამ საკანს მეციხოვნეთა თვალში სახელი ჰქონდა გატეხილი, მას შემდეგ, რაც გროციუსმა ბრწყინვალედ განახორციელა თავისი ცოლის გეგმა და წიგნების სკივრში ჩამალული, რომლის შემოწმებაც დავიწყებოდათ, საპატიმროდან გაიქცა.

ვან ბერლეს კარგად ენიშნა, რომ სწორედ ამ საკანში შემოიყვანეს. მისთვის რომ გეკითხათ, გალიაში, საიდანაც ერთი მტრედი იოლად გაუფრინდათ, მეორე აღარ უნდა ჩაესვათ.

საკანი, მართალია, ისტორიული გახლდათ, მაგრამ მაინც ერთი ჩვეულებრივი ციხის საკანი იყო, რომელიც სხვებისგან მხოლოდ იმით გამოირჩეოდა, რომ გროციუსის ცოლისთვის კედელში ნიშა გამოეჭრათ, ჭერი ოდნავ მაღალი ჰქონდა და გისოსიანი ფანჯრიდანაც მშვენიერი ხედი იშლებოდა.

ვან ბერლე ცხოვრებას მხოლოდ სუნთქვით არ აღიქვამდა. საბრალო ტუსაღს სიცოცხლისთვის, ფილტვების გარდა, კიდევ ორი რამ სჭირდებოდა – ყვავილები და ქალი ანუ ის, რაც ეკრძალებოდა და რაზედაც ხელი სამუდამოდ უნდა აეღო.

საბედნიეროდ, ჩვენი ჭაბუკი ცდებოდა. ბედმა, რომელმაც ეშაფოტის გზაზე არ მიატოვა, გროციუსის საკანში ისეთი განცდები მოუვლინა, როგორიც ტიტების მოყვარულს არასდროს განეცადა.

ერთ დილას, როდესაც ფანჯარასთან მდგარი კორნელიუსი, სუფთა ჰაერს ყლაპავდა და თან ჰორიზონტზე ასვეტილი მშობლიური დორდრეხტის წისქვილების ცქერით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტკბებოდა, მზეზე მოლაპლაპე მტრედების გუნდი დაინახა, რომელიც დორდრეხტის მხრიდან მოფრინავდა და ფრთების ფრთხიალით, ლევენშტაინის გუმბათზე სხდებოდნენ.

– ეს მტრედები, – გაიფიქრა კორნელიუსმა, – დორდრეხტიდან მოფრინავენ და უეჭველია, ისევ უკან გაფრინდებიან. ვინმეს რომ მათთვის ფრთის ქვეშ ბარათი ამოედო, იქნებ ჩაეტანათ კიდეც დორდრეხტში, სადაც ჩემზე დარდობენ.

ვან ბერლემ ცოტა ხანს კიდევ იოცნება და გადაწყვიტა, ის ვინმე, თვითონ ყოფილიყო. როდესაც ოცდარვა წლის ხარ, სამუდამო პატიმრობა გაქვს მისჯილი და წინ, ოცდაორი ან ოცდასამი ათასი დღე გაქვს, მოთმინების გამოჩენა არც ისე ძნელია.

ვან ბერლეს თავისი სამი ბოლქვი გონებიდან ვერაფრით ამოეგდო, როგორც გულს ვერ ამოიგლეჯდა საგულედან. მან მტრედებს კაკანათი დაუგო და მათ მიტყუებას მწირი სუფრიდან მორჩენილი ნამცეცებით ცდილობდა. ტუსაღის შესანახად, დღეში, რვა ჰოლანდიური სუ გამოეყოთ, რაც თორმეტ ფრანგულ სუს უდრიდა.

ვან ბერლემ მთელი თვე იწვალა და როგორც იქნა, ერთი დედალი მტრედი დაიჭირა. მამალი მტრედის დაჭერას ორი თვე მოანდომა და ბოლოს, როდესაც 1673 წელს, წყვილი ერთ გალიაში ჩასვა და დედალმა კვერცხები დადო, კორნელიუსმა იგი გალიიდან გამოიყვანა, ფრთის ქვეშ ბარათი ამოუდო და გაუშვა. დედალი მტრედი, დარწმუნებული, რომ მამალი კვერცხებსა და ბარტყებს ზრუნვას არ მოაკლებდა, მხიარულად გაფრინდა დორდრეხტისკენ.

საღამოს მტრედი უკან მოფრინდა, მაგრამ ბარათი ისევ ფრთის ქვეშ ჰქონდა ამოდებული. ასე ატარა მტრედმა ვან ბერლეს ბარათი წინ და უკან და მეთვრამეტე დღეს, როდესაც კორნელიუსს იმედი გადაეწურა, უბარათოდ დაბრუნდა.

კორნელიუსი წერილს თავის ძიძას, მოხუც ფრისლანდიელ ქალს უგზავნიდა და მპოვნელს თხოვდა, რაც შეიძლება მალე გადაეცა მისთვის.

წერილში როზისთვისაც იდო ბარათი.

ძიძამ კორნელიუსის წერილი ასეთი გზით მიიღო. როდესაც ბატონი ისააკ ბოქსტელი ჯერ ჰააგას, იქიდან კი გორკუმს გაემგზავრა, მსახურისა და სათვალთვალო ჭოგრიტის გარდა, შინ მტრედებიც დატოვა. უჯამაგიროდ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დარჩენილმა მსახურმა, თავისი დანაზოგი რომ შემოეჭამა, მტრედების ჭამას მიჰყო ხელი. დამფრთხალმა ფრინველებმა ბოქსტელის სახურავი მიატოვეს და ვან ბერლეს სახურავზე გადაინაცვლეს.

კორნელიუსის კეთილ ძიძას ყველა სულდგმული ეცოდებოდა და მათზე ზრუნავდა. მოხუცი ქალი ძალიან შეეთვისა შეხიზნულ ფრინველებს, რომლებიც მას თითქოს მფარველობას სთხოვდნენ და როდესაც ისააკის მსახურმა მიაკითხა და დარჩენილი თხუთმეტიოდე მტრედი შესაჭმელად მოითხოვა, მოხუცმა თითო მტრედში ექვსი ჰოლანდიური სუ შეაძლია. თანხა მტრედების ფასს ორჯერ სჭარბობდა და ბოქსტელის მსახური სიხარულით დასთანხმდა.

ასე გახდა ვან ბერლეს ძიძა მტრედების კანონიერი პატრონი.

დორდრეხტის მტრედები, ეტყობა, გუნდ-გუნდად ერთიანდებოდნენ და ხორბლისა და მათთვის უფრო ნუგბარი კანაფის თესლის საკენკად ჰააგას, ლევენშტაინსა და როტენდამსაც კი ეწვეოდნენ ხოლმე. კორნელიუსმა, შემთხვევის წყალობით, უფრო სწორად ღვთის ნებით, სწორედ ეს მტრედები დაიჭირა.

ისე გამოვიდა, მოშურნეს რომ დორდრეხტი არ დაეტოვებინა და თავის მეტოქეს ჯერ ჰააგაში, მერე კი ლევენშტაინსა და გორკუმში არ გამოკიდებოდა, ბარათი მის ხელთ აღმოჩნდებოდა. ასე რომ მომხდარიყო, ბედკრულ ტუსაღს შრომა წყალში ჩაეყრებოდა, ჩვენ კი ნოხივით ჭრელა-ჭრულა ფათერაკების ნაცვლად, ტუსაღის ღამის სამოსივით ერთფეროვანი, სევდიანი ამბის თხრობა მოგვიწევდა.

ასე იყო თუ ისე, ბარათი კორნელიუსის ძიძამ მიიღო და თებერვლის დამდეგის ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ბინდი ჩუმად მოიპარება და ცაზე ვარსკვლავებს ანთებს, კორნელიუსს ნაცნობი ხმა შემოესმა. კორნელიუსმა გულზე ხელი იტაცა და მიაყურადა. კიბიდან როზის წკრიალა ხმა ისმოდა.

მართალი გითხრათ, მტრედი რომ არა, კორნელიუსი, ალბათ, უფრო გაკვირვებული და გახარებული იქნებოდა, მაგრამ უბარათოდ დაბრუნებულმა მტრედმა იმედი ჩაუსახა და რაკი როზის მტკიცე ხასიათიც იცოდა, ახალ ამბავს დღე-დღეზე ელოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კორნელიუსმა კისერი წაიგრძელა და სმენად იქცა. დიახ, ნამდვილად ის ხმა იყო, რომელიც ჰააგის საკანში გულს ასე საამოდ უტოკებდა.

მაგრამ მოახერხებდა კი როზი, რომელიც კორნელიუსისთვის უცნობი გზით ლევენშტაინში ჩამოსულიყო, მის მონახულებას?

ამ ღელვასა და შფოთში იყო, როდესაც საკნის სათვალთვალო სარკმელი გაიღო და სიხარულით სახეგაბრწყინებულმა ქალიშვილმა, რომლისთვისაც ხუთი თვის მწუხარებას ფერი გაეკრთო და კიდევ უფრო დაემშვენებინა, ცხაურიან სარკმელს შუბლი მიაყრდნო და უთხრა:

– აი, მეც აქ ვარ, ჩემო ბატონო.

– ოჰ, როზ, როზ! – შესძახა ცისკენ თვალაპყრობილმა კორნელიუსმა.

– ჩუ, ცოტა ჩუმად ილაპარაკეთ, – გააფრთხილა ქალიშვილმა, – მამაჩემი ფეხდაფეხ მომყვება.

– მამათქვენი?!

– დიახ, კიბესთან დგას და კომენდანტის ინსტრუქციებს ისმენს.

– კომენდანტის ინსტრუქციებს?

– ყური დამიგდეთ და ვეცდები, ორიოდე სიტყვით აგიხსნათ. შტატჰალტერს, ლეიდენიდან ერთი ლიეს[52] დაშორებით, მამული აქვს. კაცმა რომ თქვას, მამული არც ეთქმის, ფერმა უფროა და იმ ფერმის მთელი პირუტყვი მამიდაჩემს, შტატჰალტერის ძიძას აბარია. მივიღე თუ არა, თქვენი წერილი, რომლის წაკითხვა, სამწუხაროდ, მე არ შემეძელო და თქვენმა ძიძამ წამიკითხა, მაშინვე მამიდაჩემთან გავიქეცი და სანამ ფერმაში პრინცი არ ჩამოვიდა, ფეხი არ მოვიცვალე. ჩამოვიდა თუ არა მისი უდიდებულესობა, მაშინვე ვთხოვე, რომ მამაჩემი ლევენშტაინში ზედამხედველად გადმოეყვანათ. ალბათ, პრინცს რომ სცოდნოდა, რატომაც ვთხოვდი, უარს მეტყოდა, მაგრამ არ იცოდა და ამიტომ თხოვნა მაშინვე ამისრულა.

– მოკლედ, ახლა, აქა ხართ.

– როგორც ხედავთ!

– და ყოველდღე გნახავთ!

– იმდენჯერ, რამდენჯერაც მოვახერხებ.

– ოჰ, როზ, ჩემო მშვენიერო ქალბატონო, მაშ ცოტათი მაინც გიყვარვართ?

– ცოტათი... ოჰ, ბატონო ვან ბერლე, თქვენ მეტისმეტად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მცირედს სჯერდებით.

ვნებამორეულმა კორნელიუსმა ხელი გაიწოდა, მაგრამ ვიწრო ცხაურში მხოლოდ მათი თითები შეეხო ერთმანეთს.

– მამაჩემი მოდის! – ქალიშვილი მაშინვე მოსცილდა სარკმელს და მოხუც გრიფუსს მიეგება, რომელიც კიბეზე ამოდიოდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XV
სარკმელი

ბრიფუსს უკან თავისი ქოფაკი მოსდევდა. ძაღლი პატრონთან ერთად უვლიდა ციხეს და პატიმრებს ეცნობოდა.

– მამა, – უთხრა როზმა, – აი, ეს არის ის სახელგანთქმული საკანი, საიდანაც გროციუსი გაიქცა. ხომ იცით, ვინ იყო გროციუსი?

– ჰო, ჰო, გაიძვერა გროციუსი იმ არამზადა ბარნეველტის მეგობარი იყო, რომლის სიკვდილით დასჯასაც ჩემს ბალღობაში ვუყურე. ჰმ, გროციუსი! მაშ, ამ საკნიდან გაიქცა, არა? ჰოდა, სიტყვას გაძლევ, აქედან ველარავინ გაიქცევა!

გრიფუსმა კარი გააღო და თუმცა, საკანში ისე ბნელოდა, რომ ვერაფერს ხედავდა, პატიმარს სიტყვით მიმართა.

ამასობაში, ძაღლმა პატიმრის კანჭები დასუნა და ისე შეულრინა, თითქოს ეკითხებოდა, რა უფლებით ხარ ცოცხალი, როცა ჩემი თვალით ვნახე, ჯალათსა და სასამართლოს მდივანს მიჰყავდიო.

როზმა ძაღლს მოუხმო და პატიმრის კანჭებს მოაშორა.

– ბატონო, – დაიწყო გრიფუსმა და ფანარი მაღლა აწია, რომ სიბნელე ცოტა მაინც გაფანტულიყო, – ჩემი სახით, თქვენს წინაშე, ახალი მედილეგეა. მე უფროსი ზედამხედველი გახლავარ და ყველა საკნის მეთვალყურეობა მავალია. ავი კაცი არა ვარ, მაგრამ დისციპლინას განუხრელად ვიცავ.

– ტყუილად ირჯებით, ჩემო კარგო გრიფუს, – მიუგო პატიმარმა და განათებულ ადგილას დადგა.

– ოჰ, ეს თქვენა ხართ, ბატონო ვან ბერლე, – თქვა გრიფუსმა, – კაცი კაცს, სად არ გადაეყრება!

– მართლაც, ჩემო კეთილო გრიფუს და რადგან ფანარი მოტეხილ ხელში გიჭირავთ, ძალიან მოხარული ვარ, რომ ძვალი კარგად შეგხორცებიათ.

გრიფუსმა შეუბღვირა.

– აი, როგორი შეცდომები მოსდით პოლიტიკაში! მისმა უდიდებულესობამ სიცოცხლე გაჩუქათ. მე რომ მისი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვყოფილიყავი, ამას არაფრით ვიზამდი.

– ოჰო! ვითომდა, რატომ?

– იმიტომ რომ, ისევ მოაწყობთ შეთქმულებას. ყველა სწავლული ეშმაკთან არის წილნაყარი.

– ეჰ, გრიფუს, გრიფუს! – სიცილით უთხრა ახალგაზრდა კაცმა, – რატომ მიბრაზდებით? ცუდად გიმკურნალეთ, თუ მკურნალობა დაგისვით ძვირად?

– ეშმაკმა დალახვროს! – ჩაიბუზღუნა მედილეგემ, – საქმეც ის არის, რომ პირიქით მოხდა. ისე სწრაფად მოვრჩი, ვაითუ, რამე ჯადოქრობა გაურიეთ. ექვსი კვირის თავზე, უკვე ისე არხეინად ვხმარობდი ხელს, თითქოს არც მომტეხოდეს. დიახ, ისე არხეინად, რომ ბუტენხოფის დასტაქარმა მითხრა, – მოდი, მაგ ხელს, თავიდან მოგტეხავ და როგორც წესი და რიგია, ისე გიმკურნალებო. პირობაც მომცა, – სამ თვეზე ადრე, თითსაც ვერ გაანძრევო.

– მერე, დათანხმდით?

– არა! ვუთხარი, სანამ ამ ხელით პირჯვრის გადაწერა შემიძლია, ეშმაკი ვერაფერს დამაკლებს-მეთქი.

– ბატონო გრიფუს, თუ ეშმაკისაც არ გეშინიათ, სწავლული, მითუმეტეს, ვერაფერს დაგაკლებთ.

უჰ, სწავლულები! – შეიცხადა გრიფუსმა, – მიჯობს, ათ სამხედროს ვუდარაჯო, ვიდრე ერთ სწავლულს! სამხედრო რა? ბევრი, ბევრი, მოწიოს, დალიოს და დათვრეს. ვისკის და მოზელვეინს თუ არ დაუჭერ, ბატკანივით იქნება. ახლა მითხარით, როდის ყოფილა, სწავლულს მოეწიოს, დაელიოს, ან ელოთოს? როგორ გეკადრებათ, მაგისთვის კაპიკს როგორ დახარჯავს! გონებას ფხიზლად ინახავს, რომ შეთქმულება მოაწყოს! გაფრთხილებთ, აგრე იოლად შეთქმულებას ვერ მოაწყობთ. წიგნი, ქაღალდი და მსგავსი ოინბაზობა არ გამაგონოთ! მაგ წიგნების გამოისობით იყო, რომ გროციუსი გაექცათ.

– ბატონო გრიფუს, ცოტა ხნის წინ, იქნებ, მართლაც ვფიქრობდი გაქცევაზე, მაგრამ ამიერიდან, გარწმუნებთ, გულშიც არ გავივლებ.

– ჰო, კარგი, კარგი, – უთხრა გრიფუსმა, – ყურადღება მიაქციეთ თავს, მე კი, ჩემთავად, გპირდებით, თვალყურს არ მოგაკლებთ. არა, რაც გინდა თქვით და, მისი უდიდებულესობა მაინც ძალიან მოტყუვდა.

– თავი რომ არ მომკვეთა? გმადლობთ, დიდი მადლობა, ბატონო გრიფუს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა რა! ვერა ხედავთ, რა ჭკვიანად არიან, ახლა, ბატონი დე ვიტები?

– რა საშინელებას ამბობთ, ბატონო გრიფუს! – კორნელიუსმა ზურგი აქცია, რომ ზიზღი დაემალა, – ნუ გავიწყდებათ, რომ მაგ უბედურთაგან, ერთი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, ხოლო მეორე... მამობილი.

– ჰო, ოღონდ არც ის მავიწყდება, რომ ერთიც და მეორეც, შეთქმულები იყვნენ. თანაც, ამ ყველაფერს, გულმოწყალება მალაპარაკებს.

– ოჰო, რას მეუბნებით! იქნებ ამიხსნათ, ჩემო კარგო გრიფუს, თორემ, თქვენს გულმოწყალებას, მგონი, ვერაფერი გავუგე.

– აბა რა! ჯალათს, რომ ბუტენხოფის მოედანზე, თქვენთვის თავი გაეგდებინებინა...

– მაშინ რა იქნებოდა?

– რა და, ბევრ ტანჯვას გადარჩებოდით. არ დაგიმალავთ და ყველა ღონეს ვიხმარ, რომ არ გაგახაროთ!

– დიდი მადლობა მომიხსენებია, მაგ დაპირებისთვის, ბატონო გრიფუს!

იმ დროს, როდესაც პატიმარი თავის მედილეგეს დამცინავი ღიმილით უმასპინძლდებოდა, კარს უკან მდგარი როზი, ტუსაღს, ნუგეშიანად უღიმოდა.

გრიფუსი ფანჯარასთან მივიდა. დღის სინათლე ძალას კარგავდა და ფანჯრიდან ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ჩანდა გადაშლილი ხედი, რომელიც ჰორიზონტთან ბოლისფერ ნისლში დანთქმულიყო.

– როგორი ხედია აქედან?

– მშვენიერი, – როზისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე მიუგო კორნელიუსმა.

– ჰო, ჰო, ძალიან გადაშლილია, ძალიან.

უცხო ხმაზე, დამფრთხალი მტრედები ბუდიდან ამოფრინდნენ და ბინდბუნდში მიიმალნენ.

– ოჰო! ეს რა არის?

– ეს ჩემი მტრედებია.

– ჩემი მტრედებიო! – შეჰყვირა მედილეგემ, – როდის აქეთია, ტუსაღს უფლება აქვს, თავისი რამე იქონიოს?

– თუ ასეა, მაშინ, ეს ის მტრედებია, რომელიც ღმერთმა გამომიგზავნა.

– აგერა, ერთი წესის დარღვევა უკვე აღმოვაჩინეთ, – განაგრძო გრიფუსმა, – მტრედები! ხე-ხე, ჩემო ჭაბუკო, ამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩიტებს ხვალვე ჩემს ქვაბში მოხრაკავენ.

– მაგისთვის ჯერ უნდა დაიჭიროთ, ბატონო გრიფუს. თუ ეს მტრედები ჩემი არ არის, თქვენი მითუმეტეს არ იქნება.

– გადადება საქმეზე ხელის აღებას არ ნიშნავს, – ბოროტად ჩაიბურტყუნა მედილეგემ, – ხვალვე მოვუგრეხ კისერს.

ამ სიტყვებით, გრიფუსი ფანჯარას გადაეყუდა, რომ დაენახა, სად ბუდობდნენ მტრედები. კორნელიუსმა დრო იხელთა, კართან მიირბინა და როზს ხელი ჩამოართვა.

– დღეს, ცხრა საათზე, – წასჩურჩულა ქალიშვილმა.

ფანჯარაში გადაყუდებული გრიფუსი ისე იყო მოწადინებული, სიტყვა არ გაეტეხა და მტრედები ხვალვე დაეჭირა, რომ არაფერი დაუნახავს და გაუგია. გრიფუსმა ფანჯარა მიხურა, როზს ხელი ჩაჰკიდა და საკნიდან გაიყვანა. მედილეგემ კარი ჩაკეტა და ახლა სხვა ტუსაღების სანუგეშებლად გასწია.

კორნელიუსმა კართან მიირბინა და როგორც კი გრიფუსის ფეხის ხმა მიწყდა, ფანჯარა გამოაღო და მტრედებს ბუდე მოუშალა. ერჩივნა სამუდამოდ გამოთხოვებოდა ფრთოსან მეგობრებს, ოღონდ კი საყვარელი მორბედნი, რომელთა წყალობით როზის ხილვის ბედნიერება კვლავ ღირსებოდა, სასიკვდილოდ არ გაეწირა.

ვერც გრიფუსის ხეპრულ მუქარას, ვერც მის ზედამხედველობას, რასაც იგი უეჭველად ბოროტად გამოიყენებდა, არ შეეძლო გაექარწყლებინა კორნელიუსის ტკბილი ოცნება და იმედი, რომელიც როზის დანახვას გაეღვიძებინა.

გაფაციცებული ელოდა, როდის ჩამორეკავდა კოშკის საათი ცხრას. როზმა უთხრა, ცხრაზე მოვალო!

ბრინჯაოს ხმა ჰაერში ისევ ჟღრიალებდა, როდესაც კორნელიუსის ყურს ნაბიჯების ხმა და ფრისლანდიელი ქალიშვილის განიერი კაბის შრიალი მისწვდა. მალე, კარზე ამოჭრილ სათვალთვალოს, რომელიც დერეფნის მხრიდან იღებოდა და რომელსაც კორნელიუსი თვალებით ჭამდა, შუქი მიადგა და გაიღო.

– აი მეც აქ ვარ! უკვე მოვედი! – როზს კიბე ამოერბინა და სუნთქვა ეკვროდა.

– ოჰ, საყვარელო!

– მართლა გიხარიათ, რომ მხედავთ?

– ოჰ, ეგ რა საკითხავია! თქვენ ის მითხარით, ჩემთან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსვლა როგორ მოახერხეთ?

– ნავახშმევს მამა ცოტა შეზარხოშდება ხოლმე და ლოგინში ვაწვენ, რომ გამოიძინოს. ოღონდ იცოდეთ, არავისთან წამოგცდეთ! მხოლოდ ამის წყალობით არის, რომ ყოველ საღამოს შემიძლია მოგინახულოთ და გესაუბროთ.

– გმადლობთ, როზ, დიდი მადლობა! – კორნელიუსი ცხაურს ისე მიეკრო, რომ როზმა თავი უკან გასწია.

– თქვენი ბოლქვები მოგიტანეთ.

კორნელიუსს გული ჩაუქანდა. თვითონ ვერ გაებედა, ეკითხა, ბოლქვებს რა უყავითო?

– მაშ შეინახეთ?

– აკი მითხარით, ჩემთვის ძალიან ძვირფასიაო?

– მართალია, მაგრამ რაკი მოგეცით, ახლა თქვენია.

– ჩემი თქვენი სიკვდილის შემდეგ იქნებოდა, მაგრამ ღვთის მადლით, ცოცხალი ხართ. რომ იცოდეთ, როგორ ვლოცავდი მის უდიდებულესობას! ღმერთმა ყველა წყალობა რომ მოიღოს მასზე, რასაც მისთვის შევთხოვდი, უბედნიერესი კაცი იქნება. ნათლიათქვენის ბიბლია ისევ მე მექნება, მაგრამ ბოლქვები ვალდებული ვიყავი დამებრუნებინა. ოღონდ, არ ვიცოდი, როგორ და ამიტომაც გადავწყვიტე, შტატჰალტერისთვის მეთხოვნა, რომ მამაჩემი გორკუმში გადმოეყვანათ. სწორედ ამ დროს, თქვენი ძიძაც მესტუმრა და ბარათი გადმომცა. რომ იცოდეთ, რამდენი ცრემლი დავღვარეთ ერთად! თქვენმა წერილმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ სწორად ვიქცეოდი და ლეიდენში დაუყოვნებლივ გავემგზავრე. იქ რაც მოხდა, უკვე გითხარით.

– როზ, გენაცვალე, მაშ, სანამ ჩემ წერილს მიიღებდთ, აქ ჩამოსვლაზე მანამდეც ფიქრობდით?

– მხოლოდ მაგაზე და სხვა არაფერზე!

როზი ისეთი ლამაზი იყო, კორნელიუსი ისევ მიეკრა ცხაურს. როზმაც ისევ უკან გადასწია თავი.

– იცით, წინათაც ხშირად მინანია, რომ კითხვა არ ვიცი, – ყმაწვილი ქალის ჩვეული კეკლუცობით თქვა როზმა, – მაგრამ გული ისე არასდროს დამწყვეტია, როგორც მაშინ, როდესაც ძიძამ თქვენი წერილი გადმომცა. თქვენი წერილი ხელში მეჭირა, მაგრამ იგი სხვისთვის მეტყველი იყო, ჩემთვის კი უტყვი.

– თქვენ თქვით, რომ წინათაც ხშირად გინანიათ, კითხვა რომ არ იცოდით. მაინც რატომ?

– ოჰ, იმიტომ რომ, – გაულიმა ქალიშვილმა, – მინდოდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამეგო, რას მწერდნენ.

– წერილებს გიგზავნიდნენ?

– უამრავს.

– ვინ?

– ვინ აღარ! ყველა, ვინც ბუტენხოფის მოედანზე მიდიმოდიოდა: სტუდენტები, სავარჯიშოდ მიმავალი ოფიცრები, მაღაზიის ნოქრები და მათი პატრონებიც. რა ვიცი, ყველა, ვინც ჩემს პატარა სარკმელში თვალს მომკრავდა.

– მერე, რას უშვრებოდით იმ წერილებს, გენაცვალე?

– რომელიმე ჩემს დობილს წავაკითხებდი ხოლმე და ვერთობოდით. ოღონდ, ბოლო ხანს, წაუკითხავად ვწვავდი, იმიტომ რომ, სისულელის მოსმენის გუნებაზე აღარ ვიყავი.

– ბოლო ხანს! – გახარებულ კორნელიუსს თვალი სიყვარულით გაუბრწყინდა.

გაწითლებულმა როზმა თავი ჩაღუნა და ვეღარ შენიშნა, როგორ მიუახლოვდა კორნელიუსის თავი. ტუსაღის ტუჩები მხოლოდ ცხაურს შეეხო, მაგრამ ახალგაზრდა კაცის მცხუნვარე სუნთქვა ქალიშვილის ბაგეს მისწვდა და კოცნასავით დადაღა.

როზი შეკრთა და ისე მოკურცხლა, სულ დაავიწყდა, რომ კორნელიუსისთვის ბოლქვები მიეცა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XVI
მასწავლებელი და მოწაფე

როგორც ვნახეთ, მოხუცი გრიფუსი, კორნელიუს დე ვიტის ნათლულს, თავისი ქალიშვილივით, მოწყალე თვალით არ უყურებდა. ლევენშტაინში სულ ხუთი ტუსაღი ჰყავდათ და მათ ზედამხედველობას დიდი გარჯა არ სჭირდებოდა. ეს სახელო ერთგვარი სინეკურა[53] იყო, რომელიც სიბერის ჟამს მიეცათ გრიფუსისთვის.

გულმოდგინე მოხუცმა მთელ თავის ეჭვიან წარმოსახვას მოუხმო და ცხოვრება გაირთულა. მედილეგის ფანტაზიამ კორნელიუსი უპირველეს ავაზაკად დასახა და ისე გაბუქა, რომ ყველაზე სახიფათო ტუსაღად მოაჩვენა. გრიფუსი კორნელიუსის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა, ხმას ისე არ გასცემდა, რომ არ შეებღვირა და მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ყოვლად მოწყალე შტატჰალტერის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისთვის განუწყვეტლად სჯიდა.

იგი, იმის იმედად, ეგება რამე დანაშაულზე წავასწროო, ვან ბერლეს საკანში დღეში სამჯერ შედიოდა. კორნელიუსმა კი, მას შემდეგ, რაც როზი გვერდით დაიგულა, არათუ მიწერ-მოწერაზე აიღო ხელი, მგონი, რომ გაეშვათ და ნება დაერთოთ, სადაც გინდა იქ იცხოვრეო, ოღონდ როზსა და თავის ბოლქვებს არ მოშორებოდა, ისევ აქ ყოფნას არჩევდა.

როზი საყვარელ ტუსაღს დაპირდა, ყოველ საღამოს, ცხრა საათზე გინახულებო და როგორც ვნახეთ, იმავე საღამოს აუსრულა დანაპირები. მან მეორე საღამოსაც ისეთივე სიფრთხილით და საიდუმლოდ მოინახულა პატიმარი, ოღონდ გადაწყვიტა, ცხაურიდან თავი ცოტა შორს დაეჭირა და კორნელიუსის ყურადღება რომ სხვა რამეზე გადაეტანა, მისვლისთანავე გადააწოდა ბოლქვები, რომელიც ისევ იმავე ქაღალდში იყო გახვეული.

როზის ძალიან გაუკვირდა, როცა კორნელიუსმა ქალიშვილის ბროლივით ხელი უკან გასწია.

— ყური მიგდეთ, როზ, — უთხრა ტუსაღმა, — მგონი ჭკვიანური არ იქნება, მთელი ჩვენი ქონება ერთ ქისას ვანდოთ. ხომ იცით, გენაცვალე, რომ რისი გამოყვანაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გვინდა, ყველას შეუძლებლად ეჩვენება. მე და თქვენ სწორუპოვარი შავი ტიტა უნდა გავახაროთ და სანანებლად რომ არ გაგვიხდეს საქმე, ყველაფერი გავითვალისწინოთ. მოდით, ასე მოვიქცეთ.

როზი სმენად იქცა, ოლონდ, იმიტომ არა, რომ ამ საქმეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, არამედ საბრალო ტუსაღს ასეთად ეჩვენებოდა და იმიტომ.

– აი, რას ვიზამთ, – განაგრძო კორნელიუსმა, – ალბათ, ამ ციხე-სიმაგრეს, რამე ბაღის მაგვარი თუ არა, პატარა ეზო ან მიწის ნაგლეჯი მაინც ექნება?

– ჩინებული ბაღი გვაქვს ვაალის პირას. შესანიშნავი მრავალწლიანი ხეხილი დგას.

– საყვარელო როზ, ეგებ, იმ ბაღიდან, ცოტაოდენი მიწა მოგეტანათ, რომ გამეგო, როგორი ნიადაგია?

– ხვალვე მოგიტანთ.

– ოლონდ, ერთი ნაწილი მზიანი ადგილიდან აიღეთ, მეორე ჩრდილიანიდან. მინდა განვსაზღვრო, როგორი ტენი და სიმშრალე აქვს.

– კეთილი.

– როდესაც ნიადაგს შევარჩევთ, ბოლქვებს გავინაწილებთ. ერთს თქვენ წაიღებთ, – მე გეტყვით, როდის და როგორ მიწაში ჩარგოთ. თუ ჩემს რჩევას მიყვებით, აუცილებლად გაიხარებს.

– თავს შემოვევლები.

– მეორე ბოლქვს მე მომცემთ, რომ თქვენს მოლოდინში, გული გადავაყოლო. ეგება, აქ, ჩემ საკანში გავახარო. გამოგიტყდებით, ამ საცოდავს თავიდანვე ისე ვუყურებ, როგორც ჩემი ეგოიზმის მსხვერპლს, მაგრამ ხანდახან მზე ჩემს საკანშიც შემოიხედავს ხოლმე და ვეცდები, მისი სხივები ოსტატურად მივუმარჯვო. მესამე ბოლქვს სამარქაფოდ შევინახავთ, – უფრო სწორად, თქვენ შეინახავთ, როგორც უკანასკნელ იმედს, თუკი ბედი არცერთს გაგვიმართლებს. ასე თუ მოვიქცევით, თქვენ მზითვს, იმ ასი ათას ფლორინს, უეჭველად მოვიგებთ და თანაც, წილად გვხვდება უდიდესი ბედნიერება, რომ მიზანს მივაღწიეთ.

– გავიგე, – მიუგო როზმა, – ნიადაგს ხვალვე მოგიტანთ, რომ თქვენთვისაც და ჩემთვისაც შეარჩიოთ. ოლონდ მიწის შეგროვებას დრო დასჭირდება. ერთბაშად ვერ შევძლებ, ცოტ-ცოტაობით მოგიზიდავთ.

– ოჰ, ეგ არაფერი, არ გვეჩქარება. ბოლქვების ჩარგვის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დრო მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დადგება. მთავარია, ზუსტად ისე მოიქცეთ, როგორც გეტყვით.

– გპირდებით!

– ბოლქვს რომ დაფვლავთ, დაწვრილებით მომიყვებით ყველაფერს ჩვენს აღსაზრდელზე. მეტყვით ტემპერატურის ცვალებადობას, ბილიკზე აღბეჭდილ კვალს, კვალში დატოვებულ ნაფეხურს; ყურადღებას მიაქცევთ, რომ ღამე კატები ბაღში არ გადაძვრენ. ერთხელ, ორმა ქეციანმა კატამ, დორდრეხტში, ორი კვალი ძირფესვიანად ამომიძირკვა.

– კეთილი, თვალს მივადევნებ.

– მთვარიან ღამეს... თქვენი ოთახიდან ბაღი მოჩანს, გენაცვალე?

– ჩემი სანთიობოს ფანჯარა ბაღს გადაჰყურებს.

– ჰოდა, ჩინებულია! მთვარიან ღამეს უთვალთვალებთ, ღობიდან ვირთხები არ შემოძვრენ. ვირთხა ძალიან სახიფათოა, სიფრთხილე გვმართებს. რომ იცოდეთ, რამდენ მებალეს უსაყვედურია ნოესთვის[54], რომ კიდობანში ვირთხებიც ჩასვა!

– ყურადღებით ვიქნები და თუ კატა, ან ვირთხა დავინახე...

– ძალიან კარგი! ყველაფრის გათვალისწინება მოგვიწევს. კატისა და ვირთხის გარდა, – განაგრძო ვან ბერლემ, რომელიც საპატიმროში ყოფნას ძალიან ეჭვიანი გაეხადა, – არის კიდევ ერთი, ყველაზე სახიფათო ცხოველი.

– ეგ რა ცხოველია?

– კაცი! ზოგი, ერთი უბადრუკი ფლორინის გულისთვისაც კი, საკატორღოდ გაიხდის საქმეს და ასი ათას ფლორინად ღირებული ბოლქვის მოპარვას მითუმეტეს არ დაერიდება.

– ჩემს გარდა, ბაღში ფეხს ვერავინ შეადგამს.

– მპირდებით?

– ვფიცავ!

–კეთილი, როზ. გმადლობთ, საყვარელო! თქვენ ჩემი ერთადერთი ნუგეში და სიხარული ხართ!

კორნელიუსმა გაფიცხებული ტუჩები წუხანდელივით მიაკრა ცხაურს, მაგრამ როზმა თავი უკან გადასწია და რადგან მისი წასვლის დროც მოსულიყო, ბოლქვები გაუწოდა. კორნელიუსმა ვნებიანად დაუკოცნა მშვენიერი ხელის თითები, ოღონდ ვერ გეტყვით, იმიტომ რომ, ამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელს უბადლო შავი ტიტას ბოლქვები ეჭირა, თუ მხოლოდ იმიტომ, რომ მშვენიერ როზს ეკუთვნოდა?

როზი წავიდა და დარჩენილ ორ ბოლქვს გულში მაგრად იკრავდა.

ჰოდა, მითხარით, გულში რატომ იკრავდა? შავი ტიტასი რომ იყო, იმიტომ თუ რადგან კორნელიუსმა მისცა? ვგონებ, ამ ამოცანის ამოხსნა უფრო გაგვიიოლდება, ვიდრე მისი წინამორბედის.

ასე იყო თუ ისე, პატიმრის ცხოვრებას აზრი მიეცა და სასიამოვნოც კი გახდა.

როზს, ყოველ საღამოს, ბაღის იმ კუთხიდან, რომელიც კორნელიუსს საუკეთესოდ ეჩვენა და მართლაც, ჩინებული ნიადაგი იყო, თითო პეშვი მიწა მოჰქონდა.

მუცელგაბერილმა დოქმა, რომელიც კორნელიუსმა მარჯვედ გატეხა, კარგად გასწია ქოთნის მაგივრობა. ვან ბერლემ დოქის ნატეხი როზის მოტანილი მიწით ნახევრად გაავსო, შიგ მდინარის გამშრალი ლამიც აურია და ჩინებული შავმიწა ნიადაგი მიიღო.

აპრილის დასაწყისში კორნელიუსმა პირველი ბოლქვი ჩარგო.

ვერ აგიწერთ, რა გულმოდგინება, რა ხრიკი და ხერხი დასჭირდა, რომ ჩასაფრებული გრიფუსისთვის სამუშაოთი მოგვრილი სიხარული დაემალა. ფილოსოფოსი ტუსაღისთვის ნახევარი საათი გრძნობისა და აზრის თვალუწვდენელი სამყაროა.

როზი ყოველდღე აკითხავდა კორნელიუსს და ემუსაიფებოდა.

საუბრის მთავარი თემა, ცხადია, ტიტები გახლდათ და მათ მოვლა-პატრონობაზე როზმა მთელი კურსი მოისმინა. მაგრამ სულ ტიტებზე ხომ არ ილაპარაკებდნენ? ახალგაზრდები, რა თქმა უნდა, სხვა რამეზეც ლაპარაკობდნენ და ჩვენმა ტიტების ტრფიალმა, თავისდა დიდად გასაოცრად, აღმოაჩინა, რა მრავალფეროვანი გამხდარიყო მათი საუბარი.

ერთი ეგ იყო, როზმა რომ დაინახა, პატიმრის სუნთქვა რკინის გისოსებიდანაც კი ცეცხლს უკიდებდა, წესად დაიდო, სარკმლიდან თავი ექვსი დიუმის[55] სიშორეზე დაეჭირა.

იყო კიდევ ერთი რამ, რაც ვან ბერლეს ისე ძალიან ადარდებდა, როგორც თავისი ბოლქვების ბედი და რაზედაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იგი დღენიადაგ ფიქრობდა. კორნელიუსი ძალიან წუხდა, რომ როზი მთლიანად მამამისზე იყო დამოკიდებული და მაშასადამე, მისი, კორნელიუს ვან ბერლეს სიცოცხლეც – ცნობილი ექიმის, ჩინებული მხატვრის, განათლებული კაცისა და მეცნიერის სიცოცხლე, ვინც პირველმა გამოიყვანა საოცრება, რომელსაც სახელად, როგორც ადრევე გადაეწყვიტა, "Rosa Barlaensis" უწოდებდა, – მთლიანად დამოკიდებული იყო ერთი კაცის ხუშტურზე და ის კაცი წმინდა წყლის რეგვენი გახლდათ. ეს იყო მისი მედილეგე, – კაცი-კლიტე, კაცი-ურდული, ამ საგნებივით უგრძნობი და უგონო, – რომლის გონებრივი განვითარებაც ცხოველსა და კაცს შუა გახირულიყო.

მოკლედ, კორნელიუსის ბედ-ილბალი ამ კაცის ხელთ იყო და ერთ მშვენიერ დღეს, ლევენშტაინი რომ მობეზრებოდა, აქაური ჰავა ან არაყი არ მოწონებოდა, ხელს ჩაკიდებდა თავის ქალიშვილს, ციხე-სიმაგრეს დატოვებდა და როზსა და კორნელიუსს ისევ გაყრიდა და ვინ იცის, სამუდამოდაც.

– ჩემო საყვარელო როზ, რაში გვარგია საფოსტო მტრედი, თუკი ვერც ჩემს წერილებს წაიკითხავთ და ვერც თქვენს გულისნადებს გამიზიარებთ?

– თუ ასეა, – მიუგო როზმა, რომელსაც კორნელიუსისა არ იყოს, ეშინოდა, ვაითუ, განშორებამ მოგვიწიოსო, – აკი ერთი საათი, ყოველ საღამოს, ჩვენს ხელთ არის და მოდით, ეს დრო კარგად გამოვიყენოთ.

– მე კი მგონია, არც ახლა ვიყენებთ ცუდად.

– შეგვიძლია, უფრო კარგად გამოვიყენოთ, – ღიმილით შეეპასუხა როზი, – მასწავლეთ წერა-კითხვა. გარწმუნებთ, შრომას დაგიფასებთ და მაშინ, თუკი ოდესმე დავშორდებით, ეს მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება.

– ო-ო, თუ ასეა, წინ მარადისობა გველის.

როზმა გაულიმა და მხრები ოდნავ შეათამაშა.

– რატომ გგონიათ, რომ მთელ სიცოცხლეს საპატიმროში გაატარებთ? ნუთუ, მისი უდიდებულესობა, რომელმაც სიცოცხლე გაჩუქათ, თავისუფლებას არ გიბოძებთ? და თუ ეს მოხდა, განა თქვენს მამულს არ დაუბრუნდებით და ისევ მდიდარი არ იქნებით? განა, მაშინ, თქვენ, მდიდარი და თავისუფალი, კარეტაში მჯდომი ან ცხენზე ამხედრებული, იკადრებთ და შეხედვის ღირს ჰყოფთ პატარა როზს – მედილეგეს, ლამის ჯალათის ქალიშვილს?

კორნელიუსს სურდა, როზის ვარაუდი ეუარა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იუარებდა კიდეც შეყვარებული კაცის გულწრფელობით, მაგრამ ქალიშვილმა ღიმილით გააწყვეტინა:

– რასა იქმს თქვენი ტიტა?

გოგონამ იცოდა, რომ ტიტას ხსენებაზე, კორნელიუსს ყველაფერი ავიწყდებოდა, – თვით როზიც კი.

– კარგად, – მიუგო კორნელიუსმა, – გარსი შავდება. ბოლქვი უკვე ღვივდება, ძარღვები შეუთბა და თანდათანობით ებერება. ერთი კვირის თავზე, იქნებ, უფრო ადრეც, კვირტს გამოიტანს. თქვენთან როგორ არის საქმე, როზ?

– ოჰ, მე დიდი საქმიანობა გავაჩაღე და ყველა თქვენი დარიგება შევასრულე.

– მითხარით, როზ, მაინც რა ჰქენით? – ჰკითხა კორნელიუსმა და თვალი ლამის ისე აენთო, როგორც მაშინ, როცა მისმა ალმურიანმა მზერამ ქალიშვილს სახე აუწვა, მცხუნვარე სუნთქვა კი გულამდე ჩაწვდა.

– რა და, – დაიწყო როზმა და გაეცინა, რადგან არ შეეძლო, გულის სიღრმეში არ აღენიშნა, რა გაორებული სიყვარულით უყვარდა კორნელიუსს, ცალკერძ იგი და ცალკერძ, შავი ტიტა, – საქმეს საფუძვლიანად მოვკიდე ხელი და კვალი ღობიდან და ხეებიდანაც მოშორებით დავამუშავე. ქვიშიან ნიადაგს უფრო ტენიანი ეთქმის, ვიდრე მშრალი და ერთი კენჭიც არ ურევია. კვალიც ისე დავამუშავე, როგორც მითხარით.

– ყოჩაღ, როზ, ყოჩაღ!

– მიწა მზადაა და თქვენს მითითებასღა ელის. როგორც კი შესაფერისი ამინდი დადგება, მითხარით და მაშინვე დავფლავ. ჩემს ბოლქვს ხომ ჰაერიც, მზეც და მიწის წვენიც გაცილებით მეტი ექნება და ამიტომ თქვენსაზე გვიან უნდა დაიფლას.

– მართალია, მართალი! – ტაში შემოჰკრა გახარებულმა კორნელიუსმა, – ჩინებული მოწაფე ხართ, როზ და ასი ათას ფლორინს უეჭველად მოიგებთ.

– არ დაგავიწყდეთ, – გაიცინა როზმა, – რომ თქვენმა მოწაფემ, როგორც თავად მიწოდებთ, ტიტების გახარების გარდა, სხვა რამეც უნდა ისწავლოს.

– დიახ, დიახ, ჩემო მშვენიერო და მეც თქვენზე ნაკლებ როდი მინდა, კითხვა ისწავლოთ.

– როდის დავიწყოთ?

– ახლავე.

– არა, ხვალიდან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რატომ ხვალიდან?

– იმიტომ რომ, ერთი საათი უკვე გავიდა და უნდა დაგტოვოთ.

– უკვე? ჰო, მართლა, რას წავიკითხავთ?

– ოჰ, – მიუგო როზმა, მე მაქვს წიგნი, რომელიც იმედია, ორივეს ბედნიერებას მოგვიტანს.

– აბა, ხვალამდე!

– ხვალამდე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XVII
პირველი ბოლქვი

ერთ საღამოს, როზმა კორნელიუს დე ვიტის ბიბლია მოიტანა. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, დაიწყო სანახაობა, რომელიც სიხარულს ანიჭებს მწერლებს, როდესაც მათ კალამს ბედი ასეთი სურათის აღწერას არგუნებს ხოლმე.

ერთადერთი პატარა სარკმელი, საიდანაც ახალგაზრდები ლაპარაკობდნენ, ძალიან მაღლა ამოეჭრათ. შეყვარებულები გულისნადებს ერთმანეთის სახეზე კითხულობდნენ, მაგრამ წიგნის წაკითხვა გაუჭირდებოდათ.

როზი იძულებული გახდა, სარკმელს იდაყვით დაყრდნობოდა და წიგნზე თავდახრილს, მარჯვენა ხელით ფანარი ისე აეწია, რომ წიგნი გაენათებინა. კორნელიუსმა მოიფიქრა და ფანარი ცხვირსახოცით მიაბა ცხაურზე. ამის შემდეგ, როზს უკვე შეეძლო, თითი გაეყოლებინა სიტყვებისთვის, რომლებსაც ტუსაღი ამეორებინებდა.

კორნელიუსმა ცხაურში ჩალის ღერო გაჰყო და თავის ბეჯით მოწაფეს ასოებს იმით უთითებდა.

ფანრის შუქი როზის ვარდისფერ ღაწვებს, უძირო ლურჯ თვალებსა და ქერა ნაწნავს ანათებდა, რომელიც ჩამუქებული ოქროს ქუდიდან, ფრისლანდიელი ქალიშვილების თავსარქმელიდან ჩამოშლოდა. გოგონას მაღლა აწეული პატარა ხელები ქვევით დაძრული სისხლისგან გამჭვირვალე გახდომოდა და ეს უცნაური ფერისცვალება საცნაურს ხდიდა იდუმალ სიცოცხლეს, რომელიც ჩვენს კანქვეშ ფეთქავს.

კორნელიუსის ცოცხალი ჭკუის გავლენით, როზის ნიჭი სწრაფად ვითარდებოდა და თუკი საქმე ძალიან გაჭირდებოდა, მათი სიყვარულით ანთებული თვალები, ლამის შეტყუპებული წამწამები და თმა ისეთ ნაპერწკლებს გაყრიდა ხოლმე, რომ იდიოტიზმის კუნაპეტ ულრანსაც კი გაანათებდა.

თავის ოთახში ჩასული როზი გუნებაში განვლილ გაკვეთილს, გულში კი სიყვარულის იდუმალ გაკვეთილსაც იმეორებდა.

ერთ საღამოს, ქალიშვილს ნახევარი საათით შეაგვიანდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნახევარი საათი მეტისმეტად დიდი დრო იყო, რათა კორ-ნელიუსს, პირველ ყოვლისა, დაგვიანების მიზეზი არ ეკითხა.

– ოჰ, ნუ გამიბრაზდებით, ჩემი ბრალი არ არის. მამა ერთ კაცს დაუახლოვდა. ის კაცი ჰააგაშიც ხშირად გვაკითხავ-და და მამას სთხოვდა, საპატიმრო დამათვალიერებინეო. ჰოდა, აი, აქაც გვესტუმრა. გადაკვრის დიდი მოყვარული, მოქეიფე კაცია, სულ სასაცილო ამბებსა ყვება; თანაც, ძალიან ხელგაშლილია და ხარჯს არ ერიდება.

– იმ კაცზე კიდევ რა იცით? – ჰკითხა გაოცებულმა კორნელიუსმა.

– სხვა არაფერი. ორი კვირაა, ყოველდღე გვსტუმრობს და მამა ძალიან შეეჩვია.

– უჰ! – კორნელიუსს ახალი ამბავი კარგს არაფერს უქადდა, – ეგ კაცი, ალბათ, ციხე-სიმაგრეში შემოგზავნილი ჯაშუშია, რომ ტუსაღებსა და მათ ზედამხედველებს უთვალთვალოს.

– არა მგონია, – გაეღიმა როზს, – იმ კაცს ყველას თვალთვალი შეიძლება დასწამო, ოღონდ, მამაჩემისა, არა.

– აბა, ვის უთვალთვალებს?

– თუნდაც მე.

– თქვენ?

– რატომაც არა? – გაეცინა როზს.

– ეჰ, მართლაც, – ამოიოხრა კორნელიუსმა, – ყველა თქვენს თაყვანისმცემელს ხომ არ მოეცარება ხელი! მაგ კაცს შეიძლება თქვენი ქმრობა სურს, როზ.

– არა-მეთქი, არ გეუბნებით.

– თუ ასეა, ეგ სიხარული რას მივაწერო?

– სიხარული არა, შეშფოთება-თქო...

– გმადლობთ, როზ! იმიტომ შეშფოთდით, რომ...

– გეტყვით, რატომაც.

– დიახ, მითხარით, როზ, გისმენთ!

– როდესაც ჰააგაში ვიყავით, ის კაცი, სწორედ, იმ დროს, როდესაც თქვენ ბუტენხოფში მოგიყვანეს, ციხეში ხშირად მოდიოდა და სულ კუდში დამდევდა: სადაც მე წავიდოდი, ისიც მაშინვე იქ გაჩნდებოდა ხოლმე. ახლა კი აი, აქაც, ჩამოგვაკითხა. ჰააგაში ამბობდა, ვითომ იმიტომ მოდიოდა, რომ თქვენი მონახულება სურდა.

– ჩემი მონახულება?

– ოჰ! ამას მხოლოდ საბაბად იდებდა, რადგანაც ახლა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა ისევ მამას პატიმარი ხართ, უფრო სწორად, თქვენი მედილეგე ისევ მამაჩემია, თქვენი ნახვის სურვილი აღარ გამოუთქვამს. პირიქით, გუშინ მამას ეუბნებოდა, მაგ კაცს არ ვიცნობო.

– განაგრძეთ, როზ, განაგრძეთ! ვეცდები გამოვიცნო, რა კაცია და გულში რა უდევს.

– ბატონო კორნელიუს, იქნებ, რომელიმე თქვენი მეგობრის მოგზავნილია?

– მე მეგობრები არა მყავს, როზ. არავინ გამაჩნია, ჩემი მოხუცი ძიძის გარდა: თქვენ ერთმანეთს იცნობთ. ჩემი საბრალო, მოხუცი ძიძა კი, ყოველგვარი ხრიკის გარეშე, მოვიდოდა და თქვენ, ან მამათქვენს, შემოგტირებდათ: საყვარელო ქალბატონო ან ბატონო, ჩემი ბავშვი აქ არის, თქვენთან. შემიბრალეთ გამწარებული მოხუცი, ერთი წუთით შემავლებინეთ თვალი და სიკვდილამდე თქვენს ლოცვაში ვიქნები. არა, ჩემი კეთილი ძიძის გარდა, სხვა მეგობარი არ მეგულება.

თუ ასეა, ის ყოფილა, რაც მე მგონია. მითუმეტეს, რომ გუშინ, როდესაც ბაღში ვიყავი და მზის ჩასვლისას, თქვენი ბოლქვისთვის კვალს ვბარავდი, ღია ჭიშკრში ვილაცის ლანდი გასხლტა და ვერხვის ხეებსა და კენკრის ბუჩქებს ამოეფარა. თავი ისე დავიჭირე, ვითომ არაფერი დამინახავს, მაგრამ ვიცანი – ის ვაჟბატონი იყო. სანამ მე კვალს ვამუშავებდი, სამალავიდან მითვალთვალებდა და ყველა ჩემ მოძრაობას, ბარის ყოველ მოქნევას, მინის ყველა გოროხს, რომელსაც კი ხელი შევავლე, თვალითა ნთქავდა.

– ეჰ, შეყვარებული ყოფილა და ეგ არის! ლამაზია, ახალგაზრდაა? – კორნელიუსი თვალებად იქცა და პასუხს მოუთმენლად ელოდა.

– ლამაზი და ახალგაზრდა? – გადაიკისკისა როზმა, – ერთი უშნო, გვერდმოქცეული კაცია და ორმოცდაათის წლის მაინც იქნება. როცა მელაპარაკება, ენას ძლივს ატრიალებს და თვალს ვერ მისწორებს.

– რა ჰქვია?

– იაკობ გიზელსი.

– არ ვიცნობ.

– აი, ხომ ხედავთ, თქვენი გულისთვის არ დაიარება.

– ასეა თუ ისე, კიდეც რომ უყვარდეთ, როზ და ალბათ, ასეც არის, რადგან შეუძლებელია, კაცმა გნახოთ და არ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეუყვარდეთ. თქვენ ხომ არ გიყვართ?

– ოჰ, არა. რა თქმა უნდა, არა.

– გინდათ, რომ გული დავიმშვიდო?

– მოვითხოვ!

– კეთილი, როზ. ახლა, როცა ავად თუ კარგად, კითხვა ისწავლეთ, ხომ წაიკითხავთ, როცა მოგწერთ, როგორ აწამებს კაცს ეჭვი და განშორება?

– წავიკითხავ, თუ დიდი ასოებით დამიწერთ, – მიუგო როზმა და რადგან ლაპარაკი ისეთ რამეზე ჩამოვარდა, რაც თვითონაც ტანჯავდა, სიტყვა სხვაზე გადაიტანა.

– ჰო, მართლა, რას შვრება თქვენი ტიტა?

– რომ იცოდეთ, რა გახარებული ვარ! ამ დილით ფრთხილად ავჩიჩქნე მიწა და წარმოიდგინეთ, ბოლქვი უკვე გალვივებულა. ამ მოთეთრო ბუტკომ, რომელსაც ბუზმაც რომ შეახოს ფრთა, უმალ მოწყდება, ამ ლამის უხილავმა სიცოცხლის ნიშატმა, უფრო ძლიერად ამიძგერა გული, ვიდრე მისი უდიდებულესობის ბრძანებამ, რომელმაც ბუტენხოფის ეშაფოტზე ჯალათის მახვილი შეაჩერა და სიცოცხლისკენ შემომაბრუნა.

– მაშასადამე, იმედი არის.

– ოჰ, დიახ, დიახ, იმედი არის.

– ჩემი ბოლქვი როდისლა ჩავრგა?

– როგორც კი ხელსაყრელი ამინდი დადგება, მაშინვე გეტყვით. რაც მთავარია, არავინ გაიკაროთ და საიდუმლო არავის გაანდოთ, – არცერთ სულიერს! ამას იმიტომ გეუბნებით, რომ გამოცდილი თვალი ბოლქვს ერთი შეხედვით გამოიცნობს და კიდევ, – რაც უმთავრესია, – მესამე ბოლქვს თვალის ჩინივით გაუფრთხილდით.

– ისევ იმ ქალალდშია, თქვენ რომ გაახვიეთ და ჩემს ზარდახშაში დევს, მაქმანების ქვეშ, რომელიც მას სიცივისგან იცავს და არ ამძიმებს. ახლა კი, ჩემო საბრალო ტუსაღო, უნდა გამოგეთხოვოთ!

– როგორ, უკვე?

– ჩემი წასვლის დროა.

– როგორ დაიგვიანეთ და რა მალე მიდიხართ!

– რომ დავაგვიანო, მამა შეშფოთდება, შეყვარებულმა კი, ვინ იცის, ეჭვი აილოს, რომ მეტოქე ჰყავს.

როზი უცბად შეშფოთდა და სმენად იქცა.

– რა მოხდა?

– რაღაც მომესმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა?

– თითქოს კიბეზე ვილაც ამოდიოდა.

– მართალია, – მიუგო კორნელიუსმა, – მაგრამ გრიფუსი არ უნდა იყოს. იმის ფეხის ხმას შორიდანვე ვცნობ.

– არა, მამა არა, მაგრამ...

– მაგრამ...

– მაგრამ ბატონი იაკობი კი შეიძლება იყოს.

როზი სირბილით დაეშვა კიბეზე და მართლაც, ათი საფეხურიც არ ჩაევლო, რომ ვილაცამ კარი საჩქაროდ მიხურა.

კორნელიუსი ძალიან შეშფოთდა, მაგრამ ეს მხოლოდ შესავალი იყო.

როდესაც ავი ბედისწერა მახვილს შემართავს, თითქმის მუდამ, სანამ დაჰკრავდეს, – ფალავნის მსგავსად, რომელიც მეტოქეს წინასწარ უთვლის, შესარკინებლად მოემზადეო, – დიდსულოვნად აფრთხილებს თავის მსხვერპლს.

სამწუხაროდ, მის გაფრთხილებას, რასაც ხან ალღო, ხან უსულო საგნები გვკარნახობს ხოლმე, იშვიათად, ყური მივუგდოთ. მახვილი წუის, ჩვენ კი, ნაცვლად იმისა, რომ მისი წუილი ყურად ვიღოთ და გავერიდოთ, თავს მივუშვერთ ხოლმე.

მეორე დღე ისე მიილია, უჩვეულო არაფერი მომხდარა. გრიფუსმა საკნები სამჯერ დაიარა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი იპოვა. კორნელიუსი, გრიფუსის ფეხის ხმას ყურს მოჰკრავდა თუ არა, – არადა, გრიფუსი, ტუსაღმა რამე არ გამომაპაროსო, სულ სხვადასხვა დროს აკითხავდა, – ბოლქვიან დოქს თოკით ჯერ სახურავქვეშ, ლავგარდანზე ჩაუშვებდა, მერე კი ფანჯრის ქვემოდან გამოწეულ ლოდებქვეშ შედგამდა ხოლმე. ამისთვის ისეთი მექანიზმი მოიგონა, როგორსაც ხორბლის ტომრების ასაზიდ-ჩამოსაზიდად იყენებენ ხოლმე ფერმაში. კორნელიუსი თოკს კრამიტზე მოდებულ ხავსში ან ქვებშუა მალავდა.

გრიფუსი ვერაფერს ხვდებოდა.

ამ ეშმაკობამ რვა დღე გაჭრა.

ერთ დილას, კორნელიუსი ისე გაერთო დოქის თვალიერებით, საიდანაც ციცქნა ყლორტი ამოწვერილიყო, რომ ვერ გაიგონა, როგორ ამოვიდა კიბეზე გრიფუსი. იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა და კოშკში ყველაფერს აზანზარებდა. უეცრად, კარი ყურთამდე გაიღო და გრიფუსმა იმ დროს წაასწრო, როდესაც კორნელიუსს თავისი დოქი მუხლებზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაედგა და გულდასმით ჩაკირკიტებდა.

როგორც კი გრიფუსმა დაინახა, ტუსაღს რაღაც უცნობი და მაშასადამე, აკრძალული საგანი უჭირავსო, ქორივით დააცხრა.

შემთხვევით თუ ავბედითი სიმარჯვის წყალობით, რასაც გულღრძო კაცს უკეთური ძალა ანიჭებს, გრიფუსმა თავისი დაკოჟრილი მარჯვენა, რომელიც ასე ოსტატურად გაუმრთელა კორნელიუსმა, ღონივრად ჩაჰკრა დოქის შუაგულში, ზუსტად იქ, სადაც უბადლო ბოლქვი იყო ჩარგული.

– რას მალავთ შიგ? ხომ გამოგიჭირეთ! – დაიღრიალა გრიფუსმა და მიწაში ხელი ამოურია.

– არაფერს, არაფერს! – შესძახა თავით-ფეხამდე აკანკალებულმა კორნელიუსმა.

აჰა, ხომ წაგასწარით! მიწიანი დოქი... ამაში რაღაც საიდუმლოა.

– ძვირფასო გრიფუს... – ევედრებოდა ვან ბერლე, რომელიც ისე ძრწოდა, როგორც გნოლი, რომლის კვერცხებიც მომკელს უგდია ხელთ.

გრიფუსი ყურს არ უგდებდა და კოჟრიან ტორს მიწაში ურევდა.

– ფრთხილად, გრიფუს, ფრთხილად! – ემუდარებოდა ვან ბერლე.

– ეშმაკმა წაგიღოთ, ვითომდა, რატომ? – ულრენდა მედილეგე.

– ფრთხილად-მეთქი, თორემ დაიღუპება.

სასოწარკვეთილმა კორნელიუსმა გრიფუსს დოქი გამოსტაცა და საუნჯესავით გადაეფოფრა.

უჯიათმა ბებერმა, დარწმუნებულმა, რომ პრინც ორანელის წინააღმდეგ განზრახული შეთქმულება აღმოაჩინა, ტუსაღს ჯოხი მოუღერა, თუმცა, როდესაც დაინახა, ამას დოქის გატეხვას, თავის გატეხვა ურჩევნიაო, ისევ დოქს დაეჯაჯგურა.

– აჰა, – ღრიალებდა მედილეგე, – აჯანყებას მიწყობთ, არა!

– ხელი არ ახლოთ ჩემს ტიტას! – უყვირა კორნელიუსმა.

– აბა, აბა, როგორ არა, ახლავე დავიჯერე, რომ ტიტაა! – ღრიალებდა გრიფუსი, – ვიცით, რა ეშმაკებიც ბრძანდებით, ბატონი ტუსაღები.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გეფიცებით...

– მომეცით-მეთქი, – ფეხი დაუბრახუნა მოხუცმა, – მომეცით, თორემ ახლავე ყარაულს დავუძახებ!

– ვისაც გინდათ, იმას დაუძახეთ, მაგრამ ამ საწყალ ყვავილს მხოლოდ სიცოცხლესთან ერთად წამართმევთ.

გაბოროტებულმა გრიფუსმა ისევ ჩაჰკრა ტორი ქოთანში და ამჯერად, იქიდან, ბოლქვი ამოათრია, რომელიც სულმთლად შავი იყო. ვან ბერლეს რომ უხაროდა, ქოთანი არ დავანებეო, მისი შიგთავსი უკვე მედილეგის ხელთ იყო. გაავებულმა გრიფუსმა ხელი მოიქნია და ქვის ფილაქანზე დაანარცხა დარბილებული ბოლქვი, რომელიც უმალ გაიპო და მედილეგის ტლანქი ჩექმის ქვეშ, ტალახის პანია გროვად იქცა.

ვან ბერლემ დაინახა გრიფუსის სახეზე აღბეჭდილი მხეცური სიხარული, დაინახა თავისი ბოლქვის სველი ნეშტი, სასოწარკვეთილს თვალთ დაუბნელდა, სისხლი თავში აეჭრა და ერთი წადილით ატანილმა, იქვე მოეკლა გულღრძო ბერიკაცი, აწ უმაქნისი, მიწით სავსე ქოთანი ასწია და ის იყო, გრიფუსის მოტვლეპილ თავზე უნდა დაეფშვნა, რომ ვილაცის ცრემლითა და საშინელებით სავსე კივილმა ხელი შეუჩერა.

საბრალო როზი აცახცახებული ხელებით სარკმელს ჩაბლაუჭებოდა და აღარ იცოდა, როგორ გაეშველებინა მამა და შეყვარებული.

კორნელიუსმა ხელი უშვა დოქს. დოქი ფილაქანზე დავარდა და ნამსხვრევებად იქცა.

გრიფუსი ახლაღა მიხვდა, რას გადარჩა და ლანძღვამუქარის კორიანტელი დააყენა.

– უჰ! – ძლივს ამოთქვა კორნელიუსმა, – რა არაკაცი უნდა იყო, რომ ტუსაღს მისი ერთადერთი ნუგეში, ტიტას ბოლქვი წაართვა.

– ვაიმე, მამა, ეგ რა გიქნიათ! – შეძრწუნდა როზი.

– ხმა გაიკმინდე! – დაუტატანა გაანჩხლებულმა გრიფუსმა, – სადაც არავინ გეკითხება, ცხვირს ნუ ყოფ და რაც მთავარია, ახლავე მოუსვი აქედან!

– არაკაცი, არაკაცი! – იმეორებდა სასოწარკვეთილი კორნელიუსი.

– დიდი ამბავი, ტიტაა, სხვა ხომ არაფერი! – დასძინა, ცოტა არ იყოს, დანამუსებულმა გრიფუსმა, – მაგისთანას რამდენსაც გინდათ, იმდენს მოგცემთ. სხვენზე სამასი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაინც მიყრია.

– ეშმაკსაც წაულია თქვენი ტიტები! – იყვირა კორნელიუსმა, – რაც თქვენ ხართ, თქვენი ტიტებიც ის იქნება. ასი მილიარდი მილიონი რომ მქონდეს, სულ იმ ბოლქვში მივცემდი, თქვენ რომ გასრისეთ.

– აგე, აკი ვამბობდი! – გაუხარდა გრიფუსს, – ტიტას დარდი სულაც არა გაქვთ. ის რაღაც ბოლქვს კი ჰგავდა, მაგრამ შიგ რაღაც ეშმაკეული იდო, – რაღაც ისეთი, რომლითაც მიმოწერას გამართავდით მისი უმაღლესობის მტრებთან, თუმცა იმან შეგიწყალათ და სიცოცხლე გაჩუქათ. მართალი ვიყავი, როცა ვამბობდი, რომ ჯობდა თქვენთვის თავი მოეკვეთათ.

– მამა! მამა! – შეუძახა როზმა.

– ძალიანაც კარგი! ძალიანაც კარგი! – იმეორებდა გაკერპებული გრიფუსი, რომელსაც ბრაზი უფრო და უფრო ერეოდა, – დიახაც, ძალიან კარგი ვქენი, რომ გავსრისე და თუ კიდევ გიპოვით, იმასაც გავსრეს. აკი გითხარით, არ გაგახარებთ-მეთქი!

– წყეულიმც იყავ! წყეულიმც იყავ! – ბრდღვინავდა კორნელიუსი, რომელსაც ამდენი იმედისა და სიხარულის ნაშთი ხელისგულზე დაესვენებინა და სინჯავდა.

– ხვალვე ჩავრგავთ ახალ ბოლქვს, ჩემო საყვარელო, ბატონო კორნელიუს, – წასჩურჩულა როზმა, რომელსაც კარგად ესმოდა მებაღის წუხილი.

როზის ტკბილი სიტყვები მტლად ედებოდა კორნელიუსის ღია იარას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XVIII
როზის ტრფიალი

როზს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ კიბის ბოლოდან ვიღაცამ ამოსძახათ და იკითხა, რა ხდებაო?

– არ გესმით, მამა? – უთხრა როზმა.

– რა?

– ბატონი იაკობი გეძახით. ეტყობა, ღელავს.

– აი ხედავთ?! – დაამუნათა გრიფუსმა კორნელიუსი, – ისეთი აურზაური ატეხეთ, კაცს ეგონებოდა, მოკვლას მიპირებდით. არა, ამ სწავლულების გადამკიდე, ვერ მოისვენებ!

მერე როზს კარისკენ მიუთითა და უთხრა:

– აბა, წინ გამიძეხით, ქალბატონო! – გრიფუსმა რკინის კარი ჩარაზა და ქვემოთ ჩასძახა, – მოვდივარ, მოვდივარ, მეგობარო!

გრიფუსმა როზი წაიყვანა და წავიდა. მწუხარებისგან გულშემოყრილი კორნელიუსი მარტო დარჩა.

– ოჰ, მომკალი და ეგ არის, შე ბებერო ჯალათო! არა, ამას ვერ გადავიტან.

საბრალო სწავლული ალბათ მართლა დასნეულდებოდა, განგებას როზი რომ არ გამოეგზავნა, რომელმაც მის სიცოცხლეს აზრი შესძინა.

ქალიშვილმა იმავე საღამოს მოინახულა ტუსაღი და მისვლისთანავე, აცნობა, მამაჩემი ყვავილების გახარებაში ხელს აღარ შეგიშლითო.

– რა იცით? – საწყლად ჰკითხა ტუსაღმა.

– თვითონ თქვა, თავისი პირით.

– იქნებ, იმიტომ თქვა, რომ მომატყუოს?

– არა, ნანობს.

– ჰო, მაგრამ რაღა დროს!

– მონანიების სურვილი თავისით არ გასჩენია.

– აბა, რა მოხდა?

– რომ იცოდეთ, როგორ გამოლანძღა ბატონმა იაკობმა!

– ჰო, ბატონი იაკობი... ეგ ბატონი იაკობი სულ თქვენთან ზის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, ცდილობს, რაც შეიძლება, ხშირად იჯდეს, – უთხრა როზმა და ისე შესცინა, რომ კორნელიუსს დარდი მაშინვე გადაეყარა.

– მაინც, რა მოხდა?

– რა და, ვახშამზე მამა თავისი მეგობრის თხოვნას დაჰყვა და უამბო, როგორ გასრისა ტიტა, უფრო სწორად, ტიტას ბოლქვი. თავისი საქციელით თავი ისე მოსწონდა, თითქოს გმირობა ჩაედინოს.

კორნელიუსის ამოხვნეშას გმინვა უფრო ეთქმოდა.

– ნეტა, დაგენახათ, რა მოუვიდა იაკობს! თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, თმა ყალყზე დაუდგა, ხელებს ისე კრუნჩხავდა, მეგონა, აი ახლა, მამაჩემს ყელში წვდება და დაახრჩობს-მეთქი.

– ბოლქვი მართლა გასრისეთ? – უყვირა მამაჩემს.

– აბა რა! – მიუგო მამაჩემმა.

– რა სამარცხვინო, რა უმსგავსი საქციელია! ეს რა საშინელი ავკაცობა ჩაგიდენიათ! – ღმუოდა იაკობი.

– რა მოგივიდათ, თქვენც გაგიჟდით? – ჰკითხა გაოგნებულმა მამაჩემმა.

– ოჰ, რა კეთილშობილი კაცი ყოფილა, ეგ იაკობი, – ჩაიბურტყუნა კორნელიუსმა, – რა დიდსულოვანი!..

– ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია, იმაზე მეტად გაკიცხო კაცი, ვიდრე ბატონმა იაკობმა, მამაჩემი. – დასძინა როზმა, – თავს ველარ იკავებდა და სულ იმეორებდა: ბოლქვი გასრისა! ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ბოლქვი გასრისა!

მერე მე მომიბრუნდა და მკითხა, – კი მაგრამ, იმას ხომ მხოლოდ ერთი ბოლქვი არ ჰქონიაო?

– ასე გკითხათ? – შეხტა კორნელიუსი.

– გგონიათ, კიდევ ექნებოდა? – ყური ცქვიტა მამაჩემმა, – კეთილი, იმასაც ვიპოვით.

– იმასაც იპოვით? – შეჰყვირა იაკობმა და მამას საყელოში სწვდა, მაგრამ ხელი მაშინვე უშვა.

მერე მე მომიბრუნდა და მკითხა, იმ საბრალო ჭაბუკმა, რა თქვაო.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. თქვენ მთხოვეთ, არავისთვის გამემხილა, რა ძვირფასი იყო თქვენთვის ეს ბოლქვები. საბედნიეროდ, გაჭირვებიდან მამამ დამიხსნა.

– რა თქვა, რა თქვა! რადა, სულ ცოფი ჰყარა.

მე სიტყვა შევაწყვეტინე და ვუთხარი, აბა, რას იზამდა, როცა ასე დაუნდობლად და უხეშად მოეპყარით-მეთქი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენ ხომ არ გაგიჟდი! – აყვირდა მამა, – დიდი ამბავი, თუ ტიტას ბოლქვი გაუსრისეს! გორკუმის ბაზარზე ერთ ფლორინად ას ბოლქვს იყიდი.

საუბედუროდ, შეცდომა დავუშვი და მივუგე, რა იცით, იქნებ ის ერთი უფრო ძვირფასი იყო-მეთქი.

– მერე, ეგ რომ თქვით, იაკობმა, რაო?

– მომეჩვენა, რომ თვალში რაღაც გაუკრთა.

– ეგ ჰო, – შენიშნა კორნელიუსმა, – მაგრამ თქმით, არაფერი უთქვამს?

– შემპარავად მკითხა: მშვენიერო როზ, თქვენ გგონიათ, რომ ის ბოლქვი ძვირფასი იყოო? მივხვდი, რომ შევცდი, – რაც ვთქვი, არ უნდა მეთქვა და ვითომ გულისგარეთ მივუგე: რა მოგახსენოთ, მე ტიტების არაფერი გამეგება. მე ერთი ვიცი და ისიც, იმიტომ რომ, იძულებული ვართ, პატიმრების გვერდით ვიცხოვროთ, – ტუსაღისთვის ყველაფერი, რაც დროს მოაკვლევინებს, ძვირფასია. ის საბრალო ვან ბერლე თავს ბოლქვებით იქცევდა და ამიტომაც ვთქვი, დიდი სისასტიკეა, გასართობი რომ წაართვესმეთქი.

– პირველ ყოვლისა, – შენიშნა მამაჩემმა, – საკითხავია, როგორ იშოვა ის ბოლქვები? ურიგო არ იქნებოდა, გამეგო.

მამას თვალი ავარიდე, მაგრამ იაკობის თვალებს წავაწყდი. ისე მიყურებდა, თითქოს უნდოდა, გულში ჩამძვრომოდა.

ზოგჯერ გაღიზიანება გვეხმარება, პასუხს თავი ავარიდოთ. მხრები ავიჩეჩე და კარისკენ წავედი, მაგრამ გავჩერდი, რადგან ყური მოვკარი, როგორ წასჩურჩულა იაკობმა მამაჩემს:

– ეშმაკმა დალახვროს, მაგის გაგებას რა უნდა!

– ... ეგ, როგორ?

– როგორ და, გაჩხრეკა და იმისი ჯანი! – მიუგო იაკობმა, – ისე, წესით, სამი ბოლქვი უნდა ჰქონოდა...

– სამი ბოლქვიო! – დამდუღრულივით შეხტა კორნელიუსი, – ასე თქვა, სამი ბოლქვი უნდა ჰქონოდაო?

– ალბათ ხვდებით, – მიუგო როზმა, – მისი ნათქვამი მეც არანაკლებ გამიკვირდებოდა. უკან მივიხედე, მაგრამ ლაპარაკში ისე გართულიყვნენ, ვერ შემამჩნიეს.

– იმ ბოლქვებს, ეგებ, ჯიბეში არც ინახავს, – შენიშნა მამამ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თქვენც ადექით და საკნიდან გამოიყვანეთ, – მიუგო იაკობმა, – მე კი იქაურობას გავჩხრეკ.

– ვაიმე, ვაიმე! ეგ თქვენი იაკობი პირწავარდნილი არამზადაა.

– დიახ, მეც ასე მგონია.

– ერთი ეს მითხარით, როზ... – უთხრა კორნელიუსმა და დაფიქრდა.

– რა?

– მგონი მითხარით, კვლებს რომ ვამუშავებდი, მითვალთვალებდაო?

– დიახ.

– ლანდივით გასხლტა და ბუჩქებს ამოეფარა, არა?

– დიახ.

– და არცერთი თქვენი მოძრაობა არ გამოპარვია?

– არცერთი.

– როზ, – ფერი ეცვალა კორნელიუსს.

– რა მოხდა?

– ეგ კაცი თქვენ არ გითვალთვალებდათ.

– აბა, ვის?

– მაგ კაცს თქვენ არ უყვარხართ.

– აბა, ვინ?

– ჩემი ბოლქვები. ეგ კაცი ჩემს ტიტაზეა შეყვარებული.

– ჰო, შეიძლება, – დაუდასტურა როზმა.

– გინდათ, დარწმუნდეთ, მართლა ასეა თუ არა?

– როგორ?

– სულ იოლად.

– მაინც?

– ხვალ ისევ შედით ბაღში. მოახერხეთ, რომ მიხვდეს, სადაც მიდიხართ და მაშინდელივით, უკან გამოგყვეთ. თავი ისე დაიჭირეთ, ვითომ ბოლქვი დაფალით, მერე, ბაღიდან გამოდით და მალულად უყურეთ, რას იზამს.

– კეთილი. მერე, რა ვქნა?

– ჯერ ვნახოთ, რას იზამს?

– ეჰ, ბატონო კორნელიუს, – ამოიოხრა როზმა, – როგორ გიყვართ თქვენი ბოლქვები!

– დიახ, მას უკან, რაც მამათქვენმა ის საწყალი ბოლქვი გამისრისა, ასე მგონია, ნახევარი სიცოცხლე წამართვეს.

– გინდათ, კიდევ ერთი რამ ვცადოთ?

– რა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მამამ რაც შემოგთავაზათ, იმაზე უარს ნუ იტყვით.
– რა შემომთავაზა?
– აკი გითხრათ, თუ გინდათ, ას ბოლქვს მოგცემთო.
– დიახ, მერე რა?
– გამოართვით ორი ან სამი ბოლქვი და იმ ბოლქვებთან ერთად, თქვენი ტიტაც გაახარეთ.
– ჰო-ო, – კორნელიუსმა შუბლი შეიჭმუხნა და დაფიქრდა, – ურიგო აზრი არ არის, მარტო მამათქვენი რომ იყოს, მაგრამ ის, მეორე... მოდარიალე იაკობი...
– ჰო, ეგეც მართალია. მაინც დაფიქრდით. როგორც ვხედავ, ამით დიდ სიამოვნებას მოიკლებთ. – როზი იღიმებოდა, მაგრამ მის სიტყვებს ირონიაც დაჰკრავდა.
კორნელიუსი ჩაფიქრდა. ეტყობოდა, დიდ ცდუნებას ებრძოდა.
– არა, მაინც არა! – შესძახა ძველი სტოიკივით, – არა! სიგიჟე იქნება, სულმოკლეობა! რა მუხანათი უნდა ვიყო, რომ ჩვენი ბოლო იმედი ვილაცის ახირებას, შურსა და ბრაზს გადავაყოლო! არა, როზ, ჩემგან ეს მიუტევებელი საქციელი იქნებოდა. არა, როზ, არა! ხვალ გადავწყვეტთ, რა ვუყოთ თქვენს ბოლქვს. თქვენ მას ჩემი ხელმძღვანელობით გაახარებთ. მესამე ბოლქვი კი, – ოხვრას გული ამოატანა კორნელიუსმა, – მესამე ბოლქვი კი, თქვენს კარადაში შეინახეთ და ისე გაუფრთხილდით, როგორც ძუნწი უფრთხილდება თავის პირველ და ბოლო ოქროს მონეტას, ისე გაუფრთხილდით, როგორც დედა – შვილს, როგორც დაჭრილი, მის ძარღვებში შემორჩენილ, სისხლის ბოლო წვეთს. გაუფრთხილდით, როზ! გული მიგრძნობს, რომ ეგ იქნება ჩვენი ხსნაც და ჩვენი ქონებაც. გაუფრთხილდით, როზ და შემომფიცეთ, რომ ლევენშტაინს თუ ზეცის რისხვა თავს დაატყდა და მეხი დაეცა, თქვენი ბეჭდების, თქვენი ძვირფასეულის, მაგ მშვენიერი ოქროს ქუდის ნაცვლადაც კი, ლამაზ ჩარჩოდ რომ შემოვლებია თქვენს ტურფა სახეს, ბოლქვს გადაარჩენთ, რომლის წიაღშიც ჩემი შავი ტიტა ჩაბუდებულა.
– ნუ ღელავთ, ბატონო კორნელიუს, – სევდანარევი კილოთი, ტკბილად მიუგო როზმა, – დამშვიდდით, თქვენი სურვილი ჩემთვის წმიდათა-წმიდაა.
– ეგ კი არა, როზ, – უფრო გზნებით განაგრძო ყმაწვილმა კაცმა, – თუკი შეამჩნევთ, რომ თვალს გადევნებენ, თუ შეამჩნევთ, რომ თქვენმა სიტყვებმა მამათქვენის ან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმ საშინელი, ჩემთვის საძულველი კაცის ეჭვი გამოიწვია, უყოყმანოდ შემელიეთ; შემელიეთ, როზ და თუმცა მე მხოლოდ თქვენით მიდგას სული, მხოლოდ თქვენ ერთი მყავხართ მთელ დუნიაზე, უყოყმანოდ გამწირეთ და ნულარ მომინახულებთ.

როზმა იგრძნო, როგორ ჩაწყდა გული. გოგონას თვალზე ცრემლი მოადგა.

– ვაიმე! – თქვა მან.

– რა მოხდა? – ჰკითხა კორნელიუსმა.

– ვხედავ...

– რას ხედავთ?

– ვხედავ, თქვენი გული ისე დაუპყრია ტიტას სიყვარულს, რომ სხვა გრძნობისთვის ადგილი აღარ დაუტოვებია, – ქვითინით მიუგო ქალიშვილმა და გაიქცა.

ის ღამე ყველაზე საშინელი იყო კორნელიუსის სიცოცხლეში.

როზი გაუბრაზდა და სამართლიანადაც. ვინ იცის, აღარც მოსულიყო! მაშინ ხომ ვეღარაფერს შეიტყობდა ვერც როზზე და ვერც თავის ბოლქვებზე.

ყვავილების ტრფიალი ჩვენი გმირის სამარცხვინოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ორი გატაცებიდან, სასწორის პინა როზისკენ გადაიხარა. ღამის სამი საათი იყო, როცა შიშითა და სინდისის ქენჯნით გაწამებულ კორნელიუსს ჩაეძინა და სიზმარში, შავმა ტიტამ პირველობა ქერათმიანი ფრისლანდიელი ქალწულის ცისფერ თვალებს დაუთმო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XIX
ქალი და ყვავილი

თავის ოთახში ჩაკეტილმა საბრალო როზმა არ იცოდა, ვისზე, ან რაზე ოცნებობდა კორნელიუსი. როზს მისი სიტყვები ახსოვდა და ფიქრობდა, ალბათ ისევ თავის ტიტაზე ოცნებობსო.

როზი ცდებოდა, მაგრამ რაკი გვერდით არავინ ჰყავდა, ვინც ეტყოდა, ცდებიო, კორნელიუსის დაუფიქრებელ სიტყვებისგან გუნებამოშხამულს, ოცნებისთვის არ ეცალა და ტიროდა.

როზი საკმაოდ გულისხმიერი და ჭკვიანი ქალიშვილი იყო და თვალს არ უხუჭავდა არა თავის სილამაზესა და სულიერ თვისებებს, არამედ სოციალურ მდგომარეობას.

კორნელიუს ვან ბერლე სწავლული იყო. კორნელიუს ვან ბერლე მდიდარი იყო, – ყოველ შემთხვევაში, მანამ მაინც, სანამ ქონებას ჩამოართმევდნენ; კორნელიუს ვან ბერლე იმ დიდვაჭართა შთამომავალი გახლდათ, თავიანთი აბრები გერბებივით რომ მოეხატათ და უფრო მეტად მოჰქონდათ თავი, ვიდრე ნამდვილი საგვარეულო გერბებით, ძირძველ თავად-აზნაურობას. კორნელიუსი როზთან ურთიერთობით თავს ირთობდა, მაგრამ თუ საქმე არჩევანზე მიდგებოდა, იგი თავის გულს უმალ ყვავილთა შორის ყველაზე კეთილშობილ, ყველაზე ამაყ ყვავილს მიუძღვნიდა, ვიდრე მედილეგეს მოკრძალებულ ქალიშვილს.

როზს ესმოდა, რატომ ერჩივნა კორნელიუსს შავი ტიტა, მაგრამ ამით მხოლოდ მწუხარება ემატებოდა. მან მთელი ღამე თეთრად გატეხა და გადაწყვიტა, კორნელიუსის სარკმელს აღარ გაკარებოდა.

მართალია, ქალიშვილს აღარ სურდა ენახა კაცი, რომლის სიბრალულმა ჯერ თანაგრძნობა გაუღვიძა, მერე კი ძალიან სწრაფად გააქანა სიყვარულისკენ, მაგრამ იცოდა, რა სულიმწარედ ელოდა იგი ახალ ამბავს თავის ტიტაზე და რადგან არ უნდოდა, მისთვის გული ეტკინა, გადაწყვიტა, წერა-კითხვის გაკვეთილები მარტოს გაეგრძელებინა.

საბედნიეროდ, როზი უკვე ისე გაწაფულიყო, მასწავლებელს კორნელიუსი ერქვა, თორემ, ქალიშვილს იგი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღარც სჭირდებოდა.

როზი ბევჯითად კითხულობდა კორნელიუს დე ვიტის ნაქონ ბიბლიას, რომლის მეორე გვერდზე ვან ბერლეს ანდერძი ეწერა.

– ეჰ, – ჩურჩულებდა როზი, როდესაც ანდერძს კითხულობდა და გაფითრებულ ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდებოდა ხოლმე, – იმ დროს იყო წუთი, როცა მეგონა, რომ ვუყვარდი!

საბრალო გოგონა ცდებოდა! ტუსაღს ასე ცხადად არასდროს უგრძვნია, რომ შეყვარებული იყო და როგორც უკვე, ცოტა არ იყოს, დამორცხვებულებმა ვაღიარეთ, შავ ტიტასა და როზს შორის გამართულ ბრძოლაში, დიდი შავი ტიტა დამარცხდა.

როზმა ამ მარცხზე არაფერი იცოდა. კითხვის შემდეგ, იგი კალამს ჰკიდებდა ხელს და სანაქებო სიბეჯითით უფრო ძნელ საქმეს, წერას შეუდგებოდა ხოლმე. იგი თითქმის გარკვევით წერდა, როდესაც კორნელიუსმა წინდაუხედავად გასცა თავი. ქალიშვილი იმედოვნებდა, რომ ერთი კვირის თავზე, ტიტას მდგომარეობის აღწერას შეძლებდა.

როზს კორნელიუსის არცერთი მითითება არ დავიწყებია. ანკი, მითითებას რა დაავიწყებდა, როცა მისი ნათქვამი ყველა სიტყვა ახსოვდა!

მეორე დღეს, კორნელიუსმა უფრო შეყვარებულმა გაიღვიძა. მართალია, ტიტას ხატება მის გონებაში ისევ ცოცხლობდა, მაგრამ უკვე აღარ იყო იმგვარი განძი, რომლის გულისთვის, ყველაფერს, თვით როზსაც კი, მსხვერპლად გაიღებდა. ახლა, მის თვალში, ტიტა იყო ბუნებისა და მეცნიერების ნაზავი, ძვირფასი ყვავილი, რომელიც ღმერთს იმიტომ შეექმნა, რომ გამიჯნურებულ კორნელიუსს თავისი სატრფოს კორსაჟზე დაემჩნია.

კორნელიუსს გული ცუდად უთქვამდა, მაგრამ მას მტკიცე ნებისყოფა ჰქონდა და შეეძლო, დროებით დაევიწყებინა საფრთხე, რომელიც საღამოს, ან მეორე დღეს ემუქრებოდა. ასეთი კაცი მოუსვენრობას უმკლავდება. იგი მთელი დღე ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს და მხოლოდ მაშინ, როცა დავიწყებული მუქარა გულს გაუკენწლავს, შემკრთალი ეკითხება თავს, ნეტა რატომო? მერე კი, როცა დავიწყებული ახსენდება, ოხვრით ამბობს: ეჰ, რატომ და იმიტომ!

კორნელიუსის „იმიტომ“ ნიშნავდა, რომ საღამოს, ვინ იცის, როზი არც მოსულიყო. დაბინდებასთან ერთად,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოუსვენრობაც ემატებოდა და ბოლოს ისე აწრიალდა, ადგილს ვერ პოულობდა.

საღამოს გულაძგერებული შეხვდა. ბინდი მატულობდა. კორნელიუსს თავისი წუხანდელი ნათქვამი, რამაც საბრალო ქალიშვილს გული მოუკლა, სულ უფრო ხშირად ახსენდებოდა და თავს ეკითხებოდა: ეს რა დამემართა, როგორ ვუთხარი ჩემს ერთადერთ ნუგეშს, ტიტას გულისთვის გაეღო მსხვერპლი და თუ საჭირო იქნებოდა, აღარ ვენახე, როცა უმისოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენიაო?

კორნელიუსის საკანში კოშკის საათის ხმა ისმოდა. საათმა ჯერ შვიდჯერ დარეკა, მერე – რვაჯერ, მერე, ცხრაჯერაც ჩამორეკა. ბრინჯაოს მექანიზმის ჟღერას ისე არასდროს შეუძრავს კაცი, როგორც კორნელიუსი შეძრა ჩაქუჩის მეცხრე დაკვრამ, რომელმაც ცხრა საათის დადგომა ამცნო.

ირგვლივ მკვდრულმა სიჩუმემ დაისადგურა. კორნელიუსმა გულზე იტაცა ხელი, რომ მისი ძგერა დაეოკებინა და სმენად იქცა. როზის ფეხის ხმასა და მისი კაბის შრიალს, ისე კარგად ცნობდა, რომ ქალიშვილი კიბეზე ფეხს შემოდგამდა თუ არა, გულში იტყოდა ხოლმე, აი როზიც მოდისო.

დაღამდა. დერეფანში გამეფებულ მდუმარებას ჩქამიც არ არღვევდა. საათმა ჯერ ათის თხუთმეტი წუთი დარეკა, მერე, ორმა განსხვავებულმა დარტყმამ, ათის ნახევარი აღნიშნა, მერე, აგუგუნდა და არათუ ციხის ბინადართ, მთელ ლევენშტაინს ამცნო ათი საათის დადგომა. ათ საათზე როზი უკვე ტოვებდა ხოლმე კორნელიუსს. წასვლის დრო დამდგარიყო, ის კი ჯერაც არ ჩანდა.

მაშასადამე, წინათგრძნობას არ უმტყუნია. როზს ეწყინა, თავის ოთახში დარჩა და კორნელიუსი მიატოვა.

– ოჰ, ახია ჩემზე – ამბობდა კორნელიუსი, – როზი არ მოდის და კარგსაც შვრება, რომ არ მოდის – მისი რომ ვიყო, მეც ასე მოვიქცეოდი.

მაინც აყურადებდა, ელოდა და იმედს არ კარგავდა. შუაღამემდე სმენად იყო ქცეული. მერე იმედი გადაეწურა და გაუხდელად მიეგდო ლოგინზე. გრძელი, სევდიანი ღამე გამოიარა. გათენდა, მაგრამ არც გათენებამ მოუტანა ნუგეში.

დილის რვა საათზე საკნის კარი გაიღო. კორნელიუსს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დერეფნიდან გრიფუსის მძიმე ნაბიჯების ხმა შემოესმა, მაგრამ კარისკენ არც გაუხედავს. ისედაც მშვენივრად იცოდა, რომ ეს მხოლოდ ერთი კაცის ფეხის ხმა იყო.

კორნელიუსი გრიფუსისკენ არ იყურებოდა, თუმცა, ერთი სული ჰქონდა, ეკითხა, როზი როგორ არისო. მედილეგეს, ასეთი კითხვა, ალბათ ძალიან უცნაურად მოეჩვენებოდა, მაგრამ კორნილიუსი თავს მაინც ძლივს იკავებდა. ეგოისტური სურვილით ატანილს, იმედი ჰქონდა, გრიფუსი ეტყოდა, როზი ავადააო.

როზი დღისით იშვიათად მოდიოდა და კორნელიუსი მის გამოჩენას საღამომდე არც ელოდა, მაგრამ იმის მიხედვით, როგორ კრთებოდა ყველა გაფაჩუნებაზე, რა ნატვრის თვალით გახედავდა ხოლმე კარში ამოჭრილ სარკმელს, აშკარად იმედი ჰქონდა, რომ როზი ჩვეულებას უღალატებდა და გამოჩნდებოდა.

როდესაც გრიფუსი მეორეჯერ შევიდა საკანში, კორნელიუსმა ვერ მოითმინა და ტკბილად მოიკითხა მედილეგე, რაზედაც გრიფუსმა, ძველი სპარტელივით, მოკლედ მოუჭრა:

– ძალიან კარგად.

კორნელიუსმა ახლა სხვანაირად დაუსვა კითხვა:

– ლევენშტაინში ავად ხომ არავინ გამხდარა?

– არავინ! – კიდევ უფრო მოკლედ მოუჭრა გრიფუსმა და კარი ცხვირწინ მიუკეტა.

გრიფუსი მისგან ასეთ თავაზიანობას მიჩვეული არ იყო და მაშინვე იეჭვა, ჩემი მოსყიდვა უნდაო.

კორნელიუსი მარტო დარჩა. საღამოს შვიდი საათი იყო. დარდი გუშინდელზე მძიმედ შემოაწვა. წუხანდელივით, საათი-საათს მისდევდა, მაგრამ კარის სარკმელში ისევ არ ჩანდა საყვარელი სახე, რომელიც მოსვლის უმალ, მთელ საკანს გაანათებდა ხოლმე და წასვლის შემდეგაც, იქ სინათლეს ტოვებდა.

კორნელიუსმა, მთელი ღამე, დარდსა და ურვაში გაატარა. დილით გრიფუსი კიდევ უფრო რეგვენი, უხეში და არაკაცი მოეჩვენა. კორნელიუსს აზრად მოუვიდა, უფრო სწორად, გულში იმედმა გაჰკრა, რომ როზს მოსვლის ნებას გრიფუსი არ აძლევდა.

ვან ბერლეს მხეცურმა სურვილმა წამოუარა, მედილეგე იქვე მიეხრჩო, მაგრამ გრიფუსს თუ მოკლავდა, მაშინ როზი, ყველა ღვთიური და კაცის სამართლით, ველარასოდეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მივიდოდა მასთან.

მოსაღამოვდა. კორნელიუსის შფოთვა კაეშანმა შეცვალა. ნამდვილი შავი კაეშანი მიეძალა, რადგან როზზე ფიქრს, უნებლიეთ, საბრალო ტიტაზე ფიქრიც შეერია და დარდს დარდი დაერთო. აპრილი იდგა. სწორედ ისეთი დარი დაეჭირა, მებაღეები ტიტას ბოლქვის ჩარგვას რომ ურჩევენ. კორნელიუსმა აკი უთხრა როზს, მე გეტყვით, თქვენი ბოლქვი როდის ჩარგოთო. სწორედ ხვალ საღამოს აპირებდა, დაეთქვა დღე. ჩინებული დარი იდგა. მართალია, ჰაერში ტენი კიდევ იგრძნობოდა, მაგრამ აპრილის მკრთალი მზე მაინც სასიამოვნოდ ათბობდა. ვაითუ, როზს ხელიდან გაეშვა ხელსაყრელი დრო! ვაითუ, განშორების დარდს, ახალი დარდი დამატებოდა, თუ ბოლქვი გვიან ჩაირგვებოდა ან სულაც არ ჩაირგვებოდა!

ორი ამოდენა დარდის პატრონს, რაღა მადა შერჩებოდა და მეოთხე დღეს, კორნელიუსს საჭმლისთვის პირი თითქმის არ დაუკარებია. საცოდავი სანახავი იყო, როდესაც დათრგუნული და ჩამომხმარ-გაფითრებული კორნელიუსი, იმ ბაღის დასანახად, რომელიც როზის სიტყვით, ხელმარცხნივ, მდინარის პირას იყო გაშენებული, გისოსებში გაყოფდა ხოლმე თავს, იმის იმედად, იქნებ თვალი მზის სხივებში გახვეულ როზს ან ტიტას მოვკრაო და იმას აღარ დაგიდევდათ, რომ შეიძლება თავი უკან ველარ შეეყო.

საღამოხანს, გრიფუსმა, ვან ბერლეს საკნიდან, თითქმის ხელუხლებლად გაიტანა ტუსაღის სარგო საუზმეც და სადილიც. მეორე დღეს, ტუსაღმა საერთოდ არ დააკარა პირი საჭმელს და არც ლოგინიდან წამომდგარა.

— კეთილი და პატიოსანი, — განაცხადა ქვევით ჩასულმა გრიფუსმა, რომელსაც იმ დღეს უკანასკნელად მოენახულებინა კორნელიუსი, — მგონი, ჩვენს სწავლულს თავიდან მალე მოვიშორებთ.

— რანაირად? — იკითხა იაკობმა.

— არ ჭამს, არ სვამს და აღარც ლოგინიდან დგება. გროციუსისა არ იყოს, მაგასაც ყუთით გაიტანენ, ოღონდ იმას სახელად კუბო ერქმევა.

როზს მკვდრის ფერი დაედო.

— ოჰ, ვიცი, რატომაც... — ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა, — ტიტაზე დარდობს.

როზი თავის ოთახში ჩაიკეტა და მთელი ღამე წერილის წერას მოანდომა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დილით კორნელიუსმა წელი ძლივს აითრია, რომ სარკმელთან მისულიყო. კარქვეშ ქაღალდის ნახევი შეამჩნია და მაშინვე დააცხრა. შვიდ დღეში როზი ისე გაწაფულიყო, რომ კორნელიუსმა ძლივს იცნო მისი ხელი. „დამშვიდდით, თქვენი ტიტა კარგად არის“, წერდა როზი.

მართალია, კორნელიუსს გულზე ცოტა მოეშვა, მაგრამ ირონია მაინც იგრძნო. როზი ავად არ იყო. როზი შეურაცხყოფილი იყო. როზს კორნელიუსის მონახულებას არავინ უშლიდა და იგი მას თავისი ნებით მიეტოვებინა.

მოკლედ, როზს არავინ ზღუდავდა. როზს ჰყოფნიდა სულის სიმტკიცე, აღარ ენახა კაცი, რომელსაც მისი დარდი კლავდა.

კორნელიუსს როზის მოტანილი ქაღალდი და ფანქარი ჰქონდა. იცოდა, რომ ქალიშვილი პასუხს ელოდა, მაგრამ ბარათის წასაღებად ღამე მოვიდოდა. პასუხი თვითონაც ისეთივე ქაღალდის ნახევზე დაწერა, როგორიც მიიღო.

„ტიტას დარდი არ მაწუხებს, თქვენი უნახაობით ვკვდები“.

მერე, როცა საღამოხანს, გრიფუსი წავიდა, ბარათი კარქვეშ შეაცურა და სმენად იქცა. ყური სულ დერეფნისკენ ეჭირა, მაგრამ არც ფეხის ხმა გაუგონია და არც კაბის შრიალი. სარკმლიდან მხოლოდ სუნთქვასავით ნაზი, ალერსიანი ხმა შემოესმა:

– ხვალამდე.

ხვალ, მერვე დღე ხდებოდა, რაც კორნელიუსს როზი არ ენახა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XX
რა ხდებოდა რვა დღის მანძილზე

მართლაც, მეორე დღეს, ჩვეულ საათზე, ვან ბერლემ გაიგონა, როგორ აფხაჭუნებდა ვილაც კარის სარკმელზე. ასე იცოდა ხოლმე როზმა იმ ბედნიერ დროს, როცა ერთმანეთი მეგობრად ეგულებოდათ. ცხადია, კორნელიუსი უკვე სარკმელთან იდგა, საიდანაც საყვარელ სახეს უნდა შემოენათებინა.

როზს ფანარი მაღლა აეწია და ისე ელოდა კორნელიუსის გამოჩენას. ქალიშვილმა ტუსაღის სევდიანი, გაფითრებული სახე რომ დაინახა, აღელვება ვეღარ დამალა და ჰკითხა:

– ავადა ხართ, ბატონო კორნელიუს?

– დიახ, მადმუაზელ, ავად ვარ, სულიერადაც და ხორციელადაც.

– გავიგე, ჭამა აგიკრძალავთ. მამამ მითხრა, ავად არის და ლოგინიდან არ დგებაო. არ მინდოდა, თქვენი ძვირფასი ტიტას დარდი გქონოდათ და გადავწყვიტე, წერილი მომეწერა.

– მაგის პასუხი უკვე მოგწერეთ, როზ და რადგან აქ გხედავთ, ეტყობა, ჩემი ბარათი მიგიღიათ.

– დიახ, მართლაც, მივიღე.

– ახლა თავს ვეღარ იმართლებთ, რომ არ წაგიკითხავთ. თქვენ, არათუ კარგად კითხულობთ, წერაშიც ძალიან გაწაფულხართ.

– დიახ, მართალია. თქვენი ბარათი მივიღე და კიდეც წავიკითხე. იმიტომ მოვედი, რომ იქნებ, რამე გიწამლოთ.

– მიწამლოთ! – შესძახა კორნელიუსმა, – კარგი ამბავი მომიტანეთ?

კორნელიუსმა იმედით ანთებული თვალი მიაპყრო როზს. ვერ გეტყვით, როზი ვერ მიხვდა თუ არ სურდა, მიმხვდარიყო, მაგრამ პასუხი სუსხიანი გასცა:

– მე მხოლოდ ტიტას ამბავი მოგიტანეთ. როგორც ვიცი, ყველაზე მეტად ეს გაინტერესებთ.

როზი ისე ცივად ელაპარაკებოდა, რომ კორნელიუსი შეკრთა.

ყვავილებზე გადაგებული კაცი ვერ მიხვდა, რას მალავ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და გულგრილობით საბრალო როზი, რომელიც გამუდმებით ერკინებოდა თავის მეტოქეს – შავ ტიტას.

– ვაი, აი ისევ, ისევ... – წაიჩურჩულა კორნელიუსმა, – ღმერთო ჩემო, აკი გითხარით, როზ, რომ მე მხოლოდ თქვენზე ვფიქრობდი, მხოლოდ თქვენზე ვდარდობდი, მხოლოდ თქვენ, ერთი, მენატრებოდით! თქვენი უნახაობით მომაკლდა სინათლე, სითბო, სიცოცხლე!..

როზს ნაღვლიანად გაეღიმა.

– რომ იცოდეთ, რას გადაურჩა თქვენი ტიტა!

კორნელიუსი უნებლიეთ შეკრთა და ხაფანგში გაება, თუკი ეს მართლა ხაფანგი იყო.

– გადაურჩა? – აცახცახებულმა იკითხა, – მაინც რა მოხდა?

როზმა სიბრალულით შეხედა. მიხვდა, რასაც იგი ამ კაცისგან ითხოვდა, მის ძალას აღემატებოდა და ისეთს უნდა შეგუებოდა, როგორიც იყო.

– თქვენ სწორად გამოიცანით. იაკობი, რომელსაც თავი შეყვარებულად მოაქვს, აქ ჩემი გულისთვის არ დაიარება.

– აბა, რატომ?–შეშფოთდა კორნელიუსი.

– ტიტას გულისთვის.

– ვაიმე! – აღმოხდა კორნელიუსს და უფრო გაფითრდა, ვიდრე ამ ორი კვირის წინ, როცა როზმა უთხრა, იაკობი იმიტომ მოდის, რომ მე მომინახულოსო. როზმა დაინახა, როგორ შეძრწუნდა კორნელიუსი, კორნელიუსმა კი მის სახეზე ამოიკითხა, რომ როზმა სწორედ ის გაიფიქრა, რაც გითხარით.

– ოჰ, მომიტევეთ, როზ. ვიცი, რა კეთილი და დიდსულოვანი ხართ, მაგრამ ბუნებამ თქვენ ყველაფერი მოგმადლათ, რომ თავი დაიცვათ – ჭკუა-გონება, მოძრაობის უნარი, ჩემი საბრალო ტიტა კი, რომელსაც საფრთხე ემუქრება, უსუსურია.

როზმა ტუსაღის მობოდიშებას წაუყრუა და განაგრძო:

– იმ დღიდან, რაც ის კაცი, რომელიც ბაღში ჩუმად შემომყვა და რომელშიც იაკობი ამოვიცანი, თქვენ სახიფათოდ მოგეჩვენათ, მე თქვენზე უფრო შევშინდი და გადავწყვიტე, ისე მოვქცეულიყავი, როგორც მითხარით. ბოლოს, რომ შეგხვდით, თქვენ მითხარით...

– კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას, როზ. – შეაწყვეტინა კორნელიუსმა, – არ უნდა მეთქვა, რაც გითხარით. იმ ბედუკულმართი სიტყვების გამო, უკვე ვითხოვე პატიება და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლაც იგივესა გთხოვთ. ნუთუ არასდროს მაპატიებთ?

– მოკლედ, – განაგრძო როზმა, – მეორე დილას გამახსენდა, თქვენი ნათქვამი.... რა ფანდიც უნდა მეხმარა, რათა გამერკვია, ის საძაგელი კაცი, რომელს უთვალთვალებდა – მე თუ ტიტას?..

– ჰო, საძაგელი... როზ, ის კაცი თქვენც გეჯავრებათ, არა?

– ოჰ, რა თქმა უნდა, მეჯავრება, იმიტომ რომ, მისი წყალობით, მთელი რვა დღე ვიტანჯებოდი.

– თქვენც იტანჯებოდით? გმადლობთ, როზ, გმადლობთ, კეთილი სიტყვისთვის!

– მოკლედ, იმ ბედუკულმართი დღის, მეორე დილას, ბაღში ჩავედი და იმ კვლისკენ გავემართე, სადაც ტიტა უნდა ჩამერგა.

– მერე, მერე?

– მერე ის, რომ ლანდი ისევ გასხლტა ჭიშკარში და ბუჩქებს ამოეფარა.

– თქვენ კი თავი მოაჩვენეთ, ვითომ ვერაფერი შენიშნეთ, არა? – კორნელიუსს დაწვრილებით გაახსენდა, როზს რაც ურჩია.

– დიახ. კვალზე დავიხარე, ბარით მიწა ამოვიღე და ვითომ ბოლქვი დავფალი.

– ის... ის, რას შვრებოდა?

– ბუჩქებისკენ ჩუმად გავიხედე და დავინახე, რომ თვალები ვეფხვივით უელავდა.

– აკი ვამბობდი! აკი ვამბობდი! – წამოიძახა კორნელიუსმა.

– მერე თავი ისე დავიჭირე, ვითომ საქმე მოვითავე და ბაღიდან გამოვედი.

– შორს ხომ არ წასულხართ? ხომ უყურებდით, რას იზამდა?

– ცოტა ხანს შეიცადა, უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ უკან მობრუნებას არ ვაპირებდი, მერე სამალავიდან გამოვიდა, კვალს შორიდან მოუარა და ბოლოს, იმ ადგილთან მივიდა, სადაც ცოტა ხნის წინ, მიწას ვიღებდი. თავის სამიზნეს რომ მიაღწია, შედგა, მიიხედ-მოიხედა, ბაღის ყველა კუთხე თვალით დაზვერა, მერე მეზობელი სახლის ფანჯრები შეათვალიერა, მიწას დახედა, ცას ახედა და როცა თავი სულ მარტო დაიგულა, კვალს დააცხრა. ფხვიერი მიწა ხელით ამოურია, ცოტაოდენი ამოიღო და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფრთხილად გასრისა, რომ ბოლქვი გამოერჩია. სამჯერ მოიქცა ასე და ყოველ ჯერზე, სულ უფრო გულმოდგინედ სრესდა და არჩევდა მიწას. ბოლოს მიხვდა, რომ ფანდს წამოგებოდა. თავს მოერია, ბარით ისევ გაასწორა მიწა და ნირწამხდარი წავიდა ჭიშკრისკენ. ცდილობდა, ისეთი სახე მიეღო, ვითომ ბაღში სასეირნოდ შესულიყო და სხვა არაფერი.

– ოჰ, ეგ გარეწარი! – ბუტბუტებდა კორნელიუსი და შუბლზე მომსკდარ ოფლს იწმენდდა, – ეგ გარეწარი! კეთილი, როზ, მაგრამ ბოლქვს რა უყავით? ეჰ! მისი ჩარგვა ცოტა დაგვაგვიანდა...

– ბოლქვი მეექვსე დღეა, მიწაში დევს.

– სად? როგორ? – შეხტა კორნელიუსი, – ვაი, რა გაუფრთხილებლად მოქცეულხართ! სად ჩარგეთ? როგორ მიწაში? ის საშინელი იაკობი ხომ ვერ მოგვპარავს?

– მხოლოდ მაშინ, თუ ჩემი ოთახის კარს შეამტვრევს.

– ოჰ, თქვენს ოთახშია! – ცოტა მოეშვა გულზე კორნელიუსს, – ეგ კარგია, როზ, მაგრამ როგორ მიწაში დევს? რომელ ჭურჭელში? იმედია, წყალში არ ჩადებდით, დორდრეხტისა და ჰაარლემის დიასახლისებივით, რომლებსაც ჯიუტად სჯერათ, რომ წყალს შეუძლია მიწა შეცვალოს. თითქოს წყალს, რომლის ოცდაცამეტ ნაწილზე მეტი ჟანგბადია, ხოლო სამოცდაექვსი, სუფთა წყალბადი, მართლა შეუძლია შეცვალოს... თუმცა, რას მივედ-მოვედები...

– დიახ, მე მაგის არაფერი გამეგება, – გაუღიმა როზმა, – ამიტომ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თქვენი ბოლქვი წყალში არა დევს.

– უჰ, ცოტა ამოვისუნთქე!

– ბოლქვი კარგ, ზუსტად ისეთივე ზომის თიხის ქოთანში დევს, თქვენი ბოლქვი რომ იდო. მიწა სამი, ჩვეულებრივი ნიადაგის ნარევია, რომელიც ბაღის საუკეთესო ადგილიდან ავიღე და შიგ ერთი წილი ქუჩიდან აღებული მიწაც შევურიე. მე იმდენჯერ მსმენია თქვენგან და იმ, თქვენი სიტყვით რომ ვთქვათ, უმსგავსი იაკობისგან, რანაირ მიწაში ხარობს ტიტა, რომ ჰაარლემელი გამოცდილი მებაღესავით ვიცი, როგორ მოვიქცე.

– თუ ასეა, ერთსლა გკითხავთ, – სად დადგით, როზ?

– ახლა მთელი დღე მზის გულზეა, მაგრამ როგორც კი კვირტს გამოიტანს და მზეც ძალას მოიცემს, თქვენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოგბაძავთ, ძვირფასო, ბატონო კორნელიუს და რვიდან თორმეტამდე, იმ ფანჯარის რაფაზე დავდგამ, რომელიც აღმოსავლეთს უყურებს, სამიდან ხუთამდე კი, იმაზე, რომელიც დასავლეთისკენ არის.

– ყოჩაღ, ყოჩაღ, თქვენ ჩინებული მებაღე ხართ, ჩემო მშვენიერო! ვაი, რომ ჩემი ტიტას მოვლა დიდ დროს წაგართმევთ.

– მართალი ხართ, მაგრამ არა უშავს, თქვენი ტიტა ჩემი შვილობილია და მეც დედასავით მოვუვლი, – მიუგო როზმა და ღიმილით დასძინა, – მხოლოდ დედა ვერ იქნება შვილის მეტოქე.

– ჩემო საყვარელო, სანატრელო როზ! – გზნებით შესძახა კორნელიუსმა და რადგან მის თვალებში შეყვარებული კაცის ცეცხლი მებაღისას სჭარბობდა, როზს გუნება ცოტა გამოუკეთდა.

მცირე დუმილის შემდეგ, კორნელიუსმა, რომელიც ცხაურიდან ამაოდ ცდილობდა როზის თითებს შეხებოდა, განაგრძო:

– მაშ, ჩემი ბოლქვი მეექვსე დღეა, მიწაშია?

– დიახ, ბატონო კორნელიუს, მეექვსე დღეა.

– ალბათ, ჯერ, ყლორტი არ გამოულია?

– ჯერ არა, მაგრამ ვგონებ, ხვალ გამოიტანს.

– ხვალვე ხომ მეტყვით, მის ამბავს და თქვენსასაც, როზ? შვილზე, როგორც თქვენ მას უწოდებთ, ძალიან ვღელავ, მაგრამ ყველაზე მეტად დედამისი მაღელვებს.

– ხვალვე, ხვალვე... – ალმაცერად გამოხედა როზმა, – არ ვიცი, ხვალ მოვალ თუ არა.

– ღმერთო, რატომ ვერ მოხვალთ?

– ბატონო კორნელიუს, მე ათასი საქმე მაქვს.

– მე კი ერთი, – ჩაიჩურჩულა კორნელიუსმა.

– დიახ, – თქვენი ტიტას სიყვარული.

– თქვენი სიყვარული, როზ.

როზმა თავი გადააქნია და ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

– რა გაეწყობა! – დაარღვია დუმილი კორნელიუსმა, – ამქვეყნად ყველაფერი ცვალებადია. გაზაფხულის ყვავილი ჭკნება, მას სხვა ყვავილი ენაცვლება და ფუტკარიც, რომელიც იასა და მიხაკს დასტრიალებდა, ასეთივე სიყვარულით ევლება თავს ვარდს, ფათალოს, ჟასმინს...

– მაგას, რად მეუბნებით?

– იმად, ჩემო საყვარელო ქალბატონო, რომ თავიდან ჩემი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭირ-ვარამის ყურის გდება გეამებოდათ; თავს ევლებოდით ჩემი და თქვენი სიყვარულის ქორფა ყვავილს; მაგრამ ვაი, რომ ჩემი უმზეოდ დაჭკნა. ტუსაღის სიხარულისა და იმედის ბაღი დღენაკლულია. იგი ვერ შეედრება მზესა და სუფთა ჰაერზე გაშლილ წალკოტებს. ახლა, როცა მაისის ყვავილები მოილია, როცა მოსავალი აღებულია, თქვენებრ წერწეტი, ფრთაგამჭვირვალე და ოქროსულვაშა ფუტკრები, როზ, გისოსებიდან მიცოცავენ, რომ თავი აარიდონ სიცივეს, სევდას, მარტოობას, რათა სხვაგან ჰპოვონ ყვავილები, სითბო, — ბედნიერება, ბოლოს და ბოლოს!

როზი ღიმილით უყურებდა კორნელიუსს, მაგრამ იმას თვალი დაეხარა და როზის ღიმილს ვერ ხედავდა.

— თქვენ მიმატოვეთ, მადმუაზელ, რათა წელიწადის ოთხივე დროთი დატკბეთ, — ოხვრით განაგრძო კორნელიუსმა, — კარგადაც მოიქეცით. მე არა ვჩივი. რა უფლება მაქვს, ორგულობა გისაყვედუროთ?

— ორგულობა! მე ვარ თქვენი ორგული?

— დიახაც! აბა, რა ჰქვია, როცა გტოვებენ, — როცა გწირავენ, რომ მარტოობაში ამოგხდეს სული?

— ვისი გულისთვის ვზრდი თქვენს ტიტას, ბატონო კორნელიუს?

— რა მწარე სიტყვებს მეუბნებით, როზ! რატომ მაყვედრით ერთადერთ, წმინდა სიხარულს, რაზედაც ხელი მიმიწვდება?

— მე არაფერს გაყვედრით, გარდა, ალბათ, იმ უდიდესი მწუხარებისა, რაც ბუტენხოფში განვიცადე, როცა შევიტყვე, რომ სიკვდილის განაჩენი გამოგიტანეს.

— ჩემო სანატრელო, თქვენ არ მოგწონთ, რომ მე ყვავილები მიყვარს?

— არა, ბატონო კორნელიუს, მე ის არ მომწონს, რომ თქვენ ყვავილები უფრო გიყვართ, ვიდრე მე.

— ოჰ, ჩემო საყვარელო, ჩემო სანატრელო, ჩემო სულისდგმავ! — შესძახა კორნელიუსმა, — შეხედეთ, როგორ მიცახცახებს ხელი, როგორ ვფითრდები, როგორ მიცემს გული! ნუთუ გგონიათ, რომ ამის მიზეზი, ჩემი ტიტაა? არა, როზ, ასე იმიტომ მომდის, რომ თქვენ მილიმით, თქვენი თავი იხრება ჩემსკენ, იმიტომ რომ, — თუმცა, რა ვიცი, იქნებ ვცდები კიდეც, — მართალია, ხელს მტაცებთ, მაგრამ თქვენი ხელები უნებლიეთ მოიწევს ჩემსკენ. კიდევ იმიტომ, რომ ამ ცხაურს მილმა, თქვენი ლოყების მხურვალებას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვგრძნობ. როზ, საყვარელო, გასრისეთ შავი ტიტას ბოლქვი, გადამიწურეთ მისი გახარების ყველა იმედი, ჩამიქრეთ ჩემი ლამაზი, უბიწო ოცნების სხივი. აგრე იყოს! უარს ვიტყვი, ღვთიური მადლით ცხებულ, ამაყ ყვავილზე. წაიღეთ ყველაფერი, სხვა ყვავილებზე მოეჭვიანე ყვავილო! წაიღეთ ყველაფერი, ოღონდ ნუ მომაკლებთ თქვენ ხმას, თქვენ ხილვას, – თქვენი ფეხის ხმას ქვის ცივ კიბეზე, – მაგ თვალთა მზერას, ბნელ დერეფანს რომ ანათებს ხოლმე; როზ, ნუ მომიშლით თქვენი სიყვარულის რწმენას, რომელიც გულს მითბობს. გიყვარდეთ, როზ, იმიტომ რომ, მე მხოლოდ თქვენ მიყვარხართ!

– შავი ტიტას მერე, – ამოიოხრა ქალიშვილმა და მისი თბილი, ალერსიანი თითები, როგორც იქნა, კორნელიუსის ტუჩებს შეეხო.

– პირველ ყოვლისა, როზ...

– დავიჯერო?

– როგორც ღმერთისა გჯერათ.

– კეთილი. ეგ სიყვარული, თქვენ ბევრს მაინც არაფერს გავალებთ, არა?

– ვაი, რომ ძალიან ცოტას. სამაგიეროდ, თქვენ გავალებთ ბევრს.

– მე? – ჩაეკითხა როზი, – მე რას მავალებს?

– პირველ ყოვლისა, იმას, რომ არ გათხოვდეთ.

ქალიშვილს გაეღიმა.

– აი, თურმე, რანაირი ხართ, – პირწავარდნილი ტირანი! თქვენ გყავთ თქვენი საოცნებო მზეთუნახავი, რომელსაც ეშაფოტზე ასულიც კი, უკანასკნელ ოხვრას მიუძღვნით და ამ დროს, ჩემგან, საბრალო ქალიშვილისგან, მოითხოვთ, რომ ყველა ჩემი ოცნება და იმედი თქვენ შემოგწიროთ?

– რომელი მზეთუნახავი, როზ? – კორნელიუსს ვერაფრით გაეხსენებინა, რომელ ქალზე უარაკებდა როზი.

– შავგვრემანი მზეთუნახავი, ამაყად ყელმოღერებული და ტანწერწეტა. თქვენ შავ ტიტაზე გეუბნებით.

კორნელიუსს გაეღიმა.

– ჩემო მშვენიერო მეზღაპრევ, ნურაფერს ვიტყვით, თქვენზე თუ ჩემზე შეყვარებულ იაკობზე, მაგრამ განა, სწორედ თქვენ არ გარტყიათ გარს მიჯნურთა დასი? გახსოვთ, ჰააგელ სტუდენტებზე, ოფიცრებსა და ვაჭრებზე რომ მიყვებოდით? დავიჯერო, სტუდენტები, ოფიცრები და ვაჭრები, ლევენშტაინში არ არიან?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოჰ, ცხადია, არიან და მრავლადაც.
– წერილებს გწერენ?
– მწერენ.
– კითხვა უკვე იცით და ახლა...
– კორნელიუსი შეკრთა, როცა გაიფიქრა, – ჩემი ბრალია, რომ როზს, მასზე გამიჯნურებულთა წერილების წაკითხვა შეუძლია.
– მერე რა? მე ხომ თქვენ რჩევას მივდევ, როცა მათ წერილებს ვკითხულობ.
– ჩემს რჩევას?!
– დიახ. ეტყობა, აღარც კი გახსოვთ თქვენი ანდერძი, რომელიც კორნელიუს დე ვიტის ბიბლიაში თქვენი ხელით ჩაწერეთ. მე კი მახსოვს, რადგან ახლა, როცა კითხვა კარგად ვისწავლე, ხან დღეში ორჯერაც ვკითხულობ ხოლმე. აკი თქვენ თვითონ დამიბარეთ: ოცდაექვსი-ოცდარვა წლის ჭაბუკი შეიყვარეთ და მისთხოვდითო. ჰოდა, მეც ვეძებ. ოღონდ, რადგანაც მთელი დღე თქვენი ტიტას მოვლას ვუნდები, მის მოსაძიებლად საღამო მაინც ხომ უნდა დამიტოვოთ?
– ოჰ, როზ, ანდერძი იმიტომ დავწერე, რომ სიკვდილს ველოდი, მაგრამ მადლობა ღმერთს, ცოცხალი დავრჩი!
– კეთილი. თუ ასეა, ოცდაექვსი-ოცდარვა წლის ჭაბუკის ძებნაზე აღარ მოვცდები და თქვენთან მოვალ.
– მოდით, როზ, მოდით.
– ასე ვიზამ. ოღონდ დამპირდით...
– მაგ პირობას წინასწარ გაძლევთ.
– დამპირდით, რომ სამ დღეს შავ ტიტას არ ახსენებთ.
– როზ, თუ გინდათ, სულაც ნულარასდროს ვახსენებთ.
– ოჰ, არა, შეუძლებელს არ გთხოვთ.
ამ სიტყვებზე, როზმა, ვითომ შემთხვევით, ხავერდოვანი ლოყა ისე ახლოს მიიტანა ცხაურთან, რომ კორნელიუსი ტუჩებით მისწვდა. სიყვარულის ალმოდებულმა როზმა ჩუმად წამოიკივლა და გაიქცა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXI
მეორე ბოლქვი

ᲐᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲚᲐᲛᲔ ᲘᲧᲝ. ᲓᲘᲚᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲒᲐᲗᲔᲜᲓᲐ. ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ, ᲞᲘᲠᲥᲣᲨᲘ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲩᲐᲭᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘ, ᲪᲘᲕᲘ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲡᲝᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲠᲙᲛᲔᲚᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲛᲬᲘᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ, ᲢᲣᲡᲐᲦᲡ ᲚᲝᲓᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲬᲝᲚᲝᲓᲐ, ᲐᲛ ᲓᲘᲚᲐᲡ ᲙᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘᲣᲡᲛᲐ ᲒᲐᲘᲦᲕᲘᲫᲐ, ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲡ ᲡᲥᲔᲚ ᲒᲘᲡᲝᲡᲔᲑᲡ, ᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲘ ᲓᲐᲡᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲓᲐ, ᲛᲢᲠᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲪᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ, ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲛᲡᲮᲓᲐᲠᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲓ ᲦᲣᲚᲦᲣᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ.

ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘᲣᲡᲛᲐ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲘᲠᲑᲘᲜᲐ, ᲧᲣᲠᲗᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲦᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲔᲩᲕᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲘᲡ ᲑᲜᲔᲚ ᲡᲐᲙᲐᲜᲨᲘ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲭᲠᲐ.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲤᲣᲠᲩᲥᲜᲣᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲔᲧᲕᲐᲕᲔᲑᲘᲜᲐ, — ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲪᲘᲣᲠᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ, — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲖᲔ ᲢᲣᲠᲤᲐ, ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ!

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲠᲘᲤᲣᲡᲛᲐ ᲢᲣᲡᲐᲦᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲨᲘ ᲛᲘᲐᲙᲘᲗᲮᲐ, ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ, ᲞᲘᲠᲥᲣᲨᲐᲓ ᲔᲒᲓᲝ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲚᲝᲒᲘᲜᲖᲔ, ᲖᲔᲖᲔ ᲓᲐᲣᲮᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲝᲞᲔᲠᲘᲓᲐᲜ, ᲐᲠᲘᲐᲡ ᲛᲦᲔᲠᲝᲓᲐ.

— ᲒᲠᲘᲤᲣᲡᲛᲐ ᲓᲐᲣᲑᲦᲕᲘᲠᲐ.

— ᲐᲑᲐ, ᲒᲠᲘᲤᲣᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ?

ᲛᲔᲓᲘᲚᲔᲒᲔᲛ ᲪᲔᲠᲐᲓ ᲒᲐᲮᲔᲓᲐ.

— ᲠᲝᲒᲝᲠᲐ ᲒᲧᲐᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲥᲝᲤᲐᲙᲘ, ᲘᲐᲙᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲤᲐ ᲠᲝᲖᲘ?

ᲒᲠᲘᲤᲣᲡᲛᲐ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲙᲠᲐᲭᲣᲜᲐ.

— ᲐᲒᲔ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲖᲛᲔ!

— ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, ᲩᲔᲛᲝ ᲪᲔᲠᲑᲔᲠᲝ! ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲠᲝᲣᲚᲘᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲨᲘᲕᲓᲐ.

— ᲝᲰᲝ, ᲛᲝᲒᲨᲘᲕᲓᲐᲗ?

— ᲠᲐᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲠᲐ? — ᲒᲐᲘᲙᲕᲘᲠᲕᲐ ᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲚᲔᲛ.

— ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲐᲠᲐ?

— ᲠᲐ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ?

— ᲰᲝ, ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ. ᲐᲠᲮᲔᲘᲜᲐᲓ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყავით, თვალს არ მოგაცილებთ. დიახ, არ მოგაცილებთ, ბატონო სწავლულო.

– კეთილი, ნუ მომაცილებთ, ჩემო კარგო, ნუ მომაცილებთ. მეც და ჩემი შეთქმულებაც, ორივე, თქვენ სამსახურში გვიგულეთ.

– მაგას ნაშუადღევს ვნახავთ.

გრიფუსი გავიდა.

– ნაშუადღევსო? ნეტა, რა ხდება ნაშუადღევს? კეთილი, დაველოდოთ და ვნახოთ.

შუადღემ ისე მოატანა, არც გაუგია. კორნელიუსი საღამოს ცხრა საათის დადგომას ელოდა. თორმეტმა რომ დარეკა, კიბეზე რამდენიმე კაცის ნაბიჯის ხმა გაისმა. გრიფუსი მარტო არ ამოდიოდა, უკან, სამი თუ ოთხი ჯარისკაცი მოყვებოდა. გრიფუსმა საკნის კარი გააღო, ჯარისკაცები შემოუშვა და კარი ჩაკეტა.

– აი, ახლა კი, გაჩხრიკეთ!

კორნელიუსი თხემით-ფეხამდე გაჩხრიკეს. ნახეს, რამეს ხომ არ მალავდა ჯიბეებში, კამზოლსა და ჟილეტს შორის, ჟილეტსა და პერანგს შორის, პერანგსა და ტანს შორის. ვერაფერი უპოვეს.

იქაურობა სულ გადაჩხრიკეს. აშალეს ქვეშაგები, ზეწარი, ლეიბ-ბალიში. ვერაფერი აღმოაჩინეს.

კორნელიუსს უხაროდა, რომ ჭკუა იხმარა და მესამე ბოლქვი თავისთან არ დაიტოვა. რა გულმოდგინედაც უნდა დაემალა, ასეთი ჩხრეკის დროს, გრიფუსი უეჭველად იპოვიდა და იმასაც, პირველივით, გასრესდა. არცერთ პატიმარს ასე მშვიდად არ უდევნებია თვალი თავისი საკნის ჩხრეკისთვის.

გრიფუსმა როზის მოტანილი ფანქარი და სამიოდე ქაღალდის ფურცელი წაიღო და წავიდა. ეს მისი ერთადერთი ნაალაფარი იყო.

ექვს საათზე, მედილეგე ისევ დაბრუნდა, ოღონდ, ამჯერად, მარტო. კორნელიუსმა გრიფუსის გულის მოლბობა სცადა, მაგრამ მედილეგემ შეუღრინა, ტუჩის კუთხიდან გამოჩრილი ეშვი გააელვა, უკან-უკან დაიხია და თითქოს ეშინოდა, თავს არ დამესხნანო, საკნიდან პირშეუქცევლად გავიდა. კორნელიუსს გაეცინა.

– ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს! – შემოსძახა სარკმლიდან გრიფუსმა.

წესით და რიგით, ბოლოს, ყოველ შემთხვევაში, ამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საღამოს, კორნელიუსი გაიცინებდა, – იგი ხომ როზს ელოდა.

როზი ცხრა საათზე მოვიდა, ოღონდ, უფანროდ. როზს კითხვა უკვე ესწავლა და ფანარი აღარ სჭირდებოდა. ეგეც არ იყოს, ფანრის შუქს შეიძლებოდა გაეცა როზი, რომელსაც იაკობი, ამ ბოლო ხანს, განსაკუთრებით გულმოდგინედ უთვალთვალებდა და კიდევ, ფანრის შუქზე ჩანდა, როგორ წითლდებოდა ქალიშვილი.

რაზე ლაპარაკობდნენ, იმ საღამოს, ჩვენი შეყვარებულები? იმაზე, რაზედაც შეყვარებულები ლაპარაკობენ ხოლმე პარმალთან, საფრანგეთში, – ერთი აივნიდან, მეზობელ აივანზე – ესპანეთში, – ბანიდან-ბანზე – აღმოსავლეთში. ისინი ლაპარაკობდნენ იმაზე, რაც საათის ისრებს ფრთას ასხამს და დროის სრბოლას ამოკლებს, – ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, გარდა შავი ტიტასი და ათ საათზე, ჩვეულებრისამებრ, ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

კორნელიუსი ბედნიერი იყო, – რამდენადაც შეიძლებოდა ბედნიერი ყოფილიყო მებაღე, რომელსაც არაფერი უთხრეს ტიტაზე. კორნელიუსის აზრით, როზი ლამაზი, კეთილი და მომხიბლავი გოგონა იყო. ოღონდ, რატომ უკრძალავდა ტიტაზე ლაპარაკს? ეს როზის დიდი ნაკლი იყო.

კორნელიუსმა ოხვრით აღიარა, რომ ქალი სრულყოფილი არსება არ იყო და ღამის ნაწილი ამაზე ფიქრს შეალია, რაც ნიშნავდა, რომ სანამ დაიძინებდა, როზზე ფიქრობდა და როცა ჩაეძინა, ძილშიც როზი ესიზმრა.

კორნელიუსის ზმანების როზი გაცილებით სრულყოფილი არსება გახლდათ, ვიდრე როზი, ცხადში. სიზმრის როზი, კორნელიუსს, არათუ ტიტებზე ლაპარაკს არ უკრძალავდა, ჩინურ ლარნაკში გაფურჩქნული, უტურფესი შავი ტიტაც კი მოუტანა. სიხარულისგან აცახცახებულ კორნელიუსს გამოელვიძა.

– როზ, როზ, მიყვარხარ! – ბუტბუტებდა იგი.

უკვე გათენებულიყო. კორნელიუსმა ძილის შებრუნება აღარ ისურვა და მთელი დღე სიზმრიდან გამოყოლილ ფიქრს უტრიალებდა.

ეჰ, როზს, რომ მისთვის ტიტას ხსენება არ აეკრძალა, კორნელიუსი თავის სატრფოს სემირამიდასაც[56] ამჯობინებდა, კლეოპატრასაც[57], ელისაბედსაც[58] და ანა ავსტრიელსაც[59], ანუ ყველაზე სახელგანთქმულ, უტურფეს დე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დოფლებს. არადა, როზი დაემუქრა, თუ ტიტას ახსენებ, აღარ მოვალო. როზმა ტიტას ხსენება სამი დღე აუკრძალა!

მართალია, როზმა ეს სამოცდათორმეტი საათი შეყვარებულს მიუძღვნა, მაგრამ იგივე სამოცდათორმეტი საათი მებაღეს წაართვა. თუმცა, სამოცდათორმეტი საათიდან, ოცდათექვსმეტი უკვე გასულიყო და დარჩენილი ოცდათექვსმეტიც მალე გავიდოდა: თვრამეტი, – მოლოდინში, თვრამეტიც – გახსენებაზე.

როზი ჩვეულ დროს მოვიდა. კორნელიუსმა ამჯერადაც გმირულად გაუძლო გამოცდას.

კორნელიუსის ტურფა სტუმარს მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ სხვისგან როდესაც რაიმეს მოითხოვ, შენც მოგიწევს, რაღაცა დათმო. როზი ნებას რთავდა კორნელიუსს სარკმლის ცხაურიდან შეხებოდა თითებზე, დაეკოცნა თმა.

საბრალო ბავშვი! ეს ალერსი გაცილებით სახიფათო იყო მისთვის, ვიდრე შავი ტიტას ხსენება, მაგრამ ამას მაშინღა მიხვდა, როდესაც თვალდანისლული დაბრუნდა თავის ოთახში. სახეზე და ტუჩებზე ცეცხლი ეკიდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

მეორე დღეს, ერთმანეთის მოკითხვისა და ალერსიანი შეხების შემდეგ, როზმა ისეთი მრავლისმეტყველი თვალით შეხედა კორნელიუსს, რომ სიბნელის მიუხედავად, ტუსაღმა მისი მზერა იგრძნო.

– იცით, – თქვა როზმა, – ამოვიდა.

– ამოვიდა? ვინ, რა ამოვიდა? – კორნელიუსს ვერ დაეჯერებინა, რომ როზმა გამოცდის ვადა შეუმოკლა.

– ტიტა, – მიუგო როზმა.

– როგორ! მაშ, ნებას მაძლევთ?

– ნებას გაძლევთ, – ისე მიუგო როზმა, თითქოს, შვილს გართობის ნება დართოო.

– ოჰ, როზ! – კორნელიუსმა ტუჩები ცხაურს მიაწება, რომ როზის თმას ან შუბლს მაინც შეხებოდა და ქალიშვილის გაპობილ ბაგეს წააწყდა.

როზმა წამოიკივლა.

კორნელიუსი მიხვდა, როგორ ააფორიაქა როზი უცაბედმა კოცნამ და დაასწრო:

– როგორია? ღერო სწორი აქვს?

– ფრისლანდიური თითისტარივით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სიმაღლე?...

– სულ ცოტა, ორი დიუმია.

– გევედრებით, როზ, გულიანად მოუარეთ და ნახავთ, რა მალე გაიზრდება.

– უფრო გულიანად როგორღა მოვუარო? ისედაც მთელი დღე მხოლოდ მასზე ვფიქრობ.

– მხოლოდ მასზე? ფრთხილად, როზ, თორემ, ახლა, მე ვიეჭვიანებ!

– ოჰ, მშვენივრად იცით, რომ ტიტაზე ფიქრი და თქვენზე ფიქრი, ერთი და იგივეა. მთელი დღე თვალს არ ვაცილებ. ქოთანი ჩემი საწოლიდანაც მოჩანს და თვალს რომ გავახელ, პირველს მაგასა ვხედავ და ძილის წინაც, ბოლო, რასაც ვუმზერ, ეგაა. დღისით, გვერდით ვუზივარ და ვსაქმიანობ. მას შემდეგ, რაც ჩემ ოთახში დავდგი, გვერდიდან არ მოვცილებივარ.

– კარგადაც იქცევით, როზ. ხომ იცით, ეგ თქვენი მზითვია!

– დიახ და მისი შემწეობით, ცოლად გავყვები ოცდა-ექვსი-ოცდარვა წლის ჭაბუკს, რომელსაც შევიყვარებ.

– ჩუმად, პატარა კაპარჩხინა! – კორნელიუსმა როზის თითები დაიჭირა, რამაც ტიტაზე ლაპარაკი თუ არ დაავიწყა, ცოტა ხნით შეაწყვეტინა მაინც.

ამ საღამოს იგი უბედნიერესი კაცი იყო – როზის თითებს ეხებოდა და ტიტაზე ლაპარაკობდა.

ამის შემდეგ, ყოველი დამდეგი დღე ტიტასაც და ახალგაზრდების სიყვარულსაც რაღაც ახალს მატებდა. როზმა ჯერ უთხრა, ფოთოლი გაიშალაო, მერე – ყვავილიც გამოიკვირტაო.

კორნელიუსი სიხარულით ცას მისწვდა და ქალიშვილს კითხვა-კითხვაზე დააყარა:

– გამოიკვირტა! – შესძახა კორნელიუსმა, – უკვე გამოიკვირტა!

– დიახ, გამოიკვირტა, – დაუდასტურა როზმა.

სიხარულით რეტდასხმული კორნელიუსი სარკმლის გისოსებს ჩაებღაუჭა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო!

მერე, ისევ დააყარა კითხვები:

– ოვალი სწორი აქვს? კოკორს ბუდე ხომ არ ჩაჭყლეტია? ფურცლის ბოლოები მწვანეა?

– ოვალი ცერა თითის სიმსხო და ისარივით სწორია,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცილინდრი გვერდებზე ფართოვდება. კოკორი სადაცაა გაიშლება.

იმ ღამეს კორნელიუსს თითქმის არ ძინებია. გადამწყვეტი წუთი დგებოდა, – კოკორს პირი უნდა გაეღო!

გავიდა ორი დღე და როზმა აცნობა, კოკორმა პირი გააღოო.

– პირი გააღო, პირი? თუ ასეა, ალბათ გამოჩნდა...

ტუსაღს სუნთქვა შეეკრა და გაჩუმდა.

– დიახ, პატარა ზოლის გარჩევა შეიძლება.

– რა ფერისაა? – გულის კანკალით ჰკითხა კორნელიუსმა.

– ოჰ, ძალიან თალხი.

– ყავისფერია?

– არა, უფრო მუქია.

– უფრო მუქია, საყვარელო, უფრო მუქი? ებანოზის ხესავით მუქი? ისეთი მუქი, როგორც...

– როგორც მელანი, რომლითაც ბარათი მოგწერეთ.

კორნელიუსმა გიჟივით შეჰყვირა:

– ოჰ, როზ, თქვენ ანგელოზიც ვერ შეგედრებათ!

– მართლაც!... – როზს კორნელიუსის შეძახილმა ღიმილი მოჰგვარა.

– როზ, თქვენ იმდენი იშრომეთ, ისეთი სიკეთე მიყავით... როზ, ჩემი ტიტა გაიშლება, ჩემი ტიტა შავი იქნება! როზ, როზ, თქვენ ბუნების ყველაზე უნაკლო ქმნილება ხართ!

– ოლონდ, შავი ტიტას შემდეგ?

– ოჰ, ჩუმად, საძაგელო, შემინწყალეთ და სიხარულს ნუ მომიწამლავთ! ერთი ეს მითხარით: რადგან ტიტამ უკვე პირი გააღო, ალბათ, ორიოდ დღეში გაიშლება...

– დიახ, ხვალ ან ზეგ.

– მე კი ვერ ვნახავ! – შესძახა კორნელიუსმა და უკან დაიხია, – მე ვერ ვიხილავ, თაყვანისცემის ღირს, ბუნების სასწაულს! ისეთივე მონიწებით ვერ ვეამბორები, როგორც ვეამბორები ხოლმე თქვენს თითებს, თქვენს თმას, თქვენს ლოყას, როზ, როდესაც შემთხვევით, ცხაურთან ახლოს მოიტანთ ხოლმე.

როზმა ცხაურს ლოყა მიადო, ოლონდ ამჯერად, შემთხვევით არა. ყმაწვილი კაცის ტუჩები ხარბად წაეტანა ხავერდოვან ლოყას.

– კეთილი, თუ ასეა, მოვწყვეტ და მოგიტანთ!

– ოჰ! არა! არა! გაიშლება თუ არა, ჩრდილში გადაიტანეთ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და დაუყოვნებლივ აფრინეთ კაცი ჰაარლემში, მეყვავილეთა საზოგადოების თავჯდომარესთან. შეატყობინეთ, რომ დიდი შავი ტიტა გაიშალა. მართალია ჰაარლემი შორსაა, მაგრამ შიკრიკის დაქირავება შეიძლება. ფული გაქვთ, როზ?

– ოჰ, დიახ.

– იკმარებს?

– სამასი ფლორინი მაქვს.

– ოჰო! თუკი სამასი ფლორინი გაქვთ, შიკრიკს თავი ანებეთ და ჰაარლემში თვითონ გაემგზავრეთ.

– მერე, ჩემ აქ არყოფნაში, რომ ყვავილი...

– ყვავილს თან წაიღებთ. როზ, ხომ გესმით, რომ არ შეიძლება ყვავილს მოცილდეთ!

– დიახ, ბატონო კორნელიუს, მაგრამ თუ ყვავილს არ მოვცილდები, მაშინ თქვენ მოგცილდებით, – სევდიანად მიუგო როზმა.

– უჰ, მართლაც! ღმერთო, რა ბოროტია ხალხი! ვის რა დავუშავე, რატომ წამართვეს თავისუფლება? როზ, თქვენ მართალი ხართ, უთქვენოდ ვერ გავძლებ. რა გაეწყობა, ჰაარლემში ვინმეს გაგზავნით. ეგეც არ იყოს, შავი ტიტა საკმაოდ დიდი სასწაულია, რათა მეყვავილეთა საზოგადოების თავჯდომარემ თავი შეიწუხოს და თავად ჩამობრძანდეს ლეევენშტაინში.

მერე გაჩერდა და ხმის კანკალით თქვა:

– როზ, როზ, ვაითუ, ტიტა შავი არ იყოს?!

– მაგას ხვალ ან ზეგ შევიტყობთ.

– როზ, საღამომდე რა გამაძლებინებს! ხომ გამათავა მოლოდინმა! არ შეიძლება, რამე ნიშანი დავთქვათ?

– მე უკეთესს ვიზამ.

– რას?

– ღამე თუ გაიშალა, მოვალ და გეტყვით, თუ დილას, დერეფნიდან ბარათს შემოგიცურებთ ან ფანჯრიდან შემოგიგდებთ.

– ჰო, როზ, თქვენი ხელით მოწვდილი ცნობა ერთიორად ძვირფასი იქნება ჩემთვის.

– უკვე ათი საათია და უნდა დაგტოვოთ, – თქვა როზმა.

– ჰო, ჰო! წადით, როზ, წადით!

როზი გულდაწყვეტილი წამოვიდა. კორნელიუსმა ლამის გამოაგდო, რომ ტიტასთვის ეყარაულა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXII
ყვავილი გაიშალა

ვან ბერლემ ძალიან სასიამოვნო და თანაც, ძალიან შფოთიანი ღამე გამოიარა. წარამარა ეჩვენებოდა, როზის ნაზი ხმა მეძახისო. ხელწაკრულივით იღვიძებდა, კართან მირბოდა და ცხაურიდან იყურებოდა. დერეფანი ცარიელი იყო.

კორნელიუსმა იცოდა, რომ როზიც ფხიზლობდა, მაგრამ ის კორნელიუსზე ბედნიერი იყო... როზი ტიტას უყურებდა; როზის თვალწინ იფურჩქნებოდა სასწაულთასასწაული, რომლის დარი, არათუ ვინმეს ენახა, – ვერც კი წარმოედგინა.

რას იტყვის მსოფლიო, როცა შეიტყობს, რომ შავი ტიტა გაიფურჩქნა, რომ იგი არის და ეს ყვავილი ვან ბერლემ – ტუსაღმა, გამოიყვანა?

ახლა, ვინმე რომ მოსულიყო და კორნელიუსისთვის, ტიტას სანაცვლოდ, თავისუფლება შეეთავაზებინა, პატიმარი უყოყმანოდ გააგდებდა.

მეორე დღეს ახალი არაფერი მოუტანია. ის დღეც, წუხანდელივით, ამაო ლოდინში გაილია.

საღამოზე როზი გამოჩნდა – ჩიტივით ფრთხიალა და მხიარული.

– აბა, როგორ არის საქმე? – ჰკითხა კორნელიუსმა.

– რა გითხრათ, ყველაფერი რიგზეა. ამაღამ უეჭველად გაიშლება.

– გაიშლება და შავი იქნება?

– გიშერივით.

– სხვა ფერის ერთი ფორეჯიც არ ექნება?

– არცერთი!

– ოჰ, რა ბედნიერებაა! როზ, მთელი ღამე თქვენზე ვფიქრობდი...

როზი ეჭვიანად შეირხა.

– ... და იმაზეც, როგორ მოვიქცეთ...

– როგორ?

– როგორც კი ტიტა გაიშლება და დავრწმუნდებით, რომ შავია, შიკრიკი უნდა შევიგულოთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უკვე შევიგულე.
– სანდოა?
– პასუხს ვაგებ. ჩემი ერთ-ერთი თაყვანისმცემელია.
– იმედია, იაკობს არ გულისხმობთ?
– არა, დამშვიდდით. აქაური მენავეა – ოცდახუთიოდე წლის, ყოჩაღი ჭაბუკი.
– დასწყევლოს!
– ნუ ღელავთ, – გაეცინა როზს, – თქვენგან დათქმული ასაკისთვის ჯერ არ მიულწევია.
– იმ ჭაბუკის ნდობა შეიძლება?
– როგორც ჩემი. ერთი სიტყვაც რომ დავასველო, უყოყმანოდ გადახტება მაასში, თუნდაც ვაალში, სულ ერთია.
– კეთილი, როზ, ის ჭაბუკი ჰაარლემში ათიოდე საათში იქნება. თქვენ თუ ქაღალდსა და ფანქარს ან კიდევ უკეთესი, მელანსა და კალამს მომიტანთ, თავმჯდომარეს წერილს მივწერდი. თუმცა არა, სჯობს, თავად მისწეროთ, თორემ, ვინ იცის, მამათქვენისა არ იყოს, იმასაც შეთქმულება მოეჩვენოს. მე ხომ ერთი საწყალი პატიმარი ვარ. დიახ, სჯობს, თვითონ მისწეროთ. ეჭვი არ მეპარება, თავმჯდომარე ჩამოვა.
– რომ დაიგვიანოს?
– ვთქვათ, ერთი დღით შეაგვიანდა, ან ორი დღით... თუმცა, რომელი ერთი და ორი დღე, ტიტას ტრფიალი ერთ საათს, ერთ წუთს, ერთ წამსაც კი არ დააყოვნებს და აქეთ გამოსწევს, რათა თავისი თვალით იხილოს მსოფლიოს მერვე საოცრება.[60] მაგრამ დაე, ვთქვათ, ერთი ან სულაც, ორი დღით შეაგვიანდა, ყვავილი მაინც მთელი თავისი ბრწყინვალებით წარსდგება მის წინ. ტიტას ნახავს თუ არა, თავმჯდომარე მაშინვე ოქმს შეადგენს და საქმეც მოთავდება. მერე, იმ ოქმის ასლს თქვენ დაიტოვებთ, ტიტას კი თავმჯდომარეს გადასცემთ. ეჰ, როზ, ჩვენ რომ შეგვძლებოდა, თვითონ წაგველო ტიტა, მე მას მხოლოდ თქვენ ხელს ვანდობდი. კეთილი, რაც არის, არის! ოცნებას თავი დავანებოთ და შევეგუოთ, რომ სხვისი თვალები ნახავს, როგორ შეეპარება ჭკნობა. როზ, მთავარია, ვიდრე თავმჯდომარეს არ უნახავს, თვალი არავინ მოჰკრას! ღმერთო, ვინმემ თუ ნახა, მაშინვე მოიპარავს!
– ოჰ!
– რატომ გიკვირთ? თქვენ არ მითხარით, გამიჯნურებულ იაკობს ვუფრთხიო? ხომ იპარავენ ერთ ფლორინს და ასი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ათასზე უარს რატომ იტყვიან?

– ნუ გეშინიათ, ძალიან გავუფრთხილდები.

– ახლა რომ გაიშალოს?

– ამ ჭირვეული ყვავილისგან არ გამიკვირდება, – მიუგო როზმა.

– გაშლილი რომ დაგხვდეთ?

– რა ვქნა?

– როზ, თუ გაშლილი დაგხვდათ, არ დაგავიწყდეთ, რომ ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება და თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ შეატყობინეთ!

– თავმჯდომარეს და თქვენ. დიახ, გავიგე.

როზმა ამოიოხრა, მაგრამ მის ამოოხვრას სიმწარე არ ახლდა. ასე ამოიოხრებს ხოლმე ქალი, რომელიც უკვე შეგუებია კაცის სისუსტეს ანდა თანდათან ეგუება.

– ტიტასთან ვბრუნდები, ბატონო ვან ბერლე. გაიშლება თუ არა, შეგატყობინებთ. შეგატყობინებთ თუ არა, შიკრიკი წავა!

– როზ, როზ, აღარც კი ვიცი, რომელ მიწიერ თუ ციურ საუნჯეს შეგადაროთ.

– შემადარეთ შავ ტიტას, ბატონო ჩემო და ღმერთს გეფიცებით, დიდად მადლიერი დაგირჩებით. ახლა კი, დავემშვიდობოთ ერთმანეთს, ბატონო კორნელიუს.

– არა, ჩემო მეგობარო-თქო!

– ნახვამდის, ჩემო მეგობარო, – ცოტა გული მოუბრუნდა როზს.

– საყვარელო-თქო, როზ, გემუდარები, საყვარელო-თქო, განა არ გიყვავრვართ?

– საყვარელო, დიახაც, საყვარელო! – როზი ბედნიერებისგან თრთოდა.

– ახლა კი, როზ, როცა საყვარელოო, მითხარით, დაურთეთ მაგას ბედნიერიც,

რადგან ამ წუთში, ჩემზე ბედნიერი, მართლაც, არავინ მეგულება და ერთსღა ვნატრობ.

– რას?

– თქვენს ლოყას. მინდა, თქვენს ლამაზ, ვარდისფერ, ხავერდოვან ლოყას შევეხო, ოღონდ უნებლიეთ კი არა, თქვენი ნებართვით.

ტუსაღმა თხოვნა ღრმა ამოოხვრით დაასრულა.

როზმა, ლოყის ნაცვლად, ტუჩი მიაგება და გაიქცა.

გაბედნიერებულ კორნელიუსს სუნთქვა ეკვროდა. ტუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საღმა ფანჯარა გამოაღო და აღტაცებული შესცქეროდა კრიალა ცას, შესცქეროდა მთვარეს, ვერცხლისფრად რომ ალაპლაპებდა ორ მდინარეს, რომელიც ერთმანეთს ერთვოდა და გორაკებს გადაღმა მდორედ მიაგორებდა ტალღებს.

კორნელიუსის ფილტვები სუფთა ჰაერს გაევსო, გონება – ტკბილ ფიქრებს, ხოლო გული – მადლიერებას.

– ღმერთო ძლიერო! – შესძახა მან და თვალი ვარსკვლავებს მიაპყრო, – მომიტევე, ზეციერო მამაო, შენ ერთ წუთს ღრუბლებლებს მიეფარე, მე ველარ დაგინახე და ბოლო ხანს, კინაღამ ეჭვმა დამძალა; ამ საღამოს კი სრული დიდებულებითა და ბრწყინვალებით გიხილე ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ჩემს სულსა და გულში.

სნეული გამოჯანმრთელდა. ტუსაღმა თავისუფლება ჰპოვა.

ღამის დიდი ნაწილი კორნელიუსმა ფანჯრის რაფაზე გაწოლილმა გაატარა. მისი ხუთივე გრძნობა ერთ, უფრო სწორად, ორ კონად შეკრულიყო – მხედველობად და სმენად. იგი ხან ცას შესცქეროდა, ხან მიწას, ხან დერეფნს აყურადებდა და ბუტბუტებდა:

– იქ როზია, როზი. ისიც ფხიზლობს და ელის. იქ, როზის თვალწინ, იდუმალი ყვავილი იძვრის და იფურჩქნება. ვინ იცის, აი, ახლა, ტიტას ყლორტს როზის თბილი, ნაზი ხელი ეხება. ფრთხილად, როზ, ფრთხილად! მისი ტუჩები ახლა, იქნებ, ნორჩ ბუტონს ჰკოცნის. ფრთხილად, როზ, ფრთხილად, შეიძლება გაფიცხებული ტუჩებით დაწვა!

ამ დროს, სამხრეთის ცაზე ვარსკვლავი აინთო, ცა გადასერა და ლევენშტაინში ჩამოვარდა.

კორნელიუსი შეკრთა.

– ოჰ, ზეცამ ჩემს ყვავილს სული გამოუგზავნა, – წამოიძახა მან.

თითქოს გულმა უგრძნოო, დერეფნიდან სილფიდასავით[61] მსუბუქი ფეხის ხმა და კაბის შრიალი მოისმა და კორნელიუსის ყურს ნაცნობი ხმაც მისწვდა.

– კორნელიუს, ჩემო საყვარელო, ჩქარა, ჩქარა!

კორნელიუსი ერთი ნახტომით გაჩნდა სარკმელთან და ისევ როზის ტუჩები შეეგება, რომელიც კოცნიდა და ეჩურჩულებოდა:

– გაიფურჩქნა! სულ შავია! აი შეხედე!

– შევხედო! – შესძახა კორნელიუსმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, ჰო! დიდი სიხარული, დიდი გამბედაობის ღირსია. აი შეხედეთ!

როზმა ცალი ხელით ანთებული ფანარი ასწია, ცალით კი საოცარი ტიტა და სარკმელთან მიიტანა..

კორნელიუსმა შეჰყვირა და კინაღამ გული წაუვიდა.

– ოჰ, ღმერთო, ღმერთო! – ჩურჩულებდა იგი, – ჩემს სარკმელთან გაფურჩქნული ეს ორი ყვავილი ჩემი პატიოსნებისა და უდანაშაულობის ჯილდოა.

– აკოცეთ, – უთხრა როზმა, – მე უკვე ვაკოცე.

კორნელიუსმა სუნთქვა შეიკრა და ყვავილს ბაგე ფრთხილად შეახო. არც ერთი ქალის, თვით როზის კოცნაც კი, გულში ასე ღრმად არ ჩაწვდომია.

ამაყად ყელმოღერილი ულამაზესი დიდი ტიტა თვრამეტი დიუმის ღეროდან დაჰყურებდა ოთხ გლუვ და ისარივით სწორ, მწვანე ფოთოლს.

კუნაპეტივით შავი ტიტა გიშერივით ბრწყინავდა.

– როზ, წუთიც არ უნდა დავკარგოთ. ახლავე წერილის წერას შევუდგეთ.

– წერილი უკვე დაწერილია, – მიუგო როზმა.

– მართლა?

– სანამ ტიტა გაიშლებოდა, ვწერდი, რომ უქმად წუთიც არ დამეკარგა. აი წაიკითხეთ და მითხარით, ვარგა თუ არა.

კორნელიუსმა წერილი გამოართვა და გაშალა. ეს წერილი გაცილებით უკეთესი ხელით იყო დაწერილი, ვიდრე ის, რომელიც როზმა პირველად მიწერა კორნელიუსს.

„ბატონო თავმჯდომარეო, – წერდა როზი, – შავი ტიტა ალბათ ათიოდე წუთში გაიშლება. გაიშლება თუ არა, დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით შიკრიკს, რათა ლევენშტაინის ციხე-სიმაგრეში ჩამოხვიდეთ. მე ამ ციხე-სიმაგრის ზედამხედველის – გრიფუსის, ქალიშვილი და თითქმის ისეთივე პატიმარი ვარ, როგორც მამაჩემის ტუსაღები არიან. აი, რატომ არ შემიძლია, თავად ჩამოგიტანოთ და გაჩვენოთ ბუნების საოცრება, აი, რატომ ვბედავ და გთხოვთ, თავად გვეწვიოთ.

ჩემი სურვილია, ყვავილს Rosa Barlaensis უწოდოთ.

გაიშალა. სულ მთლად შავია... ჩამოდით, ბატონო თავმჯდომარეო, ჩამოდით...

თქვენი მონა-მორჩილი

როზ გრიფუსი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგია, ძალიან კარგია, საყვარელო. საუკეთესო წერილია. მე ასე მარტივად ვერ დავწერდი. ცხადია, მერე, ყრილობაზე, ყველა ცნობას მიაწვდით, რასაც მოგთხოვენ და მაშინ შეიტყობენ, როგორ გაიზარდა ტიტა, რამდენი უძილო ღამე, შიში და გარჯა დასჭირდა მის გახარებას. ახლა კი, როზ, დროს ნულარ ვკარგავთ. შიკრიკი! ჩქარა შიკრიკი!

– რა გვარია თავმჯდომარე?

– მომეცით, მისამართს დავაწერ. ო-ო, იგი ძალიან ცნობილი კაცია! ეს მინჰერ ვან ჰერიზანია, ჰაარლემის ქალაქისთავი... მომეცით, როზ, მომეცით! – და კორნელიუსმა ხელის კანკალით წააწერა: „მინჰერ პეტერს ვან ჰერიზანს, ქალაქისთავსა და მებაღეთა საზოგადოების თავმჯდომარეს.“

ახლა კი, წადით, როზ, წადით! მივენდოთ ბედს, რომელიც აქამდე თავის წყალობას არ გვაკლებდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: ავაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXIII
მოშურნე

ჩვენს შეყვარებულებს ბედის წყალობა მართლა ძალიან სჭირდებოდათ, რადგან როცა ეგონათ, ბედი ჩვენს მხარეზეაო, ყველაზე დიდი საფრთხე მაშინ დამუქრებოდათ.

საზრიანი მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რომ იაკობი, კორნელიუსის ძველი მეგობარი, უფრო სწორად, ძველი მტერი, ისააკ ბოქსტელი გახლდათ, რომელიც თავისი ვნების საგანს – შავ ტიტას და თავისი სიძულვილის საგანს – ვან ბერლეს, ლევენშტაინში გამოკიდებოდა.

ბოქსტელი მიხვდა იმას, რასაც გარდა ტიტების ტრფიალისა, – განსაკუთრებით კი მოშურნე ტრფიალისა, – ვერავინ მიხვდებოდა: ბოლქვების არსებობასა და ტუსაღის ჩანაფიქრს.

ბოქსტელს გრიფუსთან დასაძმობილებლად, ისააკის სახელზე მეტად, იაკობის სახელმა გაუმართლა. იგი რამდენიმე თვე იყო, მოხუც მედილეგეს სტუმრობდა და ბეჯითად ათრობდა საუკეთესო არყით, რაც კი ტექსელიდან ანტვერპენამდე იშოვებოდა. გრიფუსის ეჭვიანობა, ის კი, როგორც ვიცით, ვაგლახად არავის ენდობოდა, იაკობმა იმით დააცხრო, რომ დაარწმუნა, შენი ქალიშვილის ცოლად შერთვა მინდაო. როდესაც მამის თავმოყვარეობას თავი მოუქონა, ცრუ იაკობი მედილეგეს გულის მოგებას შეუდგა. იგი სატუსაღოში გამომწყვდეულ სწავლულს თათხავდა და გრიფუსს არწმუნებდა, მაგ კაცმა ეშმაკს მიჰყიდა სული, რათა მის უმაღლესობა პრინც ორანელს რამე ავნოსო.

როზიც კარგი თვალით უყურებდა იაკობს, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ მოსწონდა, – ქალიშვილს იგი დიდად არაფრად ეპიტნავებოდა, – უბრალოდ, იაკობი იმდენს ელაპარაკებოდა, რა გაგიჟებით უყვარდა და როგორ სურდა, ცოლად შეერთო, რომ როზს თავიდან ეჭვი არაფერში შეპარვია.

როგორც ვნახეთ, როზის წინდაუხედავი დევნით, ბაღში შეპარვითა და ბუჩქებიდან თვალთვალით, იაკობმა ქალიშვილის ნდობა დაკარგა, ხოლო კორნელიუსის ინსტინ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქტურმა ეჭვმა ახალგაზრდებს სიფრთხილე გაუორკეცა.

ისიც ვიცით, რომ ტუსაღი საფუძვლიანად მაშინ შეშფოთდა, როცა როზი მოუყვა, როგორ გაშმაგდა იაკობი, როდესაც გრიფუსმა უთხრა, ბოლქვი გავსრისეო. გაშმაგებით კი იმან გააშმაგა, რომ მართალია, ეჭვი ჰქონდა, კორნელიუსს მეორე ბოლქვიც ექნებაო, მაგრამ დარწმუნებული არ ყოფილა. სწორედ ამის გასარკვევად უთვალთვალებდა იგი ქალიშვილს ბაღში, ციხეში, მისდევდა ჩაბნელებულ დერეფნებში ფეხშიშველი – ამიტომაც იყო, რომ როზს მხოლოდ ერთხელ მოეჩვენა, თითქოს კიბეზე რაღაც ლანდი გაკრთაო.

არადა, ბოქსტელმა თავად ტუსაღის პირიდან შეიტყო, რომ მეორე ბოლქვიც არსებობდა.

როზისგან გაბრიყვებულ ბოქსტელს, რომელსაც ქალიშვილმა თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ბაღში ტიტას ბოლქვს ფლავდა, ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ეს პატარა კომედია მის გამოსამზეურებლად გაითამაშეს. ისააკმა სიფრთხილე გააორკეცა და მთელ თავის ეშმაკობას მოუხმო, რათა სხვებისთვის კი ეთვალთვალა, მაგრამ თვითონ არავის შეემჩნია.

ბოქსტელმა დაინახა, როგორ გამოიტანა როზმა მამამისის სამზარეულოდან ქაშანურის დიდი ქოთანი, როგორ შეიტანა თავის ოთახში; დაინახა, რა გულმოდგინედ იბანდა ბროლის ხელებს, რომლითაც მიწა აეზილა და ტიტასთვის ნიადაგი შეეზავებინა.

ისააკმა ესეც არ იკმარა და სხვენის ოთახი იქირავა, რომელიც როზის ფანჯარას უყურებდა. სახლი საკმაოდ შორს იდგა, რათა შეუიარაღებელი თვალით რამე დაენახა და საკმაოდ ახლოს, რომ ჭოგრიტმომარჯვებულს, როზის ოთახში არაფერი გამოპარვოდა – როგორც დორდრეხტში, კორნელიუსის საშრობში არ ეპარებოდა არაფერი.

სამი დღეც არ გასულიყო, რომ ისააკს ეჭვი ნასახიც კი გაუქრა.

დილაადრიან, მზის ამოსვლისთანავე, ველური ვაზითა და ფათალოთი შებორბლილ ფანჯარაში გამოჩნდებოდა ხოლმე მირისისა და მეთიუსის[62] მომხიბვლელ ქალთა დარი როზი და ქაშანურის ქოთანს რაფაზე დადგამდა.

როზი ისეთი თვალით დასცქეროდა ქოთანს, რომ ისააკისთვის ცხადი იყო, შიგ რა განძიც იმალებოდა. ქაშანურის ქოთანში მეორე ბოლქვი – საბრალო ტუსაღის ბოლო იმედი ღვივდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როდესაც ღამეს ძალიან ცივი პირი უჩანდა, როზი ქაშანურის ქოთანს რაფიდან იღებდა.

ასე დაუბარა კორნელიუსმა, რომელსაც ეშინოდა, ბოლქვი არ მოიყინოსო.

დღის თერთმეტი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე, როცა მზე ძალიან აჭერდა, როზი ქოთანს ფანჯრიდან იღებდა, რადგან კორნელიუსს ეთქვა, ცხარე მზე ქოთანში ჩაყრილ მიწას გამოაშრობსო.

როდესაც ყლორტი ერთ დიუმზე ამოიწვერა, ბოქსტელმა საბოლოოდ დაიარხეინა გული, რომ კორნელიუსს ორი ბოლქვი ჰქონდა და მეორე ბოლქვზე ზრუნვა როზის სიყვარულისთვის მიენდო.

მოშურნის თვალს, ცხადია, არც როზისა და ტუსაღის სიყვარული გამოპარვია.

ახლა მთავარი იყო, რამე ფანდი მოეგონებინა, რომ ბოლქვი ხელში ჩაეგდო, რაც არცთუ იოლი საქმე გახლდათ, რადგან როზი ოთახიდან ფეხს არ იცვლიდა და ტიტას ისე დასთათანებდა, როგორც დედა თავის ერთას, როგორც ცხარე კრუხი – თავის წიწილებს. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ როზი არც საღამოთი გამოდიოდა თავისი ოთახიდან.

შვიდი დღე ისააკ ბოქსტელი ამაოდ ყარაულობდა როზს. ქალიშვილს თავისი ოთახიდან ფეხი არ მოუცვლია.

ეს, სწორედ, ის შვიდი დღე იყო, როცა როზი კორნელიუსს დაემდურა და ტუსაღი უუბედურეს კაცად აქცია, რადგან ამ ხნის მანძილზე, არც როზის და არც თავისი ბოლქვის ამბავი არ იცოდა.

ნეტა, როზი სამუდამოდ ხომ არ დამდურებოდა კორნელიუსს? ასე რომ მომხდარიყო, იაკობს ტიტას მოტაცება იმაზე უფრო გაუჭირდებოდა, ვიდრე ვარაუდობდა.

მოტაცება-თქო, იმიტომ ვთქვით, რომ ისააკს გადაწყვეტილი ჰქონდა, ტიტა მოეპარა. შავი ტიტას გახარების ამბავი არავინ იცოდა. ახალგაზრდები ამას საგულდაგულოდ მალავდნენ და საიდუმლო არავისთვის გაუმხელიათ. ბოქსტელი ცნობილი მებაღე იყო, ამიტომ ტიტას პატრონად მას უფრო იოლად აღიარებდნენ, ვიდრე ვილაც ქალიშვილს, რომელსაც მებაღეობის არაფერი გაეგებოდა ანდა ტუსაღს, რომელსაც ციხეში ფხიზლად დარაჯობდნენ და თავისი უფლებების დაცვა ძალიან გაუჭირდებოდა. გარდა ამისა, საყოფაცხოვრებო საგნისა და საერთოდ, მოძრავი ქონების

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საკუთრების უპირველესი საბუთი მისი ფლობაა და თუ ისააკი ტიტას დაეუფლებოდა, ჯილდოც და დიდებაც, ვან ბერლეს ნაცვლად, მას – ისააკ ბოქსტელს, ერგებოდა. შესაბამისად, შავ ტიტასაც Tulipa nigra barlaensis კი არა, Tulipa nigra Boxtellensis ან boxtellea ეწოდებოდა.

მართალია, ბატონ ისააკ ბოქსტელს ჯერ ვერ გადაეწყვიტა, ამ ორი სახელიდან, რომელი დაერქმია, მაგრამ ვინაიდან ერთიც და მეორეც იგივეს აღნიშნავდა, ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

მთავარი იყო, ტიტა მოეპარა. ტიტა რომ მოეპარა, როზი ოთახიდან უნდა გამოსულიყო და ამიტომაც იაკობს, გნებავთ, ისააკს, გულწრფელად გაუხარდა, როცა ახალგაზრდები ისევ შერიგდნენ.

იაკობმა რამდენიმე დღე კლიტის თვალიერებას შეალია.

როზის ოთახის კარი მაგრად იყო ჩაკეტილი უბრალო, მაგრამ ორსაგდულიანი კლიტეთი და მისი გასაღები როზს ედო ჯიბეში.

თავდაპირველად, ისააკი აპირებდა, როზისთვის გასაღები ამოეცალა, მაგრამ ჯერ ერთი, ყმაწვილი ქალის ჯიბეში ჩაძვრომა იოლი საქმე არ გახლდათ და მეორეც, კიდეც რომ ემარჯვა, როზი უმალ სხვა საკეტს დაუკვეთავდა და ვიდრე ახალ კლიტეს დააყენებდნენ, ოთახიდან ფეხს არ მოიცვლიდა. ასე რომ, ავკაცობა ტყუილად ჩაუვლიდა.

ჯობდა სხვა ხერხი ეხმარა.

ბოქსტელმა გასაღებები შეაგროვა და სანამ როზი კორნელიუსის სარკმელთან ბედნიერებით ტკბებოდა, მისი ოთახის კლიტეს სათითაოდ მოარგო.

ორი გასაღები კლიტეს მოერგო. ერთი, ამ ორიდან, ერთხელ კი გადატრიალდა, მაგრამ მეორე გადატრიალებაზე გაიჭედა.

მაშასადამე, მის მორგებას, დიდი წვალება არ დასჭირდებოდა.

ისააკმა გასაღები სანთლის თხელი ფენით დაფარა და კლიტეს ისევ მოარგო. ნაწიბური, რომელიც გასაღებს მეორედ გადატრილებას უშლიდა, სანთელზე აღიბეჭდა.

ახლა, ისღა დარჩენოდა, დანის პირივით თხელი ქლიბი სანთელზე აღბეჭდილ კვალზე გადაეტარებინა და საქმეც მოგვარდებოდა.

ორი დღის ჯაფა და, გასაღები თავისუფლად მოერგო კლიტეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი უხმაუროდ გაიღო და ისააკი ტიტას პირისპირ მარტო აღმოჩნდა.

პირველი დანაშაული ბოქსტელმა მაშინ ჩაიდინა, როდესაც მეზობლის ბაღში გადაძვრა, რათა ტიტას ბოლქვი ამოეთხარა; მეორე, მაშინ, როდესაც კორნელიუსის საშრობში ღია ფანჯრიდან შეიპარა; მესამე, – როცა როზის ოთახი ნაყალბევი გასაღებით გააღო.

როგორც ხედავთ, ისააკს შური ახალ-ახალი ავკაცობისკენ უბიძგებდა.

მოკლედ, ბოქსტელი ტიტას პირისპირ აღმოჩნდა. ჩვეულებრივი ქურდი ქოთანს ხელს დაავლებდა. ბოქსტელი ჩვეულებრივი ქურდი არ იყო. იგი იდგა და ფიქრობდა.

ისააკი ტიტას საიდუმლო ფანრის შუქზე აკვირდებოდა და იმაზე ფიქრობდა, რომ ყვავილი ჯერ კარგად არ გაშლილიყო. მართალია, ყველა ნიშანი თითქოს იმაზე მეტყველებდა, რომ ტიტა შავი იქნებოდა, დაბეჯითებით მაინც ვერაფერს იტყოდა. იგი ფიქრობდა, რომ თუ ყვავილი შავი არ იქნებოდა, ან სხვა ფერის ერთი ფორეჯი მაინც დაყვებოდა, ქურდობა ამაოდ ჩაუვლიდა. ეგეც არ იყოს, ქურდობაზე ხმა სწრაფად გავარდებოდა და მაშინ, ბაღში მომხდარ ქურდობასაც გაიხსენებდნენ; ეჭვს, უეჭველად, მასზე მიიტანდნენ და ტიტა რაგინდ გულმოდგინედ დაემალა, ალბათ, მაინც მიაგნებდნენ. თუნდაც ვერ მიეგნოთ, ამდენ გადატან-გადმოტანაში, შეიძლება ყვავილი დაზიანებულიყო.

მოკლედ, ისააკმა გადაწყვიტა, რაკი გასაღებიც ხელთ ჰქონდა და როცა მოისურვებდა, როზის ოთახში მაშინ შევიდოდა, ყვავილის გაფურჩქვნას დალოდებოდა და გაფურჩქვნიდან ერთი საათის შემდეგ, ანდა ერთი საათით ადრე, ვიდრე ყვავილი მთლიანად გაიშლებოდა, ჰაარლემში გაექანებინა და სანამ ვინმე წაედავებოდა, მსაჯულებისთვის წარედგინა.

აი, მაშინ კი, თუკი ვინმე ტიტაზე თავის უფლებას განაცხადებდა, ბოქსტელი იმ კაცს ან ქალს ქურდობას დასწამებდა.

გეგმა ყოველმხრივ კარგად იყო მოფიქრებული და ჭეშმარიტად, მისი მომფიქრებლის ბადალი გახლდათ.

ამიერიდან, ყოველ საღამოს, როცა ახალგაზრდები ერთმანეთის ცქერით ტკბებოდნენ, ბოქსტელი როზის ოთახში შედიოდა და შავი ტიტას ყვავილობას აკვირდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზემოხსენებულ, ბოლო საღამოსაც, ბოქსტელი როზის ოთახში შესვლას აპირებდა, მაგრამ ორიოდე სიტყვის შემდეგ, კორნელიუსმა როზი უკან გამოისტუმრა, რათა შავი ტიტას გაფურჩქვნა არ გამოპარვოდათ.

ისააკმა რომ დაინახა, როზი ათი წუთში უკან დაბრუნდაო, მიხვდა, რომ ტიტა ან უკვე გაშლილიყო, ანდა მალე გაიშლებოდა. მაშასადამე, ყველაფერი ამაღამ გადაწყდებოდა და – ბოქსტელი, გრიფუსს, ორჯერ მეტი არყით ესტუმრა.

გრიფუსი რომ გამოთვრებოდა, ბოქსტელი თავს მთელი ციხის ბატონ-პატრონად დაიგულებდა.

თერთმეტი საათისთვის, გრიფუსი უკვე უგონოდ იყო გალეშილი. ღამის ორ საათზე ბოქსტელმა დაინახა, როგორ გამოვიდა თავისი ოთახიდან როზი. ქალიშვილს, აშკარად, ხელში რაღაც ეჭირა და ძალიან ფრთხილად მიჰქონდა. ეს რაღაც, უეჭველად, შავი ტიტა იქნებოდა, რომელიც ის-ის იყო, გაფურჩქნულიყო.

ნეტა, რას აპირებდა, როზი? ნუთუ, ჰაარლემში მიჰქონდა? არა, ამ შუაღამისას, მარტო მგზავრობას ვერ გაბედავდა. იქნებ, მხოლოდ, კორნელიუსთან მიჰქონდა, რომ ეჩვენებინა? ჰო, ალბათ. ისააკმა ფეხსაცმელი გაიხადა და როზს ფეხაკრეფით გაჰყვა უკან.

მან დაინახა, როგორ მივიდა როზი სარკმელთან. გაიგონა, როგორ უხმო კორნელიუსს.

საიდუმლო ფანრის შუქზე დაინახა გაშლილი ტიტა – იმ ღამესავით კუნაპეტი, გარს რომ ეხვია.

გაიგონა, როგორ გადაწყვიტეს როზმა და კორნელიუსმა, ჰაარლემში შიკრიკი ეფრინათ.

დაინახა, როგორ შეაწებეს ტუჩი-ტუჩს შეყვარებულებმა და ისიც, კორნელიუსმა როზი უკან როგორ გამოისტუმრა; დაინახა, როგორ ჩააქრო როზმა ფანარი და თავისი ოთახისკენ გაემართა; დაინახა, როგორ გააღო კარი, როგორ შევიდა ოთახში, მაგრამ ათიოდე წუთში, ისევ გამოვიდა და კლიტეში გასაღები ორჯერ გადაატრიალა.

რატომ ჩაკეტა ასე საგულდაგულოდ კარი? რატომ და ამ კარს უკან შავი ტიტა ეგულებოდა და იმიტომ.

ბოქსტელი ერთი სართულით მაღლა იდგა და როზს კიბის თავიდან უთვალთვალებდა. ქალიშვილი კიბეზე ფრთხილად ჩადიოდა და რამდენი საფეხურითად ჩაინაცვლებდა, ისააკიც, ასეთივე სიფრთხილით, იმდენივე საფეხურზე ჩამო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ინაცვლებდა ხოლმე.

ამგვარად, როცა როზმა ფრთხილად დაადგა ფეხი ბოლო საფეხურს, ბოქსტელმა კიდევ უფრო ფრთხილად მოარგო ყალბი გასაღები ოთახის კლიტეს და კარი ისე იოლად გააღო, თითქოს ხელში ნამდვილი გასაღები სჭეროდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXIV
შავი ტიტა პატრონს იცვლის

ორნელიუსი ისევ იქ იდგა, სადაც როზს გამოეთხოვა და ცდილობდა, მოზღვავებულ სიხარულს გამკლავებოდა. გავიდა ნახევარი საათი.

მტრედისფერი განთიადი, ის იყო, მის საკანშიც შემოიპარა, რომ კორნელიუსი, უეცრად, შეკრთა. კიბეზე ვილაც ყვირილით ამორბოდა. ვან ბერლე სარკმელთან მიიჭრა და როზის გაფითრებული, შეშლილი სახე დაინახა.

თავზარდაცემული კორნელიუსი უკან მიაწყდა და ისიც გაფითრდა.

– კორნელიუს! კორნელიუს! – ყვიროდა აქოშინებული როზი.

– ღმერთო, რა მოხდა?

– კორნელიუს, ტიტა!

– რა მოუვიდა?

– არც კი ვიცი, როგორ გითხრათ!

– თქვით, როზ, მითხარით!

– ტიტა წაგვართვეს! მოიპარეს!

– ტიტა წაგვართვეს! მოიპარეს! – შესძახა კორნელიუსმა.

– დიახ, – მიუგო როზმა და მუხლმოკვეთილი, კარის სახელურს ჩამოეკიდა, – დიახ, მოიტაცეს, მოგვპარეს.

როზს ძალა გამოეცალა და ჩაიკეცა.

– როგორ მოხდა? მითხარით, როზ, გამაგებინეთ...

– ოჰ, ჩემი ბრალი არ არის, არა, ჩემო...

საბრალო გოგონამ ველარ გაბედა, ეთქვა, საყვარელოო.

– მიატოვეთ? – სევდიანად ჰკითხა კორნელიუსმა...

– სულ ცოტა ხნით, შიკრიკი რომ მენახა. მდინარე ვაალის ნაპირას ცხოვრობს.

– და თუმცა, სულ გაფრთხილებდით, კლიტეში გასაღები ჩატოვეთ, არა?

– არა, არა და ამიტომაც მიკვირს. არ ჩამიტოვებია, თან წავიღე და ხელს ვუჭერდი, რომ არ დამკარგვოდა.

– აბა, რა მოხდა?

– არ ვიცი. შიკრიკს წერილი გადავეცი და ისიც უმალ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩემს თვალწინ, გაემგზავრა. შინ რომ დავბრუნდი, ჩემი ოთახის კარი ღია დამხვდა. მხოლოდ ტიტა წაელოთ, სხვა, ყველაფერი, ხელუხლებლად იყო. ეტყობა, ვიღაცამ ჩემი ოთახის გასაღები იშოვა ან გააკეთებინა.

როზს სუნთქვა ეკვროდა, ცრემლი სიტყვას აწყვეტინებდა.

ლამის გულწასული კორნელიუსი გაქვავებულივით იდგა და სახეშეშლილი ბუტბუტებდა:

– მოიპარეს! მოიპარეს! დავიღუპე...

– ოჰ, ბატონო კორნელიუს, შემიბრალეთ! – ყვიროდა როზი, – არა, ამას ვერ გადავიტან, მოვკვდები!

ამ მუქარის გაგონებაზე, კორნელიუსი გაშმაგებული ჩაეჭიდა ცხაურს და როზს შეუძახა:

– რას ამბობთ, როზ? მართალია, გაგვქურდეს, მაგრამ სულით ნუ დავეცემით! დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, მაგრამ საშველი არ დაკარგულა. ჩვენ ვიცით, ვინც არის ქურდი!

– ვაიმე! განა შემიძლია, დაბეჯითებით ვთქვა?

– აი, მე კი, ეჭვიც არ მეპარება, რომ ქურდი ის გარეწარი იაკობია! როზ, ნუთუ უფლებას მივცემთ, ჩვენი შრომისა და ზრუნვის საგანი, ჩვენი სიყვარულის პირმშო, ჰაარლემში წაიღოს? როზ, გამოუდექით, დაეწიეთ!

– როგორ გავაკეთო ეს, თუ მამას არ გამოვუტყდები? როგორ გავაკეთო მე ეს, ქალმა, დამოკიდებულმა მამის ნებაზე, რასაც ალბათ თქვენც ვერ შეძლებდით?

– თქვენ მე აქედან გამომიშვით, თქვენ ეს კარი გამიღეთ და ნახავთ, რაც შემიძლია! ნახავთ, როგორ მოვძებნი ქურდს! როგორ ვაიძულებ, დანაშაული აღიაროს! ნახავთ, როგორ შემევედრება, მაპატიეო!

– ვაიმე, – ქვითინით მიუგო როზმა, – როგორ გაგიღოთ კარი? აბა, სადა მაქვს გასაღები? გასაღები რომ მქონოდა, განა უკვე თავისუფალი არ იქნებოდით?

– გასაღები მამათქვენს აქვს! იმ თქვენს უმსგავს მამას აქვს, რომელმაც პირველი ბოლქვი გამისრისა. გარეწარი! გარეწარი! ისიც იაკობთან არის შეთქმული!

– ჩუმად, ჩუმად! გევედრებით, ჩუმად იყავით!

– ახლავე გამიღეთ კარი! – უყვირა კორნელიუსმა, – გამიღეთ, თორემ, გისოსებს გამოვამტვრევ და ყველაფერს მივლეწ-მოვლეწავ!

– შემიბრალეთ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ გეყურებათ? ქვას-ქვაზე არ დავტოვებ-მეთქი!

საბრალო ტუსაღმა ორივე მუშტი გაასკეცებული ძალით დაუშინა კარს და იმას აღარ დაგიდევდათ, რომ ყვირილისა და ბრახუნის ექო მთელ ციხე-სიმაგრეში ისმოდა.

დამფრთხალი როზი ამაოდ ცდილობდა, ამოვარდნილი ქარიშხლის ჩაცხრობას.

– ჩემი ხელით მოვკლავ, იმ გარეწარ გრიფუსს! – ბრდღვინავდა ვან ბერლე, – ჩემი ხელით დავღვრი მის სისხლს, როგორც მან დაღვარა ჩემი ტიტას სისხლი!

– ჰო, კარგი, კარგი. თქვენ ოღონდ დამშვიდდით და კარს გაგიღებთ, – ეუბნებოდა აკანკალებული როზი, – ახლავე მოვიტან გასაღებს და გამოგიშვებთ. თქვენ ოღონდ დამშვიდდით, ჩემო კორნელიუს!

ამ დროს, ვიღაცამ დაიბრდღვინა და როზს სიტყვა გაანყვეტინა.

– მამა! – შეჰყვირა როზმა.

– გრიფუს! – დაიღრიალა კორნელიუსმა, – უჰ, შე ჯალათო!

გრიფუსმა, რომელიც ამ აურზაურში, შეუმჩნევლად წამოდგომოდათ თავს, ტლანქად ჩაავლო როზს ხელი.

– რაო, რა თქვი? მაშ, ჩემს გასაღებს აიღებ, არა? – ბოღმისგან ჩახრინწული ხმით ჰკითხა ქალიშვილს, – მაშ, ეს წუნკალი, ეს ჯოჯო, ეს სახრჩობელას კერძი, ეს შეთქმული, შენი კორნელიუსია? მაშ, შენ სახელმწიფო დამნაშავის თანამზრახველი ხარ?! კეთილი!

სასოწარკვეთილმა როზმა ხელი-ხელს შემოჰკრა.

– ჰოი, უდანაშაულო ბატონო მებაღევ! – განაგრძო გრიფუსმა და გაანჩხლებული კაცის კილოდან, გამარჯვებული კაცის სუსხიან ირონიაზე გადავიდა, – ჰოი, თვინიერო, ბატონო სწავლულო! მაშ, მომკლავთ და ჩემს სისხლს დაღვრით, არა? ძალიან კარგი. მეტი რა გინდა! თანაც, ჩემი ქალიშვილის შემწეობით, არა? ღმერთო, შენ მიშველე, ეს რა ავაზაკების ბუნაგში მოხვდი! კარგი, ძალიან კარგი! დღესვე მოვახსენებ ბატონ კომენდანტს, ხვალ კი, ამ ყველაფერს, მისი უდიდებულესობა, შტატჰალტერიც გაიგებს. ჩვენ კანონები ვიცით. „ის, ვინც საპატიმროში ამბოხს ასტეხს (მუხლი 6)...“ დამაცათ, თუ ბუტენხოფის მეორე გამოცემა არ გიჩვენოთ, ბატონო სწავლულო, ოღონდ, ამჯერად, გამოცემა უნაკლო იქნება! დიახ, დიახ, დაიჭამეთ ტორები, გალიაში დამწყვდეული დათვივით. შენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი, ჩემო ლამაზო, თვალებით შეჭამე შენი კორნელიუსი. გაფრთხილებთ, ჩემო მტრედებო, რომ თქვენს ნებაზე შეთქმულებას ვეღარ მოაწყობთ. აბა, ახლავე ქვევით მოუსვი, საძაგელო! ნახვამდის, ბატონო სწავლულო, კარგად მენახეთ, ნახვამდის!

შიშისა და მწუხარებისგან გაგიჟებულმა როზმა კორნელიუსს კოცნა გაუგზავნა, მერე, ეტყობა, რაღაც მოისაზრა და კიბეზე ამ სიტყვებით დაეშვა:

– არა, ჯერ გვიან არ არის, ჩემი იმედი გქონდეს, საყვარელო!

მამამისი ღრენა-ღრენით მისდევდა უკან.

საბრალო ტუსაღს ცხაურს ჩაბღაუჭებული ხელები მოუდუნდა, თავი უღონოდ ჩამოუვარდა, თვალები გადაატრიალა და ქვის იატაკზე ლუღლუღით დაენარცხა:

– მომპარეს! მომპარეს!

ამასობაში, ბოქსტელი, რომელსაც ქოთანი ლაბადის განიერი კალთისთვის ამოეფარებინა, როზის გაღებული კუტიკარიდან შეუმჩნევლად გავიდა, ჩახტა კარეტაში, რომელიც გორკუმში ელოდა და ისე გაემგზავრა, თავისი მეგობარი გრიფუსი ერთი სიტყვითაც არ გაუფრთხილებია.

ახლა კი მივყვეთ ბოქსტელის კარეტას, რომელიც ტაატით მიიწევდა წინ, რათა რყევას ტიტა არ დაეზიანებინა.

ისააკს მაინც ეშინოდა, არ დაგვიანებოდა და ამიტომ დელფტში ხავსით გამოფენილი, ჩინებული ყუთი დაუკვეთა და როდესაც ტიტა რბილ სარეცელზე საიმედოდ დაასვენა, მეეტლეს უბრძანა, ცხენები გარეკეო.

მეორე დღეს, მგზავრობისგან დაქანცული, მაგრამ გამარჯვებულ ისააკი ჰაარლემში ჩავიდა. ნაქურდალის კვალის წასაშლელად, მან სასწრაფოდ გადარგო ტიტა ახალ ქოთანში, ძველი კი დაამტვრია და ნატეხები არხში ჩაყარა. ეს საქმეც რომ მოითავა, ბოქსტელმა წერილი გაუგზავნა მებაღეთა საზოგადოების თავჯდომარეს და შეატყობინა, – ჰაარლემში უნაკლოდ შავი ტიტა ჩამოვიტანეო. ამის მერე, საღსალამათ ყვავილთან ერთად, საუკეთესო სასტუმროში დაბინავდა და მოვლენათა განვითარებას დაელოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXV
თავმჯდომარე ვან ჰერიზანი

ᲐᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲠᲝᲖᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲒᲐᲓᲐᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲜ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘᲣᲡᲡ ᲛᲝᲞᲐᲠᲣᲚ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲐᲚᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ.

ᲠᲝᲖᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲜᲐᲮᲐ, ᲠᲐ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲢᲣᲡᲐᲦᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲠᲝᲖᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲔᲑᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲠᲘᲤᲣᲡᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲑᲐᲕᲘ ᲨᲔᲔᲢᲧᲝ, ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲙᲘ, ᲨᲕᲘᲓᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲐᲚᲝᲚᲘᲐᲕᲔᲑᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲛᲝᲘᲮᲕᲔᲭᲓᲐ, ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲧᲠᲝᲓᲐ.

ᲠᲝᲖᲘ ᲘᲛ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲒᲖᲐᲡ ᲣᲑᲜᲔᲕᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲭᲘᲠᲨᲘ ᲙᲚᲓᲔᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲒᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲛᲙᲚᲐᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲖᲛᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ ᲘᲥᲐᲣᲠᲝᲑᲐ, ᲔᲒᲔᲑᲐ, ᲥᲝᲗᲐᲜᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔᲝ.

ᲥᲝᲗᲐᲜᲘ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲩᲐᲜᲓᲐ. ᲨᲐᲕᲘ ᲢᲘᲢᲐ ᲛᲝᲔᲞᲐᲠᲐᲗ.

ᲠᲝᲖᲛᲐ ᲑᲝᲮᲩᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲠᲐ, ᲠᲐᲪ ᲒᲖᲐᲨᲘ ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲘᲚᲝ ᲜᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲤᲚᲝᲠᲘᲜᲘ — ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲥᲛᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲑᲝᲚᲥᲕᲘ ᲐᲛᲝᲘᲚᲝ, ᲣᲑᲔᲨᲘ ᲩᲐᲘᲓᲝ, ᲛᲔᲠᲔ, ᲙᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲢᲠᲘᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲒᲕᲘᲐᲜ ᲒᲐᲔᲒᲝᲗ. ᲠᲝᲖᲘ ᲙᲘᲑᲔᲖᲔ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲙᲣᲢᲘᲙᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲑᲝᲥᲡᲢᲔᲚᲘ ᲒᲐᲘᲞᲐᲠᲐ. ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲐᲠᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲡᲬᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲠᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲛᲐ ᲠᲝᲖᲘ ᲣᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲡᲢᲣᲛᲠᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲔᲢᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲝᲥᲡᲢᲔᲚᲡ ᲓᲐᲔᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲓᲔᲚᲤᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲛᲘᲥᲠᲝᲓᲐ.

ᲓᲔᲚᲤᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ-ᲗᲥᲝ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲗ, ᲚᲔᲕᲔᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲰᲐᲐᲠᲚᲔᲛᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲮᲕᲓᲔᲗ, ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲣᲐᲠᲝᲗ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲝᲠᲯᲔᲠ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲐ ᲛᲝᲒᲘᲬᲔᲕᲓᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲣᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘ ᲜᲐᲯᲐᲓᲣᲚᲘᲗ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲗ, ᲐᲠᲮᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲢᲑᲘᲗ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არის დასერილი.

როზი იძულებული შეიქნა, ცხენზე შემჯდარიყო. ცხენების გამქირავებელმა იცოდა, რომ იგი ციხის ზედამხედველის ქალიშვილი იყო და პირუტყვი სიამოვნებით მიაქირავა. როზს იმედი ჰქონდა, რომ თავის შიკრიკს წამოეწეოდა. იგი პატიოსანი, სანდო ჭაბუკი იყო და ქალიშვილს მცველადაც გამოადგებოდა და მეგზურადაც. მართლაც, როზს ერთი ლიეც არ გაევლო, რომ მდინარის გასწვრივ, მშვენიერ გზაზე, თვალი ჰკიდა ჭაბუკს, რომელიც დალმართზე ეშვებოდა. როზმა ცხენს ქუსლი ჰკრა და თავის შიკრიკს წამოეწია.

პატიოსანმა ყმაწვილმა კარგად არც იცოდა, რა მნიშვნელოვანი საქმე მიანდო როზმა, მაგრამ რომც სცოდნოდა, ამაზე ჩქარა ვერ ივლიდა. ერთ საათში უკვე ლიენახევარი გაევლო.

როზმა ბარათი გამოართვა და აუხსნა, მისგან რას ელოდა. მენავე უყოყმანოდ დათანხმდა, მაგრამ სთხოვა: რომ არ ჩამოგრჩეთ, ნება მომეცით, თქვენს ცხენს გავაზე, ან ფაფარზე მოვეჭიდოო. როზმაც, — ოღონდ, სწრაფად ვიაროთ და სადაც გინდა, იქ მოეჭიდეო, მიუგო.

ორივე მოგზაური გზას ხუთი საათი იყო, რაც დადგომოდა და რვა ლიეც გაევლო, გრიფუსმა კი ჯერაც არ იცოდა, რომ მის ქალიშვილს ციხე-სიმაგრე დაეტოვებინა. მოხუცი გრიფუსი ძალიან ავი კაცი იყო. იგი დიდად ნაამები გახლდათ, რომ თავის ქალიშვილს თავზარი დასცა და ახლა ერთი სული ჰქონდა, როდის მოუყვებოდა თავის ამფსონს ჩინებულ ამბავს, მაგრამ მისი მეგობარი იაკობი, ამ დროს, დელფტის გზაზე მიქროდა.

იაკობს, როზისა და მისი მეგზურისთვის, მხოლოდ თავისი ეკიპაჟის წყალობით გაესწრო და როცა ეგონა, შიშისა და ბრაზისგან აკანკალებული როზი თავის ოთახში ზისო, ქალიშვილი ლამის წამოსწეოდა.

გრიფუსს რომ ეგონა, ყველა იქ ზის, სადაც უნდა იჯდესო, ტუსაღის გარდა, თავის ადგილას არავინ იჯდა.

მას აქეთ, რაც როზი ტიტას უვლიდა, მამასთან ძალიან ცოტა დროს ატარებდა და გრიფუსმაც როზი მაშინ მოისაკლისა, როცა შიმშილმა შეაწუხა ანუ როცა თორმეტი საათი გახდა და სადილობის დრო მოვიდა. მამამ გულში გაივლო, როზს მეტისმეტი მოსდიოდა, ამდენხანს რომ ებუტებოდა და მის დასაძახებლად, ერთ-ერთი თანაშემწე გაგზავნა. თანაშემწემ როზი ვერსად ნახა. გრიფუსმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვითონ მიაკითხა შვილს და კარზეც დიდხანს უკაკუნა, მაგრამ იქიდან არავინ გამოპასუხებია.

ციხე-სიმაგრის დურგალს უხმეს და კარი გააღებინეს, მაგრამ გრიფუსს შვილი ოთახში არ დაუხვდა. სწორედ ამ დროს, როზი როტენდამში შედიოდა, ამიტომ მამამისმა იგი ვერც სამზარეულოში იპოვა და ვერც ბაღში.

წარმოიდგინეთ, როგორ გაცეცხლდებოდა გრიფუსი, როდესაც მთელი არე-მარე შემოირბინა და შეიტყო, რომ როზს ცხენი დაექირავებინა და კარგი ფათერაკის მაძიებელივით, ლევენშტაინიდან ისე გამგზავრებულიყო, არავისთვის გაემხილა, სად მიდიოდა.

გაშმაგებული გრიფუსი საკანში შეუვარდა ვან ბერლეს და ლანძღვა-მუქარით აიკლო. მედილეგემ ტუსაღის უბადრუკი ქონება პირქვე დასცა და პატიმარს ხან დილეგში ამოლპობით ემუქრებოდა, ხან პირდებოდა, შიმშილით მოგკლავო, ხანაც, სულს როზგის ქვეშ ამოგხდიო.

თავპირჩამობნელებული კორნელიუსი იჯდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არაფერი ესმოდა და ვერაფერს გრძნობდა.

გრიფუსმა რომ როზი ვერსად იპოვა, ახლა იაკობი მოიკითხა და როდესაც მასაც ვერსად მიაგნეს, იფიქრა, ქალიშვილი იაკობმა მომტაცაო.

როტენდამში ორი საათის შესვენების შემდეგ, როზმა ისევ განაგრძო გზა, ღამე დელფტში გაათია და ჰაარლემში მეორე დღეს, ბოქსტელზე ოთხი საათით გვიან ჩავიდა.

ჩასვლისთანავე, როზმა ითხოვა, მებაღეთა საზოგადოების თავმჯდომარე ვან ჰერიზანთან მიეცილებინათ.

ქალიშვილმა ეს ღირსეული მოქალაქე ისეთ საქმიანობაში გართული იხილა, რომ არ აგიწეროთ, მწერლისა და ჟამთაღმწერელის ვალს ვუღალატებდით. თავმჯდომარეს წინ დიდი ქაღალდი დაედო და საზოგადოების კომიტეტისთვის განკუთვნილ მოხსენებას ლამაზი ხელით აწიკწიკებდა.

როზმა ითხოვა, თავმჯდომარისთვის როზ გრიფუსის მოსვლა მოეხსენებინათ, მაგრამ ვინაიდან ქალიშვილის უბრალო, თუმც მეტყველი გვარი თავჯდომარისთვის უცნობი იყო, როზს მიღებაზე უარი უთხრეს.

ჰოლანდიაში, ამ რაბებისა და ჯებირების ქვეყანაში, უნებართვოდ ვერსად შეაღწევთ.

როზმა წარბიც არ შეიხარა. მან ვალდებულება იკის-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რა და თავს შეჰფიცა, ვერანაირი უარი, უხეშობა და შეურაცხყოფაც კი, უკან ვერ დაახევინებდა.

– მოახსენეთ თავმჯდომარეს, რომ ლაპარაკი შავ ტიტაზე მსურს.

ამ სიტყვებმა „ათას ერთი ღამის“ ჯადოსნური „სეზამ გაიღესავით“[63] გაჭრა და როზს თავმჯდომარის კაბინეტში შეუძღვნენ. ვან სისტენი წამოდგა და ქალიშვილს თავაზიანად მიეგება.

ამ ჩია, კაფანდარა კაცს ტანი ტიტას ღეროს მიუგავდა, თავი მის ბუტკოს, დაშვებული მკლავები ტიტას წაგრძელებულ ფოთლებს და რადგან ზეზე მდგარი, ოდნავ ირწეოდა ხოლმე, გეგონებოდათ, ტიტას სიო არხევსო.

– მადმუაზელ, – შესძახა მან, – თქვენ შავი ტიტას დესპანი ხართ?

მებაღეთა საზოგადოების თავჯდომარისთვის "Tulipa nigra", უპირველესი პირი გახლდათ და როგორც ტიტების მეფეს, დესპანთა წარგზავნის უფლებაც ჰქონდა.

– დიახ, ბატონო, – მიუგო როზმა, – ყოველ შემთხვევაში, შავ ტიტაზე მინდა მოგახსენოთ.

– ხომ ჯანმრთელად არის? – მოწიწებული ღიმილით მოიკითხა ვან სისტენმა.

– ვაი, რომ მაგაზე ვერაფერს გეტყვით.

– ნუთუ, უბედურება დაატყდა თავს?

– დიახ, ბატონო, – ძალიან დიდი უბედურება, ოღონდ ტიტას კი არა, მე დამატყდა.

– რა მოხდა?

– შავი ტიტა მომპარეს.

– შავი ტიტა მოგპარეს?

– დიახ, ბატონო.

– იცით, ვინ მოგპარათ?

– ოჰ, ეჭვი მაქვს, მაგრამ ჯერ ხელის დადება მიჭირს.

– თქვენი ეჭვის შემოწმება ძნელი არ არის.

– რატომ?

– ქურდი შორს არ წასულა.

– რა იცით?

– სულ ორი საათიც არ იქნება, რაც ვნახე.

– შავი ტიტა ნახეთ? – შესძახა როზმა და ვან სისტენს მიეჭრა.

– ისე თვალნათლივ, როგორც თქვენ გხედავთ, მადმუაზელ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მერედა, სად ნახეთ?
– თქვენს ბატონთან, როგორც ეტყობა.
– ჩემს ბატონთან?
– დიახ. თქვენ ბატონ ბოქსტელთან არ მსახურობთ?
– მე?
– დიახ, თქვენ.
– მაინც, ვინ გგონივართ, ბატონო ჩემო?
– თავად თქვენ ვინ გგონივართ?
– ბატონო ჩემო, მე ის კაცი მგონიხართ, ვინც, ვიმედოვნებ, ბრძანდებით კიდეც, ანუ დიდად პატივცემული ბატონი ვან ჰერიზანი, ქალაქ ჰაარლემის ქალაქისთავი და მეყვავილეთა საზოგადოების თავმჯდომარე.
– მერე, მაინც ჩემთან მოხვედით?
– ბატონო, მე იმის სათქმელად გეახელით, რომ ჩემი შავი ტიტა მომპარეს.
– ჩემი ტიტაო, რომ ამბობთ, ბატონი ბოქსტელის ტიტას გულისხმობთ? ცოტა გასაგებად გეთქვათ, შვილო. ტიტა თქვენთვის კი არა, ბატონი ბოქსტელისთვის მოუპარავთ.
– კიდევ გეუბნებით, ბატონო ჩემო, ბატონ ბოქსტელს არ ვიცნობ და მისი გვარი პირველად მესმის.
– გამოდის, იმის თქმა გნებავთ, რომ ბატონ ბოქსტელს არ იცნობთ, მაგრამ თქვენც გაქვთ შავი ტიტა?
– ნუთუ მეორე შავი ტიტაც არსებობს? – გულისკანკალით იკითხა როზმა.
– დიახ, ბატონი ბოქსტელის ტიტა.
– როგორია?
– დალახვროს, შავია!
– არც ფორეჯები აქვს?
– არც ერთი ფორეჯი, არც ერთი წერტილი!
– სად არის? აქა გაქვთ? თქვენ გაქვთ?
– არა, მაგრამ მექნება, რადგან ჯილდოს დამტკიცებამდე, ჯერ კომიტეტის წევრებმა უნდა იხილონ.
– ბატონო, – წამოიძახა როზმა, – ეგ ისააკ ბოქსტელი, – კაცი, ვისაც თავი შავი ტიტას პატრონად მოაქვს...
– რომელიც მართლა მისი პატრონია...
– ეგ ბატონი გამხდარი კაცია?
– დიახ.
– მელოტი!
– დიახ.
– თვალებს აცეცებს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მგონი, აგრეა.

– მოუსვენარია, მოკუზული და ფეხმრუდე.

– დიახ, მართლაც, ზუსტად აღწერეთ.

– ტიტა მოყვითალო ყვავილებიან, თეთრ ქაშანურის ქოთანში იყო?

– ოჰ, მაგისი რა მოგახსენოთ! მე უფრო ყვავილს ვუყურებდი.

– ბატონო, ეგ ჩემი ტიტაა, – ის ტიტაა, რომელიც მომპარეს! ბატონო, ის ყვავილი ჩემი საკუთრებაა! სწორედ მაგას გამოვყევი, მაგიტომ მოვედი თქვენთან.

– ერიჰა! – შენიშნა ვან სისტენმა და როზს მიაცქერდა, – ჩემთან იმიტომ მოხვედით, რომ ბატონი ბოქსტელის ტიტა მიისაკუთროთ? ეშმაკმა დალახვროს, დიდი თავზეხელაღებული ქალი ყოფილხართ!

– ბატონო, – მიუგო ასეთი დახასიათებით, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა როზმა, – მე არ მითქვამს, ბატონი ბოქსტელის ტიტა მომეცით-მეთქი, მე გითხარით, რომ მინდა, ჩემი ტიტა დამიბრუნოთ.

– თქვენი?

– დიახ, ის, რომელიც ჩემი ხელით ჩავრგე და გავახარე.

– თუ ასეა, მიბრძანდით სასტუმრო „თეთრ გედში" და ბატონ ბოქსტელს მოურიგდით. მაგ დავას სოლომონ ბრძენი თუ გადაწყვეტს. მე კი, რადგან სოლომონის სიბრძნეს[64] ვერ დავიჩემებ, მოხსენების დაწერას ვიკმარებ, შავი ტიტას არსებობას დავადასტურებ და ასი ათასი ფლორინის ჯილდოს იმას დავუწესებ, ვინც ის ტიტა გამოიყვანა. მშვიდობით, შვილო!

– ბატონო! ბატონო! – არ ეშვებოდა როზი.

– მისმინე, შვილო, – განაგრძო ვან სისტენმა, – რადგან ლამაზი, ახალგაზრდა გოგონა ხართ და მთლად ხელიდან წასულიც არ ჩანხართ, ერთ რჩევას მოგცემთ: ამ საქმეს ძალიან ფრთხილად მოეკიდეთ. გახსოვდეთ, რომ აქ, ჰაარლემში, სასამართლოც გვაქვს და სატუსაღოც. მეტსაც გეტყვით, ჩვენ ძალიან მკაცრად ვიცავთ ტიტების სახელს. ახლა კი წადით, ჩემო კარგო, წადით. ბატონი ისააკ ბოქსტელი... სასტუმრო „თეთრი გედი"...

ბატონმა ვან ჰერიზანმა თავის მშვენიერ კალამს ისევ მოჰკიდა ხელი და მოხსენების წერა განაგრძო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXVI
მეყვავილეთა საზოგადოების მავანი წევრი

Სიხარულით ლამის გაგიჟებულმა როზმა, რომ შავი ტიტა გამოჩნდა, სასტუმრო „თეთრ გედში“ თავის მენავესთან ერთად გასწია, რომელიც ძალიან ჯანიანი ყმაწვილი გახლდათ და ცხრა ბოქსტელიც კი ლუკმად არ ეყოფოდა.

გზაში მენავეს საქმის არსი განუმარტეს და ჭაბუკსაც, თუკი საქმე მუშტი-კრივზე მიდგებოდა, ხელის გამოღებაზე უარი არ უთქვამს, ოღონდ საქმე თუ ასე შეტრიალდებოდა, უბრძანეს, ტიტას ფოთოლიც არ შერხეოდა.

სასტუმროსთან რომ მივიდნენ, როზს ერთმა აზრმა გაუელვა და შედგა.

– ღმერთო ჩემო, – ჩაიბუტბუტა მან, – საშინლად შევცდი. ვინ იცის, კორნელიუსიც დავლუპე, ტიტაც და ჩემი თავიც. მე განგაში ავტეხე და ეჭვი გამოვიწვიე. რა გავაწყო ერთმა უღონო ქალმა! ის ხალხი რომ ჩემს წინააღმდეგ გაერთიანდეს, დავილუპები. ეჰ, მარტო მე რომ ვიყო, კიდევ რა უჭირს, მაგრამ კორნელიუსი, ტიტა...

როზი დაფიქრდა.

„ერთიც ვნახოთ, ბოქსტელი ის არ აღმოჩნდა, ვინც მე მგონია. ვაითუ, ის კაცი, იაკობი არ არის! ვაითუ, სულ სხვა მოყვარულია, რომელმაც თავად გამოიყვანა შავი ტიტა! ეგება, ჩემი ტიტა იმ კაცს არ მოუპარავს, ვისზედაც ვეჭვობ, ან უკვე სხვის ხელში გადავიდა. ერთიც ვნახოთ, მხოლოდ ყვავილი ვიცანი და კაცი ვერა? მაშინ, როგორ დავამტკიცებ, რომ ტიტა ჩემია?

მეორეს მხრივ, თუ ის მატყუარა მართლა იაკობია, სანამ ჩვენ დავას მოვრჩებით, შეიძლება ყვავილი დაჭკნეს. რა ვქნა? როგორ მოვიქცე?

სასწორზე ჩემი და იმ საბრალო ტუსაღის სიცოცხლე დევს, რომელიც ახლა, ვინ იცის, სიკვდილის პირზეა მისული?“

ამ დროს, დიდი ბაზრის მხრიდან, რაღაც შეძახილი და გნიასი მოისმა.

აღელვებული ხალხი კარს იჯახუნებდა და ქუჩაში გა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მორბოდა, მხოლოდ როზი ვერ ამჩნევდა ვერაფერს.

– თავმჯდომარესთან უნდა დავბრუნდეთ, – წაიჩურჩულა როზმა.

– დავბრუნდეთ, – დაეთანხმა მენავე.

პატარა ქუჩას გაუყვნენ, რომელმაც პირდაპირ ბატონ ვან ჰერიზანის სახლთან მიიყვანა, სადაც ეს ღირსეული მოქალაქე, ლამაზი კალმითა და ლამაზი ხელით, ისევ თავის მოხსენებას აწიკწიკებდა.

ხალხი, ქუჩაში, სულ შავ ტიტასა და ასი ათას ფლორინზე ლაპარაკობდა.

ახალი ამბავი უკვე მთელ ქალაქს მოდებოდა.

როზმა ძლივს შეაღწია ვან ჰერიზათან, რომელმაც ჯადოსნურ სიტყვას – „შავი ტიტა“, ახლაც ვერ გაუძლო და ძალიან აღელდა, მაგრამ ისევ როზი რომ დაინახა, ჯერ ერთი, იფიქრა, ეს გოგო ჭკუაზე მწყრალად არისო და მეორეც, ძალიან გაბრაზდა და გაგდება დაუპირა.

როზმა გულზე ხელი მიიკრა და გულში ჩამწვდომი, წრფელი ხმით შეევედრა:

– ბატონო, გემუდარებით, თავიდან ნუკი მიშორებთ, ყური დამიგდეთ და თუ მტყუან-მართალს ვერ გაარჩევთ, როდესაც უფლის სამსჯავროზე წარსდგებით, სინდისი მაინც არ დაგქენჯნით, რომ ხელი ავ საქმეს შეუწყვეთ.

ვან ჰერიზანი სკამზე აცქმუტდა.

როზი უკვე მეორედ აწყვეტინებდა წერას და არ აცლიდა დაებოლოვებინა სამუშაო, რომელიც მის თავმოყვარეობას ორგზის უსალბუნებდა: როგორც ქალაქისთავისას და როგორც მეყვავილეთა საზოგადოების თავმჯდომარისას.

– რა ვუყო ჩემს მოხსენებას, – ჩემს მოხსენებას, შავ ტიტაზე?

– ბატონო, – მართალი კაცის დაჟინებით განაგრძო როზმა, – თუ არ მომისმენთ, თქვენ მოხსენებას სიყალბესა და დანაშაულზე დააფუძნებთ. გევედრებით, გამოიძახეთ ბატონი ბოქსტელი, რომელიც დიდი ეჭვი მაქვს, იაკობი უნდა იყოს და ვფიცავ უფალს, თუ ვერც ტიტა ვიცანი და ვერც მისი პატრონი, იმ კაცს არაფერს წავედავები.

– იფ, რა კარგია!

– ვითომ, რატომ, ბატონო ჩემო?

– იმიტომ რომ, კიდეც რომ იცნოთ, მაგით რას დაამტკიცებთ?

– ბატონო ჩემო, ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ პა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტიოსანი კაცი ხართ, – შეეპასუხა სასომიხდილი როზი, – ნუთუ იმ კაცს დააჯილდოვებთ, ვისაც შავი ტიტა არათუ არ გამოუყვანია, მისი მოპარვაც კი იკადრა!

როზის დამაჯერებელი სიტყვები ვან ჰერიზანს იქნებ გულშიც კი ჩაწვდა, იქნებ უფრო ლმობიერი პასუხიც კი გაეცა, რომ ამ დროს, ქუჩიდან დიდი ჟრიამული არ შემოსმოდა. როზმა იცოდა, რომ ხალხი ქუჩაში იყო გამოფენილი და ამიტომ ამ გნიასმა მხურვალე ვედრება ვერ გააწყვეტინა.

აღფრთოვანებულმა შეძახილებმა სახლი შეაზანზარა.

ბატონმა ვან ჰერიზანმა ხალხის შეძახილს მიაყურადა და შესძახა:

– რა ხდება? ყური ხომ არ მატყუებს!

თავმჯდომარემ ქალიშვილი მიატოვა, წინკარში გავარდა და გაოცებულმა დაინახა, რომ მთელი კიბე, შემოსასვლელამდე, ხალხს გაეჭედა.

კიბეზე ხალხით გარშემორტყმული, უფრო სწორად, ხალხის თანხლებით, ახალგაზრდა კაცი ამოდიოდა, რომელსაც ნაძახი ვერცხლის ძაფით მოსირმული, იისფერი ხავერდის სადა კოსტუმი ეცვა. ახალგაზრდა დინჯი ნაბიჯით, ამაყად ამოდიოდა თეთრად მოქათქათე ქვის კიბეზე. უკან ორი ოფიცერი მოსდევდა – მეზღვაური და მხედარი.

ვან ჰერიზანი დაფეთებული მსახურების გულში შეიჭრა და სტუმარს, რომელსაც ამხელა აურზაური გამოეწვია, ისეთი მდაბალი სალამი უძღვნა, თავი ლამის იატაკს დაჰკრა.

– მონსენიორ, – შესძახა მან, – მონსენიორ! ნუთუ, თქვენმა უმაღლესობამ თავისი სტუმრობის ღირსი გამხადა! რა უდიდესი პატივია ჩემი მოკრძალებული ჭერისთვის!

– ძვირფასო ვან ჰერიზან, – მიუგო ვილჰემ ორანელმა იმგვარი სიდარბაისლით, რაც მას ღიმილის მაგივრობას უწევდა, – როგორც ჭეშმარიტ ჰოლანდიელს, მე მიყვარს წყალი, ლუდი და ყვავილები, – ხანდახან ყველიც, რომლის გემოს ძალიან აფასებენ ფრანგები; ყვავილთა შორის, ცხადია, უპირატესობას ტიტას ვანიჭებ. ლეიდენში ამბავი მომწვდა, რომ ჰაარლემმა მაინც მოიპოვა შავი ტიტა და როდესაც დავრწმუნდი, რომ ამბად თქმული, თუმცა, ძნელად სარწმუნო, მართალი იყო, მეყვავილეთა საზოგადოების თავმჯდომარესთან ჩამოვედი, რომ ყველაფერი წვრილად შევიტყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოჰ, მონსენიორ, – შესძახა აღფრთოვანებულმა ვან ჰერიზანმა, – რა უდიდესი პატივი ხვდა საზოგადოებას, რომ თქვენი უდიდებულესობა მის ღვაწლს ასე აფასებს!

– ყვავილი აქა გაქვთ? – მოუჭრა პრინცმა, რომელიც ეტყობა, უკვე ნანობდა, სიტყვა ძალიან გამიგრძელდაო.

– სამწუხაროდ, არა, მონსენიორ, აქ არა მაქვს.

– სად არის?

– თავის პატრონთან.

– პატრონი ვინ არის?

ქალაქ დორდრეხტის პატიოსანი მოქალაქე.

– დორდრეხტის?

– დიახ.

– რა გვარია?

– ბოქსტელი.

– სად დაბინავდა?

– სასტუმრო „თეთრ გედში". ახლავე ვაფრენ კაცს. თუ თქვენი უმაღლესობა პატივს დამდებს და სასტუმრო ოთახში შემობრძანდება, ტიტას პატრონი, თავისი ყვავილიანად, აქ გეახლებათ.

– კეთილი, გაგზავნეთ კაცი.

– ახლავე, თქვენო უმაღლესობა, ოღონდ აი...

– დიახ?

– ოჰ, მნიშვნელოვანი არაფერი, მონსენიორ.

– ბატონო ვან სისტენს, ამქვეყნად უმნიშვნელო არაფერია.

– საქმე ის გახლავთ, მონსენიორ, რომ ცოტაოდენმა გართულებამ იჩინა თავი.

– რა გართულებამ?

– უკვე გამოჩნდნენ ვილაც-ვილაცები, რომლებიც ტიტას იჩემებენ. არა, გასაკვირი კი არაფერია, – ასი ათასი ფლორინი ღირს!

– ნუთუ გამოჩნდნენ?

– დიახ, მონსენიორ, – უზურპატორები, მატყუარები.

– მაგას დანაშაული ჰქვია, ბატონო ვან ჰერიზან!

– დიახ, თქვენო უმაღლესობა.

– დანაშაულის საბუთი არის?

– არა, მონსენიორ, ქალიშვილი...

– ქალიშვილი?

– იმის თქმა მინდა, რომ ქალიშვილი, რომელიც ტიტაზე თავის უფლებას აცხადებს, მეზობელ ოთახში გახლავთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქ არის? რას ფიქრობთ იმ ქალიშვილზე, ბატონო ვან ჰერიზან?

– მონსენიორ, მე მგონია, რომ იგი ასი ათასმა ფლორინმა აცდუნა.

– და გადაწყვიტა, ტიტა მიესაკუთრებინა?

– დიახ, მონსენიორ.

– რითი ასაბუთებს თავის მოთხოვნას?

– სწორედ ქალიშვილის დაკითხვას ვაპირებდი, მონსენიორ, როდესაც თქვენმა უმაღლესობამ მობრძანება ინება.

– თუ ასეა, მოვუსმინოთ, ბატონო ვან ჰერიზან, მოვუსმინოთ. მე ხომ უზენაესი მოსამართლე ვარ სახელმწიფოში. საქმეს მოვისმენ და მსჯავრსაც გამოვიტან.

– აი სოლომონ ბრძენიც გამოჩნდა, – წაიბუტბუტა ვან ჰერიზანმა, პრინცს თაყვანი სცა და მეზობელ ოთახში მიიწვია.

ორიოდე ნაბიჯის შემდეგ, პრინცი უცბად შედგა და უთხრა:

– წინ თქვენ წადით და მხოლოდ ბატონობით მომმართეთ.

ორივენი თავმჯდომარის კაბინეტში შევიდნენ.

როზი ისევ ფანჯარასთან იდგა და ბაღს გადაჰყურებდა.

– აჰა, ფრისლანდიელი ყოფილა, – ჩაილაპარაკა პრინცმა, როდესაც როზის ოქროს ქუდი და წითელი ქვედატანი დაინახა.

ფეხის ხმაზე როზმა მოიხედა, მაგრამ პრინცი ოთახის ყველაზე ბნელ კუთხეში დამჯდარიყო და კარგად ვერ დაინახა.

როზს მთელი გულისყური, ცხადია, იმ დიდკაცისკენ მიეპყრო, რომელსაც ვან ჰერიზანი ერქვა და უცნობი ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც სახლის პატრონს უკან მოსდევდა და ეტყობა დიდი არავინ იყო, ყურადღება არ მიუქცევია.

მოკრძალებულმა ჭაბუკმა თაროდან წიგნი ჩამოიღო და ვან ჰერიზანს თვალით ანიშნა, დაკითხვა დაიწყეო.

ვან ჰერიზანიც, ამაყმა და ბედნიერმა, რომ ეგზომ დიდი მისია დააკისრეს, იისფერ სამოსიან კაცს დაემორჩილა და როზის დაკითხვას შეუდგა.

– მპირდებით, შვილო, რომ მხოლოდ სიმართლეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეტყვით და არაფერს, სიმართლის გარდა?

– გპირდებით.

– კეთილი. მაშინ ამ ბატონის თანდასწრებით, რომელიც ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი წევრია, ყველაფერი მითხარით.

– ბატონო, – მიუგო როზმა, – იმაზე მეტი რაღა გითხრათ, რაც უკვე გითხარით?

– რას მოითხოვთ?

– ისევ იმას, რაც უკვე გთხოვეთ.

– რა მთხოვეთ?

– მოუხმეთ აქ ბატონ ბოქსტელს, მოატანინეთ ტიტა და თუ ყვავილს ვერ ვიცნობ, ამას გულწრფელად გეტყვით, მაგრამ თუ ვიცანი, მაშინ, მოვითხოვ, დამიბრუნოთ. თვით მის უმაღლესობა შტალტჰალტერთან რომ დამჭირდეს მისვლა, უკან არ დავიხევ და საბუთს წარვუდგენ.

– ჩემო ლამაზო, გამოდის, საბუთი გქონიათ?

– ღმერთი მოწამეა, რომ ტიტა მე მეკუთვნის და იგი საბუთსაც მომცემს.

ვან ჰერიზანმა პრინცს გახედა. როზმა ხმა ამოიღო თუ არა, პრინცს მისი ხმა ეცნაურა და ახლა მეხსიერებას ძაბავდა, რომ გაეხსენებინა, სად გაეგონა.

ერთი ოფიცერი ბოქსტელის მოსაყვანად წავიდა.

ვან ჰერიზანმა დაკითხვა განაგრძო.

– რა საფუძველი გაქვთ, როცა ამტკიცებთ, რომ შავი ტიტა თქვენი საკუთრებაა?

– ძალიან მარტივი. ის ჩემ ოთახში, ჩემი ხელით ჩავრგე და გავახარე.

– თქვენ ოთახში? მერე, სად არის, ეგ თქვენი ოთახი?

– ლევენშტაინში.

– ლევენშტაინიდან ხართ?

– ციხე-სიმაგრის ზედამხედველის ქალიშვილი ვარ.

პრინცი ისე შეინძრა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ჰო, გამახსენდა!“ მერე ისეთი სახე მიიღო, ვითომ კითხვამ გაიტაცა და მეტი გულიყურით დაუწყო როზს თვალთვალი.

– გიყვართ ყვავილები? – განაგრძო ვან ჰერიზანმა.

– დიახ, ბატონო.

– მაშ სწავლული მეყვავილე ხართ?

როზი ცოტა შეყოყმანდა და მერე, საოცრად გულისამაჩუყებელი ხმით მიუგო:

– ბატონებო, მგონი, კეთილშობილ ხალხთან მაქვს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საქმე?

გოგონას ისეთი წრფელი გამომეტყველება და კილო ჰქონდა, რომ ვან ჰერიზანმაც და პრინცმაც, დასტურის ნიშნად, ერთდროულად დაუქნიეს თავი.

– მაშინ გეტყვით. სწავლული მეყვავილე მე არა ვარ, – არა. მე ერთი უბრალო ქალიშვილი ვარ, ფრისლანდიელი გლეხის გოგო, რომელმაც სამიოდე თვის წინ, წერა-კითხვაც კი არ იცოდა. არა, ტიტა მე თვითონ არ გამომიყვანია.

– აბა, ვინ გამოიყვანა?

– ერთმა საბრალო ტუსაღმა.

– ლევენშტაინის ტუსაღმა? – იკითხა პრინცმა.

ამ ხმის გაგონებაზე, როზი შეკრთა.

– მაშასადამე, სახელმწიფო დამნაშავემ, – განაგრძო პრინცმა, – რადგან ლევენშტაინში მხოლოდ სახელმწიფო დამნაშავენი სხედან.

და ისევ განაგრძო კითხვა, ყოველ შემთხვევაში, თავი ისე დაიჭირა, ვითომ კითხულობდა.

– დიახ, – წაიჩურჩულა როზმა და აკანკალდა, – დიახ, სახელმწიფო დამნაშავემ.

ვან ჰერიზანს მიტკლისფერი დაედო, რომ ასეთი მოწმის თანდასწრებით, ასეთი რამ აღიარეს.

– განაგრძეთ დაკითხვა, – ცივად შეახსენა ვილჰემმა.

– ოჰ, ბატონო, – მიუბრუნდა როზი კაცს, რომელიც თავის ნამდვილ მსაჯულად მიაჩნდა, – ძალიან დიდი დანაშაული უნდა ვაღიარო.

– მართლაც, – თქვა ვან ჰერიზანმა, – სახელმწიფო დამნაშავენი ფრიად საიდუმლოდ უნდა იყვნენ დაცულნი.

– ეჰ, ბატონო!

– თქვენი სიტყვები კი ცხადყოფს, – ზედამხედველის ქალიშვილობით გისარგებლიათ და ურთიერთობა გაგიბამთ, რომ ყვავილი ერთად გაგეხარებინათ.

– დიახ, ბატონო, – წაიჩურჩულა თავგზააბნეულმა როზმა, – გამოგიტყდებით, მართლაც, ყოველდღე ვაკითხავდი.

– ოჰ, შე უბედურო! – წამოიძახა ვან ჰერიზანმა.

პრინცმა თავი აიღო და დამფრთხალ როზსა და გაფითრებულ თავმჯდომარეს შეხედა.

– მაგის განსჯა, – თქვა მან, მისთვის ჩვეული ცივი, მკვახე კილოთი, – მეყვავილეთა საზოგადოებას არ ევალება; საზოგადოებამ შავი ტიტას საქმე უნდა განსაჯოს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახელმწიფო დამნაშავე მისი საქმე არ არის. განაგრძეთ, ქალიშვილო, განაგრძეთ.

უცნობის სიტყვებით გამხნევებული როზი დაწვრილებით მოყვა, რაც ამ ბოლო ხანს, სამი თვის მანძილზე, თავს გადახდომოდა. უამბო, რას აკეთებდა, რამდენი ტანჯა გადაიტანა; უთხრა, რა სასტიკად ექცეოდა ტუსაღს გრიფუსი, – როგორ გაუსრისა პირველი ბოლქვი და რა სასოწარკვეთაში ჩააგდო იგი; უამბო, როგორ გაითვალისწინა ყველაფერი, რომ მეორე ბოლქვისთვის საფრთხე აერიდებინა და გაეხარებინა; უთხრა, რა მოთმინებით იტანდა ტუსაღი ყველაფერს, მერე კი, როდესაც როზი დაემდურა, როგორ დარია ხელი კაეშანმა, როგორ იკლავდა თავს შიმშილით, რადგან თავისი ტიტას ამბავს ველარ იგებდა; უამბო, როგორ გაიხარა ტუსაღმა, როზი რომ შეურიგდა და რა თავზარი დაეცა ორივეს, როდესაც შავი ტიტა, რომელიც სულ ერთი საათის გაშლილი იყო, მოიპარეს.

როზი საოცრად გულწრფელად ყვებოდა ყველაფერს და თუმცა, პრინცი, მისი გამომეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალიშვილის მონათხრობმა გულგრილი დატოვა, სამაგიეროდ, ვან ჰერიზანზე მოახდინა დიდი შთაბეჭდილება.

– კი მაგრამ, – თქვა პრინცმა, – თქვენ ხომ ის ტუსაღი სულ ცოტა ხნის წინ გაიცანით?

როზმა თვალი ჭყიტა და უცნობს შეხედა, მაგრამ მან, როზის მზერას რომ დამალვოდა, უკან გადაიწია და ჩრდილს შეეფარა.

– რატომ გგონიათ, ბატონო?

– იმიტომ რომ, მხოლოდ ოთხი თვეა, რაც მედილეგე და მისი ქალიშვილი ლევენშტაინში გადავიდნენ.

– დიახ, მართალსა ბრძანებთ, ბატონო.

– ან იქნებ, ლევენშტაინში მამათქვენის გადაყვანას იმიტომ ითხოვდით, რომ თან გაყოლოდით ტუსაღს, რომელიც ლევენშტაინში გადაჰყავდათ?

– ბატონო! – გაწითლდა როზი.

– განაგრძეთ, – უთხრა ვილჰელმა.

– ვალიარებ, ჰააგაშივე ვიცნობდი ტუსაღს.

– ბედნიერი კაცი ყოფილა ის ტუსაღი! – ღიმილით შენიშნა ვილჰელმმა.

ამ დროს, ოფიცერი რომელიც ბოქსტელის მოსაყვანად იყო გაგზავნილი, შემოვიდა და მოახსენათ, რომ ის, ვის მოსაყვანადაც გაგზავნეს, თავის ტიტასთან ერთად, უკან მოყვებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXVII
მესამე ბოლქვი

ეს იყო, ოფიცერმა მოახსენათ, ბოქსტელი გეახლათო და ისააკმაც შეაბიჯა სასტუმრო ოთახში, ორ კაცთან ერთად, რომელმაც ძვირფასი ყვავილი ყუთით შემოიტანა და მაგიდაზე დადგა.

როდესაც პრინცს მოახსენეს, ტიტა მოიტანესო, იგი კაბინეტიდან სასტუმრო ოთახში გავიდა, ყვავილის ყურებით დატკბა, მერე უკან შემობრუნდა და ჩუმის პირით, ისევ იმ ბნელ კუთხეში დაჯდა, სადაც სავარძელი თავისი ხელით დაედგა.

გაფითრებული როზი შიშისგან ცახცახებდა და ელოდა, როდის მიიწვევდნენ ყვავილის სანახავად.

სასტუმრო ოთახიდან ბოქსტელის ხმა მოისმა.

– ის არის! – შესძახა როზმა.

პრინცმა ქალიშვილს ანიშნა, შეღებული კარიდან შეეხედა სასტუმრო ოთახში.

– ეს ჩემი ტიტაა! ის არის, ვიცანი! ოჰ, საწყალი კორნელიუსი! – შეჰყვირა როზმა და ტირილი დაიწყო.

პრინცი ადგა და კართან მივიდა. ერთხანს ისე იდგა, რომ სახეზე სინათლე ეცემოდა.

როზმა კარგად შეათვალიერა და დარწმუნდა, რომ ამ კაცს პირველად არ ხედავდა.

– ბატონო ბოქსტელ, – გასძახა პრინცმა, – აბა, ერთი, აქ შემობრძანდით!

ბოქსტელმა მაშინვე მოირბინა და ვილჰელმ ორანელს შეეჩეხა.

– მისი უმაღლესობა! – დაიყვირა და უკან დაიხია.

– მისი უმაღლესობა! – შესძახა გაოცებულმა როზმა.

ქალიშვილის შეძახილზე, ბოქსტელმა მიიხედა და როზი დაინახა.

მოშურნე ისე შეხტა, თითქოს ვოლტის[65] ბოძს შეეხოო.

– ოჰო, – ჩაილაპარაკა პრინცმა, – ნირი წაუხდა.

ბოქსტელი არაადამიანური ძალისხმევით მოერია თავს.

– ბატონო ბოქსტელ, მიმართა ვილჰელმმა, – შავი ტიტას გამოყვანის საიდუმლო თქვენ აღმოაჩინეთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, მონსენიორ.

მართალია, ბოქსტელს ხმა ცოტა შეუდრკა, მაგრამ ეს პრინცთან მოულოდნელი შეხვედრის ბრალიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

– აგერ ეს ქალიშვილიც ამტკიცებს, რომ ამ საიდუმლოს ფარდა მან ახადა.

ბოქსტელმა ათვალწუნებით გაიღიმა და მხრები აიჩეჩა. პრინცი აშკარა ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მის მოძრაობას.

– მაშასადამე, თქვენ ამბობთ, რომ ამ ქალიშვილს არ იცნობთ?

– არა, მონსენიორ.

– თქვენ, ქალიშვილო, არც თქვენ იცნობთ, ბატონ ბოქსტელს?

– არა, ბატონ ბოქსტელს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ ბატონ იაკობს.

– მაგით, რა გნებავთ, გვითხრათ?

– ეს კაცი, ვინც ახლა ისააკ ბოქსტელად იწოდება, ლევენშტაინში თავს იაკობად ასაღებდა.

– ბატონო ბოქსტელ, თქვენ რას იტყვით?

– მონსენიორ, ვიტყვი, რომ ეს ქალიშვილი, ცრუობს.

– მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ლევენშტაინში არასდროს ყოფილხართ?

ბოქსტელი შეყოყმანდა. პრინცის გამჭოლი, მბრძანებლური მზერა, ტყუილის თქმაში ხელს უშლიდა.

– მონსენიორ, არ უარვყოფ, რომ ლევენშტაინში ვიყავი, მაგრამ ტიტა არ მომიპარავს.

– მე მომპარეთ, ჩემი ოთახიდან მოიპარეთ! – აღშფოთდა როზი.

– ტყუილია.

– თქვენ არ იყავით, რომ მითვალთვალებდით, როდესაც ბაღში კვალს ვამუშავებდი? თქვენ არ გამომყევით უკან, როცა თავი მოგაჩვენეთ, ვითომ ბოლქვის ჩაგდებას ვაპირებდი? თქვენ არ იყავით, ბაღიდან გამიგულეთ თუ არა, მაშინვე იმ კვალს მივარდით, სადაც გეგონათ, რომ ბოლქვი ჩავდე და მიწაში ხელი ამოურიეთ, თუმცა იმედი გაგიცრუვდათ, რადგან მე მიწა, თვალსატყუარად, მხოლოდ იმიტომ ამოვთხარე, რომ თქვენი ზრახვა გამეგო? უარს ამბობთ? არ გიქნიათ?

ბოქსტელმა როზი პასუხის ღირსად არ გახადა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირდაპირ პრინცს მიმართა:

– მონსენიორ, ოცი წელია, რაც ტიტების მოშენებას მივდევ დორდრეხტში და ცოტა სახელიც მოვიპოვე. ჩემი გამოყვანილი ტიტა კატალოგშია შეტანილი და მისი სახელი ცნობილია. ახლა კი, მონსენიორ, სიმართლეს მე გეტყვით: ამ ქალიშვილმა იცოდა, რომ შავი ტიტა გამოვიყვანე და თავის საყვარელთან, ლევენშტაინის ტუსაღთან ერთად, ჩემი გაკოტრება და იმ ასი ათასი ფლორინის მითვისება განიზრახა, რომელსაც თქვენი სამართლიანობა, ვიმედოვნებ, მე მომაკუთვნებს.

– ოჰ! –შესძახა აღშფოთებულმა როზმა.

– გაჩუმდით! – უთხრა პრინცმა და ბოქსტელს მიუბრუნდა.

– ვინ არის ის ტუსაღი, რომელსაც ამ ქალიშვილის საყვარელს უწოდებთ?

პრინცის კითხვაზე, როზს გულს შემოეყარა, ბოქსტელს კი ამაზე მეტად ვერაფერი გაახარებდა, რადგან პრინცს ის ტუსაღი, ერთ დროს, დიდ სახელმწიფო დამნაშავედ ეჩვენებოდა.

– თქვენ მეკითხებით, ის ტუსაღი ვინ არისო?

– დიახ.

– მონსენიორ, მისი სახელიც კი კმარა, რომ თქვენმა უდიდებულესობამ ამ ქალს ერთი სიტყვაც არ დაუჯეროს. ის ტუსაღი სახელმწიფო დამნაშავეა და მას სიკვდილი ჰქონდა მისჯილი.

– რა გვარია?

სასომიხდილმა როზმა სახეზე ხელი აიფარა.

– კორნელიუს ვან ბერლე – იმ ღვთის პირიდან გადავარდნილი, კორნელიუს დე ვიტის ნათლული.

პრინცი შეკრთა და თვალი აენთო, მაგრამ უმალ ისევ გულგრილი სახე მიიღო.

იგი როზთან მივიდა და ანიშნა, სახიდან ხელი ჩამოეღო.

როზი მონუსხულივით დაემორჩილა.

– ლევენშტაინში მამათქვენის გადაყვანა იმიტომ მთხოვეთ, რომ იმ ტუსაღს თან გაჰყოლოდით?

როზმა თავი ჩაღუნა და უილაჯოდ დაუქნია.

– დიახ, მონსენიორ.

– განაგრძეთ, – მიმართა პრინცმა ბოქსტელს.

– სათქმელი აღარაფერი მაქვს, – მიუგო მან, – თქვენმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უმაღლესობამ უკვე ყველაფერი იცის. ახლა კი, იმას გეტყვით, რისი გამხელაც იმიტომ არ მინდოდა, რომ ეს უმადური ქალიშვილი არ გამეწითლებინა. ლევენშტაინში საქმეზე ჩავედი და გრიფუსი იქ გავიცანი. მისი ქალიშვილი შემიყვარდა, ცოლობა ვთხოვე და რადგან მდიდარი არა ვარ, ქარაფშუტულად გავანდე, რომ ასი ათასი ფლორინის ჯილდოს იმედი მქონდა. ჩემი რწმენის დასამტკიცებლად, შავი ტიტაც ვაჩვენე. ამ ქალიშვილმა და მისმა საყვარელმა, რომელიც დორდრეხტში შეთქმულებას ამზადებდა და ტიტების მოშენებას თვალასახვევად მისდევდა, პირი შეკრეს და ჩემი გაღატაკება გადაწყვიტეს. ერთი დღით ადრე, ვიდრე ტიტა გაიშლებოდა, ამ ქალიშვილმა ტიტა მომპარა და თავის ოთახში დადგა. საბედნიეროდ, როცა იგი შიკრიკს გზავნიდა, რათა უტიფრად ეცნობებინა მეყვავილეთა საზოგადოების თავმჯდომარისთვის, ვითომ სწორუპოვარი შავი ტიტა გამოიყვანა, მოვახერხე და მისი ოთახიდან შავი ტიტა გამოვიტანე. ამ ქალმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა. ეტყობა, სანამ ტიტა მის ოთახში იდგა, ყვავილი ვინმეს აჩვენა და ახლა იმ მოწმის იმედად არის. საბედნიეროდ, თქვენმა უდიდებულესობამ უკვე იცის, რა ფანდიც შეიძლება იხმაროს ამ ქალიშვილმა და მის მოწმეს ფასი აღარ ექნება.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო, რა გარეწარია! — ამოიგმინა როზმა და სასომიხდილი, შტატჰალტერს მუხლებში ჩაუვარდა.

პრინცს როზი დამნაშავე ეგონა, მაგრამ მაინც შეებრალა.

— ძალიან ცუდად მოქცეულხართ, ქალიშვილო. თქვენი შეყვარებული დაისჯება, რომ ასეთი ცუდი გავლენა მოუხდენია. თქვენ ჯერ ძალიან ნორჩი ხართ და თანაც ისეთი წრფელი სახე გაქვთ, ვერ დავიჯერებ, რომ ასეთი ავკაცობა თქვენ მოიგონეთ.

— მონსენიორ, მონსენიორ, — შესძახა როზმა, — კორნელიუსი დამნაშავე არ არის.

ვილჰელმი შეიშმუშნა.

— იმის თქმა გინდათ, რომ მან არ გიბიძგათ დანაშაულზე?

— მონსენიორ, მე იმას ვამბობ, რომ კორნელიუსს ბრალი არაფერში მიუძღვის, არც პირველად და არც ახლა, არც ახლა და არც პირველად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არც პირველადო! თუ იცით მაინც, რა დანაშაულზეა ლაპარაკი? თქვენ რა იცით, რა ბრალი დასდეს? იცით, რომ იგი კორნელიუს დე ვიტთან იყო შეთქმული და მის მიმოწერას ინახავდა მარკიზ დე ლუვუასთან?

– დიახ, მაგრამ მან არ იცოდა, რას ინახავდა. რომ ცოდნოდა, მეტყოდა. კორნელიუსი ისეთი გულწრფელია, შეუძლებელია, ჩემთვის არ ეთქვა. არა, არა, მონსენიორ, თუნდაც გამირისხდეთ, მაინც გეტყვით, რომ კორნელიუსს ბრალი არ მიუძღვის, არც პირველ დანაშაულში და არც მეორეში. ოჰ, მონსენიორ, თქვენ რომ იცნობდეთ ჩემს კორნელიუსს!

– ვიტების ამფსონია! – წამოიძახა ბოქსტელმა, – მონსენიორი იმ კაცს მშვენივრად იცნობს, რადგან ერთხელ უკვე შეიწყალა.

– წყნარად! – თქვა პრინცმა, – მე უკვე ვთქვი, რომ ქალაქ ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოებას სახელმწიფო საქმე არ ეკითხება.

მერე მოიღუშა და დასძინა:

– რაც შეეხება შავ ტიტას, ბატონო ბოქსტელ, მშვიდად იყავით, ყველაფერს სამართლიანად განვსჯით.

გახარებულმა ისააკმა პრინცს თაყვანი სცა, ხოლო თავმჯდომარემ ბოქსტელს მიულოცა.

– თქვენ კი, ქალიშვილო, – განაგრძო ვილჰელმმა, – კინალამ დანაშაული ჩაიდინეთ. თქვენ ამისთვის არ დაისჯებით, მაგრამ ნამდვილ დამნაშავეს ორმაგად ვაზღვევინებ. მისი გვარის კაცი შეიძლება შეთქმული იყოს, – მოლალატეც კი... მაგრამ ქურდობა არ ეკადრება.

– ქურდობა! – შესძახა როზმა, – კორნელიუსი და ქურდი? ოჰ მონსენიორ, მაგას ნუ იტყვით. თქვენი ნათქვამი რომ გაეგო, მაშინვე გული გაუსკდებოდა. ეგ სიტყვები უფრო მალე მოკლავდა, ვიდრე ბუტენხოფის ეშაფოტზე ჯალათის ხმალი. თუ ქურდობაზე მიდგა საქმე, ღმერთს გეფიცებით, ეგ საქმე აი, ამ კაცმა ჩაიდინა.

– დაამტკიცეთ – ცივად შეეპასუხა პრინცი.

როზი ბოქსტელს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ტიტა თქვენია?

– დიახ.

– რამდენი ბოლქვი ჰქონდა?

ბოქსტელი ერთი კი შეყოყმანდა, მაგრამ მალევე მოისაზრა, პატიმარს რომ მხოლოდ ორი ბოლქვი ჰქონოდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქალიშვილი ასეთ კითხვას არ დაუსვამდა.

– სამი, – მიუგო მან.

– რა მოუვიდა იმ ბოლქვებს?

– ერთმა არ გაიხარა, მეორედან, შავი ტიტა გაიზარდა...

– მესამე?

– მესამე?

– დიახ, მესამე რა უყავით?

– რა ვუყავი და მე მაქვს, – ბოქსტელს აღელვება დაეტყო.

– თქვენ გაქვთ? სადა გაქვთ? ლეევენშტაინში, თუ დორდრეხტში?

– დორდრეხტში, – მიუგო ისააკმა.

– ცრუობთ! – უყვირა როზმა და პრინცს მიუბრუნდა, – მონსენიორ, მე გეტყვით, იმ სამ ბოლქვს, რა ბედიც ეწია. პირველი ბოლქვი პატიმრის საკანში გასრისა მამაჩემმა და ეს, ამ ბატონსაც მშვენივრად მოეხსენება, რადგან ბოლქვის ხელში ჩაგდებას თვითონ აპირებდა და როცა დაინახა, იმედი უცრუვდებოდა, ლამის ჩხუბი მოუვიდა მამაჩემთან. მეორე ბოლქვმა, ჩემი შემწეობით, იხარა, მესამე კი, – ქალიშვილმა უბიდან ქაღალდის ნახევში გახვეული ბოლქვი ამოიღო, – აგერ, აქა მაქვს. ბოლქვი ისევ იმ ქაღალდშია გახვეული, რომლითაც კორნელიუსმა, დანარჩენ ორ ბოლქვთან ერთად, მანამ გადმომცა, სანამ ეშაფოტზე წაიყვანდნენ. მონსენიორ, აგერ, ინებეთ!

როზმა ქაღალდი შემოაცალა ბოლქვს და პრინცს გაუწოდა. ვილჰელმმა ბოლქვი გამოართვა და დააკვირდა.

– მონსენიორ, ამ ქალმა ტიტა მომპარა და ბოლქვიც რომ მოეპარა, ხელს რა შეუშლიდა? – ალუღლუღდა ბოქსტელი.

ისააკი ძალიან შეშფოთდა, რომ პრინცი დიდი გულისყურით ათვალიერებდა ბოლქვს, მაგრამ ყველაზე მეტად, მაშინ დაფრთხა, როცა დაინახა, რა ყურადღებით დახედა როზმა იმ ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილ, რამდენიმე სტრიქონს, რომელიც ხელში ეჭირა. უცბად ქალიშვილს თვალი აენთო, ნაწერი სულმოუთქმელად ჩაიკითხა და მერე პრინცს გაუწოდა.

– ოჰ, მონსენიორ, გევედრებით, ეს წაიკითხეთ!

ვილჰელმ ორანელმა ბოლქვი თავმჯდომარეს გადასცა და ქაღალდი გამოართვა.

გადაავლო თუ არა თვალი ნაწერს, პრინცი შეირხა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელი ისე აუკანკალდა, ლამის ქაღალდი ხელიდან გაუვარდა. ვილჰელმის თვალებში ტანჯვამ და სიბრალულმა იელვა.

ქაღალდი, რომელიც როზმა პრინცს გადასცა, ბიბლიიდან ამოხეული ფურცელი იყო, რომელიც კორნელიუს დე ვიტმა თავისი ძმის მსახურის ხელით ვან ბერლეს გაუგზავნა და სთხოვდა, დიდი პენსიონარისა და მარკიზ დე ლუვუას მიმოწერა დაეწვა.

როგორც ვიცით, მისი თხოვნა ასეთი იყო: „ჩემო საყვარელო ნათლულო, დაწვი პაკეტი, რომელიც შესანახად მოგაბარეთ, დაწვი ისე, რომ ნურც კი დახედავ, ნუ გახსნი, რათა შენთვის უცნობი დარჩეს, რაც შიგ წერია. იმგვარი საიდუმლო, რაც მაგ პაკეტშია, ჰკლავს თავის მფლობელთ. დაწვი, დაწვი და ამით იხსნი იანს და კორნელს. მშვიდობით და სიყვარულით მომიგონებდე.

კორნელიუს დე ვიტი, 20 აგვისტო, 1672 წ.“

ეს ფურცელი ადასტურებდა კორნელიუსის უდანაშაულებასაც და იმასაც, რომ შავი ტიტას ბოლქვები მას ეკუთვნოდა.

როზმა და შტატჰალტერმა მხოლოდ ერთხელ შეხედეს ერთმანეთს.

როზის თვალები, თითქოს ამბობდა: ხომ გეუბნებოდით! შტატჰალტერის თვალები კი მიუგებდა: ჩუმად იყავით და მაცალეთ!

პრინცმა ლოყაზე ჩამოგორებული ცივი ოფლის წვეთი მოიწმინდა. იგი ნელა კეცავდა ქაღალდს და ფიქრით იმ ულრანებში გადასახლებულიყო, რომელსაც წარსულისგან გამოწვეული სინანული და სირცხვილი ჰქვია.

ვილჰემ ორანელმა ფიქრს თავი გაართვა და თქვა:

– მშვიდობით, ბატონო ბოქსტელ! გპირდებით, ყველაფერი სამართლიანად განისჯება.

მერე თავმჯდომარეს მიუბრუნდა და უთხრა:

– ბატონო ვან ჰერიზან, ამ ქალიშვილსა და ტიტას თქვენ ზრუნვას ვანდობ. მშვიდობით!

ყველამ თავი დაუკრა პრინცს, რომელიც ისე მხრებჩამოყრილი გავიდა ოთახიდან, თითქოს ხალხის შეძახილი ტვირთად დასწოლიაო.

ბოქსტელი „თეთრ გედში“ აღელვებული დაბრუნდა. როზის მიცემულ ქაღალდის ფურცელს, რომელიც პრინცმა წაიკითხა, მერე კი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, ძალიან შეეშფოთებინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXVIII
ყვავილთა საგალობელი

ვიდრე ჰაარლემში ეს ამბები ხდებოდა, ლევენშტაინის ციხის საკანში მივიწყებული ვან ბერლე გრიფუსს მეტისმეტად შეევიწროებინა და ტუსაღს იმდენ ტანჯვას აყენებდა, რამდენიც ძალუძს მედილეგეს, რომელსაც გადაუწყვეტია, ჯალათად იქცეს.

რადგან როზმა და იაკობმა არაფერი შეატყობინეს, გრიფუსმა აიკვიატა, ყველაფერში, რაც ჩემს თავს ხდება, ეშმაკის ხელი ურევია, ეშმაკთან წილნაყარი კი, სწორედაც, ექიმი კორნელიუს ვან ბერლეაო.

ამიტომაც იყო, რომ როზისა და იაკობის გაქრობის მესამე დღეს გრიფუსი ჩვეულებრივზე უფრო გაანჩხლებული ავიდა კორნელიუსის საკანში.

ხელებში თავჩარგული კორნელიუსი რაფას დაყრდნობოდა და თვალი გაეშტერებინა ჰორიზონტისთვის, რომელსაც ხანგამოშვებით ჰკვეთდა დორდრეხტის წისქვილების ფრთები. კორნელიუსი ღრმად ისუნთქავდა სუფთა ჰაერს, რომ ყელში მომდგარი ცრემლი შეეკავებინა და რამენაირად შეენარჩუნებინა ფილოსოფიური სიმშვიდე.

მტრედები ისევ ძველ ადგილას ბუდობდნენ, მაგრამ ტუსაღს ყველა იმედი გადაწურვოდა და მომავალსაც წყვდიადი უფარავდა.

როზს დარაჯობდნენ და კორნელიუსს ველარ მოინახულებდა. იქნებ არც წერას ანებებდნენ? ან თუ ანებებდნენ, მოახერხებდა კი წერილის მიწოდებას?

ბებერ გრიფუსს, წუხელაც კი, სამი დღის შემდეგ, თვალები ავად უელავდა. ეტყობა გადაეწყვიტა, სულ ასე დადარაჯებული ყოფილიყო; ვაითუ, როზისთვის ოთახში გამოკეტვა და შეყვარებულთან გაყრა არ ეკმარებინათ და სხვაგვარადაც ტანჯავდნენ. ვაითუ, ამ მხეცს, ამ გალოთებულ არამზადას, ჯავრი ქალიშვილზე ამოეყარა და როდესაც არაყი თავში აუვარდებოდა, ხელი, რომელიც კორნელიუსმა ასე კარგად გაუსწორა და სხვის კეტით შეიარაღებულ ორ ხელს უდრიდა, როზზე აღემართა?

ჭკუიდან შლიდა იმაზე ფიქრი, რომ შეიძლებოდა როზს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სასტიკად მოქცეოდნენ. საშინლად იტანჯებოდა, რომ ასეთი უილაჯო და არაფრის მაქნისი იყო და გულში ფიქრობდა, ნუთუ ღმერთი, რომელიც ორ უდანაშაულო არსებას ამდენ უბედურებას ატეხს თავს, შეიძლება სამართლიანი იყოსო და გრძნობდა, რომ რწმენა ერყეოდა, იმიტომ რომ, უბედურება კაცს რწმენას ურყევს.

კორნელიუსმა გადაწყვიტა, როზისთვის წერილი მიეწერა, მაგრამ სად იყო როზი?

კიდევ ფიქრობდა, რომ ჯობდა დაესწრო გრიფუსისთვის, რომელიც მის დაბეზღებას აპირებდა, თვითონ გაეგზავნა წერილი ჰააგაში და თავიდანვე გაეფანტა შავი ღრუბელი, რომელიც მის თავზე მუქარით იგრაგნებოდა.

კეთილი, მაგრამ რითი მიეწერა?

გრიფუსს არც ფანქარი შეერჩინა მისთვის და არც ქაღალდი და თუნდაც, ერთიც ჰქონოდა და მეორეც, თავად გრიფუსი ხომ არ გააგზავნიდა მის წერილს!

გუნებაში ათასჯერ მაინც გადაჩხრიკა ტუსაღებისგან ნახმარი ყველა ფანდი და ხრიკი. ახლა გაქცევაზეც ფიქრობდა, თუმცა, როცა როზს ყოველდღე ხედავდა, გაქცევა გულშიც არ გაუვლია. რაც მეტს ფიქრობდა კორნელიუსი გაქცევაზე, მით უფრო შეუძლებლად ეჩვენებოდა. იგი იმ რჩეულ კაცთა ჯილაგისა იყო, რომლებსაც ისე სძაგთ ყველაფერი ჩვეულებრივი, რომ ოღონდ კი გატკეპნილი გზით არ იარონ, ხელიდან გაუშვიათ ილბალი, რომელიც მიზანთან მიიყვანდა.

„აბა, როგორ გავიქცე ლევენშტაინიდან, – მსჯელობდა კორნელიუსი, – როცა აქედან უკვე გაიქცა გროციუსი? მას შემდეგ, ხომ ყველა ღონე იხმარეს, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორებულიყო? განა ფანჯრებთან ყარაული არ დააყენეს? განა საკნებს ორმაგი და სამმაგი კარი არ შეაბეს? განა გუშაგებმა ცხრა თვალი და ცხრა ყური არ გამოისხეს?

თუნდაც ფანჯრებს არავინ ყარაულობდეს, არ იყოს ორმაგი და სამმაგი კარი, არ იყვნენ ყურდაცქვეტილი გუშაგები, აქ არა მყავს ჩემი არგუსი[66], – ჩემი გრიფუსი, რომელიც ყველაზე საშიშია, რადგან სიძულვილის თვალითა მხედავს.

არის კიდევ რაღაც, რაც ძალ-ღონეს მაცლის. როზი, ჩემი როზი არ მიდგას გვერდით. ვთქვათ, ათი წელი შევალიე ქლიბის გაკეთებას, რომ გისოსები გადავხერხო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ფანჯრიდან დასაშვები თოკიც დავწანი, ანდა დედალოსივით[67], ფრთები გავიკეთე... სულ ერთია, მაინც არაფერი გამოვა – ან ქლიბი გამიტყდება, ან თოკი გამიწყდება, ანდა ფრთებს მზე დამიდნობს, იმიტომ რომ, ახლა, უიღბლობის დრო მიდგას. ერთადერთი, რასაც ამით მოვიმკი, ალბათ, ის იქნება, რომ დასახიჩრებულსა და საპყარს, ჰააგის საოცრებათა მუზეუმში გამომფენენ, ვილჰემ მდუმარესა და სტავენსენში ნაპოვნ სირინოზის გვერდით. თუმცა, რატომ? უკეთესი გზაც არის. გრიფუსი არ მოისვენებს, კიდევ მომიწყობს რამე სისაძაგლეს, მე კი, მას შემდეგ, რაც როზის ხილვის ბედნიერება მომაკლეს, განსაკუთრებით, რაც ჩემი ტიტები წამართვეს, თავს ძალიან იოლად ვკარგავ. ადრე იქნება თუ გვიან, გრიფუსი უეჭველად შემილახავს თავმოყვარეობას, შემიგინებს სიყვარულს, ან ჩემი სიცოცხლის ხელყოფას შეეცდება. რაც ციხეში ჩამსვეს, რალაც დაუოკებელ, შმაგ ძალასა ვგრძნობ. მინდა, ვინმეს შევერკინო, აქაურობა მივლეწ-მოვლეწო. სულაც, ავდგები და იმ ბებერ სალახანას თავს დავესხმები და ძალლივით მივახრჩობ!“

კორნელიუსი გაირინდა. პირი მძულვარებისგან მოელრიცა და თვალი ერთ წერტილს გაუშტერა. ეტყობოდა, რალაც ფიქრი ძალიან მოეწონა და იტკბარუნებდა.

„ჰო, გრიფუსს თუ მოვკლავ, რა დამიშლის, გასაღები ავიღო და კიბეზე ისე დავეშვა, ვითომ დიდი გმირობა ჩამედინოს? ხელს რა შემიშლის, როზს თავის ოთახში მივაკითხო და მისი ფანჯრიდან პირდაპირ მდინარე ვაალში გადავეშვათ? ჩემისთანა ჩინებული მოცურავე ორივეს მაგივრობას გასწევს.

ღმერთო, გრიფუსი ხომ როზის მამაა! რა გინდ ძლიერად ვუყვარდე როზს, რაგინდ ხეპრე და რეგვენი იყოს მამამისი, როზი მამამისის მკვლელობას არ მაპატიებს. მაშასადამე, უნდა ვემუდარო, დავიყოლიო რომ გამომყვეს, ამასობაში, მომაკვდავ ან უკვე მკვდარ გრიფუსს მისი თანაშემწე ან მედილეგე ნახავს და მაშინვე მხარზე ხელს დამადებენ. მაშინ ისევ ვნახავ ბუტენხოფის ციხესა და იმ წყეულ მახვილს, რომელიც ამჯერად შუა გზაზე ალარ შედგება და თავს წამაცლის. არა, კორნელიუს, არა, ჩემო კარგო, ეგ გზა არ ვარგა, არ გამოგვადგება. მაშ, რა ვქნა? როგორ ვიპოვო როზი?“

ასეთ ფიქრში იყო გართულ ფანჯარასთან მდგარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კორნელიუსი, სამი დღის შემდეგ, რაც იგი როზს დააცილეს, როდესაც გრიფუსმა მისი საკნის კარი შეაღო.

კეტმომარჯვებულ გრიფუსს პირს ბოროტი ღიმილი უგრეხდა, თვალი ავად უელავდა და ისე ირწეოდა, ეტყობოდა, კარგ საქმეს არ აპირებდა.

კორნელიუსმა გაიგონა, გრიფუსი რომ შემოვიდა, მაგრამ მისკენ არც გაუხედავს, – ისედაც იცოდა, რომ გრიფუსის უკან, როზი არ იდგებოდა.

გაბრაზებულ კაცს იმაზე უფრო არაფერი აღიზიანებს, როცა მის რისხვას ჩირად არ აგდებენ. კაცს თავი სათანადო გუნებაზე დაუყენებია, გაშმაგებულს სისხლი უდუღს და ნაცვლად იმისა, რომ მხარი აუბან და პატარა ქარიშხალით მაინც გაუმასპინძლდნენ, ცივ წყალს ასხამენ!

ყველა რიგიან-პირიან გარეწარს, რომელსაც თავისი სიძულვილი საავკაცოდ აულესია, სურვილი კლავს, ამ იარაღით ვინმეს გვარიანი ჭრილობა მიაყენოს.

გრიფუსმა რომ დაინახა, კორნელიუსი ყურსაც არ იბერტყავსო, რამდენჯერმე ომახიანად ჩაახველა.

– ჰხმ! ჰხმ!

პასუხად, კორნელიუსი აღიღინდა და ყვავილთა სევდიანი, მაგრამ მშვენიერი საგალობელი წამოიწყო:

მიწის წიაღში დაგზნებული,
წმინდა ცეცხლის ნაზი წულები,
შვილები ნამის და აისისა,
შვილები წყლისა,
მაგრამ პირველთა უპირველესად,
ნაშობნი ცისა,

სიმღერის სევდიანმა, მშვიდმა კილომ, რასაც კორნელიუსის წყნარი კაეშანი კიდევ უფრო წარმოაჩენდა, გრიფუსი სულ გააცოფა, კეტი იატაკს დაარტყა და დაიღრიალა:

– ჰეი, შენ, ბატონო მომღერალო, არ გეყურება, რომ შემოვედი?

კორნელიუსმა მიიხედა, გრიფუსს მიესალმა და სიმღერა განაგრძო:

კაცთაგან ვნებულთ,
ვნებულთ, მათი სიყვარულისგან,
მიწის წიაღთან გვაკავშირებს უნაზესი
წვრილი ძაფები.
ის ძაფი ჩვენი სიცოცხლეა, ჩვენი ფესვია,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ ხელები ცისკენა გვაქვს
ზეაპყრობილი.

– ოჰ, შე წყეულო, დამცინი არა! – დაიღმუვლა გრიფუსმა.

კორნელიუსმა კი განაგრძო:
მშობელი ჩვენი ცა გვიგზავნის
ზემოდან სულებს და
მერე კი, ისევ, ჩვენი სული,
ჩვენი სურნელი
მიილტვის ცისკენ.

გრიფუსი ტუსაღს მივარდა.

– შენ, გეტყობა, ვერ დაინახე, რა კარგი იარაღი ნამოვიძღვანიე, რომ მოგარჯულო და დანაშაულში გამოგტეხო!

– თქვენ ჭკუიდან ხომ არ შეშლიხართ, ძვირფასო გრიფუს? – ჰკითხა კორნელიუსმა და გრიფუსისკენ მიიხედა, მაგრამ მისი დაღმეჭილი სახე, ანთებული თვალები და დუჟმორეული პირი რომ დაინახა, დასძინა:

– ეშმაკმა დალახვროს, ჭკუიდან შეშლას ვინ ჩივის, გაცოფებულხართ და ეგ არის!

გრიფუსმა კეტი მოუღერა, მაგრამ კორნელიუსს ნირი ვერ შეაცვლევინა.

– ოჰო! აგრეა საქმე? მგონი, მემუქრებით, არა?

– დიახაც, რომ გემუქრებით! – ღრიალებდა მედილეგე.

– მერედა, რით მემუქრებით?

– რითა და ვერა ხედავ, ხელში რა მიჭირავს?!

– მგონი, კეტი უნდა გეჭიროთ, – მშვიდად მიუგო კორნელიუსმა, – კარგა გვარიანი კეტია, მაგრამ არა მგონია, მაგით მემუქრებოდეთ.

– მაშ, არა გგონიათ, ჰა! ვითომ, რატომაო?

– იმიტომ რომ, ყველა მედილეგეს, ვინც ტუსაღს დაარტყამს, ორნაირი სასჯელი ელის. ლევენშტაინის წესდების IX პარაგრაფის თანახმად: „ვინც სახელმწიფო დამნაშავეზე ხელს აღმართავს, იქნება ეს მედილეგე, ზედამხედვილი, თუ ზედამხედველის თანაშემწე, დათხოვილი იქნება სამსახურიდან“.

– ხელსაო! – დაიღმუვლა გაანჩხლებულმა გრიფუსმა, – მანდ წერია, ხელსაო და არა კეტსო!.. წესდებაში კეტზე ნათქვამი არაფერია.

– მეორე სასჯელი, – განაგრძო კორნელიუსმა, – რომელიც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წესდებაში არ წერია, მაგრამ ბიბლია ითვალისწინებს, ასეთია: „ვინცა მახვილი აღიღოს, მახვილითვე წარწყმდეს!“ ანუ: „ვინც ჯოხი აღიღოს, ჯოხითვე იგვემოს!“

ტუსაღის მშვიდმა და მედიდურმა კილომ გრიფუსი ისე გააშმაგა, რომ ტუსაღს კეტი მოუქნია, მაგრამ კორნელიუსმა ელვის უსწრაფესად გამოსტაცა ხელიდან და ღლიაში ამოიდო.

გაავებული გრიფუსი ქოფაკივით ღრინებოდა.

– ასე რომ, ჩემო კეთილო გრიფუს, ფრთხილად იყავით, ადგილი არ დაკარგოთ.

– უჰ, შე წყეულო ჯადოქარო! – ბრდღვინავდა გრიფუსი. – დამაცა, სხვანაირად ამოვალ შენ ოხტში!

– აბა, შენ იცი!

– ვერა ხედავ, რომ ხელცარიელი ვარ?

– როგორ ვერ ვხედავ, ვხედავ და ძალიან მოხარულიც ვარ.

– არ იცი, რომ დილაობით, ცარიელი ხელით არ შემოვდივარ ხოლმე?

– როგორ არ ვიცი, კაცი რომ ძნელად წარმოიდგენს, ისეთი საძაგელი შეჭამანდი, ან წყალწყალა სადილი შემოგაქვთ ხოლმე. ოლონდ, ეგ არ მენაღვლება, მე მხოლოდ პურით ვიკვებები და რაც უფრო უგემურად გეჩვენება ის პური შენ, გრიფუს, მე მით უფრო მეგემრიელება.

– უფრო გეგემრიელება?

– დიახაც!

– რატომ?

– მაგას, რა დიდი მიხვედრა უნდა!

– მაინც?

– კეთილი, გეტყვი: ვიცი, უვარგის პურს იმიტომ მაძლევ, რომ გამაწვალო.

– დიახაც, იმიტომ არ გაძლევ, რომ გაამო, შე ოხერო, შენა!

– ჰოდა, როგორც თავადაც მოგეხსენება, მე ჯადოქარი ვარ და იმ შენ პურს ისეთ გამტკიცულ პურად ვაქცევ ხოლმე, ვერცერთი ნამცხვარი ვერ შეედრება. ასე რომ, ორმაგად ნაამები ვრჩები, – ჯერ ერთი, ჩემ გემოზე გეახლები და მეორეც, შენ გხეთქავ გულზე.

გაცოფებული გრიფუსი ხარივით აბღუვლდა:

– აჰა, აღიარებ, რომ ჯადოქარი ხარ?

– ეშმაკმა დალახვროს! რა თქმა უნდა, ჯადოქარი ვარ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საქვეყნოდ იმიტომ არ ვამხელ, რომ კოცონზე დამწვავენ, თორემ ახლა, როცა მარტონი ვართ, რატომ დავმალო?

– აგრე იყოს, აგრე, – მიუგო გრიფუსმა, – მაგრამ, ერთი ეს მითხარი, ჯადოქარი, რომელიც შავ პურს გამტკიცულ პურად აქცევს, შიმშილით ხომ არ მოკვდება, თუ პური საერთოდ არ ექნება?

– რაო, რაო?

– რაო და, პურს რომ სულაც აღარ მოგიტან, ერთ კვირაში ნახავ, რა დღე დაგადგეს!

კორნელიუსს ფერი ეცვალა.

– ჰოდა, ამას დღეიდანვე დავიწყებ. რაღაი ეგეთი დიდი ჯადოქარი ხარ, შენი საკნის მოწყობილობა აქციე პურად, მე კი შენს სარჩოდ გამოყოფილ თვრამეტ სუს დავზოგავ.

– ეგ ხომ ნამდვილი მკვლელობაა! – კორნელიუსს თავზარი დაეცა, როცა წარმოიდგინა, რა საშინელ სიკვდილს უქადდა გრიფუსი.

– რა მოხდა მერე! – მასხარად იგდებდა გრიფუსი, – შენი ჯადოქრობის ამბავი რომ ვიცი, მაინც არ მოკვდები.

კორნელიუსმა მხრები აიჩეჩა და ისევ გამკილავ კილოზე გადავიდა.

– ხომ ნახე, როგორ ვაიძულე დორდრეხტის მტრედები, ჩემთან მოფრენილიყვნენ?

– მერე რა?

– მერე ის, რომ მტრედი მშვენიერი კერძია. კაცმა, რომ დღეში ერთი მტრედი შეჭამოს, არა მგონია, შიმშილით მოკვდეს.

– ცეცხლი რომ არა გაქვს?

– როგორ გგონია, ეშმაკთან წილნაყარ კაცს, ეშმაკი ცეცხლს დამიჭერს?

– რა ჯანიანი კაციც გინდა იყოს, მარტო მტრედის ანაბრად არ გაეძლებინება. ასეთი ნაძლევი ბევრს დაუდევს, მაგრამ ყველას წაუგია.

– ეგ არაფერი, – განაგრძო კორნელიუსმა, – მტრედის ჭამა თუ მომბეზრდება, მაასი და ვაალი აქ არ არის! ავდგები და თევზს გეახლები.

შეშინებულმა გრიფუსმა თვალები გადმოკარკლა.

– თევზი ძალიან მიყვარს, – განაგრძო კორნელიუსმა, – შენ კი ერთხელაც არ მოგიტანია. ჰოდა, ახლა, რადგან შიმშილით გინდა მომკლა, ავდგები და პირს თევზით ჩავიგემრიელებ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრიფუსს შიშისა და ბოლმისგან ლამის გული გახეთქოდა, მაგრამ თავს მოერია, ჯიბეში ხელი ჩაიყო და თქვა:

– აგრე იყოს, რალაი სხვა ჩარა არ არის! – და ბებუთი ამოიღო.

– ოჰო, ბებუთი! – შესძახა კორნელიუსმა, კეტი მოიმარჯვა და თავდასაცავად მოემზადა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXIX

როგორ გაუსწორდა კორნელიუსი გრიფუსს, ვიდრე ლევენშტაინს დატოვებდა.

ერთხანს ორივე უძრავად იდგა. ერთი მზად იყო, თავს დასხმოდა, მეორე – თავი დაეცვა. კორნელიუსმა რომ შეატყო, ასე, შეიძლებოდა დაუსრულებლად მდგარიყვნენ, გადაწყვიტა, გრიფუსი გამოეტეხა, ამჯერად, რას გაეცოფებინა?

– რა გინდათ ჩემგან?

– რა მინდა და მინდა, ჩემი შვილი, ჩემი როზი დამიბრუნო.

– თქვენი შვილი?! – შესძახა კორნელიუსმა.

– ჰო, ჩემი როზი, რომელიც შენი ჯადოქრული ფანდებით მომტაცე. მითხარი, სად არის? – გრიფუსი მუქარით მოიხარა.

– როზი ლევენშტაინში არ არის?! – ისევ შესძახა კორნელიუსმა.

– ვითომ არ იცი! კიდევ გეკითხები, დამიბრუნებ თუ არა, შვილს?

– რალაცას მიჰქარავ და ხაფანგს მიგებ.

– უკანასკნელად გეკითხები: სად არის ჩემი შვილი?

– თუ არ იცი, მაშინ მიხვდი, შე გარეწარო!

– დამაცა, დამაცა, – ღრინავდა სიბრაზისგან გაფითრებული, სახეშეშლილი გრიფუსი და ტუჩს ავად მანჭავდა, – არ მეუბნები, არა? დამაცა, ძალით გათქმევინებ!

გრიფუსმა კორნელიუსზე გაიწია და ბებუთი თვალწინ აუპრიალა.

– ამ ბებუთს ხედავ? ამით ორმოცდაათი მამლისთვის მაინც გამომიჭრია ყელი და მალე იმათ ბატონ სატანასაც ზედ მივაყოლებ. დაიცა, დამაცა, რა გიქნა!

– ოჰ, შე ნაძირალა, მართლა გინდა, ყელი გამომჭრა?

– გული უნდა გაგიპო, გული, რომ ვნახო, ჩემი შვილი სად გადამალე.

ამ სიტყვებზე, ჭკუიდან გადასული გრიფუსი ცოფიანივით მივარდა კორნელიუსს, რომელმაც ძლივს მოასწრო, მაგიდას ამოფარებოდა და პირველი დარტყმა აეცდინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრიფუსი იმუქრებოდა და ბებუთს იქნევდა.

კორნელიუსმა თვალით გაზომა, რომ იქიდან, რა მანძილზეც მისგან გრიფუსი იდგა, იგი ხელით თუ ვერა, იარაღით მისწვდებოდა. მას შეეძლო ბებუთი ესროლა და მისთვის გული გაეპო, ამიტომ აღარ დაახანა, მედილეგეს ხელზე კეტი დასცხო და ბებუთი გააგდებინა. იატაკზე დავარდნილ ბებუთს კორნელიუსმა ფეხი დაადგა და როცა დაინახა, ცალკე ტკივილით, ცალკე კი ბოღმით გაგიჟებული გრიფუსი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის ემზადებოდა, უკიდურეს ზომას მიმართა, — კეტი მოიქნია და წარბშეუხრელად, გამიზნულ ადგილებში ურტყამდა მედილეგეს.

გრიფუსმა მალე ითხოვა შეწყალება, მაგრამ სანამ ამას იზამდა, ღრიალით მთელი ციხე ფეხზე დააყენა.

ორი მნე, ერთი ზედამხედველი და სამი თუ ოთხი გუშაგი მოულოდნელად შემოვიდა და დანაშაულზე წაასწრო კორნელიუსს, რომელსაც ხელში კეტი ეჭირა, ფეხებთან კი ბებუთი ეგდო.

როდესაც კორნელიუსმა დაინახა, რომ მოწმეებმა დანაშაულზე წაასწრეს, ხოლო დანაშაულის გამომწვევ, შემამსუბუქებელ გარემოებაზე არაფერი იცოდნენ, მიხვდა, რომ მისი საქმე წასული იყო.

ყველაფერი მის წინააღმდეგ მეტყველებდა.

მცველებმა ტუსაღი ელვის უსწრაფესად განაიარაღეს, გრიფუსს კი მხრებში შეუდგნენ და ფრთხილად წამოაყენეს. გაანჩხლებულ მედილეგეს ხელს აღარაფერი უშლიდა, წვრილად დაეთვალა მხრებსა და ზურგზე კოშტად ამობურცული ნაცემ-ნაბეგვი.

სახელდახელოდ შეადგინეს ოქმიც, რომელიც ადასტურებდა, რომ ტუსაღმა მედილეგე ხელყო. იგი გრიფუსის კარნახით დაიწერა და ლმობიერებას ვერავინ უსაყვედურებდა. ოქმში ლაპარაკი იყო, არც მეტი, არც ნაკლები, ტუსაღისგან მედილეგეს განზრახ მკვლელობის მცდელობასა და აშკარა ამბოხზე.

სანამ ოქმის წერას დაამთავრებდნენ და კორნელიუსის დანაშაულს აღწერდნენ, ორმა მეკარემ დაბეგვილ-მოკრუსუნე გრიფუსი, რომელიც უკვე დაეკითხათ და აღარ სჭირდებოდათ, თავის ოთახში წაიყვანა.

კორნელიუსის გამკავებელმა გუშაგებმა ტუსაღს ლევენშტაინის განაწესი და ადათი გააცნეს. ციხის განაწესი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კორნელიუსმა ისედაც იცოდა – პირველად რომ მოიყვანეს აქ, მაშინ გააცნეს და ზოგიერთი პარაგრაფი მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდოდა.

გუშაგებმა არ დაიზარეს და უამბეს, როგორ გამოიყენეს ეს პარაგრაფები 1668 წელს, ანუ ხუთი წლის წინ, ერთ ტუსაღზე, მავან მატიასზე, რომელსაც კორნელიუსზე გაცილებით ნაკლები დანაშაული ჩაედინა.

თურმე მატიასს თავისი შეჭამანდი მეტისმეტად ცხელი ეჩვენა და ქაფქაფა კერძი თავზე გადაასხა გუშაგთა უფროსს, რომელმაც სამწუხაროდ, როდესაც სახე მოიწმინდა, შეჭამანდს საკუთარი კანის ნაწილიც გააყოლა.

როგორც გუშაგმა თქვა, თორმეტი საათის შემდეგ, მატიასი საკნიდან გამოიყვანეს, ციხის კანტორაში შეიყვანეს და ჩაწერეს, თითქოს იგი ლევენშტაინიდან გაემგზავრა. ამის შემდეგ, ტუსაღი ციხის მოედანზე გაიყვანეს, საიდანაც თხუთმეტ ლიეზე, უმშვენიერესი ხედი იშლებოდა. მატიასს ხელები გაუკრეს, თვალი აუხვიეს და უბრძანეს სამი ლოცვა ეთქვა. ლოცვა რომ გაათავა, ლევენშტაინის გუშაგებმა, სულ თორმეტმა კაცმა, სერჟანტის ნიშანზე, მატიასს მუშკეტიდან თითო ტყვია დაახალა და სული გააფრთხობინა.

კორნელიუსი ყურადღებით უსმენდა ამ უჟმურ ამბავს.

– აჰა, – თქვა ბოლოს, – მაშ, თორმეტი საათის შემდეგ, არა?

– დიახ. ისე, მგონი, თორმეტი საათიც არ იყო გასული, – მიუგო მთხრობელმა.

– გმადლობთ, – უთხრა კორნელიუსმა.

გუშაგს თავაზიანი ღიმილი პირზე ჯერაც არ გაქრობოდა, როდესაც კიბეზე მტკიცე ნაბიჯების ხმა გაისმა.

დეზები წკრიალით ეხლებოდა კიბის საფეხურების მოცვეთილ პირს.

გუშაგებმა ოფიცერს გზა უტიეს. როდესაც იგი კორნელიუსის საკანში შევიდა, ლევენშტაინის მდივანი ისევ ოქმის წერით იყო გართული.

– თერთმეტი ნომერი ეს არის? – იკითხა ოფიცერმა.

– დიახ, პოლკოვნიკო.

– მაშასადამე, ეს პატიმარ კორნელიუს ვან ბერლეს საკანია?

– დიახ, პოლკოვნიკო.

– სად არის პატიმარი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქა ვარ, ბატონო, – მიუგო კორნელიუსმა, რომელსაც ვაჟკაცობის მიუხედავად, ფერი მიხდოდა.

– თქვენ ხართ კორნელიუს ვან ბერლე? – ახლა თავად ტუსაღს ჰკითხა პოლკოვნიკმა.

– დიახ, ბატონო.

– გამომყევით!

– ეჰ! – წაიჩურჩულა კორნელიუსმა და სიკვდილის მოლოდინმა გული მოუწურა, – რა სწრაფად წყვეტენ საქმეს ლევენშტაინში. ის უცნაური კაცი კი, თორმეტი საათიო, ამბობდა.

– აკი გეუბნებოდით, – ჩასჩურჩულა ყურში გუშაგმა, რომელმაც ასე კარგად იცოდა ლევენშტაინის ისტორია.

– თქვენ მე მომატყუეთ.

– რატომ?

– თქვენ თორმეტ საათს დამპირდით.

– ჰო, ეგ კია, მაგრამ თქვენ მისი უმაღლესობის ადიუტანტი და ყველაზე დაახლოებული ოფიცერი ვან დეკენი გამოგიგზავნეს. ეშმაკმა დალახვროს, იმ საწყალ მატიასს ასეთი პატივი არ ღირსებია.

– კეთილი, კეთილი, – მიუგო კორნელიუსმა და შეეცადა ღრმად ჩაესუნთქა, – ვაჩვენოთ ამ ხალხს, რომ კორნელიუს დე ვიტის ნათლულს ძალუძს წარბშეუხრელად მიაგებოს მკერდი იმდენივე ტყვიას, რამდენიც მავანმა მატიასმა მიიღო.

ამაყად თავაწეულმა კორნელიუსმა მწერალს ჩაუარა, რომელიც როგორც იქნა, მოწყდა ქაღალდს და ოფიცერს მიმართა:

– პოლკოვნიკო ვან დეკენ, ოქმის წერა არ დამიმთავრებია.

– ეგ აღარავის სჭირდება.

– კეთილი, – დაჰყვა მის ნებას მწერალი და ფილოსოფიური სახით ჩაალაგა საწერი მოწყობილობა გაქერქილ პორტფელში.

– ბედმა ისე ინება, რომ ჩემს გვარს ვერ დავუტოვებ ვერც ვაჟიშვილს, ვერც ყვავილს, ვერც წიგნს, – გაიფიქრა კორნელიუსმა და ვაჟკაცურად მიჰყვა ოფიცერს.

კორნელიუსი მოედანზე ჩამავალ საფეხურებს ითვლიდა და გულში ნანობდა, ნეტა გუშაგისთვის მეკითხა, რამდენი საფეხური მაქვს ჩასავლელი, იმისთანა თავაზიანი ყმაწვილი ჩანდა, პასუხს არ დამამადლიდაო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სასიკვდილოდ მიმავალ ტუსაღს ეს გზა ცხოვრების დიდი გზის დასასრულად ეჩვენებოდა და მხოლოდ ისღა აშინებდა, რომ დაინახავდა გრიფუსს და ვერ დაინახავდა როზს.

რა გულღრძო სიხარული იფეთქებდა მამის სახეზე და რა სევდა დაისადგურებდა ქალიშვილის თვალებში!

რა მხეცური სიხარულით გაიხარებდა გრიფუსი, როდესაც კორნელიუსს სიკვდილით დასჯიდნენ იმ სამართლიანი საქციელისთვის, რაც მან თავისი ღირსების დასაცავად ჩაიდინა.

მაგრამ როზი! საბრალო გოგონა! ვაითუ, ვერ ნახოს! ვაითუ, ისე მოკვდეს, როზს უკანასკნელად ვერ ეამბოროს, ვერ გამოეთხოვოს! ნუთუ ისე მოკვდება, ვერაფერს შეიტყობს დიდ შავ ტიტაზე?

ამ დროს დიდი ვაჟკაცობა მართებს კაცს, რომ ქვითინი არ წასკდეს.

კორნელიუსი აქეთ-იქით იხედებოდა, მაგრამ მოედანს ისე მიაღწია, ვერც გრიფუსს მოჰკრა თვალი და ვერც როზს.

თითქმის ბედს შეგუებულმა მოათვალიერა მოედანი, რათა თავისი მომავალი ჯალათები დაენახა და მართლაც, შენიშნა თორმეტიოდე ჯარისკაცი, რომელიც ერთად დამდგარიყო და მასლაათობდა. ერთი კი იყო, მათ არც მუშკეტები ეჭირათ და არც მწკრივად იდგნენ, უბრალოდ, ჯგუფად შეყრილიყვნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. კორნელიუსისთვის რომ გეკითხათ, ამგვარი ვითარება არ შეეფერებოდა იმ ზეაწეულ განწყობას, ასეთი მოვლენის დროს რომ სუფევს ხოლმე.

უცბად, მოედანზე, ყავარჯნებზე დაყრდნობილი გრიფუსი გამოხანხალდა. ბებერი ხვადი კატის თვალები უკანასკნელად აინთო მძულვარებით და კორნელიუსს ისეთი უხამსი ლანძღვა-გინების ნიაღვარი დაანთხია, რომ ვან ბერლე იძულებული გახდა, ოფიცრისთვის მიემართა.

– ბატონო ჩემო, არა მგონია, საკადრისი იყოს, რომ ამ კაცს ჩემ შეურაცხყოფას ანებებენ და თანაც ასეთ დროს.

– თუ ღმერთი გწამთ! – სიცილით მიუგო ოფიცერმა, – რა გასაკვირია, რომ გიბრაზდებოდეთ. როგორც მითხრეს, გვარიანად მიგიბეგვიათ?

– მართალია, მაგრამ მე მხოლოდ თავს ვიცავდი!

– მოგცლიათ! – ფილოსოფიურად აიჩეჩა მხრები ოფიცერმა, – ილანძღოს, სანამ არ მოწყინდება. რა გე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნაღვლებათ?

კორნელიუსს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. ასეთ ტლანქ ირონიას ოფიცრისგან და ისიც, როგორც თქვეს, პრინცის ახლობლისგან, არ ელოდა.

საბრალო მიხვდა, რომ იმედის ნაპერწკალიც აღარ დარჩენოდა, რომ გულშემატკივრად ვერავის დაიგულებდა და ბედს დამორჩილდა.

– დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია! – ჩაილაპარაკა და თავი ჩალუნა, – ქრისტეს ამაზე უარესი დამართეს და ჩემი უბრალოება მასთან რა მოსატანია. ქრისტემ ნება მისცა მედილეგეს ეგვემა და თვითონ მასზე ხელი არ აღუმართავს.

მერე ოფიცერს მიუბრუნდა, რომელიც ეტყობა თავაზიანად ელოდა, ფიქრს თავს როდის გაართმევდა.

– ახლა, საით მიბრძანებთ, ბატონო ჩემო?

ოფიცერმა ოთხცხენიან კარეტაზე მიუთითა. კარეტა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა იმას, რომელშიც მსგავს ვითარებაში, ერთხელ უკვე იჯდა ბუტენხოფში.

– კარეტაში ჩაბრძანდით, – უთხრა ოფიცერმა.

– ოჰო, ეტყობა, ციხე-სიმაგრის მოედანზე დასჯის პატივს ვერ ველირსები.

ნათქვამი ისე ხმამაღლა გამოუვიდა, რომ „ისტორიკოსმა“ გუშაგმა, რომელიც თითქოს პირადად მისთვის მიეჩინათ, გაიგონა და ეტყობა, თავის ვალად მიიჩნია, ტუსაღის განათლება გაეგრძელებინა. იგი კარეტასთან მივიდა და სანამ უკვე კარეტის საფეხურზე მდგარი ოფიცერი რაღაც განკარგულებას იძლეოდა, კორნელიუსს წასჩურულა:

– ისეც მომხდარა, რომ სიკვდილმისჯილი მშობლიურ ქალაქში ჩაუყვანიათ და სხვების სამაგალითოდ, თავისი სახლის კართან დაუსჯიათ. გააჩნია ხოლმე ვითარებას.

კორნელიუსმა, მადლობის ნიშნად, გუშაგს თავი დაუკრა და გულში გაივლო: რა გაეწყობა, მადლობა ღმერთს, ერთი კაცი მაინც გამოჩნდა, რომელიც შემთხვევას ხელიდან არ უშვებს, დროულად მანუგეშოსო.

– დიდი მადლობა, მეგობარო, მშვიდობით.

კარეტა დაიძრა.

– ჰაიტ, შე ოხერო, შენა, – შე ყურუმსაღო! – ღრიალებდა გრიფუსი და მუშტს ულერებდა თავის მსხვერპლს, რომელიც ხელიდან ეცლებოდა, – მაშ, მიდიხარ, არა? ისე მიდიხარ, რომ შვილი მაინც არ დამიბრუნე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თუ მართლა დორდრეხტში მივყავართ, – ჩაილაპარაკა კორნელიუსმა, – ჩემს სახლს რომ ჩავუვლით, დავინახავ გაპარტახდა თუ არა ჩემი საწყალი კვლები.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXX

რა სასჯელი მოუმზადეს კორნელიუს ვან ბერლეს

ვარეტა მთელი დღე მიდიოდა. დორდრეხტი მარცხნივ მოიტოვეს, როტენდამს გასცდნენ და დელფტს მიადგნენ. საღამოს ხუთი საათისთვის უკვე ოცი ლიე ექნებოდათ გავლილი.

კორნელიუსმა, ოფიცერს, რომელიც პირისპირ უჯდა და მისი გუშაგიც იყო და თანამგზავრიც, რანდენჯერმე ჰკითხა, სად მიდიოდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კითხვა მოიარებით დაუსვა, პასუხი ვერ მიიღო.

გული დაწყდა, რომ გვერდით ის ენაწყლიანი გუშაგი აღარ ედგა. ვინ-ვინ და, ის ყმაწვილი უთხოვნელადაც ჩაუკაკლავდა საამურ ამბებს.

კარეტა ღამითაც არ გაჩერებულა, გამთენიისას, ლეიდენსაც გასცდნენ და კორნელიუსის ხელმარჯვნივ ჩრდილოეთის ზღვა გადაიშალა, ხელმარცხნივ კი ჰაარლემის ყურე გამოჩნდა.

სამი საათის შემდეგ, ჰაარლემში შევიდნენ.

კორნელიუსმა არ იცოდა, რა მოხდა ჰაარლემში.

როგორც ვიცით, პრინცმა ორანელმა როზი და ტიტა, ორი დასავით თუ ორი ობოლივით, თავმჯდომარე ვან ჰერიზანს ჩააბარა.

საღამომ ისე მოატანა, შტატჰალტერისგან არაფერი ისმოდა.

საღამოს ვან ჰერიზანთან ოფიცერი გამოცხადდა და როზი, მისი უმაღლესობის სახელით, ქალაქის რატუშაში მიიწვია. ოფიცერმა ქალიშვილი სათათბირო დარბაზში შეიყვანა, სადაც პრინცი მარტო იჯდა და რაღაცას წერდა. ფერხთით დიდი ფრისლანდიური მწევარი ეწვა. ერთგულ ცხოველს პატრონისთვის თვალი ისე მიეციებია, თითქოს მისი ფიქრების ამოცნობა უნდოდა ანუ ის, რაც ჯერ ვერავის მოეხერხებინა.

ვილჰელმი წერას განაგრძობდა, მერე თავი ასწია და კარში მდგარი როზი დაინახა.

– შემოდით, ქალიშვილო, – ისე უთხრა, წერა არ შეუწყვეტია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როზმა მაგიდისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.
– მონსენიორ, – თქვა და გაჩერდა.
– კეთილი, დაჯექით.
როზი დაემორჩილა, რადგან პრინცი უყურებდა, მაგრამ როგორც კი მან თავი დაღუნა და წერა განაგრძო, ისევ მორიდებით წამოდგა ფეხზე. პრინცი წერილის წერას ამთავრებდა, როდესაც ძაღლი წამოდგა, როზთან მივიდა და ალერსიანად დაყნოსა.
– ოჰო, – თქვა პრინცმა, – იცანი არა, რომ შენი კუთხიდან არის.
მერე, როზს მიუბრუნდა და გამჭრიახი, დაფიქრებული თვალი მიაპყრო.
– მისმინე, შვილო, – უთხრა ქალიშვილს, თუმცა, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა, დაოო, ეთქვა, რადგან პრინცი ოცდასამი წლის იყო, ხოლო როზი, სულ ბევრი, ოცის.
– შვილო, – უთხრა მან იმ უცნაურად მკაცრი კილოთი, რომელიც ყველას, ვინც მის წინ იდგა, ძარღვებში სისხლს უყინავდა, – ახლა მარტონი ვართ და მოდით, ვილაპარაკოთ.
პრინცი ლმობიერი თვალით უყურებდა, მაგრამ როზი მაინც აიტანა კანკალმა და წაიჩურჩულა:
– მონსენიორ...
– მამათქვენი ლევენშტაინშია?
– დიახ, მონსენიორ.
– არ გიყვართ მამა?
– არ მიყვარს, მონსენიორ. ყოველ შემთხვევაში, ისე არა, როგორც ალბათ შვილი მოვალეა, მამა უყვარდეს.
– ცუდია, რომ მამა არ გიყვართ, მაგრამ კარგია, რომ თქვენს პრინცს სიმართლეს ეუბნებით.
როზმა თვალი დახარა.
– რატომ არ გიყვართ მამათქვენი?
– ძალიან ავი კაცია.
– სიავე რაზე ეტყობა?
– მამა ცუდად ეპყრობა ტუსაღებს.
– ყველას?
– ყველას.
– შეგიძლიათ უსაყვედუროთ, რომ იგი განსაკუთრებით ცუდად ეპყრობა ერთ მათგანს?
– მამა განსაკუთრებით ცუდად ეპყრობა ბატონ ვან ბერლეს, რომელიც...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რომელიც თქვენი საყვარელია?
– როზმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.
– რომელიც მიყვარს, მონსენიორ, – ამაყად მიუგო მან.
– დიდი ხანია?
– იმ დღიდან, როცა დავინახე.
– მერედა, როდის დაინახეთ?
– დიდი პენსიონარის იან დე ვიტისა და მისი ძმის – კორნელიუსის, საზარელი სიკვდილის მეორე დღეს.
პრინცმა ტუჩი მოკუმა, შუბლი შეიკრა და თვალი დახუჭა, რომ მზერა დაემალა. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ ჰკითხა:
– რა აზრი აქვს ისეთი კაცის სიყვარულს, რომელიც სამუდამო პატიმრობისთვის და ციხეში სიკვდილისთვის არის განწირული?
– თუ იგი განწირულია, მთელი სიცოცხლე საპატიმროში გაატაროს და იქვე მოკვდეს, მე შევძლებ, სიცოცხლე და სიკვდილიც გავუიოლო.
– და ასეთ ტუსაღს ცოლად გაჰყვებოდით?
– ჩემზე ბედნიერი ქალი ქვეყნად არ იქნებოდა, მაგრამ...
– მაგრამ, რა?
– თქმა ვერ გამიბედავს, მონსენიორ.
– თქვენ ხმაში იმედი გამოსჭვივის. რისი იმედი გაქვთ?
როზმა ნათელი თვალები მიაპყრო პრინცს. ქალიშვილის ჭკვიანურმა, მეტყველმა მზერამ გულმოწყალება გამოაღვიძა, რომელიც ამ ამოუცნობი ჭაბუკის გულში მკვდრულ ძილს მისცემოდა.
– ჰო, მივხვდი.
როზმა შელიმა და ვედრებით დაიკრიფა ხელი.
– ჩემი იმედი გაქვთ?
– დიახ, მონსენიორ.
– ჰმ!
პრინცმა წერილი დაბეჭდა და ოფიცერს უხმო.
– ბატონო ვან დეკენ, – უთხრა ოფიცერს, – ეს წერილი ლევენშტაინში წაიღეთ. წაიკითხავთ, რა განკარგულებას ვაძლევ კომენდანტს და შეასრულებთ ყველაფერს, რაც პირადად თქვენ გევალებათ.
კომენდანტმა პრინცს თავი დაუკრა და რატუშის თაღები ფლოქვების თქარუნის ექომ აახმიანა.
– შვილო ჩემო, – უთხრა პრინცმა როზს, – კვირას ტიტების ზეიმია. კვირა ზეგ არის. გამომართვით ეს ხუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თასი ფლორინი და მოიკაზმეთ. მინდა, ეს დღე, დიდ დღესასწაულად გექცეთ.

– თქვენს უმაღლესობას რა სამოსით სურს, რომ მიხილოს? – წაიჩურჩულა როზმა.

– ფრისლანდიელი საპატარძლოს კაბა ჩაიცვით, – მიუგო ვილჰელმმა, – ძალიან მოგიხდებათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXXI
ჰაარლემი

ჰაარლემი ძალიან ლამაზი ქალაქია. მას სამართლიანად შეუძლია იამაყოს, რომ იგი ყველაზე მწვანე ქალაქია, მთელ ჰოლანდიაში.

სხვა ქალაქები თუ არსენალებით, ვერფებით, ბაზრებითა და მაღაზიებით იწონებდა თავს, ჰაარლემი, შვიდივე პროვინციის ქალაქებს შორის, განთქმული იყო შრიალა ვერხვებით, აშოლტილი ჭადრებითა და რაც მთავარია, დაჩრდილული გრილი ხეივნებით, რომლებსაც თალვით დადგომოდა თავს მუხის, ცაცხვისა და წაბლის ხის გვირგვინი.

როდესაც ჰაარლემმა დაინახა, რომ მისი მეზობელი ლეიდენი და დიდებული ამსტერდამი ცდილობდა გამხდარიყო, ერთი – გული მეცნიერების, მეორე კი – კომერციის დედაქალაქი, გადაწყვიტა, მიწათმოქმედების, უფრო სწორად, მებაღეობის ცენტრად ქცეულიყო. მართლაც, ყველა სხვა ქალაქისგან განსხვავებით, ზოგს რომ ზღვაური უბერავდა, ზოგი ტრიალ მინდორზე იდგა და მზის თაკარა სწვავდა, ქარისგან საიმედოდ დაცული და მზის სხივებით ზომიერად დათბუნებული ჰაარლემი მებაღეებს ნანატრ პირობებს სთავაზობდა.

ასე დამკვიდრდნენ ჰაარლემში წყნარი ბუნების, მიწისა და მისი ნაყოფის მოტრფიალენი, ამსტერდამსა და როტენდამში, – მოუსვენარი, მუდამ ფეხადგმული, მოგზაურობისა და ვაჭრობის მოყვარულები, ხოლო, ჰააგაში, – პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწენი.

როგორც გითხარით, ლეიდენი მეცნიერების ქალაქი იყო.

ჰაარლემს კაზმული ხელოვნება უყვარდა.

ჰაარლემი ეთაყვანებოდა მუსიკას, მხატვრობას, – ეტრფოდა ტყეებს, ხეხილის ბაღებს, შრიალა ხეივნებსა და წალკოტებს და თავდავიწყებით უყვარდა ყვავილები.

ყვავილებიდან, ჰაარლემს, ყველაზე მეტად, ტიტა უყვარდა.

1673 წლის 15 ნოემბერს, ქალაქი ჰაარლემი დიდი ზეიმისთვის ემზადებოდა: მებაღეთა საზოგადოება იმას,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვინც უზადოდ შავი, დიდი ტიტა გამოიყვანა, ასი ათასი ფლორინის ჯილდოს გადასცემდა.

ჰაარლემი, რომელიც გაგანია ომებისა და ამბოხთა ეპოქაში, ტრფიალი იყო ყველანაირი ყვავილისა და განსაკუთრებით, ტიტასი, ენით უთქმელ სიხარულს შეეპყრო, რომ თავისი იდეალისთვის მიეღწია და სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა, საარაკო ტიტა ჩემი მეშვეობით იშვაო. ამიტომაც იყო, რომ მზისა და ჩრდილის ამ ტურფა ქალაქს, გადაეწყვიტა, ჯილდოს გადაცემა ისე ედღესასწაულა, რომ შთამომავალთა ხსოვნას ეს დღე სამუდამოდ შემორჩენოდა.

ჰოლანდია, საერთოდ, დღესასწაულთა ქვეყანაა. არცერთ უქნარა ერს იმდენი არასდროს უხმაურია, უცეკვია და უმღერია, რამდენიც შვიდი პროვინციის რესპუბლიკელებს თავიანთ დღესასწაულებზე.

თუ არ გჯერათ, ნახეთ ორივე ტენერსის[68] მხატვრობა და დარწმუნდებით. ვინ არ იცის, რომ უქნარა კაცი სხვაზე მეტად იწყვეტს ხოლმე ქანცს, ოღონდ გართობით და არა შრომით.

მოკლედ, ჰაარლემი სამკეც სიხარულს აეტანა და სამკეცი დღესასწაულისთვის ემზადებოდა: ჯერ ერთი, შავი ტიტა გამოიყვანეს, მეორეც, — ზეიმს, როგორც ჭეშმარიტი ჰოლანდიელი, პრინცი ორანელი დაესწრებოდა და მესამეც, 1672 წლის გამანადგურებელი ომის შემდეგ, დიახაც ეროვნული ღირსების საქმე გახლდათ, ფრანგებისთვის ეჩვენებინათ, რომ ბატავის[69] რესპუბლიკას ისეთი მტკიცე ლიბო ჰქონდა, რომ იქ ზღვიდან მგრგვინავ ქვემეხთა ხმაზეც კი შეეძლოთ ეცეკვათ.

ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოებამ თავი ისახელა და შავი ტიტას ერთი ბოლქვისთვის ასი ათასი ფლორინი დააწესა. ქალაქმა საზოგადოებას ტოლი არ დაუდო და ამდენივე გაიღო, რომ ჯილდოს გადაცემა ზეიმით აღენიშნა.

ამგვარად, კვირადღე, რომელიც ამ ცერემონიისთვის დაეთქვათ, სახალხო ზეიმად იქცა. უჩვეულოდ აღტკინებული მოქალაქენი, — ისინიც კი, ვისაც ფრანგთა დამცინავი ბუნება ჰქონდა და ჩვეული იყო, ყველასთვის და ყველაფრისთვის კბილი გაეკრა, — ხოტბას ასხამდა ყოჩაღ ჰოლანდიელებს, რომლებიც ერთნაირი ხალისით ხარჯავდნენ ფულს ხომალდების ასაგებადაც, რათა ეროვნული ღირსების დასაცავად, მტერს შებრძოლებოდნენ და ახალი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყვავილის გამოყვანაზეც, რომლის სიტურფე მხოლოდ ერთი დღე მოსტაცებდა თვალს ქალებს, სწავლულებსა და ცნობისმოყვარეთ.

საგანგებოდ გამოწყობილი ვან ჰერიზანი ქალაქის წარმომადგენელთა და მეყვავილეთა საზოგადოების თავში ბრწყინავდა. ღირსეულ გვამს ძალ-ღონე არ დაეშურებინა, რათა მოხდენილი, თალხი სამოსით თავის საღმერთებელ ყვავილს დამსგავსებოდა და მიეღწია კიდეც საწადელისთვის – შავი ბისონი, ლურჯი ხავერდი და იისფერი აბრეშუმი ქათქათა თეთრეულის ფონზე, – ასეთი გახლდათ ბატონი თავმჯდომარის სამოსის ფერთამეტყველება, ოდეს მეყვავილეთა საზოგადოების კომიტეტს მოუძღოდა წინ, უზარმაზარი თაიგულით ხელდამშვენებული, მსგავსი იმისა, რომელიც ასოცდაორი წლით მოგვიანებით, მოჰქონდა ბატონ დე რობესპიერს ზეკაცთა ზეიმზე. ოღონდ, ჩვენს თავმჯდომარეს, ფრანგი ტრიბუნის ბოღმითა და შურით გასიებული გულისგან განსხვავებით, მკერდში ყველა ყვავილზე უცოდველი ყვავილი გაშლოდა.

გაზაფხულის ყვავილებივით ნაირფერ და სურნელოვან კომიტეტს მწყობრად მოსდევდა ქალაქის სწავლულთა საზოგადოება, მაგისტრატურა, სამხედროები, თავად-აზნაურობა და გლეხობა.

ხალხის მასებს – ვისი ადგილიც, ამ საზეიმო მსვლელობაში, თვით შვიდი პროვინციის რესპუბლიკელებსაც არ გაეთვალისწინებინათ, – ნება ეძლეოდა, საზეიმო მსვლელობის გაღმა-გამოღმა მიჭეჭყილიყო.

ისე, მართალი გითხრათ, ეს ჩინებული ადგილია საყურებლადაც და... სამოქმედოდაც. სწორედ ეს არის ბრბოს ადგილი, რომელიც ტრიუმფალური[70] მსვლელობის შემდეგ განსჯის ხოლმე, როგორ მოიქცეს.

მართალია მსვლელობა ტრიუმფალური იყო, მაგრამ ეს არც პომპეუსის[71] ტრიუმფი გახლდათ და არც ცეზარისა, არც მითრიდატეს დამარცხებას ზეიმობდნენ და არც გალთა დაპყრობას და ეს საზეიმო მსვლელობა ისეთივე უწყინარი და უვნებელი გახლდათ, როგორც ცხვრის ფარა და ცაში მოსრიალე ფრინველთა გუნდი.

ჰაარლემში ტრიუმფატორები მხოლოდ მებაღეები იყვნენ. ჰაარლემში ეთაყვანებოდნენ ყვავილებს და აღმერთებდნენ მებაღეებს.

სურნელოვანი მსვლელობის თავზე ამაყად მიცურავდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდი შავი ტიტა, რომელიც თეთრი ატლასის ოქროსფურჩალებიან ტახტზე დაებრძანებინათ. ტახტრევანი ოთხ კაცს მიჰქონდა, რომელიც დროდადრო იცვლებოდა. ასე ენაცვლებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, ოდეს ეტრურიიდან[72] დიდი დედა კაბელას[73] ხატს მოასვენებდნენ და საყვირთა ხმაზე, საყოველთაო თაყვანისცემით გარემოცულს, მარადიულ ქალაქში[74] მიაბრძანებდნენ.

ტიტას მსვლელობით უბირი და გაუთლელი ხალხი პატივს მიაგებდა თავის განათლებულ, წარჩინებულ და სახელოვან თავკაცთ, რომელთა სისხლს ის ჯერ ბუტენხოფის დაჩრდილულ ფილაქნებზე დაანთხევდა ხოლმე, მერე კი თავის მსხვერპლთა სახელებს ჰოლანდიის პანთეონის ყველაზე ლამაზ ქვებზე აწერდა.

ცნობილი იყო, რომ პრინცი შტატჰალტერი თავისი ხელით გადასცემდა გამარჯვებულს ასი ათას ფლორინს, რაც ზოგადად, ყველას აინტერესებდა და კიდევ ამბობდნენ, შეიძლება სიტყვაც კი თქვასო, რაც უკვე მხოლოდ მის მეგობრებსა და მტრებს აინტერესებდათ, რადგან ვინ არ იცის, რომ პოლიტიკურ მოღვაწეთა ყველაზე არაფრისმთქმელ სიტყვაშიც კი მისი მტერიც და მოყვარეც რაღაც მნიშვნელოვან ნართაულს ეძებს, რათა მერე, ერთმაც და მეორემაც, თავის გუნებისდა მიხედვით ახსნას.

ბოლოს, დადგა ნანატრი დღე — 1673 წლის 15 მაისი. ამ დიდებულ დღეს, მთელი ჰაარლემი, თავის გარეუბნებიანად და მათთან მიმდებარე სოფლებიანად, მშვენიერი ხეივნების გასწვრივ ჩამწკრივდა ერთი მტკიცე გადაწყვეტილებით — ტაშით შეგებებოდა არა მეომრებს, ან მეცნიერთ, არამედ ბუნების მძლეველთ, — იმათ, ვინც ეს კალთამადლიანი დედა აიძულა ეშვა სწორუპოვარი, შავი ტიტა, რაც აქამდე შეუძლებლად ეჩვენებოდათ.

საქმე ის გახლავთ, რომ ბრბოს გადაწყვეტილება — ვინმეს ან რამეს ტაში დაუკრას ან უსტვინოს, სანდო არ არის და წინასწარ ვერავინ იტყვის, რომელს აირჩევს.

მოკლედ, ხალხმა ჯერ ვან სისტენსსა და მის თაიგულს დაუკრა ტაში, მერე თავ-თავის კორპორაციას[75], მერე საკუთარ თავს; ტაშით დააჯილდოვა, აგრეთვე, — ოღონდ, ამჯერად, სამართლიანად, — მშვენიერი მუსიკა, რომელიც მაშინვე დაუკრავდა ხოლმე, როგორც კი მსვლელობა შედგებოდა.

ხალხი მთავარი გმირის — შავი ტიტას შემდეგ, დღე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სასწაულის მეორე გმირს – ტიტას შემქმნელს ეძებდა და ის, რომ ვან ჰერიზანის საგულდაგულოდ მომზადებული სიტყვის მერე გამოჩენილიყო, აშკარად, შტატჰალტერსაც გაახუნებდა.

ოლონდ, ამ დღეს, გულისყურს ვერ მივაპყრობთ ჩვენი მეგობრის ვან ჰერიზანის სიტყვას, – რაგინდ ძალიან მჭევრიც იყოს, – ვერც მორთულ-მოკაზმულ ახალგაზრდა არისტოკრატებს, მსუყე ღვეზელებს რომ შეექცევიან, ვერც მუდამ მშიერ პლებეებს[76], რომლებიც ვანილის ჯოხის მსგავს, შებოლილ გველთევზებს ღრღნიან; ყურადღებას ვერ მივაქცევთ ლოყაწითელა, ბროლისმკერდიან ჰოლანდიელ ქალებს, – ვერც ჩასუქებულ, ჩიკორა მინჰერებს, შინიდან რომ ფეხი პირველად გამოუდგამთ, – ვერც გამხდარ და ყვითელ უცხოელ მოგზაურებს, ცეილონიდან და იავადან რომ ჩამოსულან და ვერც უჟმურ მდაბიორთ, პირის გამოსაკეთებლად, კიტრის მწნილს რომ ახრამუნებენ. არა, ჩვენი გულისყური – მთავარი, წრფელი და დრამატული, მათკენ არ არის მიპყრობილი.

მთელი ჩვენი გულისყური მიპყრობილია მავანი კაცისკენ, რომლის ყვიციან სახეს თვალში საცემს ხდის სულ ერთიანად წითელი ტანსაცმელი და პომადით გადაგლესილი, ნახშირივით თმა და რომელიც კომიტეტის წევრებთან ერთად, გაბრწყინებული მოაბიჯებს.

ეს სიხარულით მთვრალი, გაბრწყინებული ტრიუმვირატი, – გმირი, რომელსაც უდიდესი პატივი ელოდა – გაეხუნებინა ვან სისტენსის სიტყვა და თვით შტატჰალტერის გამოჩენა, ისააკ ბოქსტელი გახლდათ, რომელიც თანახმა იყო, დაელმებულიყო, ოლონდ კი მხედველობიდან არ გაეშვა ხავერდის ყურთუკზე დასვენებული შავი ტიტა – მისი ნაყალბევი პირმშო, რომელსაც მის წინ მიაბრძანებდნენ და არც ის, ასი ათასი ფლორინით გატენილი, დიდი ტომარა – წკრიალა ოქროს მონეტებით სავსე ტომარა, რომელიც მის ხელმარცხნივ მოჰქონდათ.

დროდადრო, ბოქსტელი ფეხს აჩქარებდა, რომ იდაყვით შეხებოდა ვან სისტენს, რათა მისგან ცოტაოდენი ღირსება მიეტაცა და აბრუ ასწეოდა (სწორედ ისე, როგორც როზს მოსტაცა ტიტა, რათა სახელი და ფული ეშოვნა).

„აი ახლა, თხუთმეტიოდე წუთში, როდესაც პრინცი მობრძანდებოდა და საზეიმო მსვლელობა გაჩერდებოდა, როდესაც ტიტას ტახტზე აიყვანდნენ, პრინცი, ხალხის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გულში, თავის ადგილს მეტოქეს დაუთმობდა, გაშლიდა დიდებულად მოხატულ ეტრატს, სადაც ტიტას შემქმნელის სახელი ეწერა და ხმამაღლა, გარკვევით აუწყებდა ყველას, რომ სასწაული მოხდა და ჰოლანდიამ მისი, ბოქსტელის სახით, აიძულა დედა-ბუნება, ეშვა შავი ყვავილი, რომელსაც ამიერიდან, Tulipa nigra Boxtellas ეწოდებოდა."

ზოგჯერ ბოქსტელი ტიტასა და ფულიან ტომარას თვალს წყვეტდა და ბრბოსკენ თვალს აპარებდა, – ვაითუ, იქ, მშვენიერი ფრისლანდიელი ქალიშვილის გამტკნარებული სახე დავინახოო.

ცხადია, ასეთი აჩრდილის გამოჩენა, ისე ჩაუშხამებდა დღესასწაულს, როგორც ბანქომ ჩაუშხამა მაკბეტს[77] ზეიმი.

ამ უმსგავს კაცს, რომელიც გადაძვრა სხვის ეზოში, ღია ფანჯრიდან შეიპარა მეზობლის ბინაში და ყალბი გასაღებით გააღო როზის ოთახი, თავი ქურდად არ მიაჩნდა.

მან იმდენი ღამე უთია ამ ტიტას, ისე უკანმოუხედავად გაეკიდა კორნელიუსის საშრობიდან ბუტენხოფის მოედანზე აგებულ ეშაფოტამდე და ბუტენხოფის ეშაფოტიდან ლევენშტაინის ციხე-სიმაგრემდე, ისე თვალნათლივ ხედავდა, როგორ იშვა და გაიზარდა როზის ფანჯრის რაფაზე, იმდენჯერ გაუთბია მის გარშემო ჰაერი თავისი სუნთქვით, მისი დასაკუთრების უფლება მხოლოდ მას ჰქონდა და მისთვის რომ ახლა ვინმეს ტიტა წაერთმია, ქურდობა სწორედ ეს იქნებოდა.

როზი არ ჩანდა და ბოქსტელის სიხარულს არაფერი ჩრდილავდა.

კორტეჟი მრგვალი მოედნის შუაში გაჩერდა, რომელსაც გარს ულამაზესი ხეები უვლიდა და ყვავილწნულებითა და წარწერებით მოერთოთ.

იჭექა მუსიკამ და წინ წარსდგნენ ჰაარლამელი ქალწულები, რათა ტიტა კვარცხლბეკზე დაესვენებინათ, რომლის გვერდით შტატჰალტერის ოქროს საკარცხლური დაედგათ. კვარცხლბეკზე ამაყად დაბრძანებულმა ტიტამ ხალხის გული უმალ მოინადირა და ტაშის გრიალმა მთელ ჰაარლემს გადაუარა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXXII
უკანასკნელი სათხოვარი

ზუნორედ იმ საზეიმო წუთებში, როდესაც ტაშის გრიალი ქალაქს აზანზარებდა, პარკის გასწვრივ, კარეტა ტაატით მიიკვლევდა გზას ბავშვების გუნდში, რომელიც ხალხის ზღვას ხეივნიდან გზაზე გამოერიყა.

ამ მტვრიან კარეტაში, რომელსაც ეტყობოდა დიდი გზა გამოევლო და რომლის რესორებს ჭრაჭუნი გაჰქონდა, ვან ბერლე იჯდა და გაწეული კრეტსაბმელიდან ადევნებდა თვალს სანახაობას. ხალხის ჟრიამულმა, ამდენმა მორთულ-მოკაზმულმა ქალმა და კაცმა, უთვალავი ფერით შემკულმა ბუნებამ პატიმარს თვალი ისე მოსჭრა, თითქოს კარეტაში ელვამ ჩაანათაო.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიცერი არ უმხელდა ტუსაღს, რა ბედი ელოდა, კორნელიუსმა გაიფიქრა, იქნებ ის მაინც მითხრას, რას ნიშნავს ეს ხმაურიანი სანახაობა, რომელსაც ვან ბერლეს აზრით, პირადად მასთან არაფერი ესაქმებოდა.

– რა ხდება აქ, ბატონო პოლკოვნიკო?

– როგორც ხედავთ, ზეიმია, ბატონო ჩემო.

– ჰო, ზეიმი, – გულგრილად ჩაილაპარაკა კორნელიუსმა და კილოზე აშკარად დაეტყო, რომ თვითონ, დიდი ხანია, აღარაფერი ახარებდა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა კარეტამ მცირედით წაიწია წინ, ისევ იკითხა:

– ალბათ ჰაარლემი თავის დაარსებას დღესასწაულობს, არა? ძალიან ბევრი ყვავილია.

– დიახ, ბატონო ჩემო, მართლაც, ამ დღესასწაულის მთავარი გმირი, ყვავილი გახლავთ.

– ოჰ, რა ნაზი სურნელი ტრიალებს, რა ფერებია! – წამოიძახა კორნელიუსმა.

ოფიცერს უცბად შეებრალა პატიმარი და კოფოზე მჯდარ ჯარისკაცს, რომელიც მეეტლის მაგივრობას სწევდა, უბრძანა:

– გააჩერეთ, დაე, ბატონმა ნახოს!

– დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო ჩემო, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სევდიანად მიუგო კორნელიუსმა, – მაგრამ სხვისი მხიარულების ყურება, ჩემ დღეში მყოფი კაცისთვის, ცოტა ძნელი ასატანია. ნუ მაყურებინებთ, ძალიან გთხოვთ!

– ბატონი ბრძანდებით. მაშინ განვაგრძოთ გზა. კარეტის გაჩერება მხოლოდ იმიტომ ვუბრძანე, რომ თქვენთვის მეამებინა. მგონი, წინათ, ყვავილების დიდი ტრფიალი იყავით, – განსაკუთრებით, იმ ყვავილისა, რომლის პატივსაცემადაც ზეიმობენ.

– რომელი ყვავილის?

– ტიტასი.

– ტიტასი! – შესძახა ვან ბერლემ, – დღეს ტიტების დღესასწაულია?

– დიახ, მაგრამ მოდით, რადგან სანახაობა არ გეამათ, გზა გავაგრძელოთ.

ოფიცერმა დააპირა, მეეტლესთვის ებრძანებინა, ცხენები გარეკეო, მაგრამ კორნელიუსმა ხელი სტაცა და შეაჩერა. პატიმარი საშინელმა ეჭვმა შეიპყრო.

– ბატონო, – ხმა გაებზარა კორნელიუსს, – დღეს ხომ არ იძლევიან ჯილდოს?..

– დიახ, – შავი ტიტასთვის დაწესებულ ჯილდოს.

კორნელიუსს ჯერ სახე აელეწა, მერე ცივმა ოფლმა დაასხა და გააჟრჟოლა. მერე, გაიფიქრა, უჩემოდ და ჩემი ტიტას გარეშე, ზეიმი არ შედგებაო და დასძინა:

– ვაი, რომ ამ პატიოსან ხალხს, ჩემსავით დაწყდება გული, რადგან ვერ იხილავს იმას, რის სანახავადაც შეკრებილა, – ყოველ შემთხვევაში, სრულყოფილი სახით.

– ვითომ, რატომ, ბატონო ჩემო?

– იმიტომ რომ, – მიუგო კორნელიუსმა და თავი კარეტას შეაფარა, – შავი ტიტას საიდუმლოს, ერთი ჩემი ნაცნობის გარდა, ვერავინ ამოხსნიდა.

– თუ აგრეა, თქვენს ნაცნობს უკვე ამოუხსნია ეგ საიდუმლო. ჰაარლემი ახლა სწორედ იმ ყვავილს უმზერს, რომელიც თქვენ გგონიათ, რომ ჯერ არ გამოუყვანიათ.

– შავ ტიტას! – შეჰყვირა ვან ბერლემ და კარეტიდან თავი გამოყო, – სად არის? აბა, სად არის?

– აგერ, იმ კვარცხლბეკზე... ხედავთ?

– ვხედავ!

– ახლა კი დროა, გზა განვაგრძოთ.

– ოჰ, ბატონო, მოწყალება მოიღეთ და ჯერ ნუ წამიყვანთ! შემიბრალეთ! ნება მომეცით, თვალი ერთხელ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კიდევ შევავლო. ნუთუ, რასაც მე ვხედავ, მართლა შავი ტიტაა? სულმთლად შავი... ნუთუ, მართალია? ბატონო ჩემო, თქვენ გინახავთ? ალბათ ფორეჯები ექნება. არა მგონია, უზადო იყოს. ალბათ, შავი ფერი მხოლოდ დაკრავს. ვაიმე, ვაიმე, ცოტა ახლოდან რომ შემახედა, მაშინვე გავარკვევდი, მაშინვე ვიტყოდი! ბატონო, ბატონო, ნება მომეცით, გადავიდე და ახლოდან ვნახო!

– ხომ არ გაგიჟდით, რა უფლება მაქვს?

– გევედრებით!

– ნუ გავიწყდებათ, რომ პატიმარი ხართ!

– მართალია, პატიმარი ვარ, მაგრამ კეთილშობილი კაცი ვარ, ბატონო ჩემო და პატიოსნებას გეფიცებით, არ გავიქცევი. გაქცევას გულშიც არ გავივლებ, ოღონდ ნება დამრთეთ, ყვავილს შევხედო, გემუდარებით.

– მერე, ჩემი მოვალეობა, ბატონო ჩემო!

ოფიცერმა დააპირა, ჯარისკაცისთვის ენიშნებინა, კარეტა დაძარიო, მაგრამ კორნელიუსმა ისევ შეაჩერა.

– ოჰ, გამოიჩინეთ დიდსულოვნება. მთელი ჩემი ცხოვრების აზრი მხოლოდ თქვენ გულმოწყალებაზეა დამოკიდებული. ეჰ, ბატონო, ვატყობ, დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია. რომ იცოდეთ, როგორ ვიტანჯები! რა ჯოჯოხეთი მიდუღს თავსა და გულში! იქნებ ეს, სულაც, ჩემი ტიტაა, – ის ტიტა, რომელიც როზს მოპარეს! ეჰ, ბატონო ჩემო, თუ ხვდებით მაინც, რას ნიშნავს, როცა შავ ტიტას გაზრდი, სულ ერთი წუთით შეავლებ თვალს, ნახავ, რომ უნაკლოა, რომ ხელოვნებისა და ბუნების თანაზიარი შედევრია და მერე დაკარგავ, – სამუდამოდ! არა, უნდა ჩავიდე, უნდა შევხედო! მერე, თუ გინდათ, მომკალით, მაგრამ უნდა ვნახო, უნდა ვნახო!

– გაჩუმდით, უბედურო და ახლავე შეყავით თავი კარეტაში! მისი უდიდებულესობა შტატჰალტერის ექსკორტი გვიახლოვდება და პრინცმა თუ დაინახა, როგორ იქცევით, ამ ალიაქოთს ყური თუ მოჰკრა, ორივეს შავი დღე დაგვადგება.

ვან ბერლე, უფრო იმის შიშით, რომ მის თანამგზავრს უსიამოვნება არ შეხვედროდა, კარეტაში შეიმალა, თუმცა, ერთ წუთსაც ვერ გაძლო და ჯერ პრინცის ექსკორტის თავში მომავალ ოც მხედარსაც არ ჩაევლო, რომ ისევ მიაწყდა სარკმელს და ხელების ქნევით შეემუდარა შტატჰალტერს, რომელიც მათ კარეტას, სწორედ, ამ დროს გაუსწორდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუდამ უშფოთველი და უდრეკი ვილჰელმი თავმჯდომარის ვალის მოსახდელად მოედნისკენ მიეშურებოდა და ხელში პერგამენტის გრაგნილი ეჭირა, რომელიც ამ დღეს კვერთხის მაგივრობას უწევდა.

დაინახა თუ არა შტატჰალტერმა, რომ კარეტიდან ვიღაც კაცი ხელების ქნევით რაღაცას ემუდარებოდა და თან, ალბათ, იმ კაცის თანმხლები ოფიცერიც იცნო, ბრძანა, შეჩერებულიყვნენ.

იმავე წუთს, მისი ცხენები კორნელიუსის კარეტიდან ექვსიოდე ნაბიჯზე ფოლადის კუნთების თრთოლვით გაქვავდნენ.

– რა ხდება? – ჰკითხა პრინცმა ოფიცერს, რომელიც მაშინვე გადმოხტა კარეტიდან და მოწიწებით მიეახლა შტაჰალტერს.

– მონსენიორ, – მიუგო ოფიცერმა, – ეს ის სახელმწიფო დამნაშავეა, რომელიც თქვენი ბრძანებისამებრ, ლევენშტაინიდან ჰაარლემში ჩამოვიყვანე.

– რა უნდა?

– დაჟინებით ითხოვს, რომ ნება დართონ, ორიოდე წუთით აქ გავჩერდეთ.

– მხოლოდ იმიტომ, რომ შავ ტიტას შევხედო, მონსენიორ, – გამოსძახა კორნელიუსმა და ხელი ვედრებით შეატყუპა, – ტიტას შევხედავ, გავიგებ, რისი გაგებაც მინდა და თუ საჭიროა, მოვკვდები, მაგრამ სიკვდილის პირსაც კი, თქვენი მლოცველი ვიქნები, რომ ნება დამრთეთ, დამებოლოვებინა საქმე, რომელსაც მთელი ჩემი ცხოვრება შევალიე.

ეს ორი კაცი, რომელიც თავ-თავის კარეტაში იჯდა და რომელსაც თავ-თავისი მცველები ახლდა, სასეირო სანახავი იყო: ერთი – ყოვლისშემძლე, მეორე – საწყალი და უბედური; ერთის გზა ტახტისკენ მიდიოდა, მეორისა, როგორც თვითონ ეგონა, ეშაფოტისკენ.

ვილჰელმა ცივად შეხედა კორნელიუსს, მოუსმინა მის მხურვალე თხოვნას და ოფიცერს მიუბრუნდა.

– ეს ის ამბოხებული პატიმარია, ლევენშტაინში თავისი მედილეგეს მოკვლა რომ სცადა?

კორნელიუსმა ამოიოხრა და თავი ჩაკიდა. კეთილშობილი სახე წამოენთო, მერე მიტკალივით გაუთეთრდა. ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე პრინცისთვის, რაღაც მანქანებით, უკვე ცნობილი გამხდარიყო მისი დანაშაული.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შტატჰალტერის სიტყვები კორნელიუსს არათუ, უეჭველ სიკვდილს უქადდა, არამედ იმასაც, რომ მის თხოვნას არ შეიწყნარებდნენ. კორნელიუსმა ბრძოლაზე ხელი აიღო. იგი აღარ ცდილობდა, თავი დაეცვა. პრინცის თვალწინ ისეთი ნრფელი ტანჯვის სურათი იდგა, რომ შეუძლებელი იყო, კაცს სული და გული არ შეძვროდა.

– ნება დართეთ პატიმარს, კარეტიდან გადმოვიდეს, – ბრძანა პრინცმა, – დაე, მივიდეს და შეხედოს შავ ტიტას. ეს ყვავილი, მართლაც, ღირსია, რომ კაცმა ერთხელ მაინც თვალი შეავლოს.

– ოჰ, მონსინიორ! – შესძახა სიხარულისგან ლამის ცნობამიხდილმა კორნელიუსმა, რომელიც ბარბაცით ჩამოდიოდა კარეტის საფეხურზე.

კორნელიუსს ხმა ჩაუწყდა და ოფიცერს რომ ხელი არ შეეშველებინა, მის უმაღლესობას მადლობას მიწაში ცხვირ-ჩარგული გადაუხდიდა.

ამის შემდეგ, პრინცმა გზა გააგრძელა პარკისკენ, საიდანაც ხალხის აღტაცებული შეძახილები მოისმა. მალე ქვემეხმაც დაიქუხა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XXXIII
დასასრული

ვან ბერლეს, რომელსაც წინ ოთხი გუშაგი მიუძღვოდა და ხალხში გზას უკვალავდა, კისერი წაეგრძელებინა და შავ ტიტას თვალებით ჭამდა.

როგორც იქნა, ხედავდა უბადლო ყვავილს, – ამ სითბოსა და სიცივის, სინათლისა და ჩრდილის იდუმალ ნაზავს, რომელიც ერთხელ მოვლენოდა ქვეყანას, რათა მერე, სამუდამოდ გამქრალიყო. სულ ექვსი ნაბიჯიღა აშორებდა ტიტას. კორნელიუსი ტკბებოდა მისი სრულყოფით, სინარნარით. ნორჩ ქალწულთა ყარაული საპატიო მცველად დადგომოდა მის კეთილშობილ უბიწობას. კორნელიუსი შავ ტიტას უყურებდა და რაც უფრო ტკბებოდა მისი უზადო სილამაზით, გული მით უფრო ეფლითებოდა. ვან ბერლე აქეთ-იქით იყურებოდა, – იქნებ, ვინმე ისეთს მოვკრა თვალი, ვინც ერთადერთ კითხვაზე პასუხს გამცემსო, მაგრამ ყველგან უცნობ სახეებს ხედავდა. ყველა ტახტისკენ იყურებოდა, რომელზედაც შტატჰალტერი იჯდა.

ვილჰელმი ფეხზე წამოდგა, აღტკინებულ ხალხს მშვიდად მოავლო თვალი და გამჭოლი მზერა რიგ-რიგობით მიაბჯინა სამ ადამიანს, რომელთა ეგზომ განსხვავებულ ვნებათაღელვას, მის თვალწინ, ცოცხალი სამკუთხედი შეექმნა.

იმ სამიდან, ერთი კუთხე მოუთმენლობისგან აცახცახებული ბოქსტელი იყო, რომელიც თვალითა ნთქავდა პრინცს, ფლორინებს, შავ ტიტასა და ყველა იქ მყოფს, მეორე – სუნთქვაშეკრული და ენაჩავარდნილი კორნელიუსი, რომლის მთელი სული და გული მის ქმნილებას, შავ ტიტას წაელო, მესამე კი – ჰაარლამელ ქალწულთა შორის, ფიცარნაგის კიბეზე მდგარი, მშვენიერი ფრისლანდიელი ქალიშვილი, რომელსაც ვეცხლიმკედით ნაქარგი, უწმინდესი შალის წითელი კაბა ემოსა; ქალიშვლს თავს ოქროს ქუდი უმშვენებდა, საიდანაც უნაზესი მაქმანები ტალღებად ჩამოშლოდა. ეს როზი იყო. ქალიშვილი ვილჰემის ერთ-ერთი ოფიცრის ხელს დაყრდნობოდა და ლამის გულწასულს, თვალი დანისლოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პრინცმა დინჯად გაშალა ეტრატი. იგი მშვიდად, გარკვევით და ხმადაბლა კითხულობდა, მაგრამ ორმოცდაათი ათასი კაცი სულგანაბული უგდებდა ყურს და პრინცის პირიდან ამოსული არცერთი ბგერა უქმად არ დაკარგულა.

– ჩვენ, ყველამ, თავი აქ იმიტომ მოვიყარეთ, – დაიწყო მან, – რომ ის, ვინც დიდი შავი ტიტა გამოიყვანა, ასი ათასი ფლორინით დავაჯილდოვოთ.

„შავი ტიტა! აგერ, თქვენს წინაშეა სასწაული ჰოლანდიისა! შავი ტიტა გამოიყვანეს და იგი გამოიყვანეს ყველა იმ პირობის დაცვით, რასაც ქალაქ ჰაარლემის მეყვავილეთა საზოგადოების პროგრამა მოითხოვდა.

მისი ისტორია და იმ კაცის სახელი, ვინც ეს ყვავილი გაახარა, ქალაქის ოქროს წიგნში ჩაიწერება.

– აქ მომგვარეთ ის პიროვნება, ვისაც შავი ტიტა ეკუთვნის.“

პრიცმა თვალი მოავლო ცოცხალი სამკუთხედის სამივე კუთხეს, რათა დაენახა, როგორ იმოქმედებდა მისი ნათქვამი.

დაინახა, როგორ წამოფრინდა თავისი სკამიდან ბოქსტელი.

დაინახა, როგორ გამოიწია უნებლიეთ კორნელიუსმა.

დაინახა, როგორ მოჰყავდა ქალიშვილი ოფიცერს, რომელსაც მისი პატრონობა მიანდო.

უცბად, ორმა კაცმა ორი მხრიდან შეჰყვირა.

– როზია! – შესძახა თავზარდაცემულმა ბოქსტელმა.

– როზია! – დაიყვირა გაგიჟებულმა კორნელიუსმა.

– ეს ტიტა თქვენ გეკუთვნით, ქალიშვილო?– ჰკითხა პრინცმა.

– დიახ, მონსენიორ, – წაიჩურჩულა როზმა.

ქალიშვილის სილამაზით მოხიბლულ ხალხს აღტაცების ჩურჩულმა გადაუარა.

– ოჰ, – ჩაიბუტბუტა კორნელიუსმა, – თურმე, იტყუებოდა, როცა ამბობდა, ყვავილი მომპარესო! აი, რატომ დაუტოვებია ლევენშტაინი! ვაი შენ, ჩემო თავო! იმან მიგატოვა და გიღალატა, ვინც ერთგულ მეგობრად გეგულებოდა!

– ოჰ, – ამოიგმინა ბოქსტელმაც, – დავიღუპე!

– ამიერიდან, – განაგრძო პრინცმა, – ტიტას იმ კაცის სახელი ეწოდება, ვინც ეს ყვავილი გაახარა და კატალოგში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შევა სახელით, Tulipa nigra Rosa Barlaensis, ვან ბერლეს პატივსაცემად, რომლის გვარსაც მიიღებს ეს ქალიშვილი.

ამ სიტყვებზე, ვილჰელმმა ქალიშვილის ხელი ხელში ჩაუდო მამაკაცს, რომელიც პრინცის საკარცხლურთან მიჭრილიყო და სიხარულის ელდით დამეხილი, ხან პრინცს უძღვნიდა სალამს და ხან თავის საცოლეს.

სწორედ, ამ დროს, სულ სხვანაირი გრძობამორეული კაცი უგონოდ გაიშხლართა თავმჯდომარე ვან ჰერიზანის ფერხთით. ბოქსტელი ასწიეს, მაჯა და გული გაუსინჯეს, მაგრამ ამაოდ. ისააკ ბოქსტელს გული გახეთქოდა.

ამ შემთხვევამ ვერაფერი დააკლო საზეიმო განწყობილებას, რადგან ბოქსტელის სიკვდილს პრინცი და თავმჯდომარე დიდად არ დაუმწუხრებია, რასაც ვერ ვიტყვით კორნელიუსზე, რომელიც საშინლად დაიზაფრა, როდესაც ტიტას ქურდში და იმ ვითომ იაკობში, თავისი კარის მეზობელი, ისააკ ბოქსტელი იცნო. გულუბრყვილო კორნელიუსი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მას ავის ჩადენა შეეძლო.

კაცმა რომ თქვას, ბოქსტელს ბედი შეეწია, როცა გული გაუსკდა და ვერ იხილა სანახაობა, რომელიც მისებრ პატივმოყვარე და ძუნწი კაცისთვის აუტანელი იქნებოდა.

ცერემონია საყვირთა ხმაზე, თავის წესსა და რიგზე, ჩვეულებრივად წარიმართა, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ, რომ ბოქსტელი მოკვდა, ხოლო ხელჩაკიდებული როზი და კორნელიუსი გვერდი-გვერდ მიაბიჯებდნენ.

როდესაც რატუშაში შევიდნენ, პრინცმა იმ ტომარაზე მიუთითა კორნელიუსს, რომელშიც ასი ათასი ფლორინი იდო.

– მართალი გითხრათ, ვერაფრით გადაგვიწყვეტია, ვინ მოიგო ეს ფული, – თქვენ თუ როზმა. თქვენ შავი ტიტას საიდუმლო ამოხსენით, მაგრამ როზმა ახარა და ააყვავა. თანაც, ეს ფული ქალაქმა ტიტას მიუძღვნა.

კორნელიუსი ცდილობდა მიმხვდარიყო, რას უქარაგმებდა პრინცი. მან კი განაგრძო:

– ჩემი მხრივ, ამ ასი ათას ფლორინს როზს მივაკუთნებდი. ეს ფული მან პატიოსნად დაიმსახურა და შეუძლია, მზვითვად შემოგთავაზოთ. ეს იქნებოდა ჯილდო მისი სიყვარულისთვის, მამაცობისა და პატიოსნებისთვის. თქვენ კი, ჩემო ბატონო, რამეთუ დავინახეთ და, ისევ და ისევ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როზის წყალობით, რომელმაც თქვენი უდანაშაულობის საბუთი წარმოგვიდგინა, – აქ პრინცმა ვან ბერლეს ბიბ-ლიიდან ამოხეული ფურცელი გაუწოდა, რომელზედაც კორნელიუს დე ვიტმა წერილი მიწერა და რომელშიც მესამე ბოლქვი იყო გახვეული, – რამეთუ დავინახეთ, რომ დაპატიმრებული იყავით დანაშაულზე, რაც არ ჩაგიდენიათ, გიბრუნებთ თავისუფლებას და გიბრუნებთ ქონებასაც, რადგან უდანაშაულო კაცს ქონება არ ჩამოერთმევა. მოკლედ, ქონება დაგიბრუნდებათ. ბატონო ვან ბერლე, თქვენ კორნელიუს დე ვიტის ნათლული და მისი ძმის – იანის, მეგობარი იყავით. კვლავაც იყავით ღირსი სა-ხელისა, რომელიც ერთმა დაგანათლათ და მეგობრობისა, რომელიც მეორემ გიძღვნათ. ნურასდროს დაივიწყებთ მათ დამსახურებას, რადგან ძმები ვიტები, სახალხო ამბოხისას უსამართლოდ განსჯილები და დასჯილები, იყვნენ დიდი მოქალაქენი და ჰოლანდია დღეს მათით ამაყობს.

ამ სიტყვის შემდეგ, რომელიც პრინცმა მისთვის უჩ-ვეულო გზნებით წარმოთქვა, ხელზე კოცნის ნება დართო დაწინდულთ, რომლებსაც მის წინ მუხლი მოეყარათ და ოხვრით დასძინა:

– ეჰ, მართლაც, შეიძლება, კაცმა შეგნატროთ! თქვენ ოცნებობთ ჰოლანდიას მოუტანოთ ნამდვილი დიდება, მიანიჭოთ ნამდვილი ბედნიერება და ამისთვის, მხოლოდ ტიტების ახალ-ახალ ელფერს იგონებთ.

პრინცმა საფრანგეთის მხარეს ისე გახედა, თითქოს, იქიდან მოგრაგნილ ღრუბლებს ცხადად ხედავდა. მერე კა-რეტაში ჩაჯდა და წავიდა.

იმავე დღეს, კორნელიუსი და როზი დორდრეხტში გა-ემგზავრნენ. როზმა კორნელიუსის მოხუცი ძიძა დესპანად გაუგზავნა მამამისს და თავისი ამბავი შეატყობინა.

მოგეხსენებათ, რა გუნებისაც ბრძანდებოდა მოხუცი გრიფუსი და ალბათ ხვდებით, რომ ასე იოლად სიძეს არ შეურიგდებოდა. დალილავებული ადგილების მიხედვით, ბებერ გრიფუსს სულ წვრილად დაეთვალა, რამდენჯერ დასცხო კეტი კორნელიუსმა – თუ დავუჯერებთ, ორმოც-დაერთჯერ – და ამის დავიწყება ძალიან გაუჭირდა. თუმცა, ბოლოს, მაინც მოტყდა და აპატია, რადგან მისი სიტყვით რომ ვთქვათ, – არ სურდა, მის უმაღლესობა შტატჰალტერს დიდსულოვნებაში ჩამორჩენოდა.

გრიფუსმა ადამიანის დარაჯობაზე ხელი აიღო, ტიტებს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაუდგა დარაჯად და უნდა გითხრათ, იმაზე გულმოდგინე დარაჯს მთელ ჰოლანდიაში ვერ იპოვიდით. ერთ ნახვად ღირდა, როგორ დასდევდა მოხუცი გრიფუსი პეპლებს, როგორ ავლებდა მუსრს ზაზუნებს, როგორ აუქშევდა ხოლმე მეტისმეტად ხარბ ფუტკრებს!

ბოქსტელის ამბავი რომ გაიგო, გრიფუსმა სულ ცოფი ჰყარა, — იმ თვითმარქვია იაკობის ანკესს როგორ წამოვეგეო! მან თავისი ხელით დაანგრია მოშურნე მეზობლის სათვალთვალო, როდესაც კორნელიუსმა ბოქსტელის საჯაროდ გაყიდული ნაკვეთი შეიძინა, რომელიც მის ნაკვეთში სოლივით იყო შემოჭრილი და ამის წყალობით, ისე შემოფარგლა თავისი სამფლობელო, რომ მთელი დორდრეხტის ჭოგრიტები ამიერიდან ვერაფერს დააკლებდა.

რაც დრო გადიოდა, როზი სულ უფრო ლამაზდებოდა და სილამაზესთან ერთად, განათლებაც ემატებოდა. გათხოვებიდან ორი წლის თავზე წერა-კითხვაში ისე გაიწაფა, რომ ორი მშვენიერი ბავშვის აღზრდა, რომლებიც ტიტებისა არ იყოს, მაისის თვეში იშვნენ, თვითონ იტვირთა. მართალი გითხრათ, როზს შვილების გაზრდა უფრო ეიოლებოდა, ვიდრე ტიტასი, რომლის წყალობითაც ისინი გაჩნდნენ.

ცხადია, ერთი ბიჭი იყო, მეორე — გოგო. ბიჭს კორნელიუსი დაარქვეს, გოგონას — როზი.

ვან ბერლე, ძველებურად, როზისა და ტიტების ერთგული იყო. იგი მთელი სიცოცხლე ზრუნავდა როზისა და ყვავილების გახარებაზე, გამოიყვანა ყვავილის მრავალი სახეობა, რომელიც ჰოლანდიის კატალოგებში ჩაიწერა.

ვან ბერლეს სასტუმრო ოთახის მთავარი სამშვენისი მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული, ბიბლიიდან ამოხეული ორი ფურცელი იყო. ერთზე, როგორც ვიცით, მისი ნათლია უთვლიდა, მარკიზ დე ლუვუას წერილები დაწვიო, მეორეზე კი კორნელიუს ვან ბერლე შავი ტიტას ბოლქვს უანდერძებდა როზ გრიფუსს, ერთი პირობით, რომ ასი ათას ფლორინს მზითვად მიუტანდა ოცდაექვსი-ოცდარვა წლის ლამაზ ჭაბუკს, რომელსაც როზი მისთხოვდებოდა, თუკი ერთმანეთი ეყვარებოდათ.

ეს პირობა როზმა, მიუხედავად იმისა, რომ კორნელიუსი ცოცხალი დარჩა, უფრო სწორად, რადგანაც ცოცხალი დარჩა, პატიოსნად შეასრულა.

კორნელიუსმა კი, ჭკუა რომ ესწავლებინა მომავალი მოშურნესთვის, კარიბჭეზე ამოაკვეთინა გამონათქვამი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელიც გროციუსმა სატუსალოს კედელზე იმ დღეს წაანერა, როდესაც იქიდან გაიქცა:

„ზოგჯერ იმდენ ტანჯვას იგემებ, სრული უფლება გაქვს, აღარასდროს თქვა: რა ბედნიერი ვარ!“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

განმარტება

[1]გაერთიანებული პროვინციების რესპუბლიკა (ანუ ჰოლანდიის რესპუბლიკა) – შეიქმნა XVI საუკუნეში, ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად. რესპუბლიკა აერთიანებდა შვიდ პროვინციას (ჰოლანდია, უტრეხტი, გრონინგენი, ჰელდერნი, ოვერისელი და ფრისლანდია), რომელმაც 1579 წელს, ხელი მოაწერა ე.წ. უტრეხტის უნიას, რამაც იურიდიულად დაამტკიცა ახალი რესპუბლიკის არსებობა. ჰოლანდიის პროვინციის ზეგავლენის გაზრდამ შეერთებული პროვინციების რესპუბლიკის პოლიტიკაზე წარმოქმნა ახალი სახელი – ჰოლანდიის რესპუბლიკა.

[2]დიდი პენსიონარი – მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელე ჰოლანდიის რესპუბლიკაში. ზოგჯერ დიდი პენსონარის ხელში მთელი ძალაუფლება იყრიდა თავს. დიდი პენსიონარი იან დე ვიტი (1625 - 1672) ფაქტობრივად მართავდა შვიდ პროვინციას.

[3]შტატჰალტერი – ნიდერლანდებში ასე უწოდებდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების თავკაცს. შტატჰალტერის სახელო, რომელიც იან დე ვიტმა გააუქმა, ისევ აღადგინეს 1672 წელს, ვილჰელმ III ორანელისთვის.

[4]იგულისხმება ძველი რომაელი რესპუბლიკელები – ძმები ტიბერიუს და გაიუს გრაკხები, რომლებიც დიდ პატრიციებთან ბრძოლას შეეწირნენ.

[5]მდუმარეს უწოდებდნენ არა ვილჰელმ III ორანელს, ჰოლანდიის შტატჰალტერსა და შემდეგ, ინგლისის მეფეს (1689 წლიდან), არამედ მის წინაპარს – ვილჰელმ I ორანელს, ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციის თვალსაჩინო მოღვაწეს.

[6]ლუი XIV – საფრანგეთის მეფე 1643 - 1715 წ.წ-ში. ცდილობდა მაქსიმალურად განემტკიცებინა მეფის ძალაუფლება. კარისკაცებმა მას „მეფე-მზე" შეარქვეს. აწარმოებდა მრავალრიცხოვან ომებს. იღწვოდა საფრანგეთის ჰეგემონობაზე ევროპასა და მსოფლიოზე.

[7]საფრანგეთის ჯარის შეჭრა ნიდერლანდებში 1672 წ., რომელიც „ნიმვეგენის საზავო ხელშეკრულებებით" დაბოლოვდა.

[8]ბუალო დეპრეო – ფრანგი პოეტი, ლიტ.-ის თეორეტიკოსი, დაწერა კრიტიკული დიალოგი „რომანთა გმირები", რომელიც გამოიცა 1601 წელს.

[9]მითრიდატე VI ევპატორი (ძვ.წ.132 - 63 წ.წ.) – პონტოს მეფე. რომის დაუძინებელი მტერი. ენერგიული, ფიზიკურად ძლიერი, განათლებული პიროვნება (იცოდა 22 ენა), ნიჭიერი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, ამასთან, ძალზე მკაცრი და შეუბრალებელი. მის დროს, პონტოს სამეფო ვრცელი სახელმწიფო იყო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სხვადასხვა ხალხები და ტომები, მათ შორის ქართველური ტომებიც.

[10]ვიჰელმ ორანელმა ვერ მიაღწია, რომ ჰოლანდიაში საგვარეულო მო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნარქია დაემყარებინა. მისი სიკვდილის შემდეგ, შტატჰალტერის სახელო გააუქმეს.

[11]ჰორაციუსი (ძვ. წ. 65 - 68 წ.წ.) – უდიდესი რომაელი პოეტი, „ოდების“, „სატირების“, „ეპისტოლენისა“ და სხვთ. ავტორი. იგულისხმება მესამე ოდა III წიგნიდან, რომელიც ასე იწყება: „მართალი კაცი უდრეკია“.

[12]ფრანსუა მიშელ დე ლუვუა (1639 - 1691) – ლუი XIV სამხედრო მინისტრი.

[13]ბრალდება ტყუილი იყო, მაგრამ იან დე ვიტის ხელისუფლების გაუბედაობამ, რაც ამბოხის შიშით იყო გამოწვეული, საბაბი მისცა ორანისტებს, რომლებსაც ხალხის გადაბირება სურდათ, ძმები დე ვიტებისთვის ღალატი დაებრალებინათ.

[14]ფრისლანდიური კაბა – ნიდერლანდების ჩრდილოეთი მხარის მცხოვრები ხალხის – ფრიზების, ეროვნული სამოსი.

[15]კორნელიუს ტრომპი (1629 - 1691) – ჰოლანდიელი ადმირალი, მრავალი საზღვაო ბრძოლის მონაწილე, ანგლო-ჰოლანდიური ომების დროს, ორანისტი.

[16]იგულისხმება დამარცხება, რომელიც ლუი XIV ლაშქარმა აგემა ჰოლანდიას 1672 წ.

[17]იოჰან კასპერ ლაფატერი (1741 - 1801) – შვეიცარელი ღვთისმეტყველი და მწერალი, ავტორი წიგნისა – „ფიზიოგნომიკა“. ცდილობდა, გარეგნობის მიხედვით, გამოეცნო ადამიანის გონებრივი და ზნეობრივი მონაცემები.

[18]იუვენალუსი (დაახლ. 55 - 132 წ.წ. ჩვ.წ.ა.) – ძვ. რომაელი, უდიდესი პოეტი-სატირიკოსი.

[19]Rara avis (ლათ.) – უცხო ფრინველი.

[20]ფლორინი – ნიდერლანდების ფულის ერთეული. შემდეგ გულდენმა შეცვალა.

[21]ვან რეიტერი – გამოჩენილი ჰოლანდიელი ადმირალი, ანგლო-ჰოლანდიური ომების დროს სარდლობდა ჰოლანდიის ფლოტს.

[22]ტიტა – მრავალწლიანი ბოლქვოვანი მცენარე. ველური სახით ფართოდ არის გავრცელებული სამხრეთ ევროპასა და აზიაში. დეკორატული ტიტები ევროპაში თურქეთიდან შემოიტანეს XVI საუკუნეში. ნიდერლანდებში ტიტების გახარებამ მასიური გატაცების სახე მიიღო. XVII საუკუნეში ამ გატაცებამ თავის აპოგეას მიაღწია. ტიტას გახარების ცენტრად ჰაარლემი იქცა. ჰაარლემის ტიტების ბირჟაზე დიდი გარიგებები იდებოდა. იშვიათი სახეობის ბოლქვებს ზღაპრულ ფასად ყიდულობდნენ და ყიდნენ.

[23]ალფონსო IV – პორტუგალიის მეფე (1656 - 1667). მისმა ძმამ, პედრომ, სამეფო კარის გადატრიალება მოუწყო და ტახტიდან ჩამოაგდო.

[24]–Bene sit.–(ლათ.) – დაე, მოხდეს.

[25]ჰერარდ დოუ (1613 - 1681) – გამოჩენილი ჰოლანდიელი მხატვარი, რემბრანტის შეგირდი.

[26] ფრანსის ვან მორისი (1635 - 1681) – ჰოლანდიელი მხატვარი, ჰერარდ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დოუს შეგირდი.
[27]პორი – ინდოეთის რაჯა; დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა ჩრდ. ინდოეთში, უძველეს ქალაქ ნიკეასთან მომხდარ ბრძოლაში, ძვ. წ.ა. 326წ.
[28]სილოგიზმი – ლოგიკური სჯა, რომელიც შედგება ორი აზრისგან, ამასთან ერთი აშკარაა, მეორე კი ნავარაუდევი, რაც საფუძვლად ედება დასკვნის გამოტანას. მაგალითად: კაცი მოკვდავია. ყველა მოკვდავი ცოდვილია, მაშასადამე, ყველა კაცი ცოდვილია.
[29]უილიამ შექსპირი (1564 - 1616) – უდიდესი ინგლისელი დრამატურგი.
[30]პეტერ პაულუს რუბენსი (1577 - 1640) – დიდი ფლანდრიელი მხატვარი.
[31]დანტე ალიგიერი (1265 - 1321) – უდიდესი იტალიელი პოეტი, ჰუმანისტი, ავტორი „ღვთაებრივი კომედიისა", რომელიც სამი ნაწილისგან შედგება: „ჯოჯოხეთი", „სალხინებელი" და „სამოთხე". პოემის პირველ ნაწილში აღწერილია, რა საშინლად იტანჯებიან ცოდვილთა სულები ჯოჯოხეთში. მათ შორის არიან სამშობლოს მოღალატენი, ცოდვილი კათოლიკე მამები და პაპები.
[32]ამალიტელები – მომთაბარე ტომები, რომლებიც თავს ესხმოდნენ ძველ იუდეველებს.
[33]ქიმერა – ძველბერძნული მითოლოგიის ურჩხული, რომელსაც ლომის თავი, დრაკონის კუდი და თხის ტანი ჰქონდა. ძველ რომში არ იცოდნენ, რომ შავი გედი არსებობდა, ამიტომ ჰორაციუსს იგი ზღაპრულ ქიმერად ეჩვენება. მის ერთ-ერთ ლექსში, ქალღმერთი ვენერა თეთრ ეტლში დგას, რომელშიც შავი გედებია შებმული.
ფრანგული ლეგენდის „თეთრი შაშვი" ისეთივე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ჩვენთან – „თეთრი ყვავი".
[34]ძველ საბერძნეთში, ქალაქი დელფოსი, ცნობილი იყო აპოლონის ტაძრითა და „ორაკულით" ანუ მისნით. ტაძარში შესვლის უფლება მხოლოდ „განდობილთ" – ქურუმებს, ჰქონდათ.
[35]ჟან რასინი (1639 - 1699) – დიდი ფრანგი დრამატურგი. რასინის ტრაგედიები ფრანგული კლასიციზმის მწვერვალადაა მიჩნეული.
[36]ალქიმია – შუასაუკუნების ცრუმეცნიერება. ალქიმიკოსები ეძებდნენ „ფილოსოფიურ ქვას", რომელიც ჩვეულებრივ ლითონს ოქროდ აქცევდა, ეძებდნენ „სიცოცხლის ელიქსირს", რაც კაცს უკვდავებას მიანიჭებდა და – „პანაცეას", რომელიც ყველა სნეულებას განკურნავდა.
[37]Tulipa nigra(ლათ.) – შავი ტიტა. მეცნიერები თავიანთ აღმოჩენას, ხშირად, თავის გვარს არქმევდნენ. "Tulipa Nigras Barlensis", ანუ ბერლეს შავი ტიტა.
[38]ეტყობა, ჰოლანდიელებს მიაჩნდათ, რომ ტიტას სამშობლო კუნძული ცეილონი იყო, ხოლო ინდოეთში, ყველაზე მეტად იყო გავრცელებული.
[39]ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. IV ს.) – ალექსანდრე დიდი, მაკედონიის მეფე 336 წ.-დან, ძვ. სამყაროს უნიჭიერესი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. მაკედონიის მეფის ფილიპე II და ეპირის მეფის ასულ ოლიმპიადას ძე. 13 წლიდან იყო არისტოტელეს მოწაფე. მთელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიცოცხლე ომებში გაატარა. შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც ინდიდან დუნაიმდე იყო გადაჭიმული. პლუტარქე ამბობდა, რომ ალექსანდრეს მიზანი სიმდიდრის დაგროვება არ იყო, მას „სურდა ყველა ადამიანი ერთ გონებასა და ერთ სახელმწიფო წყობას დამორჩილებოდა." ალექსანდრეს სტრატეგიისთვის დამახასიათებელი იყო მოწინააღმდეგის ქვეყნისა და არმიის საფუძვლიანად შესწავლა, ზურგისა და კომუნიკაციების საიმედო უზრუნველყოფა, მოწინააღმდეგის მთავარი ძალების განადგურებისკენ სწრაფვა. ალექსანდრეს წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ულმობელი ომში, ლმობიერი იყო დამარცხებულ მტერთან და პატივს სცემდა დამორჩილებული ხალხის ადათ-წესებსა და სარწმუნოებას.

[40]გაიუს იულიუს ცეზარი (ძვ.წ.ა. I ს.) – ძვ. რომის პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი და ორატორი. რომის ერთპიროვნული მმართველი. 46 წ.-ს, 10 წლით აირჩიეს დიქტატორად. ჰქონდა იმპერატორის ტიტული. მის სიცოცხლეშივე შეიქმნა „ღვთაებრივი იულიუსის კულტი", იყო პონტიფექს მაქსიმუმი, ანუ უზენაესი ქურუმი. გააძლიერა სახელმწიფო, არმია, დაარსა კოლონიები, შემოიღო სასარგებლო კანონები მხედრებისა და დაბალი ფენებისთვის, შეამცირა საიჯარო გადასახადი, შეზღუდა მოხელეთა თვითნებობა, აკრძალა რომის მოქალაქის თვითნებური, გაუსამართლებელი მოკვლა, შემოიღო კალენდარი, ცდილობდა შემოეღო ელინისტური ტიპის მონარქია. მას ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: „მოვედი, ვნახე, დავამარცხე." მის სახელთანაა დაკავშირებული მეორე ცნობილი გამოთქმაც – რუბიკონის (მდინარის სახელია) გადალახვა. იულიუს კეისარი სენატის სხდომაზე მოკლეს შეთქმულებმა. ჩვენამდე მოაღწია მისმა მემუარულმა თხზულებებმა: „გალიის ომები" და „სამოქალაქო ომები". ორივე ნაწარმოები ლათინური პროზის საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული. მის კალამს ეკუთვნოდა, აგრეთვე, პოემები, ტრაგედიები, პოლიტიკური და რიტორიკული პამფლეტები, ფილოლოგიური და ფილოსოფიური განსჯანი, რომელსაც ჩვენამდე არ მოულწევია.

[41]მინჰერ – ასე მიმართავდნენ ჰოლანდიაში შეძლებულ მოქალაქეებს, შეესატყვისება ბატონოს.

[42]არკებუზი – აბედიანი თოფი, რომელიც ლულიდან იტენება. ხმარობდნენ XIV ს-ში, XVI ს.-ში მუშკეტმა შეცვალა.

[43]ტარკვინიუს ამაყი (ძვ.წ. VI ს.) – თქმულების მიხედვით, ძველი რომის უკანასკნელი მეფე, რომელმაც მოკლა თავისი სიმამრი – მეფე სერვიუს ტულიუსი და თვითონ გამეფდა. უსამართლო მმართველობისა და ძალადობისთვის, რომაელებმა, პატრიციუს ლუციუს ბრუტუსის მეთაურობით, რომიდან გააძევეს. თქმულებაში ასახულია ისტორიული ფაქტი – რომის გათავისუფლება ეტრუსკთა ბატონობისგან.

[44]პრინცი კონდე, ლუი II ბურბონი (1621 - 1686) – ფრანგი მხედარმთავარი, ანგიენის ჰერცოგი, შემდეგ პრინცი კონდე. ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა საფრანგეთს, ესპანელებთან ომის დროს, შემდეგ სათავეში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩაუდგა „ფრონდას“, რომელიც საფრანგეთის ფაქტიურ მმართველს, კარდინალ მაზარინის დაუპირისპირდა. პრინცი კონდე დააპატიმრეს და ვენსენის ციხეში ჩასვეს, საიდანაც გაიქცა. შემდგომ ლუი XIV შემოირიგა. 1972 - 1975 წ.წ.-ში წარმატებით ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს საფრანგეთ-ჰოლანდიის ომში.

[45]დილემა – ორი ცუდიდან, ერთის არჩევის აუცილებლობა.

[46]მადამ დე სავინი (1626 - 1696) – ფრანგი მწერალი ქალი, რომელიც ცნობილი იყო თავისი ლიტერატურული „წერილებით“.

[47]ვაალი, მაასი – ჰოლანდიის მდინარეები.

[48]გროციუსი, ჰუგო დე გროოტი (1583 - 1645) – ჰოლანდიელი მეცნიერი, იურისტი, სოციოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე. ბუნებითი და ადამიანური სამართლის თეორიისა და საერთაშორისო სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1619 წ-ს, პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობისთვის, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. 1621 წელს ციხიდან გაიქცა და საფრანგეთში გადავიდა, შემდეგ შვედეთში დასახლდა. გროციუსმა, თავის პირველ, თვალსაჩინო ნაშრომში – „თავისუფალი ზღვა“ (1609), წამოაყენა და დაასაბუთა ზღვების თავისუფლების პრინციპი, ხოლო მისი ძირითადი ტრაქტატი – „ომისა და მშვიდობის სამართლის თაობაზე“, მოითხოვდა, აკრძალულიყო უსამართლო ომები და დაარსებულიყო მუდმივი საბჭო, რომელიც ყველა საერთაშორისო დავას გადაჭრიდა. ამასთან, გროციუსს მიაჩნდა, რომ მეომარ მხარეებს, თავი უნდა შეეკავებინათ მოწინააღმდეგის ქონების განადგურებისგან, უსამართლოდ და სასტიკად არ უნდა მოქცეოდნენ სამოქალაქო მოსახლეობას და ა. შ.

[49]ბარნეველტი, ანუ იან ოლდენბარნეველტი (1547 - 1619) – ჰოლანდიის პროვინციის ფაქტობრივი მმართველი. ეწინააღმდეგებოდა შტატ-ჰალტერის სწრაფვას მონარქიის დამყარებისადმი. გროციუსთან ერთად მონაწილეობდა პოლიტიკურ ბრძოლაში. აჯანყების მოწყობის მცდელობისთვის, სიკვდილით დასაჯეს.

[50]ჰოლანდიური სუ – წვრილი ფული.

[51]შურს, ძვ. საბერძნეთში, გამოსახავდნენ ქალის სახით, რომელსაც თავზე, თმის ნაცვლად, გველები ესხა.

[52]ლიე – ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი, 4,5 სმ.

[53]სინეკურა (ლათ. უზრუნველად) – შუა საუკუნეში, შემოსავლიანი საეკლესიო თანამდებობა. არ აკისრებდა არავითარ ვალდებულებას და არც დანიშნულების ადგილზე ყოფნას.

[54]ბიბლიის თანახმად, ნოემ, საყოველთაო წარღვნის დროს, თავის კიდობანში ჩასვა ყველა არსის წყვილი და ცხოველთა სამყაროს ყველა სახეობა გადაარჩინა.

[55]დიუმი – სიგრძის საზომი, 2, 54 სმ.

[56]სემირამიდა (შამურამატი) – ასურეთის დედოფალი ძვ. წ. ა. IX ს-ში, შამშიადად V-ს ცოლი. ქმრის სიკვდილის შემდეგ, სამეფოს მართავდა მცირეწლოვანი შვილის ნაცვლად და მერეც, დიდი გავლენით სარ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გებლობდა. მის სახელთანაა დაკავშირებული ერთ-ერთი მსოფლიოს შვიდი საოცრების – ბაბილონის „დაკიდებული ბაღების", აგება.
[57]კლეოპატრა (ძვ. წ. ა. 69 - 30) – ძვ. ეგვიპტის ბოლო დედოფალი პტოლომეუსთა დინასტიიდან. მეფე პტოლომეუს XI-ს ასული, პტოლომეუს XII-ს და, მეუღლე და თანამმართველი. შეებრძოლა ძმას ერთპიროვნული მმართველობისთვის. გააძევეს სირიაში, მაგრამ მისი ნიჭით, განათლებითა და სილამაზით მოხიბლულმა კეისარმა, ალექსანდრიის ომის შემდეგ, რომელშიც პტოლომეუს XII დაიღუპა, იგი ეგვიპტის ტახტზე დასვა. იულიუს კეისრისგან შეეძინა ვაჟი – ცეზარიონი. კეისრის სიკვდილის შემდეგ, მოხიბლა და იქორწინა კიდეც, მარკუს ანტონიუსთან (კეისრის მეგობართან). აქციუმის კონცხთან, ოქტავიანესა (ავგუსტუსი) და ანტონიუსს შორის გამართულ ბრძოლაში, ეგვიპტის ფლოტით ეხმარებოდა ანტონიუსს. ანტონიუსის მარცხისა და თვითმკვლელობის შემდეგ, როდესაც კლეოპატრამ შეიტყო, რომ მას, როგორც ძვირფას ტყვეს, რომში ოქტავიანეს ტრიუმფი უნდა დაემშვენებინა, დამცირებას, სიკვდილი არჩია და გველს დააგესლინა თავი.
[58]ელისაბედ I ტიუდორი – ინგლისის მეფე-ქალი (1558 - 1603), ტიუდორთა დინასტიის ბოლო წარმომადგენელი, ჰენრი VIII და ანა ბოლეინის ასული. მისი მეფობის დროს, დამთავრდა „რეფორმაციის" პერიოდი და დამკვიდრდა ე. წ. „მაღალი" ანუ „ანგლიკანური" ეკლესია, რომელიც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დასაყრდენი გახდა. ინგლისი ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაძლიერდა. შეიქმნა „ბრიტანეთის იმპერია", დაამარცხა თავისი მთავარი მეტოქე ზღვაზე – ესპანეთის „უძლეველი არმადა"; საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატებას, კულტურული აღორძინება მოჰყვა (შექსპირი, მარლო და ა. შ.), ამიტომ ისტორიკოსები, ამ პერიოდს, „ელისაბედის საუკუნედ", ან „ოქროს ხანად" მოიხსენიებენ.
[59]ანა ავსტრიელი (1601 - 1666) – ესპანეთის მეფის ასული, საფრანგეთის დედოფალი და რეგენტი, ლუი XII-ს მცირეწლოვანების პერიოდში.
[60]მსოფლიოს შვიდი საოცრება – ასე უწოდებდნენ ძველად შვიდ, ყველაზე სახელგანთქმულ, არქიტექტურულ ნაგებობასა და ქანდაკებას – ეგვიპტის ფარაონთა პირამიდებს, სემირამიდას „დაკიდულ ბაღებს", აფროდიტეს ტაძარს კუნძულ ეფესზე, ფიდიუსის, ტახტზე მჯდომარე ზევსის ქანდაკებას (ძვ.წ.ა. V ს.), მეფე მავზოლიუსის (აქედან მოდის სიტყვა – მავზოლეუმი) საფლავს, გელიკარნასში, როდოსის კოლოსს ([72] მ.-ის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც გადმოცემით, როდოსის ნავსადგურის შესასვლელში იდგა), ალექსანდრიის შუქურას, რომელსაც 180 მ-ის სიმაღლე ჰქონდა და ძვ. წ. ა. III ს-ში იყო აგებული.
[61]სილფიდები – ჰაერის კეთილი სულები.
[62]გაბრიელ მეთიუ (1629 - 1667) – ცნობილი ჰოლანდიელი მხატვარი.
[63]„სეზამ გაიღე"– არაბული ზღაპრის – „ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღის", ჯადოსნური სიტყვა, რომელიც საგანძურის კარს აღებდა.
[64]სოლომონ ბრძენი – იუდეის ბიბლიური მეფე, რომელსაც ურთულესი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავის გადაჭრა შეეძლო. იგულისხმება ცნობილი თქმულება, როდესაც ორი ქალი ერთი ბავშვის დედობას იჩემებდა და დავის გადასაჭრელად, სოლონ ბრძენს მიმართა. სიმართლის დასადგენად, სოლომონმა ქალებს შესთავაზა, ბავშვი ორად გაეჭრათ. სოლომონმა დედად ის ქალი აღიარა, რომელიც თავზარდაცემული ემუდარებოდა ბრძენ მოსამართლეს, ოღონდ გადაწყვეტილება შეეცვალა, მზად იყო, შვილს შელეოდა.

[65]ვოლტის ბოძი – ასეთი ფორმა ჰქონდა პირველ გალვანურ ელემენტებს, რომელიც ელექტრული დენის მოძღვრების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, იტალიელმა ფიზიკოსმა, ალესანდრო ვოლტიმ შექმნა, 1799 წ-ს.

[66]არგუსი – ძვ. ბერძნული მითოლოგიის მრავალთვალა დევკაცი, რომელიც ძილის დროს, რამდენიმე თვალით ფხიზლობდა. გადატანითი მნიშვნელობით, ფხიზელი გუშაგი.

[67]დედალოსი – ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში, სახელგანთქმული ათენელი არქიტექტორი და მოქანდაკე, რომელმაც კუნძულ კრეტაზე, მინოტავრისთვის ლაბირინთი ააგო. როდესაც მას კრეტას მეფე – მინოსი, გაურისხდა და ვაჟთან ერთად, ლაბირინთში გამოამწყვდია, დედალოსმა გუშაგები მოისყიდა, ცვილისა და ბუმბულისგან ფრთები გააკეთა და შვილთან ერთად, მცირე აზიისკენ გაფრინდა.

[68]დავიდ ტენირს უფროსი (1582 - 1649) და დავიდ ტენირს უმცროსი (1610 - 1690) – ცნობილი ფლანდრიელი მხატვრები.

[69]ბატავის რესპუბლიკა – ჰოლანდიის ოფიციალური სახელწოდება 1795 - 1806 წ-მდე. ბატავთა ტომი, ნიდერლანდების ტერიტორიაზე, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ცხოვრობდა.

[70]ტრიუმფი – გამარჯვებული მხედართმთავრის საზეიმო შესვლა ძვ. რომში.

[71]გნეუს პომპეუსი (106 - 48) – რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. ძალაუფლებისთვის ებრძოდა იულიუს კეისარს.

[72]ეტრურია – ოლქი ძვ. იტალიაში.

[73]კიბელა – ღმერთების დედა ანტიკურ მითოლოგიაში. მისი კულტი რომის იმპერიაში საყოველთაო თაყვანისცემით სარგებლობდა.

[74]მარადიული ქალაქი – ასე ეძახდნენ რომს.

[75]კორპორაცია – იგივეა, რაც ამქარი, ანუ ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანება. საზეიმო მსვლელობისას მოქალაქეები კორპორაციებად დაყოფილები მოდიოდნენ.

[76]პლებეი – ძვ. რომში არაპრივილიგებული, თავისუფალი მოქალაქეები.

[77]შექსპირის ტრაგედია – „მაკბეტში“, ბანქოს სული, რომელიც მაკბეტმა მოაკვლევინა, მას ნადიმზე ეწვია.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/